ნაშრომი შესრულებულია აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე

ხელნაწერის უფლებით

კ ა პ ა ნ ა ძ ე მ ა ი ა

გაერთიანების ტენდენციები XVI-XVII სს.

საქართველოში

სპეციალობა საქართველოს ისტორია 07.00.01.

მეცნიერ ხელმძღვანელები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი **გ. მჭედლიძე**

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

დოცენტი **ზ.დათუაშვილი**

ქუთაისი

2005

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.

თავი I. წყაროები და ლიტერატურა.

თავი II. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ეპიზოდური მცდელობანი XVI ს-ის I მესამედში.

თავი III. სამცხე-საათაბაგოს შემომტკიცების საკითხი ქართლისა და იმერეთის მეფეების საშინაო პოლიტიკაში XVI ს-ის 30-40-იანი წწ.

თავი IV. ბაგრატ ალექსანდრეს ძის ბრძოლა დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონიისათვის.

თავი V. საქართველოს პოლიტიკური მთალიანობის აღდგენის პრობლემა და სიმონ I.

თავი VI. ერთიანი ქართული პოლიტიკის შემუშავების მცდელობანი და ქართლ-კახეთის პოლიტიკური მთალიანობის აღდგენა XVII ს-ის I მესამედში.

თავი VII. საგარეო პოლიტიკური ფაქტორი და გამაერთიანებელი მოძრაობა XVII სის 40-60-იან წლებში.

დასკვნა.

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ერთიანი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური დაშლა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესი იყო, რომელიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში მწიფდებოდა და უაღრესად რთულ სოციალურ, ეკონომიკურ, თუ საგარეო-პოლიტიკურ მოვლენათა დამთხვევის შედეგი იყო.

საქართველოს ფეოდალური მონარქიის დეცენტრალიზაციის პირველმა ნიშნებმა თავი იჩინა XIII ს-ის დასაწყისიდან – საფუძველი ჩაეყარა ქვეყნის დაშლას ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. ამას ზედ დაერთო ჯერ მონღოლებისა და შემდეგ თემურ-

ლენგის მრავალგზისი შემოსევები, რამაც წელში გატეხა ქვეყანა და გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას.

ერთიანი მონარქიის პილიტიკური დაშლის პროცესი მარტო საგარეო ფაქტორის მოქმედების შედეგი არ ყოფილა. იგი ქვეყნის შინაგანი განვითარების კანონზომიერი პროდუქტი იყო. დაქუცმაცების პროცესი თანდათან ღრმავდებოდა. "ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისაკენ მიმართული ნებისმიერი ფაქტორი საბოლოო თვალსაზრისით გარკვეულ საგარეო, თუ საშინაო პოლიტიკურ გარემოებათა თანხვდომის პირობებში ქვეყნის დაქუცმაცებულობასა და პოლიტიკურ დაშლას განაპირობებდა'' (138,44). "თუკი რომელიმე იღბლიანი მმართველი შექმნილ ხელსაყრელ პირობებში ქვეყნის გაერთიანების გზაზე რაიმე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევას შესძლებდა, დროებითი და ეფემერული იყო" (177,5).

XIII-XIV საუკუნეებისთვის დამახასიათებელი საშინაო და საგარეო მოვლენების ურთიერთქმედების წყალობით ქვეყნის გამაერთიანებელი ძალები სუსტდებოდნენ, ხოლო დამშლელ ძალთა უპირატესობა სულ უფრო და უფრო აშკარა ხდებოდა (129,60): ეს იყო ნელი, თანდათანობითი და ხანგრძლივი პროცესი. XV ს-ის დასასრული კი ამ პროცესის ქრონოლოგიური ტეხილია, როცა უდავო შეიქმნა დამრღვევ ძალთა უპირატესობა გამაერთიანებელ ძალებთან შედარებით (116,29).

1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზმა აღიარა საქართველოს პოლიტიკური დაშლის ფაქტი. ამის შემდეგ, 1491-1492 წლებში მეფეებმა და მთავრებმა ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებებს და დააწესეს საზღვრები (23,390). ამით ძირითადად დასრულდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესი. ამრიგად, XV ს-ის დამდეგს ერთიანი ქართული სახელმწიფოს ნაცვლად შეიქმნა ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოები და სამცხე-საათაბაგოს, გურიის და ოდიშის სამთავროები. სამეფოების სათავეში ბაგრატიონების ქართული სამეფო დინასტიის ცალკეული განშტოებები იდგა.

მართალია, მომდევნო საუკუნეებში ტერმინი "საქართველო" კვლავ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ფაქტიურად იგი აღარ იყო ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურული მთალიანობის გამომხატველი. არსებობდა არა ერთი, მთლიანი საქართველო, არამედ

“ექვსი საქართველო” – ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამცხე-საათაბაგო, გურია, სამეგრელო (120,19).

ქვეყნის დანაწევრებას თან მოჰყვა ქართული ეთნოკულტურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფენომენისათვის უმძიმესი შედეგები. დაიწყო ერთიანობის ხანაში ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი და სოციალური სტრუქტურების თანამიმდევრული დემონტაჟი. ერთიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური პლატფორმის ნაცვლად დამკვიდრდა დიფერენცირებული პოლიტიკა და რაც ყველაზე მთავარია, ბზარი გაუჩნდა ქართულ ფსიქოლოგიურ ერთობას (138,44).

XVI ს-ის დამდეგისათვის საქართველოს პოლიტიკური დაშლილობა მომხდარი ფაქტი იყო, მაგრამ ფეოდალური დაშლის პროცესი აღნიშნული სამეფოებისა და სამთავროების ჩამოყალიბებით არ შეჩერებულა. “ისტორიული განვითარების ყველა პირობა ერთიანობის საზიანოდ მოქმედებდა და შემდგომში ამ პროცესს უფრო აღრმავებდა, რაც სათავადოების ჩამოყალიბებაში გამოიხატა”(137,86).

სათავადოების წარმოშობა მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოს ფეოდალური მონარქიის პოლიტიკურ დაშლას. იგი ქვეყანაში შექმნილი “ჩიხის” შედეგი იყო და არა ფეოდალური ურთიერთობის კანონზომიერი განვითარების ნაყოფი (118,301.187,5.230,5-7).

ასეთი იყო საქართველოს შინაპოლიტიკური ვითარების ზოგადი სურათი იმ დროს, როცა ქართულ სამეფო სამთავროებს და მის უშუალო მეზობლებს ოსმალეთი და ირანი დაპყრობით დაემუქრნენ. საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა (138,86-87), რამაც კიდევ უფრო გააღრმავა პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პროცესი.

თუ პოლიტიკურ კრიზისს XIII ს-ის საქართველოში მონღოლთა შემოსევამ მოუსწრო, საქართველოს პოლიტიკურ დაშლილობას (XV ს-ის ბოლო) დაემთხვა ოსმალეთის სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერება და სეფიანთა ირანის სახელმწიფოს წარმოქმნა (XVI ს-ის დასაწყისი) (129,61,62).

XVI ს-ის დამდეგისათვის ოსმალეთის იმპერია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სახელმწიფო იყო (183,35), რომელიც მთავარ მიზნად ისახავდა სხვისი ტერიტორიების დაპყრობას. (180,83). 1453 წელს ოსმალებმა აიღეს ბიზანტიის

დედაქალაქი კონსტანტინოპოლი, ხოლო 1461 წელს ტრაპიზონის სახელმწიფო. ამის შემდეგ ისინი უშუალოდ საქართველოს საზღვრებს მოადგნენ.

1474 წელს, ყირიმის დაპყრობის შემდეგ, ოსმალებმა შავი ზღვა "ოსმალეთის ტბად" გადააქციეს. მათმა გაბატონებამ მცირე აზიასა და შავ ზღვაზე გამოიწვია ამ რეგიონების შემდგომი ეკონომიკური დაქვეითება, რამაც თავის მხრივ უარყოფითი გავლენა მოახდინა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე (183,37).

ძლიერების ზენიტს ოსმალეთმა XVI ს-ში მიაღწია, როდესაც მისი ტერიტორია სამ მატერიკზე (ევროპა, აზია, აფრიკა) გადაიჭიმა. ამ სახელმწიფომ მუქარის ქვეშ დააყენა აზიის, აფრიკისა და ევროპის დიდი ქვეყნების დამოუკიდებლობა (124,245-246).

XV-XVI სს. მიჯნაზე კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეცვალა იმ დროის ირანსა და აზერბაიჯანში ჩამოყალიბებულმა სეფიანთა ირანის ძლიერმა სახელმწიფომ.

სეფიანთა, ანუ ყიზილბაშთა სახელმწიფო (1501-1722) თეთრბატკნიან თურქმანთა (აყყოინლუს) სახელმწიფოს (1467-1501) დაშლის შედეგად შეიქმნა და შეიძლება ითქვას, მის პირდაპირ მემკვიდრეს წარმოადგენდა (126,136. 130,41). ამრიგად, XVI ს-ში საქართველოს ირგვლივ შეიკრა მტრული სახელმწიფოთა გარემოცვის რკალი, რამაც ქვეყანა საბოლოოდ მოაქცია საერთაშორისო იზოლაციაში.

XVI ს-დან დაიწყო ირანსა და ოსმალეთს შორის ხანგრძლივი დაპირისპირება მახლობელ აღმოსავლეთში ბატონობისათვის. ამ ბრძოლების დროს საომარი მოქმედების ერთ-ერთი მთავარი ასპარეზი ამიერკავკასია იყო. ორივე აგრესორი დაჟინებით ცდილობდა ამიერკავკასიის რეგიონში გაბატონებას და აქ არსებული სავაჭრო-სატრანზიტო გზების ხელში ჩაგდებას (183,35).

უცხოელი დამპყრობლები მოხერხებულად იყენებდნენ სამეფო-სამთავროებად დაყოფილი საქართველოს მმართველთა შორის არსებულ უთანხმოებას და კიდევ უფრო აღვივებდნენ საშინაო კონფლიქტებს. არც ირანისათვის და არც ოსმალეთისათვის ხელსაყრელი არ იყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა შორეულ ამიერკავკასიაში და თავიანთი ინტერესების უზრუნველსაყოფად საჭიროდ თვლიდნენ ფეოდალური დაშლილობის შენარჩუნებას. საამისოდ ისინი ფიზიკურ საშუალებებთან

ერთად (ომი, რბევა-თარეში) მარჯვედ იყენებდნენ “საქართვლოებს” შორის არსებულ წინააღმდეგობებს.

მას შემდეგ, რაც ქვეყანა პოლიტიკურად დაიშალა, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად იქცა ახლადაღმოცენებულ სამეფო-სამთავროებს შორის ურთიერთ-დამოკიდებულების ფორმების გარკვევა. ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებულნი იყვნენ. მტრობდნენ, ან კეთილმეზობლობდნენ ერთმანეთს, იმისდა მიხედვით, თუ რას მოუტანდათ ეს მტრობა, თუ კეთილ-მეზობლობა მათ ფეოდალურ ინტერესებს. ხშირად გარეშე მტერი იმდენ ზიანს არ აყენებდა ქვეყანას, რამდენსაც ამ სამეფო-სამთავროთა მტრობა-ქიშპობა (133,174).

ყოველივე ამის გამო ქვეყნის გაერთიანება და ქართველი ხალხის დარაზმვა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ გადაულახავ ბარიერს აწყდებოდა. მაგრამ მიუხედავად ამ დაბრკოლებისა, ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი მშვიდად არ უყურებდა ქვეყნის უკუსვლას. პირიქით, გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს მთელი ისტორია რეაქციული ძალების წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლების ისტორიაა. ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილი დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს გამოხსნა-აღდგომისათვის. უმცირესი შანსის არსებობის შემთხვევაშიც კი ქართველი პროგრესისტები გადამწყვეტ ბრძოლას იწყებდნენ, როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ, ისე ქვეყნის პოლიტიკური მთიანობის აღსადგენად.

ვერ ეგუებოდნენ პროგრესული ძალები ქვეყნის პოლიტიკურ დაშლას. საქართველოს ერთიანობის აღდგენის იდეა გვიან შუა საუკუნეებში არ გამქრალა (235,49). ქართველი მეფეები ვერ შეურიგდნენ ქვეყნის დანაწილებას და სრულიად საქართველოს აღდგენაზე ოცნებობდნენ.

ყოველ ქართულ სამეფოს საკუთარი საზღვარი გააჩნდა, მაგრამ ისინი ამ საკუთარ მიწა-წყალს არ სჯერდებოდნენ და ყველას ცალ-ცალკე და ერთად ერთმანეთი უზურპატორებად მიაჩნდათ. საკუთარ თავს კანონიერ ხელმწიფედ აცხადებდნენ. ერთმანეთს თავს ესხმოდნენ, საზღვრებს ურღვევდნენ. ამისთვის უცხო ძალის გამოყენებასაც არ თაკილობდნენ.

ამით აიხსნება ის უცნაური გარემოება, რომ საქართველოში მაშინ ერთსა და იმავე დროს სამი “მეფეთ-მეფე” ბრძანდებოდა, რომლებიც, თითოეული ცალ-ცალკე სრულიად საქართვლოს ხელმწიფის მეფურ წოდებას ატარებდა. მაგ. ქართლის მეფეები დავით X (1505-1525), ლუარსაბ I (1527-1556) და სიმონ I (1556-1569; 1578-1600) “აფხაზთა, ქართველთა, რანთა კახთა და სომეხთა მეფედ, შაჰანშა და შარვანშა, ორსავე, ტახტის და სამეფოს ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მტკიცედ ფლობით მპყრობელ მეფეთ-მეფეთ” წარმოგვიდგებოდნენ (35,54.36,63,85,86.57,78. 63,საბ.№1573,საბ. №1574.83,347,384).

პოლიტიკური პრეტენზიების მხრივ კახეთის მეფეები ქართლის მეფეებს არაფრით ჩამოუვარდებონენ. ალექსანდრე I, ავ-გიორგი (1511-1513) და ლევან გიორგის ძე (1520-1574) ქართლის მეფეთა მსგავსად “მეფეთ-მეფეთ” და “სრულიად საქართველოს ტახტისა და გვირგვინის მფლობელებად” თვლიდნენ თავს (35,34.36,42,44-45.62,საბ.№2175), ხოლო რაც შეეხება ლევანის მემკვიდრე ალექსანდრეს II-ს (1574-1605), ის მის წინამორბედების მსგავსად არ განავრცობდა თავის სამეფო ტიტულს და მხოლოდ “მეფეთ-მეფობით” შემოიფარგლებოდა (35,50,57.36,81,87.62,საბ.[1]706.63,საბ.[1]14854).

“მეფეთ-მეფობის” “ორსავე ტახტის ლიხთ-იმერის, ლიხთ-ამერის და მფლობელ-მპყრობელობის” პრეტენზიაზე უარს არც ქართლის და კახეთის მეფეთა თანამედროვე იმერეთის მეფეები ალექსანდრე II, ბაგრატ III (1510-1565), გიორგი II (1565-1588) და როსტომი (1590-1604) ამბობნენს უარს. მათი მეფური წოდებულებაც სრულიად საქართველოს მეფური წოდებულების შესაბამისი იყო (34,3,8,17,31,36.63, საბ.№10150.64,517.83,314,318,319).

მართალია, ეს ტიტულები ნომინალურ ხასათს ატარებდნენ, მაგრამ, მათგან ნათლად ჩანს, რომ ყოველ ქართველ მეფეს, ქართლის იქნებოდა ის, კახეთის, თუ იმერეთის, თავი ერთიანი საქართველოს ბატონ-პატრონად ჰქონდა წარმოდგენილი და ცალ-ცალკე ყველას საქართველოს კანონიერ ხელმწიფედ მიაჩნდა თავი. ყოველი ქართველი მეფე ცდილობდა ხელიდან არ გაეშვათ თუნდაც მცირედი შემთხვევა, სათავეში ჩასდგომოდნენ გაერთიანებულ მოძრაობას და გადაედგათ პრაქტიკული ნაბიჯები “ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის, ორსავე ტახტის მფლობელ მპყრობელობისაკენ”.

ეს რაც შეეხება XVI ს-ს. თითქმის იგივე მდგომარეობაა XVII ს-შიც. ბრძოლა "ორსავე ტახტის" გაერთიანებისთვის ამ საუკუნეშიც გრძელდებოდა და სრულიად საქართველოს მფლობელ-მპყრობელობის პრეტენზიას ერთნაირად აცხადებდნენ სამივე ქართული სამეფოს მესვეურნი. ამ საუკუნეშიც ცდილობდნენ ქართველი მეფეები თუნდაც მცირედი შემთხვევა მაქსიმალურად გამოეყენებინათ და სათავეში ჩასდგომოდნენ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას, თუ კი რომელიმე ქართველი მეფე "ორსავე ტახტის"-ათვის ბრძოლის დროს ვერ შესძლებდა მეორე სამეფოს ტახტის პყრობას, მაშინ მასთან პოლიტიკურ კავშირს ამყარებდა და ამ გზით ცდილობდა მის შემომტკიცებას. ასე რომ ქვეყანაში შინაგანი ერთიანობის აღდგენა – ქართველ მეფეთა მიერ ერთიანი საშინაო და საგარეო პოლიტიკური კურსის შემუშავება (ე.ი. მოკავშირეობა) გამაერთიანებელი მოძრაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ XVII ს-ში ქართველ მეფეთა ტიტულები არ იყო ისე გავრცელებული, როგორც XVI ს-ში. თუკი XVI ს-ის ქართველ მეფეთა ტიტულებში უმეტესად გვხვდება "აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფე შაჰანშა და შარვანშა, ორსავე ტახტის და სამეფოს ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის, ყოვლისა საქართველოს მფლობელ-მპყრობელი მეფეთ-მეფე ხელმწიფე", XVII ს_ში ძირითადად გვაქვს უფრო შეკვეცილი ტიტულები – "მეფეთ-მეფე" ან "ორსავე ტახტის მფლობელ-მპყრობელი მეფეთ-მეფე" ხელმწიფე. მაგ.: ღვთივ გვირგვინოსანი მეფეთ-მეფე პატრონი გიორგი" (62,საბ.№[1]95,საბ.№156.63,საბ. №1327) – აცხადებს ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606). "მეფეთ-მეფეა" მისი მემკვიდრე ლუარსაბ II-ც (63,საბ.№186,საბ.№4075). "მეფეთ-მეფობაზე" უარს არც ბაგრატ-ხანი (1615-1619) და სიმონ-ხანი (1619-1630) ამბობდნენ (37,10. 65,141). მეფეთ-მეფობასთან ერთად "ორსავე ტახტის" მფლობელად წარმოგვიდგებოდა როსტომიც (1633-1656) (37,35.63,საბ.[1]14642.64,63,74.82,106,108,110...), შაჰ ნავაზიც (1658-1676) (37,43,44.62, საბ.[1]1458.82,294,196...), არჩილიც (37,49.63, საბ.[1]13064) და გიორგი XI-ც (37,68.62, საბ.[1]1458,საბ.[1]1502.63,საბ.[1]1968,1995.64,100,103,141.65,144).

"მეფეთ-მეფობისა" და "ორსავე ტახტის მფლობელობის" პრეტენზიით ქართლის მეფეთა მსგავსად XVII ს-ში კახეთის მეფეებიც თეიმურაზ I (1606-1663) და ერეკლე I (ნაზარ-ალი ხანი) გამოდიოდნენ (37,16,18,29,68.62,საბ.[1]1554,

საბ.[1]1609.საბ.[1]9439.65,146,537). ამ მხრივ მათ არც იმერეთის მეფეები, არა თუ ტოლს უდებენ, პირიქით ზოგჯერ სჯობნიან კიდეც (31,17,20,22,24,32,41... 34,36,40,63,80... 64,72).

ქართველ მეფეთა ამ ტიტულებიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ ქართველ მეფეთა წინაშე XVII ს-შიც აქტიურად იდგა სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყნის გამთლიანების პრობლემა.

თავი I

წყაროები და ლიტერატურა

ა) წყაროები.

XVI-XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად მრავალრიცხოვანი დოკუმენტური და ნარატიული წყაროები მოგვეპოვება, როგორც ქართულ, ისე რუსულ, სომხურ, სპარსულ, თურქულ და დასავლეთ ევროპულ ენებზე.

მეცნიერთა განკარგულებაში მყოფი ქართული წერილობითი წყაროები დაცულია საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ არქივში, აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში, საქართველოს ქალაქების მხარეთმცოდნეობის მუზეუმებში და სხვა, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია.

ქართული საისტორიო დოკუმენტების შესწავლასა და გამომზეურებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის თ. ჟორდანიას. მან ქრონოლოგიურად დაალაგა დოკუმენტები, რომელთა ნაწილი სრულადაა დაბეჭდილი, მაგრამ უფრო დიდი ნაწილიდან ან მხოლოდ ამონაწერერებია მოყვანილი, ან გადმოცემულია მოკლე შინაარსი (57.83).

ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე ე. თაყაიშვილს (26.27.64.65.94) და ს. კაკაბაძეს (34.35.36.37.38.40). მათ გამოცემებში თავმოყრილია სხვადასხვა ხასიათის ძვირფასი პირველწყაროები აღნიშნული საუკუნეების შესახებ.

საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების შესწავლა-პუბლიკაციის საქმე შემდგომ პერიოდში უფრო სწრაფად წავიდა წინ. პოლიტიკურთან ერთად დიდი ყურადღება ექცეოდა სოციალური და ეკონომიკური ხასიათის პირველწყაროების შესწავლა-გამოქვეყნებას. აქ განვიხილავთ მხოლოდ იმ დოკუმენტების შესწავლა-გამომზეურების ისტორიას, რომლებიც უშუალოდ ჩვენს თემას შეეხება.

1948 წელს პროფ. კ. გრიგოლიამ გამოაქვეყნა ილორის წმ. გიორგის ხატის წარწერა. წარწერა სამეგრელოს მთავარს ლევან II დადიანს (1611-1657) ეკუთვნის. ეს წარწერა არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVII ს-ის I ნახევრის დას. საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების შესწავლისათვის, კერძოდ, მეფე-მთავართა შორის შეუწყვეტელი ომები პირველობისათვის (15).

ისტორიკოსმა შ. ბურჯანაძემ შეკრიბა და ფართო მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა ის საბუთები, რომელთა დასაწყის ხანად აღებულია საქართველოს პოლიტიკური ერთიანობის დაშლისა და იმერეთის სამეფოს წარმოშობის დრო. პირველი წიგნი მოიცავს 1466-1770 წწ. მასში წარმოდგენილი დოკუმენტები ეხება იმერეთის სამეფოს, გურიისა და ოდიშის სამთავროებს. ყოველი საბუთი გადაწერილია თავიდან ბოლომდე და სრულადაა დაბეჭდილი (31).

გვიანი შუა საუკუნეების ქართული ისტორიული დოკუმენტების შეკრება-გამოქვეყნების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ალ. ხახანაშვილს (95) და ჯ. ოდიშელს (51). ა. იოსელიანის მიერ XVII-XIX სს-ების გამოცემულმა ქრონიკებმა ახალი შუქი მოჰფინა საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის შესწავლას (61).

ქრონოლოგიური ფარგლებითა და შინაარსის მიხედვით აღსანიშნავია სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, რომელიც იწყება XV ს-ის 20-იანი წლებიდან და გრძელდება 1587 წლამდე. მასში ძველი მესხური ისტორიული წყაროების საფუძველზე გაშუქებულია საქართველოს ამ კუთხის შესახებ ჩრდილში მყოფი ზოგიერთი საკითხი XV ს-ის 80-იანი წლებიდან XVI ს-ის 70-იან წლებამდე (60). არის ბევრი გამოუქვეყნებელი ისტორიული საბუთი, რომელიც მნიშვნელოვან მასალას შეიცავენ ჩვენი თემის კვლევისათვის (62.63).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის მოვლენები გაშუქებული აქვს ფარსადან გორგიჯანიძეს, რომელმაც შეადგინა საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან 1695 წლამდე. ფ. გორგიჯანიძის ნაშრომში ჩვენთვის საინტერესოა XVI-XVII სს-ის შემცველი ამბები და განსაკუთრებით კი XVII ს-ის ისტორია, რადგან ავტორი მრავალი ისტორიული მოვლენის თვითმხილველი და მონაწილე იყო. ამასთანავე, ის სარგებლობდა სპარსული წყაროებითაც. განსაკუთრებით კი ისქანდერ მუნშის

თხზულებით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ფ. გორგიჯანიძე უბრალოდ კი არ იწერდა ი. მუნშის "ისტორიაში" მოთხრობილ ამბებს, არამედ აანალიზებდა მათ და თავის საკუთარ დასკვნებსაც აკეთებდა ამა თუ იმ მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით (39).

ვახტანგ VI-ის ინიციატივით შემდგარმა სწავლულ კაცთა კომისიამ შეკრიბა "ქართლის ცხოვრების" ხელნაწერები. მათ აგრეთვე შეკრიბეს სხვადასხვა საბუთები. მათზე დაყრდნობით კომისიამ შეადგინა საქართველოს XIV-XVII ს-ის ისტორია. ასე დაიწერა ქართლის ცხოვრების გაგრძელებანი (8.21).

ფეოდალური ხანის საქართველოს უდიდესი ისტორიკოსი იყო ვახუშტი ბატონიშვილი (1676-1755). მან პირველმა მოჰკიდა ხელი საქართველოს ისტორიის ყოველმხრივ შესწავლას. მისი კვლევის საგანი უმთავრესად პოლიტიკური ისტორია იყო, მაგრამ მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდის გამოყენებით მან ბევრი შეცდომა გაასწორა და მრავალი ისტორიული ფაქტი დაადგინა. განსაკუთრებით ძვირფასია ვახუშტის თხზულებების მეორე ნაწილი (XV ს-ის II ნახევარი – XVII ს.), რომელშიც მოცემულია უძვირფასესი ცნობები გვიანფეოდალური ხანის საქართველოს შფოთიანი პოლიტიკური ცხოვრებისა (23).

XVI-XVII სს-ბის საქართველოს შფოთიანი პოლიტიკური ცხოვრება აღწერილია XVIII ს-ის ქართულ ანონიმურ ქრონიკაში, რომელიც ქრონოლოგიურად მოიცავს 1373-1683 წლებს. მეცნიერულ-კრიტიკული მეთოდით ტექსტი დადგენილია პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ხელნაწერის საფუძველზე. ამიტომ პირობითად ამ თხზულებას "პარიზის ქრონიკა" ეწოდება (56,93).

წარმოდგენილი ეპოქის თანამედროვე მოღვაწეთა მატიანისებური ხასიათის ნაშრომით აღსანიშნავია ს. ჩხეიძის "ცხოვრება მეფეთა", რომელშიც აღწერილია 1653-1739 წლების ამბები. ეს ნაშრომი მოკლე და ერთფეროვანია. აღნიშნული ნაშრომი, გამოირჩევა ქრონოლოგიური ცნობების სიუხვით (91).

საქართველოს ისტორიის მოცემული პერიოდის შესახებ მნიშვნელოვანი მასალები მოიპოვება იმ დროის ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ ძეგლებში. ი. თბილელისა და მეფე არჩილის პოემებში ("დიდმოურავიანი", "არჩილიანი") ასახულია გ. სააკაძის მოღვაწეობა. "არჩილიანში" აგრეთვე მოთხრობილია თეიმურაზ I-ის

დაუღალავი ბრძოლის შესახებ ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისათვის (6,76). ფეშანგის პოემაში "შაჰ ნავაზიანი" განხილულია ქართლის მეფის ვახტანგ V-ის (1658-1676) მეფობის ისტორია 1658 წლიდან 1664 წლამდე. მართალია, შაჰნავაზიანი ტიპიური ნიმუშია საკარო პოეზიისა, აღმოსავლური ჰიპერბოლიზმით და ხოტბური რიტორიკით, მაგრამ პოემა იმავ დროს რეალისტური ნაწარმოებია. ის მეტად საინტერესო და უხვ ცნობებს იძლევა თავისი ეპოქის პოლიტიკურ სინამდვილეზე (78).

საქართველო-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის შესწავლას ჩვენში საკმაოდ დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ამ საკითხის შესახებ გამოქვეყნდა დიდი რაოდენობის დოკუმენტური მასალა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გარშემო არსებული საარქივო დოკუმენტების მოპოვებაში, შესწავლასა და გამოქვეყნებაში დიდი წვლილი შეიტანეს ვ. მაჭარაძემ, გ. პაიჭაძემ, თ. ტივაძემ, გ. საითიძემ და სხვებმა (47.53.54.55.58.59.73.74).

XVII ს-ის საქართველოს ცალკეული კუთხეების შესახებ ცნობები მოცემული აქვთ მოსკოვის მეფის ელჩებს. მათში კერძოდ აღწერილია სამეფო-სამთავროთა პოლიტიკური დამოკიდებულება, ურთიერთობა ირან-თურქეთთან და სხვა (4.75.92).

არანაკლებ მნიშვნელოვანია ჩვენთვის ის ცნობები, რომლებიც დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მოგზაურებმა, ელჩებმა და მისიონერებმა დაგვიტოვეს. ირან-ოსმალეთის 1578-1590 წწ. ომის მიმდინარეობა და საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული ბრძოლები საინტერესოდ აღწერა ანონიმმა იტალიელმა ავტორმა (28).

XVI ს-ის მიწურულსა და XVII ს-ის დასაწყისის ისტორიული ვითარება აღწერილი აქვს ულუგ ბეგ ბაიათის, ანუ დონ ხუან დე პერსიას, რომელიც ჯერ შაჰ-აბას I-ის (1587-1629) სასახლის მცველთა რაზმის უფროსი იყო, შემდეგ კი ესპანეთში სპარსეთის ელჩის პირველი მდივანი. ის გვაწვდის საინტერესო მასალას აღნიშნული პერიოდის მოვლენათა გაშუქებისათვის (14).

პორტუგალიელი ავტორის ანტონიო დე გოვეას ნაშრომი ამდიდრებს ქართული წყაროების ცნობებს XVI-XVII სს-ის მიჯნის საქართველოს შესახებ (13). ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს რომაელი პიეტრო დელა-ვალეს მოხსენება პაპ ურბან VIII-დმი, მასში დახასიათებულია შაჰ-აბას I-ის პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ავტორი აგრეთვე ახასიათებს თეიმურაზ I-ის პოლიტიკასა და სხვა (18). XVI ს-ის დასასრულსა

და XVII ს-ის I მეოთხედის საქართველოს ისტორიისათვის საინტერესო ცნობები მოიპოვება ფრანგ ავტორ კლოდ მალენგრისთან. მის მიერ მოწოდებული ცნობებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქეთევან დედოფლის წამების აღწერა (12).

XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს, კერძოდ სამეგრელოს ისტორიული ვითარება აღწერეს კათოლიკე მისიონერებმა. მათ შორის აღსანიშნავია: არქანჯელო ლამბერტი, ჯუზეპე ჯუდიჩე, ქრისტეფორო კასტელი და სხვები (41.45.101.141).

იტალიელი მისიონერის დონ პიეტრო ავიტაბილეს რელაციონი XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებას ეხება. მასში შემონახულია მნიშვნელოვანი ცნობები საქართველოს თავდაცვით ომებზე ირანის აგრესიის წინააღმდეგ, თეიმურაზ I-ის პოლიტიკურ ორიენტაციაზე და სხვა (2). ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის გასაშუქებლად ძალზე საინტერესოა გერმანელ ავტორთან ადამ ოლეარიუსთან დაცული ცნობები. კეიოდ, მასში მოთხრობილია XVII ს-ის I ნახევრის ირან-საქართველოს ურთიერთობასა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ. ა. ოლეარიუსი გვაწვდის ძალზე მნიშვნელოვან ცნობებს ირანში მოღვაწე ძლიერი ქართული ფეოდალური სახლის – უნდილაძეების დაღუპვასთან დაკავშირებით (97).

აღნიშნული პერიოდის უკეთ კვლევისათვის ძალიან საინტერესოა ევროპის ქვეყნების (იტალია, საფრანგეთი, ავსტრია და სხვა). არქივებსა და წიგნსაცავებში დაცული დოკუმენტები, რომლებიც ი. ტაბაღუამ გამოაქვეყნა და ხელმისაწვდომი გახდა ქართული ისტორიოგრაფიისათვის (69.70.71).

აღსანიშნავია აგრეთვე XVII ს-ის ცნობილი ფრანგი მოგზაურის ჟან შარდენის ცნობები საქართველოს შესახებ. მისი თხზულება წარმოადგენს XVII ს-ის საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც გამოირჩევა ცნობების სიმდიდრითა და მრავალფეროვნებით და შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ არა ერთი საკითხი (85). საქართველოს შესახებ მნიშვნელოვანი ცნობები დაცული აქვს აგრეთვე ჟან ტავერნიეს (72).

სიმონ I-ის შესახებ განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დაცული XVII ს-ის სომეხ ისტორიკოსს გრიგოლ დარანალც-კამახეცს თავის “”ჟამთააღმწერლობაში” (44). განსაკუთრებით საინტერესოა მისი ცნობა ოსმალთა

ტყვეობაში სიმონის ყოფნის შესახებ. ავტორი მოთხრობილი ამბების თანამედროვე იყო და ამდენად, მისი მონათხრობი სანდოა.

საქართველოს მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი XVII ს-ის სომეხი ისტორიკოსის არაქელ დავრიჟეცის "ისტორიაში". ავტორი ვრცლად აღწერს საქართველოს პოლიტიკურ ვითარებას შაჰ-აბას I-ის ლაშქრობების დროს. დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ლუარსაბ II-ის, თეიმურაზ I-ის, ქეთევან დედოფლისა და გიორგი საკაძის შესახებ (17). XVII ს-ის II ნახევრის თბილისზე და საერთოდ საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე მოგვითხრობს სომეხი მემატიანე ზაქარია აგულეცი თავის "დღიურში". ავტორი გვაწვდის მეტად მნიშვნელოვან ცნობას ვახტანგ V-ის ისფაჰანში გამგზავრებისა და მისი გზაში გარდაცვალების შესახებ (1.16).

საქართველოს შესახებ ცნობები უხვადაა გაბნეული XVI-XVII სს-ბის სპარსულ საისტორიო თხზულებებში. აღნიშნული ეპოქის ისტორიის კვლევისათვის ამ წყაროებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მათში მნიშვნელოვანი მასალაა დაცული საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიისათვის.

სეფიანთა დინასტიისა და სახელმწიფოს დამაარსებლის შაჰ-ისმაილ I-ის (1501-1524) დროინდელი ამბები მოთხრობილია XVI ს-ის I ნახევრის ირანელი ისტორიკოსის თხზულებაში "ალამ არაი-ე შაჰ-ისმაილ I (ქვეყნის დამამშვენებელი შაჰ-ისმაილი)". ანონიმი ავტორის ცნობები საქართველოზე ძირითადად დაკავშირებულია ისმაილ I-ის დროს ყიზილბაშ სარდლის დივ სულტან რუმლუს საქართველოში ლაშქრობასთან, რომლებიც მთელი რიგი დეტალებით განსხვავდება სხვა სპარსულ თუ ქართულ წერილობით წყაროებში დაცული ცნობებისაგან. საყურადღებოა აგრეთვე თხზულების ის მონაკვეთი, სადაც მოთხრობილია ქართველ მეფე-მთავართა დამოკიდებულება როგორც ერთმანეთთან, ასევე შაჰ-ისმაილთან (11.87).

ანონიმური თხზულების მომდევნო ხანის ცნობები საქართველოზე დაცულია ყამი აჰმედ ლაფარის " თარიხ-ე ჯაჰან არაში" (ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია). მაში გადმოცემულია ისეთი ფაქტები, როგორიცაა შაჰ-თამაზის საქართველოში ლაშქრობები (თარიღის ზუსტი მითითებით), დავით XI-ის (დაუდ-ხანის) მიერ თბილისის მმართველობის მიღება და სხვა (25).

XVI ს-ის საქართველოს ისტორიის ძვირფას წყაროს წარმოადგენს შაჰ-თამაზ I-ის "თეზქერე", რომელიც 1562 წელს შაჰ-თამაზსა და ოსმალეთის ელჩებს შორის გამართული საუბრის ჩანაწერია. "თეზქერე" შეიცავს მდიდარ ფაქტობრივ მასალას საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის (86). საქართველოს შესახებ ცნობების სიუხვითა და სანდოობით XVI ს-ის სპარსულ ისტორიოგრაფიაში გამოირჩევა ისტორიკოსი ჰასან რუმლუ (102).

ირანელ ავტორ მაჰმუდ ნათანზთან საქართველოს შესახებ ცნობები წარმოდგენილია ირან-ოსმალეთის II ომის (1578-1590) ფონზე. კერძოდ, ქართლის მეფის სიმონისა და კახეთის უფლისწულის იესეს განთავისუფლება ისმაილ II-ის (1576-1577) მიერ, სიმონის სამშობლოში გამოგზავნა და მისი ბრძოლა ოსმალების წინააღმდეგ და სხვა (9.52). XVI ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს შერეფ-ხანი ბითლისის "შერეფ ნამე" (შერეფის წიგნი) (68). XVI ს-ის ბოლოს და XVII ს-ის I მეოთხედის ირან-საქართველოს ურთიერთობის გასაშუქებლად საინტერესო მასალაა დაცული ირანელი ავტორის Hჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარის თხზულებაში "უკეთესთაგან უკეთესის (ისტორიაში)" (77).

სეფიანთა ხანის სპარსულ ისტორიოგრაფიაში ცნობათა სიუხვით განსაკუთრებული ადგილი უკავია ისქადერ-ბეგ თურქმენის, იგივე ისქანდერ მუნშის ვრცელ თხზულებას "თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი" (აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორია). ი. მუნშის თხზულება სწორუპოვარ პირველწყაროს წარმოადგენს. თხზულების მეორე ნაწილში, რომელსაც ეწოდება "ზეილი-ე თარიხ-ე ალამ არაი-ე აბასი" (აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგარძელება) აღწერილია შაჰ-სეფი I-ის (1629-1642) ზეობის პერიოდი (32.33). საქართველოს შესახებ ი. მუნშის ცნობები მრავალმხრივია და ამდიდრებს ჩვენს წარმოდგენას XVII ს-ის I ნახევრის საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური ცხოვრების რთულ მოვლენებზე. საქართველოში შაჰ-აბას I-ის ლაშქრობათა და ირანში მოღვაწე ქართველების შესახებ მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ მოგვითხრობს ირანელი ავტორი ფუმენი (43).

საქართველოს ისტორიისათვის საინტერესო წყაროს წარმოადგენს მოჰამედ თაჰერე ვაჰედის "თარიხ-ე შაჰ აბას-ე სანი" (შაჰ აბას II-ის ისტორია). ამ თხზულებაში XVII ს-ის შუა ხანების ირან-საქართველოს ურთიერთობის შესასწავლად

მნიშვნელოვანი ცნობებია დაცული. აღსანიშნავია, რომ მასში გვხვდება ცნობები დას. საქართველოს შესახებაც. კერძოდ, იმერეთზე და სამეგრელოზე (49). ამ პერიოდის საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური ისტორიის გასაშუქებლად სპარსულ ნარატიულ წყაროებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს სპარსულ დოკუმენტურ მასალასაც, როგორიცაა ორენოვანი - ქართულ-სპარსული საბუთები და სპარსული საბუთები (19.20.42.66. 67.81.82.96.103.104). კარგა ხანია, რაც მიმდინარეობს აღნიშნული დოკუმენტების სპარსულიდან ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება, რაც ხელმისაწვდომს ხდის მათ ფართოდ გამოყენებას ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში.

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის არა ერთი საკითხის შესასწავლად გარკვეულ ადგილს იჭერს ოსმალური ნარატიული და დოკუმენტური წყაროებიც. ერთ-ერთი ამათთაგანია მეჰმედ სოლაქ ზადე ჰემდემი, რომელსაც საქართველოს შესახებ მცირე, მაგრამ საყურადღებო ცნობები მოეპოვება. კერძოდ, ის მოგვითხრობს ოსმალთაგან ჭანეთის ციხის დამორჩილების თაობაზე. აღწერს ირან-ოსმალეთის ომების ეპიზოდებს, მათ ბრძოლებს საქართველოსა და ამიერკავკასიაში და სხვა (90).

ჩვენთვის არანაკლებ საინტერესოა ოსმალო ისტორიკოსი მუსტაფა სელანიქი, რომელიც თავის "ისტორიაში" იშვიათის სიზუსტით აღწერს საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისოტრიისათვის მნიშვნელოვან მომენტებს (79).

XVI-XVII სს. ოსმალური ისტორიოგრაფიის თავლსაჩინო წარმომადგენელია იბრაჰიმ ფეჩევი (1574-1650), რომლის ისტორია შეიცავს 1520-1640 წლის ამბებს. ი. ფიჩევი აგვიღწერს გ. სააკაძის ოსმალთა ბანაკში გამოცხადებას და ჰაფიზ აჰმედ ფაშასთან მის შეხვედრას, რომელსაც იგი ესწრებოდა. იგი გამოხატავს თავის სიმპათიებს დიდი მოურავისადმი (30).

XVII ს-ის ოსმალო ისტორიკოსთა და მოგზაურთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ევლია ჩელების, რომელიც უამრავ ცნობას იძლევა მის მიერ ნანახი ქვეყნების შესახებ. ე. ჩელების "მოგზაურობის წიგნში" მოცემულია საქართველოს შესახებ გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ხასიათის უამრავი ცნობა, რაც ძვირფასი წყაროა ჩვენი ქვეყნის წარსულის შესასწავლად (22).

ევლია ჩელებთან ერთად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს XVII ს-ის დიდ გეოგრაფსა და ისტორიკოსს ქათიბ ჩელების (1609-1657). თავის "ჯიჰან ნუმაში" (მსოფლიოს სარკე) მას საკმაოდ ვრცლად აქვს მიმოხილული საქართველოს და ამიერკავკასიის ქვეყნებზე. გეოგრაფიული თვალთახედვით ცალ-ცალკე აქვს განხილული გურია, სამეგრელო, აჭარა, იმერეთი (80). XVI ს-ის 50-იანი წლების დასასრულს და XVII ს-ის 40-იანი წლების საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის თავლსაზრისით აღსანიშნავია ოსმალო ისტორიკოსის ყარა ჩელები ზადეს თხზულება. მასში დაცულია ისეთი ცნობები დავით XI-ის (დაუდ-ხანის), სიმონ I-ის ტყვეობის და გიორგი სააკაძის ოსმალეთში ყოფნის ბოლო პერიოდის შესახებ, რომელიც სხვა წყაროებში არ გვხვდება (3).

არანაკლებ მნიშვნელოვანია XVII ს-ის მეორე ნახევრის ისტორიკოსი აჰმედ იბნ ლუთფალა, რომელიც მუნეჯიმ ბაშის (მთავარი ასტრონომი) სახელითაა ცნობილი. მას ეკუთვნის არაბულ ენაზე შედგენილი თხზულება "ჯამი ად-დოვალი" (დინასტიათა კრებული). თავის თხზულებაში საყურადღებო მასალებს გვაწვდის გ. სააკაძის მოღვაწეობის შესახებ, მოგვითხრობს მისი ოსმალეთში ყოფნის უკანასკნელ დღეებზე და სხვა (89).

სულთნის კარის პირველი ოფიციალური ისტორიკოსი იყო მუსტაფა ნაიმა (1655-1716). მას შედგენილი აქვს "ოსმალეთის ისტორია", რომელიც მოიცავს 1591-1660 წლებს. ნაიმა წინამორბედ ავტორებთან შედარებით ობიექტურად და სისრულით აღწერს ბევრ ისეთ ფაქტს, რაც საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა. ცნობის უმეტესობა ეხება ბრძოლების ეპიზოდებს, სალაშქრო სამზადისებს და სხვა (50.88.98.99).

ქრონოლოგიურად მ. ნაიმას "ისტორიის" გამგრძელებელი იყო მეჰმედ რაშიდი. მის მიერ შედგენილი "ისტორია" შეიცავს 1660-1722 წლების ამბებს. მ. რაშიდი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ისტორიას გადმოგვცემს (48).

ოსმალო ისტორიკოსებისა და მოგზაურ-გეოგრაფებს გარდა საქართველოს შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული ოსმალურ დოკუმენტურ მასალებში. არსებობს XVI ს-ის სახელმწიფო მოღვაწის ფერიდუნ ბეის მიერ შედგენილი ოსმალეთის სულთნების ბრძანებულებების, უცხო სახელმწიფოებთან მიმოწერებისა და სხვადასხვა სიგელთა შემცველი კრებული. აღნიშნული კრებული შემდეგში XVII ს-ის

დოკუმენტებითაც შეუვსიათ. ზოგიერთი საბუთი უშუალოდ ეხება საქართველოს ცალკეულ სამეფო სამთავროებს. კრებულში მოცემულია (მის II ტომში) სულთნის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი (100).

ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დოკუმენტური მასალიდან საყურადღებოა ოსმალეთის სამეფო კარზე სამცხის რეგიონიდან გაგზავნილი 5 ქართული დოკუმენტი, რომლებიც შეიცავენ მნიშვნელოვან ცნობებს ათაბაგ ყვარყვარე III-ის (1516-1535) დროინდელი სამცხე-საათაბაგოს საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ. ისინი აქამდე უცნობი ფაქტებითა და სახელებით ავსებდნენ და ამდიდრებდნენ XVI ს-ის სამცხე-საათაბაგოს ისტორიის წყარომცოდნეობის ბაზას (29).

ბ) ლიტერატურა

განსახილველი ეპოქის ისტორიის გასაშუქებლად საყურადღებოა მარი ბროსეს მიერ შედგენილი "საქართველოს ისტორია"(122), რომელიც ემყარება ქართულ წყაროებს და შევსებულია უცხოური მასალებითაც. 1888 წელს გამოქვეყნდა ანტონ ფურცელაძის ვრცელი მონოგრაფია გ. სააკაძის შესახებ (205). ავტორი თავის მონოგრაფიაში ავითარებს აზრს, რომ გ. სააკაძე საქართველოს გაერთიანებისათვის თავგამოდებით იღწვოდა და მან სამშობლო მოსპობისაგან იხსნა. დიდი მოურავის მოღვაწეობის ა. ფურცელაძის შეფასების საპირისპირო მოსაზრებას ატარებენ მ. ჯანაშვილი (231) და ზ. ჭიჭინაძე (217) გ. სააკაძისადმი მიძღვნილ თავიანთ ნაშრომებში.

1922 წელს გამოქვეყნებულ ს. კაკაბაძის "საქართველოს ისტორიაში" ობიექტურადაა შეფასებული ჩვენთვის საკვლევი პერიოდის მრავალი ისტორიული მოვლენა, თუ ფაქტი (145).ь зукшщ

გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს გამოქვეყნებულ ნაშრომში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების საკითხებზე აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ XIII საუკუნისათვის ფეოდალურმა ურთიერთობამ საქართველოში განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და ამ დრიოდან ეყრება საფუძველი ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს დაშლის პროცესს, რომელიც საუკუნეების მანძილზე ღრმავდებოდა და საბოლოოდ დასრულებული სახე XVI ს-ის დასაწყისში მიიღო (235).

საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესწავლაში დიდი წვლილი მიუძღვის აკად. ივ. ჯავახიშვილს. ქართულ ნარატიულ, თუ დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით დიდი ივანე განიხილავს თუ როგორ ცდილობდნენ სამივე ქართული "ქვეყნის" მეფეები დაშლილი ქვეყნის გაერთიანების მედროშედ გამოსულიყვნენ (220). ამავე პერიოდის პოლიტიკურ მოვლენებს – დაშლილი ქვეყნის კვლავ გაერთიანების მცდელობის პრობლემებს _ გარკვეული ადგილი დაუთმეს თავიანთ ნაშრომებში დ. გვრიტიშვილმა (133), ნ. ბერძენიშვილმა (115).

ქართული და აღმოსავლური ფეოდალიზმის შედარებათა შესწავლის გვერდით პროფ. ვ. გაბაშვილი თავის ნაშრომში მსჯელობს XVI-XVII სს. ჩვენთვის საინტერესო პოლიტიკურ მოვლენებზე (129).

საქართველოს ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლასთან ერთად ჩამოყალიბდა სათავადოების სისტემა, რაც კიდევ უფრო აღრმავებდა ქვეყნის დაქუცმაცების პროცესს. მეცნიერებმა სპეციალურ მონოგრაფიებსა და წერილებში გაარკვიეს სათავადოების წარმოშობის დრო და პირობები (134.152.162.187.229). გარდა სათავადოების სისტემისა, პროფ. ო. სოსელიამ სპეციალური წერილები მიუძღვნა ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შედეგად დას. საქართველოში გურიისა და სამეგრელოს სამთვროების მიერ იმერეთის სამეფოსგან დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხების განხილვას (186.188).

განსახილველი პერიოდის ისეთი საკითხები, როგორიცაა ქვეყნის გაერთიანების მცდელობები და მასთან დაკავშირებული პრობლემები, განხილულია საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო წიგნებშიც (117.118.135.136.137.181.182. 223.224.225.226.227.228.230).

ქართველი ისტორიკოსები აგრეთვე დიდ ყურადღებას აქცევდნენ ცალკეული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ისტორიის კვლევას, მათ როლს ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. XVI ს-ის დასაწყისიდან ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის ყველაზე მძიმე ხვედრი სამცხე-საათაბაგოს ხვდა წილად, სადაც ოსმალები მალე დამკვიდრდნენ, რის შემდეგაც ქართველი მეფეები ცდილობდნენ ამ კუთხის კვლავ დაბრუნებას (193.218). რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი მიუძღვნა საინგილოს

ისტორიას (112.139.14,140.), რომელიც XVII ს-ის დასაწყისში ირანელებმა უშუალოდ დაიქვემდებარეს. ეს კი ქვეყნის თავდაცვის-უნარიანობას ასუსტებდა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი სამეგრელოს ისტორიის კვლევას. ეს სამთავრო ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლის წარმატებასა თუ წარუმატებლობაში გარკვეულ როლს ასრულებდა. ამ მხრივ კი ოდიშის წონა ლევან II (1611-1657) დროს გაიზარდა (107.108.154.234).

მთელი XVI-XVII საუკუნეთა მანძილზე იმერეთის მეფეები, ისევე როგორც ქართლისა და კახეთისა, ცდილობდნენ გამაერთიანებელი მოძრაობის სადავეების ხელში აღებას და თავგამოდებით იბრძოდნენ ქვეყნის აღდგენა-გაძლიერებისათვის. ამ პერიოდის პოლიტიკურ ცხოვრებაში იმერეთის სამეფო კარის როლი მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს პროფ. მ. რეხვიაშვილს (172.173).

XVII ს-ის I ნახევარში საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო დიდ მოურავად წოდებული გ. სააკაძე, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის აღდგენა-გაძლიერებისათვის მიმდინარე ბრძოლებში. ქართველი მეცნიერები ყოველთვის დიდ ინტერესს იჩენდნენ სააკაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობისადმი, ამიტომ ბევრი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნეს (მონოგრაფია, თუ ცალკეული წერილები) დიდი მოურავის როლს მისი დროის ქართულ პოლიტიკაში (106.113.142.143.221.222).

XVII ს-ის 30-50-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ვითარება მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს გ. ჟორჟოლიანს (170). ამავე პერიოდის თეიმურაზ I-ის აჯანყება ირანის წინააღმდეგ ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს შენარჩუნებისათვის და ამ აჯანყებაში უნდილაძეთა მხარდაჭერა კარგადაა გაშუქებული ქართველი ისტორიკოსების ნაშრომებში (127.131.160.161.168).

XVI-XVII სს. საქართველოში ქვეყნის გაერთიანების მცდელობის წარმატება-წარუმატებლობა საგარეო ფაქტორებზე დიდად იყო დამოკიდებული. პროფ. ე. მამისთვალაშვილმა მრავალრიცხოვან უცხოურ წყაროზე დაყრდნობით მონოგრაფიულად შეისწავლა საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობა მეზობელ სახელმწიფოებთან XV ს-ის II ნახევარსა და XVI ს-ში (155).

1990 წელს გამოქვეყნებულ თ. ტივაძის მონოგრაფიაში საარქივო მასალასა და სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკულად შესწავლის საფუძველზე გაშუქებულია თეიმურაზ I-ის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, მისი საგარეო-პოლიტიკური კურსი (198). ცალკეა შესწავლილი აგრეთვე ვახტანგ V-ის (1658-1676) საგარეო პოლიტიკის საკითხებიც (148).

ქართველ მეფეთა საგარეო პოლიტიკაში რუსეთის მხარდაჭერის მოპოვება აქტუალური იყო. რუსეთ-საქართვლოს ურთიერთობის ისტორიას ვრცელი მონოგრაფია მიუძღვნა პროფ. ი. ცინცაძემ. მან რუსეთთან ადრეული პერიოდის (X-XVსს.) ურთიერთობის ფაქტებთან ერთად განიხილა აგრეთვე XVI საუკუნის ვითარებაც (216). რუსეთთან ურთიერთობის მხრივ ქართულ სამეფო-სამთავროებს შორის უფრო აქტიური იყო კახეთის სამეფო. კახეთ-რუსეთის ურთიერთობის მნიშვნელოვანი საკითხები XVI ს-ის 80-იან წლებში გააშუქა თ. ტივაძემ (195), ხოლო XVI-XVII სს. მიჯნაზე ნ. ბერძენიშვილმა (114).

ნ. ნაკაშიძემ სპეციალურ მონოგრაფიაში გააშუქა საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVII ს-ის I ნახევარში (236), ბევრი მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა ცალკეული სამეფო-სამთვროების რუსეთთან ურთიერთობათა საკითხებს XVII ს-ში, რაც მნიშვნელოვნად გვეხმარება ჩვენთვის საინტერესო საკითხის უკეთ კვლევისათვის (111.159.192.196.197.202.210.212.213).

საყურადღებოა აგრეთვე თუ რა ადგილი ეთმობა საქართველოსთან დამოკიდებულების საკითხს ჩვენი ქვეყნის სამი დიდი მეზობლის: რუსეთის, ირანის და ოსმალეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში (111.158.199.200.201). XVI-XVII სს. საქართველოს ურთიერთობა ფართოვდება ევროპის ქვეყნებთან. კერძოდ, უკრაინასთან, საფრანგეთთან, პოლონეთთან, რომთან. აღნიშნულ ურთიერთობათა გაშუქებას ქართველმა ისტორიკოსებმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს (167.211,215).

განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენთვის საქართველოს ურთიერთობა ირანთან, ოსმალეთთან და ამიერკავკასიულ მეზობლებთან. ისინი ხშირად უხეშად ერეოდნენ საქართველოს შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც გავლენას ახდენდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად წარმოებული ბრძოლების ბედზე. აქედან გამომდინარე მათი საქართველოსთან ურთიერთობის ხასიათის გასარკვევად ბევრი

გამოკვლევა დაიწერა (109.119.120.121.130.131.132.147.150.179.180.181.182.183.184.201). შაჰ-აბას I-ის (1587-1629) ზეობის ხანას სპარსულ და ევროპულ წყაროებზე დაყრდნობით საკმაოდ ვრცელი მეცნიერული გამოკვლევა მიუძღვნა თანამედროვე ირანელმა ისტორიკოსმა ნასროლა ფალსაფიმ. აღნიშნული ნაშრომი ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივ, რომ მასში განხილულია იმდროინდელი ირანის სამეფო კარის პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოსთან მიმართებაში (237.238).

თავი II

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის ეპიზოდური მცდელობანი XVI ს-ის პირველ მეოთხედში

XVI საუკუნის დასაწყისში ქართველ მეფეთა შორის "ორსავე ტახტის ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის" გამაერთიანებლად ენერგიული პოლიტიკის წარმოება იმერეთის მეფე ალექსანდრე ბაგრატის ძემ (1484-1510) დაიწყო, რომელიც მისი თანამედროვე ქართლისა და კახეთის მეფეების მსგავსად თავის თავს "მეფეთ მეფედ" იხსენიებდა. ალექსანდრეს მეფური წოდებულება სრულიად საქართველოს ხელმწიფის შესაბამისი იყო: "ჩვენ ორსავე ტახტისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მპყრობელმან მეფეთ მეფემან ალექსანდრემან" (64,517. 83,318-319), ან კიდევ "ღვთივ ზეშთა აღმატებულმან, ღვთივ პატივცემულმან და ღვთივ სკიპტრა-პორფირით შემოსილმან, ღვთივ გვირგვინოსანმან, ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, შანშე, შარვანშა, სომეხთა მეფემან და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთისა და ორსავე ტახტისა და სამეფოსა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა მტკიცედ მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ალექსანდრე..." (34,3. 63, საბ.№10150) მოტანილი სიგლებიდან კარგად ჩანს, რომ ალექსანდრე იმერთა მეფეს თავი "ორსავე ტახტის", სრულიად საქართველოს მპყრობელად მიაჩნდა. ის თავისი საბრძანებლით – იმერეთით არ კმაყოფილდებოდა და დანარჩენ "საქართველოზეც" ეჭირა თვალი. მართალია, XVI ს-ის დამდეგს საქართველოს დაშლა სამეფო-სამთავროებად ფაქტობრივად დასრულებული იყო და ყოველ სამეფო-სამთავროს საკუთარი საზღვარი გააჩნდა, მაგრამ ცალ-ცალკე ყოველ მეფეს კანონიერ ხელმწიფედ მიაჩნდა თავი და სხვებს უზურპატორებად თვლიდა განურჩევლად იმისა, თუ

თითოეული მათგანი საქართველოს რომელ კუთხეს ფლობდა. ქართლში, კახეთსა თუU იმერეთში მჯდომ მეფეებს თავი ერთიანი საქართველოს ბატონ-პატრონად წარმოედგინა და ყოველი მათგანი ქვეყნის კვლავ გაერთიანებას და გაძლიერებას ცდილობდა, თუკი საამისოდ სათანადო პირობები შეიქმნებოდა.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ამ მხრივ XVI საუკუნის დასაწყისში აქტიური მოქმედება დაიწყო იმერეთის მეფე ალექსანდრემ, რომელიც არ შეურიგდა ქვეყანაში შექმნილ რეალურ ვითარებას და დაიწყო ბრძოლა მეზობელი ქართლის სამეფოსათვის. თავისი მოქმედება მას კანონიერ უფლებად მიაჩნდა. ის ხომ თავის თავს "ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მპყრობელ"-ად თვლიდა.

მატიანე-კინკლოსებს მოთხრობილი აქვთ, რომ ალექსანდრე მეფეს ლიხის მთა გადაულახავს და ქართლის შუაგულში შესულა: "ქორონიკონსა რჟვ (1508) აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჭირა" (40,5. 51,37. 83,526). ნაწილი კინკლოსებისა ამ ამბავს 1509 წლით ათარიღებს: "ქორონიკონსა რუთ (1509) ალექსანდრემან ძემან ბაგრატისამან აღიღო გორი"(61,43.83,526).

ახალი ქართლის ცხოვრების პირველი და მესამე ტექსტები და პარიზის ქრონიკაც ალექსანდრე მეფის მიერ ქართლის საზღვრის გადალახვისა და გორის ციხის აღების თარიღად 1509 წელს სდებენ (8,487. 21,349.93,7).

ცნობები ამის შესახებ რასაკვირველია ვახუშტი ბატონიშვილსაც მოეპოვება. თარიღად მასაც 1509 წ. აქვს დასახელებული. სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ამ შემთხვევაში სხვებზე უფრო ვრცელი და საგულისხმო ცნობები აქვს მოცემული ამ ამბის როგორც მიზეზის, ისე თვით საქმის მიმდინარეობის შესახებ: "ხოლო შემდგომად კონსტანტინე მეფის გარდაცვალებისა მოიხსენა ალექსანდრე მეფემან შური პირველი, შემოიკრიბნა სპანი, გარდაუხდა ქართლს და აღიღო გორი ქორონიკონსა ჩფთ (1509). დაიწყო პყრობა ქართლისა, რამეთუ არავინ წინ აღუდგებოდა, ვინართგან დავით მეფე იყო ლმობიერი და უშფოთველი კაცი, მის გამო (23,809)".

უნდა ავღნიშნოთ, რომ კონსტანტინე მეფის გარდაცვალების თარიღად წყაროებში 1503, 1504 და 1505 წლებია მოცემული და ამ უკანასკნელს ვახუშტიც ჭეშმარიტად თვლის. მაშინ თავისთავად იბადება კითხვა კონსტანტინე მეფის გარდაცვალებიდან 4 წელი იყო გასული, როცა ალექსანდრე ქართლში გადავიდა. ეს საკმაოდ ხანგრძლივი

პერიოდი იყო, რათა იმერეთის მეფის მოქმედება მარტო კონსტანტინე მეფისადმი შურისძიების წყურვილის შედეგად რომ ჩაითვალოს.

თუკი ალექსანდრეს მხოლოდ კონსტანტინეს შურისძიება ამოძრავებდა, რატომ მის სიცოცხლეში, ან მისი გარდაცვალებიდან მცირე ხნის გასვლის შემდეგ არ ილაშქრა ქართლში? "უფრო საფიქრალია, რომ აქ მეფეთ-მეფობისა და ორსავე ტახტისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა მპყრობელობის განხორციელების წადილით უნდა იყოს მისაჩნევი" (220,210).

ამის შემდეგ ვახუშტი აგრძელებს თხრობას: "შეუძნდათ ესე ყოველთა და ეტყოდნენ მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა, არამედ დავით მეფემან არა ინება მეტყველმან მათმან "რამეთუ მიეგების მეშფოთეთა მყოფთა", ხოლო ალექსანდრემ აღიღო გორი და დაიპყრო თვით" (23,392,393).

ამ ციტატიდან ჩანს, რომ ალექსანდრე მეფის მიერ ქართლში წარმოებული სამხედრო მოქმედება და დავით ქართლის მეფის პასიურობა მიუღებელი იყო ქართლის სამეფო კარის წევრებისა და დიდი თავადებისთვისაც. რადგან თუკი ალექსანდრე მეფე წამოწყებულ სამხედრო ოპერაციას წარმატებით განახორციელებდა და ქართლში გამარჯვების მოპოვებით ამ ორ სამეფოს კვლავ შეაერთებდა, ამით მათ მიერ დიდი ხნის ბრძოლით მოპოვებული უფლებები შეიზღუდებოდა.

ამიტომ იყო, რომ "საქართველოების" კვლავ ერთ სამეფოდ გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების ყოველგვარ მცდელობას წინ ეღობებოდნენ – "შეუძნდათ ესე ყოველთა და ეტყოდნენ მეფესა დავითს ბრძოლასა მისსა".

გორის ციხის დაპყრობით იმერეთის მეფის ხელში ქართლის მთელი ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი – ლიახვის ხეობამდის მაინც უნდა გადასულიყო (220,210).

იმერეთის მეფის გორში და ქართლის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში ბატონობა ხანგრძილივი არ ყოფილა, რადგან თვით იმერეთი მოულოდნელად შემოსული მტრის სათარეშო-ასპარეზად იქცა და იქაც მიშველება იყო საჭირო. "ამავე ქორონიკონსა მოუხდნენ ჩიხნი იმერეთს და მოარბივეს სრულიად. ესე ესმა ალექსანდრესა ქართლს მყოფსა, უკუმოიქცა და მოვიდა იმერეთს მოწყუედად მათდა, არამედ მათ არღარა ესწრა" (23,809).

სხვა წყაროები გორის აღების ახლო ხანებში დასავლეთ საქართველოში მტრის შემოსევისა და ქვეყნის აოხრების შესახებ მცირე ცნობებს შეიცავენ: “ამავე ქორონიკონსა ე.ი. 1508წ. (როდესაც ალექსანდრე მეფემ გორი აიღო) მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს” (40,5.83,326).

“ამასვე წელსა (1509წ.) ქუთათის თათარნი მოვიდნენ. დაწვეს დიდი მონასტერი გენათისა შიგნით და გარეთ. ქუთათისი და საყდარი, სხუანი ეკლესიანი და ციხე ვერ აიღეს და აურაცხელი ტყვენი წაასხეს. თვე იყო ნოემბერი კგ. “ჩიხთა მოარბიეს იმერეთი და უკან იქცა ალექსანდრე იმერეთს,” (83,326.93,23). XVI საუკუნის ზოგიერთი კინკლოსი თურქთა ლაშქრობას იმერეთში 1510 და 1512 წლითაც ათარიღებს (51,51,74.83,327). ეს იყო თურქთა პირველი ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში ტრაპიზონის მმართველის სელიმის მეთაურობით. როგორც წყაროებიდან ჩანს, ამ ლაშქრობის მიზანი დასავლეთ საქართველოს დაპყრობა არ ყოფილა, ეს იყო მარბიელი ლაშქრობა, რომელმაც მოარბია ქუთაისი და მისი მიმდგომი ტერიტორია და ტყვეობითა და ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა (183,45).

თ. ჟორდანია დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ამ ლაშქრობის თარიღად 1510 წელს დებდა (83,327). საქართველოში ოსმალთა პირველი ლაშქრობის რეალურ თარიღად 1510 წელი მიაჩნია მ. სვანიძესაც (183,45).

იმერთში შემოსულ ოსმალო დამპყრობლებს ქართულ წყაროთა უმეტესობა “ჩიხს” უწოდებს, მ. ბროსე “ჩიხს” ჯიქებად, ანუ ჩერქეზებად მიიჩნევდა (122,8). თ. ჟორდანიას აზრით “ჩიხნი უნდა იყვნენ თათარნი (თურქნი) და არა ჯიქნი” (83,326). რა თქმა უნდა, “ჩიხის” ჯიქად მიჩნევა არ იქნება მართებული. როგორც პროფ. მ. სვანიძე აღნიშნავს “ჩიხი” არის ტრაპიზონში მყოფი ერთ-ერთი თურქული ტომის სახელწოდება (183,45).

იმერეთის სამეფოს გართულებული მდგომარეობით ისარგებლა ქართლის მეფე, დავითმა და ალექსანდრე იმერთა მეფის მიერ დაკავებული ქართლის ტერიტორია ისევ დაიბრუნა. მალე ამის შემდეგ 1510 წელს ალექსანდრე იმერთა მეფე გარდაიცვალა და იმერეთის ტახტზე მისი 15 წლის ვაჟი ბაგრატ III (1510-1565) ავიდა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოში ოსმალთა ლაშქრობამ ჩაშალა ალექსანდრე იმერთა მეფის მცდელობა “ორსავე ტახტის, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის” კვლავ გაერთიანებისა. როცა ესა თუ ის ქართველი მეფე მეორის სამფლობელოს საზღვარს

გადალახავდა, მას სრულებითაც არ ეგონა, რომ იგი უკანონო საქმეს სჩადიოდა. მას სჯეროდა, რომ თავისი მოქმედებით სრულიად საქართველოს გამაერთიანებლის მისიას ასრულებდა და ამდენად, კანონიერი იყო მისი ქმედება. ასეთ გამაერთიანებლის როლში გამოდიოდა ალექსანდრე იმერთა მეფე, XVI საუკუნის დასაწყისში. მისი სამხედრო ოპერაცია ქართლში საქართველოს კვლავ გაერთიანებას ისახავდა მიზნად, მაგრამ გარეშე მტრის (ოსმალთა) შემოსევის გამო ალექსანდრეს ჩანაფიქრი უშედეგოდ დამთავრდა.

იმერეთის მეფის ალექსანდრეს გარდაცვალებით არ დამთავრებულა ქართველ მეფეთა ბრძოლა "ორსავე ტახტის" კვლავ გაერთიანებისთვის.

იმერეთის სამეფოსთან ურთიერთობის მოგვარების შემდეგ ახლა აღმოსავლეთით – კახეთიდან – გაუჩნდა დავითს მოცილე. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, სანამ კახეთში მეფედ ალექსანდრე გიორგის ძე იჯდა, მშვიდობა და მეგობრობა სუფევდა ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის (23,519).

ალექსანდრე კახთა მეფეს, წყაროების მიხედვით ორი ვაჟი ჰყავდა: გიორგი და დიმიტრი; "ესუა ძენი ორნი, უხუცესსა ეწოდა გიორგი და უმრწმესსა ეწოდა დიმიტრი"(8,487. 21,350. 23,569). მოტანილი ცნობა 1505 წლის ალექსანდრე კახთა მეფის სიგლითაც დასტურდება (36,42).

ქართლისა და კახეთის მშვიდობიანი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, რადგან "ამან გიორგი დაიწყო ბრძოლა ქართლსა ზედა, რამეთუ დაპყრობა უნდოდა ქართლისა"(21,487). ვახუშტი ასე ახასიათებს გიორგი ალექსანდრეს ძეს: "არამედ ძე მისი (იგულისხმება გიორგი) იყო ბოროტ-მეშურნე და მესისხლე"(23,569). "ქართლსა ზედა" საბრძოლველად გიორგი მამამისს ალექსანდრესაც იწვევდა, მაგრამ მეფე ალექსანდრე მის ვაჟს ეწინააღმდეგებოდა "ასწავებდა ძესა სიმშვიდესა და უშფოთველობასა"(23,569). გიორგის ამ მოქმედების წინააღმდეგი იყო აგრეთვე მისი ძმა – დიმიტრიც. ალექსანდრე და დიმიტრი ცდილობდნენ გაეჩერებინათ გიორგი, "რამეთუ ძმანი არიან და არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა "კმარა არს შენთვის კახეთიცა" (8,487).

ამ ცნობიდან ჩანს, რომ ალექსანდრე კახთა მეფე საქართველოს დაყოფას ცალკეულ სამეფო-სამთვროებად შეურიგდა და 1490 წლის ქართლის სამეფო დარბაზის მიერ ქვეყნის დაშლის ფაქტიური აღიარება მისთვის მისაღები იყო. ამიტომ არწმუნებდა

ის გიორგის “არა ჯერ არს შენგან ცილობა და დაპყრობა ქართლისა”-ო და რომ დაკმაყოფილებულიყო იმით, რაც ქვეყნის დაშლის შედეგად მათ ერგოთ – “კმა არს შენთვის კახეთიცა”-ო. გიორგი მამისა და ძმის შეგონებას ყურად არ იღებდა. ის “ეშურვა მეფობასა მამისასა, რათა ჰყოს წადიერება თვისი”(23,569). მან ღალატით მოკლა საფურცლის ჭალაში მამამისი – მეფე ალექსანდრე, ძმასა დიმიტრის კი თვალები დათხარა და ცოლ-შვილით კახეთიდან გააძევა. ამ საქციელის გამო მას ავ-გიორგი უწოდეს (8,487-488.21,350. 23,569.61,340.83,328. 93,25). მომხდარ ამბავს ყველა წყარო 1511 წლით ათარიღებს (იქვე).

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აკად. ი. ჯავახიშვილი მართებულად შენიშნავს: “ღალატით მოწყობილი მკვლელობა წინასწარ განზრახულსა და განგებულს ბოროტმოქმედებას გულისხმობს და ცხადად მოწმობს, რომ ავ-გიორგის ეს საშინელი საქმე არც დაბრმავებული ვნებათაღელვისა და მით უმეტეს არც ფათერაკის შედეგი უნდა ყოფილიყო”(220,216).

მამის მოკვლის შემდეგ, გიორგი ბატონიშვილი მაშინვე კახეთის სამეფო ტახტზე ავიდა (8,488.23,569). ის თავის თავს ასე წარმოგვიდგენდა; “განმაერთიანებელმან ლიხთ-იმერისამან და ლიხთ-ამერისამან, ორსავე ტახტისამან და სამეფოსამან მტკიცედ მპყრობელმან, აფხაზთა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან”(36,44-45”). ამ ტიტულებიდან გამომდინარე ცხადია, რომ მისთვის მარტო კახეთი არ იყო საკმარისი და პრეტენზია “ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის, ორსავე ტახტისა და სამეფოს მტკიცედ მპყრობელობაზე” ჰქონდა. გიორგის ამ განზრახვის განხორციელებაში, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მამამისი ალექსანდრე და ძმა დიმიტრი უშლიდნენ ხელს და ცდილობდნენ ისიც შეეგუებინათ შექმნილი ვითარებისათვის, რაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომაც სავარაუდოა, გიორგი ბატონიშვილის მიერ მამის მოკვლა და ძმისათვის თვალების დათხრა თავისი მიზნის განსახორციელებლად, მისი მხრიდან წინასწარ განზრახულ მოქმედებად რომ ჩაითვალოს.

მამის მოკვლისა და კახეთის ტახტის დაჭერის შემდეგ ავ-გიორგიმ (1511-1513) აქტიურად დაიწყო თავისი გეგმის განხორციელებისათვის – “ორსავე ტახტისა და სამეფოსა მტკიცედ პყრობისათვის” ბრძოლა.

ავ-გიორგიმ თავისი ხანმოკლე მეფობის დროს არა ერთხელ ილაშქრა ქართლში დავით მეფის წინააღმდეგ (8,488. 21,350-351. 23,393).

კახეთის მეფის ბრძოლას "ქართლსა ზედა" დავითი წინააღმდეგობას უწევდა. ის, ისევე როგორც ალექსანდრე იმერეთის მეფის ქართლში ლაშქრობის დროს, ახლაც უმოქმედოდ იყო, "ხოლო ეკრძალებოდა სისხლსა ავ-გიორგისასა მეფე დავით და სპანი მისნი ყოველნივე და ამას ზედა უფროსდა განლაღნა ავ-გიორგი და უხდებოდა საქართველოსა და მრავალგზის იავარჰყო საქართველო"(8,488).

დავით მეფის პასიური პოლიტიკის წინააღმდეგი იყვნენ ქართლის სამეფო სახლის წევრები – მეფის ძმები. ისინი მეფეს გიორგის წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდებდნენ. ასე იყო ალექსანდრე იმერთა მეფის ქართლში ლაშქრობის დროსაც. მაშინაც სამეფო სახლის წევრები ურჩევდნენ დავითს ალექსანდრეს წინააღმდეგ აქტიურ მოქმედებას.

მეფეს ძმები ასე მიმართავდნენ: "ამიერიდან ვერღარა შემძლებელ ვართ ბოროტისა დათმენად მას კაცის მიერ, რამეთუ კახეთიცა ვიდრე აქამომდე მამათა ჩუენთა ეპყრათ და სრულიად კახეთი საბრძანებელთა სახლისა ჩუენისათა დამონებულ იყვნეს და ესრეთ აღზევდნეს ვიდრეღა საქართველოსაცა ზედა უფლებულ არს და ჰნებავს სრულიად მომძლავრებად თვისად. და აწ ჩუენცა აღვდგეთ მათ ზედა და ვბრძოდეთ მათ" (23,393).

ამასთან დაკავშირებით პროფ. დ. გვრიტიშვილს საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული; "ქართლის სამეფო კარზე ამ მსჯელობიდან ირკვევა, რომ ქართლის სამეფოს ბაგრატიონებისათვის კახელი ბაგრატიონები უკანონოდ ფლობდნენ კახეთს, რომ ეს მხარეც მათი წილხვდომილი ქვეყანაა და კახელებს ძალით მიუტაცებიათ"(133,175). როცა ქართლის მეფეებს საამისო საშუალება ეძლეოდათ, ისინიც ისევე ცდილობდნენ ლიხთ-იმერისა და კახეთის ხელყოფას, როგორც ეს უკანასკნელნი ხელყოფდნენ ხოლმე ქართლს. საამისო მაგალითებად გამოდგება დავით მეფის ცდები ლევან კახთა მეფის ხელთგდებისათვის, ლუარსაბის ლაშქრობა მესხეთ-ჯავახეთში, სიმონ I-ის ომები დასავლეთ საქართველოში და სხვა (134,105).

თუ ქართლის სამეფო კარზე სჯეროდათ, რომ კახელ და იმერელ ბაგრატიონებს უკანონოდ ეჭირათ კახეთი და იმერეთი, ამასვე ფიქრობდნენ ეს უკანასკნელნიც. რაც

კარგად ჩანს ალექსანდრე იმერთა მეფისა და გიორგი კახთა მეფის მისწრაფებებიდან, სათავეში ჩასდგომოდნენ ქვეყნის გამაერთიანებელ მოძრაობას.

მეფის ძმების ასეთი აქტიურობის მიუხედავად დავითმა მაინც არ ინება გიიორგის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება. მაშინ დავითს მისმა უმცროსმა ძმამ ბაგრატმა გამოსთხოვა საუფლისწულოდ მუხრანი. დავით მეფემ ძმის თხოვნა დააკმაყოფილა. თავის მოთხოვნას ბაგრატი იმით ასაბუთებდა, რომ ის ამ გზით ბოლოს მოუღებდა ავ-გიორგის. ბაგრატმა მუხრანში ციხე-სიმაგრე ააგო და თვითონაც იქ გადავიდა საცხოვრებლად (8,488.21,351.23,393). ასე შეიქმნა ქართლის შუაგულში ახალი სათავადო - სამუხრანბატონო.

ქართული წყაროები სამუხრანბატონოს წარმოქმნის ამბავს ავ-გიორგის ქართლში ლაშქრობებს უკავშირებენ. ავ-გიორგის ლაშქრობებმა მხოლოდ დააჩქარა ეს პროცესი (134,106.162,12). ბაგრატმა ისარგებლა კახეთთან გართულებული მდგომარეობით და შესძლო შექმნილი რთული ვითარება საკუთარი მიზნისათვის გამოეყენებინა.

ყოველი სათავადო გარკვეულ კონკრეტულ ისტორიულ პირობებში წარმოიქმნა. ამ მხრივ რა თქმა უნდა არც სამუხრანბატონო წარმოადგენდა გამონაკლისს. განსხვავება აქ მხოლოდ ისაა, რომ სამუხრანბატონო უშუალოდ სამეფო მამულის - სახასო მამულის გამონაყოფს წარმოადგენდა, მაშინ როდესაც ესა თუ ის სათავადო თავის დროზე საქვეყნოდ გამრიგე მოხელის სამოხელეო სარგო იყო და შემდეგში თანდათან გადაიქცა ამ მოხელის სამკვიდრო მამულად. სამუხრანბატონოს წარმოშობა ცენტრალური ხელისუფლების კიდევ ერთი მარცხი იყო (134,106.162,13), რომლის წარმოშობის საფუძველიც საქართველოში სათავადოების სისტემის ჩამოყალიბებამ და ცენტრალური ხელისუფლების სისუსტემ შექმნა.

ავ-გიორგი ისევ განაგრძობდა ქართლის რბევას. ქართული წყაროები მოგვითხრობენ, რომ სამუხრანბატონოს წარმოშობის შემდეგ ავ-გიორგის ქართლში ლაშქრობებს წინ ბაგრატ მუხრანბატონი ეღობებოდა. დავით მეფე ისევ პასიურობდა. ერთი ასეთი ლაშქრობიდან უკან გაბრუნების დროს (1513 წ.) ბაგრატ მუხრანბატონი ჩაუსაფრდა ავ-გიორგის ძალისის ხევში (ახლ. მცხეთის რაიონში) და ტყვედ ჩაიგდო ხელში. დატყვევებული კახეთის მეფე ბაგრატმა მუხრანში მოიყვანა და მტუერის ციხეში შეამწყვდია (8,488–489,21,351.23,394). ციხეში მყოფი ავ-გიორგის შემდგომ ბედზე ახალი

ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის ავტორი გვაცნობებს, რომ “შემდგომად მცირედისა ჟამისა მოაშთუეს ავ-გიორგი ციხესა მას შინა და მოკუდა” (8, 489-490). ბერი ეგნატაშვილი და ვახუშტი გადაჭრით ვერაფერს ამბობენ: “ხანსა მცირედსა მოკუდა ავ-გიორგი და რამდენიმე იტყვიან დაახრჩვესო და რომელნიმე იტყვიან თავისის დღით მოკუდაო” (21,351.23,394).

ძალისთან ბრძოლის, ავ-გიორგის შეპყრობისა და მისი შემდგომი ბედის შესახებ ამათგან განსხვავებულ ცნობას გვაწვდის პარიზის ქრონიკა: “ქორონიკოსა ს ა (1513) ქართლის მეფე დავით და კახთ მეფე გიორგი მუხრანს ძალისს შეიბნეს. ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და ხელთ დარჩა მეფე გიორგი. ამასვე წელს მოკლეს მეფე გიორგი” (93,24-25).

ამ ამბის შესახებ მსგავს ცნობებს გვაწვდიან იმდროინდელი კინკლოსებიც: “ქორონიკონსა სა ქართლის მეფე დავით და კახი მეფე ავ-გიორგი მუხრანს ძალისს შეიბნენ და ქართლის მეფე დავითს გაემარჯვა და ხელთ დარჩა მეფე გიორგი. ამავე წელს მოკლეს მეფე გიორგი (51,39,49.61,340.83,331-332). აქ (კინკლოსებში) მეფე დავითსა და ავ-გიორგის შორის მომხდარი ბრძოლაა აღწერილი. მთავარ მოქმედ პირად ბაგრატ ბატონიშვილი კი არა, არამედ ქართლის მეფეა დასახელებული. ბაგრატი ამ ცნობებში არც კი იხსენიება. მეტისმეტი სიმოკლის გამო არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ როგორ დარჩა ხელთ დავითს ავ-გიორგი - ჩასაფრების წყალობით თუ პირდაპირ შებრძოლებით. სიტყვა “შეიბნენ” ამ უკანასკნელ აზრსს უფრო სამართლიანს ხდის. თუმცა ჩასაფრე-ბულსაც მეფე დავითს ავ-გიორგისთან ბოლოს მაინც შებმა დასჭირდებოდა, თუ მან მოწინააღმდეგის უეცრად მოკვლა ვერ მოახერხა. ბრძოლა იმავე ადგილს – მუხრან-ძალისს მომხდარა, სადაც “სწავლულ კაცთა” და ვახუშტი ბაგრატიონისაგან გიორგის შეპყრობა აქვთ მოთხრობილი. თარიღიც აქ სრულიად მკაფიოდ – 1513 წელია აღნიშნული (220,220-221). დავით მეფესთან ძალისს დამარცხების შემდეგ ავ-გიორგის შემდგომ ბედთან დაკავშირებით უფრო მისაღებია პარიზის ქრონიკისა და კინკლოსების ცნობები კახთა მეფის მოკვლასთან დაკავშირებით. ასეთი მსჯელობის საფუძველს გვაძლევს ის, რომ დავით ქართლის მეფემ ავ-გიორგის ხელში ჩაგდებით ერთ-ერთი ძლიერი მოწინააღმდეგე დაამარცხა. ამის შემდეგ დავითს საშუალება მიეცა ბრძოლის დაწყებისა კახეთის ქართლისათვის

შემოსაერთბელად. თუკი დავითს დატყვევებული კახეთის მეფე დაპატიმრებული ეყოლებოდა, მაშინ კახელი დიდებულები ყოველ ღონეს იხმარდნენ თავისი მეფის დახსნასა და ისევ კახეთში დაბრუნებისათვის, რადგან ქვეყნის გაერთიანება ხომ მათ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. აქედან გამომდინარე, მათ თავისი მეფის ყოლა ერჩივნათ. სავარაუდებელია, რომ დავითმა დატყვევებული კახეთის მეფე მოაკვლევინა რათა ამით კახეთისათვის ბრძოლა გაადვილებოდა.

ძალისთან მომხდარი ბრძოლის შესახებ ქართულ წყაროთაგან რომელს უნდა მიენიჭოს უპირატესობა? შეუძლებელია ორივე ამბავი ცალ-ცალკე და ერთსა და იმავე ადგილს მომხდარიყო. ამ შემთხვევაში უპირატესობა კინკლოსებს უნდა მიენიჭოს, როგორც მომხდარი ამბის თანამედროვეს, რადგან "ვახუშტის, "სწავლულ კაცთა" და ქართლის ცხოვრების შევსებულ-გადაკეთებული გაგრძელების თხზულებები ორი საუკუნის შემდეგ შეიქმნა და ორი საუკუნის განმავლობაში მოთხრობა თანდათანობით შეიცვლებოდა და გადაკეთდებოდა" (220, 221).

კინკლოსებში დაცული ცნობები რომ უფრო ჭეშმარიტად უნდა მივიჩნიოთ, ამაში მოვლენათა შემდგომი მსვლელობა დაგვარწმუნებს. ვახუშტის და ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტის შემდგენელს დავით მეფე დახასიათებული ჰყავთ ლმობიერ კაცად, ბრძოლა-აშლილობისა და შფოთის მოძულედ და მშვიდობის მოყვარედ. ამავე წყაროების მიხედვით (მათ შორის ბერი ეგნატეშვილიც) თავისი ლმობიერების გამო დავითმა ავ-გიორგისათვის წინააღმდეგობის გაწევაზე უარი თქვა. ხოლო, როდესაც ავ-გიორგი დაატყვევა ბაგრატ მუხრანბატონმა, "ბრძოლ-აშლილობის მოძულე და მშვიდობისმოყვარე" დავითი გააქტიურდა კახეთის დაუფლებისათვის. თუკი ზემოთ დასახელებული წყაროების მიხედვით გიორგის წინააღმდეგ ბრძოლაში ბაგრატ მუხრანბატონი აქტიურობდა, მისი დატყვევების შემდეგ მეფე დავითი გააქტიურდა, კინკლოსებში ბაგრატი სულ არ არის ნახსენები; კახეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლას დავით მეფე აწარმოებდა, რომელმაც დაატყვევა კიდევაც ავ-გიორგი და ამის შემდეგაც ეცადა აქამდე ბრძოლოთ მიყვანილი საქმე ბრძოლითვე ბოლომდე მიეყვანა – კახეთი ქართლისათვის შეერთებინა.

მოპოვებული გამარჯვების შემდეგ დავით მეფეს მარტო ქართლის ტახტის მოცილე ავ-გიორგის მოსპობა უკვე აღარ აკმაყოფილებდა. მას უნდოდა საზოგადოდ

ცალკე კახეთის სამეფოს არსებობა აღარ დაეშვა და ის ქართლისათვის შემოეერთებინა. დავით ქართლის მეფეც ხომ პრეტენზიას სრულიად საქართველოს მფლობელ-მპყრობელობაზე აცხადებდა და არა მარტო ქართლის მეფედ, არამედ "აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შაჰანშა და შარვანშა და ყოვლისა ჩრდილოსა და აღმოსავლისა მტკიცედ ხელმწიფედ მპყრობელ ქმნილ"-ად (63,საბ.[1]1574) მიაჩნდა თავი. დავითისათვის კახეთის შემოერთების ხელსაყრელი მომენტი ავ-გიორგის თავიდან მოცილების შემდეგ დადგა. ქართლის მეფემაც არ დააყოვნა და იმავე 1513 წელს კახეთის სამეფო დაიკავა (8,490.21,351.23,394,570). ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. ავ-გიორგის დარჩა მეუღლე – ელენე და მცირეწლოვანი ძე ლევანი. დედა-შვილი კახეთის მეფის სახლთუხუცესს გარსევან ჩოლოყაშვილს, რომელიც ლევანის დედის ნათესავი იყო, თავისთან ჰყავდა წაყვანილი (იქვე). ქართ-კახეთის ერთიანობის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად აუცილებელი იყო კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის – მცირეწლოვანი ლევანის თავიდან მოცილება – კახეთის სამეფო საგვარეულო შტოს მოსპობა, რადგან მცირეწლოვანი ლევანის სახით, როგორც კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრისა, ქართლთან კახეთის შეერთების მოწინააღმდეგე რეაქციონერ თავადებს კარგი იარაღი ეყოლებოდათ ქართლის მეფესთან დასაპირისპირებლად. ამიტომ დავითი შეეცადა ლევანისა და მისი დედის ხელში ჩაგდებას. ამ მიზნით კახეთში მან გაგზავნა თავისი ძმა ბაგრატ მუხრანბატონი სადროშოს ჯარით, ქსნის ერისთავითა და ამილახვარით, მაგრამ კახელმა თავადებმა სახლთუხუცეს გარსევან ჩოლოყაშვილის მეთაურობით ლევან ბატონიშვილი დამალეს და ამდენად, მისი შეპყრობა არ მოხერხდა (იქვე).

ამასთან დაკავშირებით პროფ. დ. გვრიტიშვილი მართებულად შენიშნავდა: - ბაგრატ მუხრანბატონისა და მის თანამგზავრთა კახეთში მისიის შესახებ ქართულ წყაროებში დაცული ცნობები ამაგრებს საერთო ვითარების აღმწერ, როგორც წინამორბედ, ასევე მომდევნო ფაქტების შემცვლელ ცნობებსაც. გავიხსენოთ, რომ 1490 წ. დარბაზზე კონსტანტინეს არ ურჩიეს მეფე-მთავრებთან ბრძოლა. მაშინ დარბაისელნი ხედავდნენ, რომ "მტკიცედ იდგნენ ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კუალად ათაბაგისა სამცხელნი". დავითმა თუმცა კახეთი დაიჭირა,

იმის გამო, რომ კახელნი “მტკიცედ დადგნენ ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა”, ვერ შეძლო ლევანის ხელთგდება (134,366).

არც ბაგრატისა და არც მის თანამგზავრთა ინტერესებს არ შეესაბამებოდა კახელი უფლისწულის დავითისათვის გადაცემა. თუ კახეთის სამეფო, როგორც დამოუკიდებელი ერთეული “უკანონო” იყო, ასევე “უკანონოდ” მიიჩნევდნენ სამუხრანბატონოსაც და გააუქმებდნენ მას. ამდენად, დასაშვებად მოგვაჩნია, რომ ბაგრატის მისია კახეთში იმიტომ ჩაიშალა, რომ თვით ბაგრატსა და მის მხლებლებს – ამილახვარსა და ქსნის ერისთავს საკუთარი ინტერესებისათვის ასე ერჩიათ (იქვე 367) და ამ ვიწრო თავადური ინტერესებიდან გამომდინარე, ცალკე ქართლისა და ცალკე კახეთის არსებობა მათთვის უფრო ხელსაყრელი იყო. თუკი ქართლი და კახეთი გაერთიანდებოდა და ცენტრალური ხელისუფლება გაძლიერდებოდა, სათავადოებთან გაძლიერებული სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვლებოდა, რასაც დიდ თავადთა თვითნებობის შეზღუდვა მოჰყვებოდა. ამიტომ აღმოჩნდა ბაგრატ მუხრანბატონისა და მისი მხლებლების მისია წარუმატებელი.

ვფიქრობთ შემთხვევითი არ არის წყაროთა ჩვენება იმის შესახებ, რომ დავითის დროს “არღარა იცვალებოდნენ ერისთავნი და არც თავადნი. ყოველნივე ხევსა და სანახებსა და თემთა და ადგილთა მკვიდრ ქმნილიყვნენ და ვისაც მამულს მისცემდა, მკვიდრად მისცემდა და ყოველნივე ძლიერ იყვნეს, მთავარნი, ერისთავნი და თავადნი” (23,394). ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ ბაგრატ მუხრანბატონსაც საკუთარი ფეოდალური ინტერესები მაღლა დაეყენებინა და თავისი საუფლისწულოს შემომტკიცებისათვის ეზრუნა.

ავ-გიორგი 1513 წელს მოკლეს, ხოლო ლევან გიორგის ძე 1520 წელს გაამეფეს. 7 წლის განმავლობაში კახეთი ქართლის სამეფოსთან იყო შეერთებული. სად იმყოფებოდა ამ ხნის განმავლობაში ლევან ბატონიშვილი? ბ. ეგნატიშვილი გვარწმუნებს, რომ “რა წამოვიდნენ, ბაგრატ და ერისთავი და ამილახორი, მაშინ ჩოლოყაშვილმან გარსევან ვერღარა თავს იდვა სახლსა თვისსა დაფარვა ლევანისა და წარმოიყვანა და შეიყუანა ციხესა მას ოჩონისას, რომელ არს თავსა ივრისას” (21,351). არსებითად ამასვე იმეორებს ვახუშტი ბატონიშვილიც (23,394,570). სრულიად განსხვავებულ ცნობას გვაწვდის ახალი ქართლის ცხოვრების მესამე ტექსტი. კერძოდ, მასში ნათქვამია: “წარიყვანეს ლევან

მოსკოვის კნიაზთან და დედამისი დედოფალი ელენე აღიყვანეს ციხესა მაღრანისასა და განამაგრეს ციხე იგი. . . ხოლო იყო რამოდენიმე ხანი, კუალად მოვიდა ლევან სპითურთ რუსით და შთამოვიდა კახეთს. და შევიდა ციხესა მას შინა ოჩონისასა, რომელ არს თავსა ივრისასა. მაშინ კახნი ყოველნივე მოვიდეს მისთანა და შეჰფიცეს და მიერთნეს ლევანს, წარმოიყვანეს და გააბატონეს და დაიპყრა კახეთი ლევან" (8,490).

მემატიანის ამ ცნობას პროფ. ი. ცინცაძე საეჭვოდ მიიჩნევს, "მცირეწლოვანი ლევანის იმხანად მოსკოვის მთავართან წასვლა და იქედან "სპით" დაბრუნება არ არის დასაჯერებელი, იმიტომ, რომ ავ-გიორგის სიკვდილი, ლევანის ძიება და მისი კახეთში გამეფება, როგორც ცნობილია, XVI საუკუნის I მეოთხედში ხდება. თუ ამ ხანის მოსკოვის სამთავროს მდგომარეობას გავითვალისწინებთ, დავინახავთ, რომ ქართლის ცხოვრების II გაგრძელებაში მოთხრობილი ამბავი, მოსკოვის მთავრის მიერ ლევანისათვის ჯარით დახმარების აღმოჩენის შესახებ, მეტისმეტად საეჭვო ცნობაა, რადგან XVI საუკუნის I მეოთხედში მოსკოვის სამთავროს პოლიტიკური საზღვრები ძალიან დაშორებული იყო საქართველოს ტერიტორიაზე აღმოცენებულ სამეფოებთან. ამ სიშორეს ისიც ემატებოდა, რომ საქართველოსა და მოსკოვის სამთავროს შორის ურთიერთშორის მოქიშპე ყირიმის, ასტრახანის, ყაზანის სახანოები და ე.წ. ნოღაელთა მოხეტიალე ურდოები იყვნენ. აქედან გამომდინარე მოსკოვის სამთავროს აღმოსავლეთი და სამხრეთი საზღვრები საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა. ამ დროისათვის თათრების მიერ მოსკოვის სამფლობელოების დარბევის არა ერთი ფაქტია ცნობილი. . . ასეთ პირობებში მოსკოვის სამთავროს კავკასიონს აქეთ მყოფი კახეთისათვის რაიმე აქტიური პოლიტიკის წარმოება არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო" (216,168-179).

ამის შემდეგ უნდა უარვყოთ "ქართლის ცხოვრების" II გაგრძელებაში დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც XVI საუკუნის I მეოთხედში ადგილი ჰქონდა მოსკოვ-კახეთის ისეთ დაახლოებას, რომ მცირეწლოვან ლევანს ტახტის დასაპყრობად ვასილ III-მ ლაშქარი მოაშველა. ასეთ ფაქტს მაშინ არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა (220,222-223).

მართლაც ძნელი საფიქრებელია, რომ რუსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით შესძლებოდა ლევანს ტახტის ხელთ გდება. მისი გამეფებისათვის მთავარი იყო ის კონკრეტული ვითარება, რომელიც XVI საუკუნის 20-იან წლებში შეიქმნა ჩვენს

ქვეყანაში. კახელი ფეოდალებისათვის დავით ქართლის მეფე “დამპყრობელი” იყო. ამიტომ როცა სათანადო პირობები შეიქმნა ისინი “მტკიცედ დადგნენ ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა”.

იმ დროს, როცა ქართლი და კახეთი ერთ სამეფოს შეადგენდა. ოსმალებსა და სეფიანების სახელმწიფოს შორის I ომი (1514-1555) მიმდინარეობდა. ამ ომის ერთ-ერთ მთავარ მიზანს ამიერკავკასიისა და კერძოდ, საქართველოს დამორჩილება შეადგენდა.

როგორც ირანის, ისე ოსმალეთისათვის საქართველო და საზოგადოდ ამიერკავკასიის რეგიონი მიმზიდველი იყო არა მხოლოდ სტრატეგიული ადგილმდებარეობით, არამედ ამ ტერიტორიაზე გამავალი მნიშვნელოვანი სავაჭრო–სატრანზიტო გზებით, ამასთანავე ეს რეგიონი განთქმული იყო თავისი ბუნებრივი სიმდიდრეებით, განვითარებული სოფლის მეურნეობითა და მდიდარი ქალაქებით. (135,96).

ამ ომში ოსმალეთის სამხედრო პოტენციალი ბევრად აღემატებოდა ირანისას. შაჰ–ისმაილი (1501–1524) ამას სათანადოდ ითვალისწინებდა და უპირატესად თავდაცვით საშუალებას მიმართავდა (130,52).

1514 წლის 22 აგვისტოს ჩალდირანის ბრძოლაში (სამხრეთ აზერბაიჯანში) სულთან სელიმ I–მა (1512-1520) სასტიკად დაამარცხა შაჰ ისმაილ I-ის (1501-1524) ლაშქარი და მალე თავრიზიც აიღო. მიუხედავად ამ გამარჯვებისა სელიმმა ვერ შესძლო აზერბაიჯანში გამარჯვების მოპოვება და უკან გაბრუნდა.

ოსმალებთან ომში დამარცხებული ისმაილ I შეეცადა შეექმნა ანტიოსმალური კოალიცია. 1515 წელს მართლაც შეიკრა კავშირი, რომელშიც შევიდნენ ეგვიპტის სულთანი, ალბისტანისა და მარაშის მფლობელი ალა-ად-დოვლე და სამცხის ათაბაგი ყვარყვარე III (1515-1535). მაგრამ აღნიშნული კოალიცია ეფექტური ვერ აღმოჩნდა. 1515-1517 წლებში სელიმ I–მა დაიპყრო ალბისტანი და მარაში. სირია, პალესტინა, ეგვიპტე და ჰიჯაზი სელიმს დამორჩილდა.

მოვლენების განვითარებას მახლობელ აღმოსავლეთში ფხიზლად ადევნებდნენ თვალ-ყურს საქართველოს სამეფო-სამთავროებში (135,96-97.183,47-51).D

დავით მეფის მიერ კახეთის უცილობელი ფლობის ხელისშემშლელად გამოდიოდნენ არა მარტო ქვეყნის შიგნით მყოფი სეპარატული ძალები, არამედ გარეშე

მტრის (ირანელთა და ოსმალთა) შემოსევებიც. ქართული წყაროები მოგვითხრობენ, რომ 1518 წელს საქართველოში, კერძოდ ქართლში ულაშქრია შაჰ-ისმაილ I-ს . დავით მეფეს რომ ქვეყანა ეხსნა აოხრებისაგან, მან მისი შვილი რამაზი გაგზავნა შაჰთან დიდი ძღვენით. (8,490.21,352.23,395.61,34.83,335.93,25.) თანამედროვე სპარსულ წერილობით წყაროებში (ჰასან რუმლუ და შერეფ-ხან ბითლისი) დაცული ცნობების მიხედვით შაჰ-ისმაილი მხოლოდ ნახიჭევანამდე მოვიდა, საქართველოში კი მან მისი სარდალი დივ-სულთანი გამოგზავნა. (68,163.102,20-21.)

ცალკე უნდა ავღნიშნოთ ანონიმი სპარსელი ისტორიკოსის თხზულება "ალამ არაი-ე შაჰ-ისმაილ" (ქვეყნის დამამშვენებელი შაჰ-ისმაილი), რომელიც გვაცნობებს, რომ შაჰ-ისმაილს კახეთში ულაშქრია, ხოლო ქართლში მას თავისი სარდალი დივ-სულთანი გაუშვია ჯარით. (87,22-25.) მკლევართა ერთი ნაწილი სანდოდ მიიჩნევს ქართველ მემატიანეთა მონაცემებს შაჰ-ისმაილის საქართველოში ყოფნის შესახებ (123,8,304-305.220,223). მკლევართა გარკვეული ნაწილი კი ეთანხმება თანამედროვე სპარსული წყაროების ცნობებს, რომლის მიხედვითაც საქართველოში ილაშქრა შაჰის სარდალმა დივ სულთან-რუმლუმ (102,54-55.130,64-69.138,97-98.147,385-394.) ამ შემთხვევაში გასათვალიწინებელია სპარსული წყაროების მონაცემები, რომლებიც ავსებენ და აზუსტებენ აღებული ხანის ირან-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელოვან მომენტებს.

დივ-სულთანის ამ ლაშქრობას, მარბიელი თარეშის ხასიათი ჰქონდა. ქართლში მისი ლაშქრობა და მასთან დაკავშირებით დავით მეფის გართულებული მდგომარეობა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს კახელმა თავადებმა და ისევ მტკიცედ დადგნენ "ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა". ისინი აქტიურად ამოქმედნენ, რათა 1513 წლიდან ქართლისათვის შეერთებული კახეთის სამეფოს დამოუკიდებლობა კვლავ მოეპოვებინათ. "გამოიყვანეს ლევან ოჩანის ციხიდამ ზემოურთა კახთა და ჩამოიყვანეს კახეთს. მაშინ მიერთვნენ ყოველნი კახნი და დაიპყრა ყოველი კახეთი" (23,571.)

ლევან გიორგის ძისა და კახი თავადების ასეთ აქტიურ შეტევას ქართლის მეფის წინააღმდეგ, ასევე აქტიური კონტრშეტევით უპასუხა მეფე დავითმაც. მან შეიტყო თუ არა ლევანის მიერ კახეთის დაკავება, მაშინვე შეკრიბა ჯარი და "წარემართა კახეთსა ზედა". კახეთში შესულ დავითს "შემოეყარნეს კახნი ყოველნივე". მან კვლავ დაიკავა

კახეთი. ქართლის მეფის ბრძოლას კახეთში დაკარგული პოზიციების კვლავ აღდგენისათვის "ვერღარა აღუდგა ლევან წინ". ის გაიქცა და თავი შეაფარა მაღრანის ციხეს (8,490-491.21,352.23.395.571). ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად ქართლ-კახეთის ერთიანობა ისევ აღდგა. მოპოვებული წარმატების შესანარჩუნებლად აუცილებელი იყო მაღრანის ციხეში გამაგრებული ლევანი-კახეთის სამეფო ტახტის ერთად-ერთი მემკვიდრე (წყაროები ავ-გიორგის მხოლოდშობილი ძის ლევანის გარდა სხვას არავის იხსენიებენ) ახლა მაინც ჩაეგდო ხელში. ამიტომ დავითმა ალყა შემოარტყა მაღრანის ციხეს. მან ციხეში მყოფნი ისე შეავიწროვა, რომ ისინი "ლამობდნენ მიცემასა ციხისასა" (იქვე). ქართლის მეფეს უკვე კახელი ბატონიშვილი ხელში ჩაუვარდებოდა, მაგრამ ასე წარმატებით ჩატარებული სამხედრო ოპერაცია ქართლში ოსმალთა შემოსევამ ჩაშალა. მაღრანის ციხესთან ალყად მდგომ დავითს მოახსენეს, რომ ოსმალები ქართლში შემოვიდნენო. დავითმა ოსმალების ქართლში მოსვლის ამბები საიდუმლოდ შეინახა რადგან "მცირესა ხანსა შინა ეგულებოდა აღება ციხისა მის". მან ციხეში ამილახორი და მთავარეპისკოპოზი გაგზავნა და ციხის დანებება მოითხოვა. ციხეში მყოფნი იმდენად იყვნენ მოალყეებისაგან შევიწროებულნი, რომ მათ უკვე აღარ შეეძლოთ გამაგრება. "არღარა ჰქონდათ ღონე ციხისა მიცემისაგან კიდე". ასეთ კრიტიკულ მომენტში უღალატა მეფეს მთავარეპისკოპოსმა. მისი გამცემლობის წყალობით (რა თქმა უნდა ამილახორიც მისი თანამზრახველი იქნებოდა) მეციხოვნებმა დავითს დანებებაზე უარი შეუთვალეს. ქართლის მეფე ხელმოცარული გამობრუნდა უკან (8,491-21,352,23,394.83,348).

დავითის მიერ მაღრანის ციხეში გაგზავნილი მოციქულთა მოქმედებიდან ჩანს, რომ არც ქართლელ ფეოდალთა ინტერესებს შეესაბამებოდა კახეთის შემოერთება. თუკი დავით მეფე კახეთს შემოიმტკიცებდა, მისი ძალაუფლება განმტკიცდებოდა. ეს კი თავადთა თვითნებობას ფრთებს შეაკვეცავდა. ამიტომ იყო, რომ ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის შემაფერხებლად გამოსულიყვნენ.

დავითმა დაამარცხა ოსმალები და განდევნა ქართლის საზღვრებიდან. საკმარისი იყო მისი ქართლში გამობრუნება, რომ ლევანის მომხრე კახელმა თავადებმა ის ციხიდან გამოიყვანეს და კახეთში გაამეფეს. ეს მოხდა 1520 წ. ლევანმა იცოდა, რომ დავითი მას

ადვილად თავს არ დაანებებდა და როგორც კი ქართლში საქმეებს მოაგვარებდა, მაშინვე განაახლებდა ბრძოლას კახეთისათვის. ამიტომ ლევანმა დაიწყო მოკავშირის ძებნა დავით მეფის წინააღმდეგ. მან მამია გურიელს კაცი გაუგზავნა და "ითხოვა მწე-ყოფად მისგან". მათი კავშირის განმტკიცებისათვის ლევანმა კახთა მეფემ გურიელს ასული - თინათინი სთხოვა ცოლად. გურიელმა მისცა ასული ლევანს და შემწეობაც აღუთქვა (23,396,571).

მოაგვარა თუ არა ქართლში საქმეები, დავითმა ისევ განაახლა ბრძოლა კახეთისათვის - "კუალად შემოიკრიბა სპანი და წარვიდა კახეთს". მივიდა დავითი საგარეჯოს და "მიერთნენ მუნებურნი". შემდეგ ის ქიზიყში შევიდა. იმავე 1520 წელს ქართლ-კახეთის მეფენი "ეწყვნენ ურთიერთს". გამარჯვება წილად კახთა მეფეს ხვდა, ხოლო დამარცხებული დავითი "წარმოვიდა და მოვიდა ტფილისს". დამარცხების მიუხედავად დავითს უარი არ უთქვამს კახეთის შემოერთებისათვის ბრძოლაზე, მაგრამ საამისოდ როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა არახელსაყრელი იყო. მობრუნდა თუ არა უკან დავითი, იმავე 1520 წელს ქართლში შემოვიდა გურიის მთავარი მამია I (1512-1534) თავისი ლაშქრით. გურიელი სამცხე-საათაბაგოდან გადმოვიდა ათაბაგის ხელშეწყობით "რათა შემწე ეყოს ლევანს დავითი მეფესა ზედა ზავითა, ანუ ბრძოლითა (23,396,571.83,348).

როგორც ჩანს, იმერეთის მეფე ბაგრატიც (1510-1565) გურიელს უჭერდა მხარს. გურიელი ბაგრატს ემორჩილებოდა და მისი ნებართვის გარეშე ის ვერ შესძლებდა ქართლში ჯარით გადმოსვლას ლევანის დასახმარებლად. დასავლეთ საქართველოში მეფე-მთავართა ასეთი ერთსულოვანი მხარდაჭერა ლევანისადმი განაპირობა იმან, რაც ქართლის სამეფოს გაძლიერებას მოჰყვებოდა. თუკი დავით ქართლის მეფე კახეთს დაისაკუთრებდა, ამის შემდეგ დანარჩენი "საქართველოებისათვისაც" განაგრძობდა ბრძოლას. როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, ის ხომ "ორსავე ტახტისა და სამეფოსა ლიხთი-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელ-მპყრობელობა"-ზე აცხადებდა პრეტენზიას. ასევე "ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის" მპყრობელად (34,7-8) წარმოადგენდა თავს იმერეთის მეფე ბაგრატიც. მასაც დავითის მსგავსად ერთიანი საქართველოს კანონიერ მემკვიდრედ მიაჩნდა თავი. ამიტომ მისთვის ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის მეთაურად დავით ქართლის მეფე მიუღებელი იყო. აქვე

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცოტა ხნის წინ ქვეყნის გამაერთიანებელ მოძრაობას სწორედ ბაგრატის მამა ალექსანდრე ედგა სათავეში, რომელიც ამავე დავითს ქართლს ეცილებოდა. აქედან გამომდინარე, დასაშვებია, რომ ლევანთან გურიელის მოკავშირეობას ბაგრატიც დაუჭერდა მხარს. დავით მეფის მოქმედება რომ შეეღზუდათ, გურიელი ჯარით ქართლში მოვიდა.

შეიტყო თუ არა დავითმა გურიელის მოსვლა, მაშინვე შეკრიბა ჯარი და გაემართა მის წინააღმდეგ. მათ შორის ბრძოლა მოხდა მოხისს (ქარელის რაიონი). ამ ბრძოლაში დავითი დამარცხდა და თბილისში დაბრუნდა. დავითი ისევ შეუდგა ჯარის შეგროვებას. ამასობაში გურიელი მუხრანისაკენ წავიდა, სადაც მას კახეთის მეფეც შეუერთდა. დავით მეფე ახალი ლაშქრით ნიჩბისში (მცხეთის რაიონი) დადგა. მათ შორის საქმე ბრძოლამდე არ მისულა. გურიელმა დავითს შეუთვალა, რომ მოვედი "რათა ვყო ზავი და სიყვარული თქვენს შორის, რამე თუ არიან მტერნი ძლიერნი გარემოს, ვითარცა ყეენი, რომელი იპყრობს ქვეყანათა".(21,353.23,397.83,348.) ქართლის მეფემ კარგად იცოდა, თუ რატომ გამოდიოდა გურიელი ასე თავგამოდებით შემრიგებლის როლში მასსა და ლევან მეფეს (1520-1574) შორის. დავითს, გურიელის ამ "პატრიოტული" სიტყვის მიუხედავად, ისევ ბრძოლის გაგრძელება უნდოდა. მაგრამ მას ბრძოლის შეწყვეტასა და დაზავებას ურჩევდნენ კათალიკოს-ეპისკოპოზნი და წარჩინებულნი, ისე როგორც 1490 წელს კონსტანტინეს, ისიც დათანხმდა. ქართლისა და კახეთის მეფეები დაზავდნენ, საზღვრები დაადგინეს და ხელშეკრულება დადეს კეთილმეზობლობისა და საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ (23,397,571.).

ამრიგად, ბრძოლა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობისათვის XVI-ის I მეოთხედში მარცხით დამთავრდა. საამისოდ არახელსაყრელ საშინაო პირობებს საგარეო ხასიათის დაბრკოლებებიც თან ერთვოდა და ქვეყნის გაერთიანებას დაუძლეველ წინააღმდეგობას უქმნიდა.

თავი III

სამცხე - საათაბაგოს შემომტკიცების საკითხი ქართლისა და იმერეთის მეფეების საშინაო პოლიტიკაში

XVI ს-ის 30-40-იანი წწ.

კახეთის მეფე ლევანთან დაზავების შემდეგ მალე ქართლის სამეფო სახლის შიგნით შინაური შფოთი დაიწყო. მეფე დავითს ძმები ებრძოდნენ. 1525 წელს დავით X-მ შიდა აშლილობის თავიდან ასაცილებლად მეფობაზე უარი თქვა და ბერად შედგა. ტახტის მემკვიდრეობის წესის მიხედვით მეფობა დავით X-ის შვილზე ლუარსაბზე უნდა გადასულიყო, რომელიც ამ დროს სრულწლოვანი იყო. მაგრამ მეფობა ხელთ იგდო დავითის ძმამ გიორგიმ (გიორგი IX, 1525-1527) (8,494.23,399-400.35,32.83,337,369.164,85-86.220,239-240).

ტახტისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ამ გარემოებას ლუარსაბ ბატონიშვილი არ შეურიგდა. მან ბიძის წინააღმდეგ საბრძოლველად და კუთვნილი ტახტის დასაბრუნებლად მოკავშირეების ძებნა დაიწყო. მას ასეთ მოკავშირედ იმერეთის მეფე ბაგრატ III გამოუჩნდა, რომელთანაც შეკრა კავშირი. მათი კავშირის განსამტკიცებლად ლუარსაბმა იმერეთის მეფის ასულ თამარზე იქორწინა. ამ ქორწინებით ლუარსაბმა ქართლის ტახტიც დაიბრუნა და ერთგული პოლიტიკური მოკავშირეც შეიძინა. 1527 წლიდან ლუარსაბი უკვე მეფედ იხსენიება. გიორგი IX-მ მხოლოდ ორი წელი დაჰყო ქართლის ტახტზე. მისი მეფობის ეს მცირე პერიოდი სხვა არაფრით, მარტო შინაპოლიტიკური აშლილობით ხასიათდებოდა. ტახტის გარშემო ბრძოლა ამის შემდეგაც არ შეწყვეტილა. ამ ბრძოლიდან გამარჯვებული საბოლოოდ ლუარსაბ I (1527-1556) გამოვიდა. გიორგი IX 40-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ ჩამოშორდა პოლიტიკურ ასპარეზს და ბერად აღეკვეცა (8,488.23,,401.61,346.83,357,376,378-379,384.93,25.164,86-88). ქართლის ტახტზე მჯდომი ლუარსაბიც არა მარტო ქართლის, არამედ სრულიად საქართველოს ტახტისა და გვირგვინის მფლობელ-მპყრობელად წარმოგვიდგებოდა (62,საბ.[1]1373).

ამ პერიოდში ირან-ოსმალეთის I ომი (1514-1555) კვლავ გრძელდებოდა. ირანი უმთავრესად ქართლსა და სამცხე-საათაბაგოს აღმოსავლეთ ნაწილს უტევდა, ოსმალეთი კი დასავლეთ საქართველოსა და საათაბაგოს დასავლეთ ნაწილს (135,103).

ოსმალეთის სულთანი სულეიმან I სჯულმდებელი (1520-1566) იმ დროს ევროპასთან ომის წარმოებით იყო დაკავებული. იმერეთის სამეფო კარს ოსმალთა

მოუცლელობით საშულება მიეცა აქტიურ საგარეო პოლიტიკაზე გადასულიყო და საზღვრები ჩაეკეტა. სწორედ ამას ითვალისწინებდა ბაგრატის თაოსნობით მოწყობილი ლაშქრობა ჯერ ჭანეთზე და შემდეგ სამცხეზე (135,103.173,27).

ოსმალები დასავლეთ საქართველოს სამი მხრიდან უტევდნენ: სამხრეთ-დასავლეთიდან ზღვისპირეთით გონიის გზით, ჩრდილო-დასავლეთიდან ჯიქეთ-აფხაზეთის გზით და სამხრეთიდან სამცხე-საათაბაგოს გზით.

ოსმალთა შემოსევებიდან რომ ქვეყანა დაეცვათ საჭირო იყო სამივე გზის ჩაკეტვა. ამის განსახორციელებლად პირველ რიგში ბაგრატ III-მ ყურადღება მიაპყრო ჩრდილო-დასავლეთ საზღვარს. ჯიქები, რომლებიც ადრევე მოექცნენ ოსმალთა გავლენის ქვეშ, აფხაზეთის ზღვისპირა ზოლს არბევდნენ, ამიტომ ბაგრატმა გადაწყვიტა მოეწყო ლაშქრობა ჯიქების დასასჯელად და ამავე დროს ოსმალთათვის ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან გზის ჩასაკეტად.

1533 წლის იანვარში ბაგრატ III-ის თაოსნობით გურიისა და ოდიშის მთავრებმა მამია I-მა გურიელმა (1512-1534) და მამია დადიანმა (1512-1533) ზღვით ჯიქეთში ლაშქრობა მოწყვეს. პირველი ბრძოლა მოხდა გაგრასთან 30 იანვარს, სადაც ჯიქები დამარცხდნენ. მაგრამ მეორე დღეს, 31 იანვარს, ოდიშის მთავარსა და მის ლაშქარს შორის უთანხმოების გამო მამია დადიანის ჯარმა ბრძოლის ველი მიატოვა და უკან გამობრუნდა. დადიანი და გურიელი დარჩენილი ლაშქრით სისხლისმღვრელ ბრძოლაში დამარცხდნენ. გურიელის შვილი გიორგი ბრძოლის ველზე დაეცა, მამია დადიანი ღალატით შეიპყრეს და მოკლეს, გურიელი მისი სამი ძმითა და ლაშქრით ტყვედ ჩავარდა, რომლებიც შემდეგ მალაქია კათალიკოსმა გამოიხსნა (8,497.23,811.93,30-31).

საქართველოს წინააღმდეგ ოსმალთა შეტევის მთავარი ობიექტი სამცხე-საათბაგო იყო. ოსმალეთის დაპყრობით გეგმებში სამცხე საათაბაგოს დიდი სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. მისი დაპყრობით ოსმალეთს საშუალება ეძლეოდა შეტევა დაეწყო ერთი მხრივ დასავლეთ საქართველოს, მეორე მხრივ ქართლ-კახეთის სამეფოების წინააღმდეგ. სამცხე-საათაბაგოს დაპყრობით ოსმალეთს გზა ეხსნებოდა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქვეყნებისაკენაც. ამიერკავკასიის დაპყრობა-

დამორჩილება კი მას ჩრდილო-კავკასიაში შეჭრასა და ირანისათვის ჩრდილოეთის მხრიდან დარტყმის შესაძლებლობას აძლევდა (183,38.194.56)

XVI ს-ის დამდეგისათვის სამცხის ათაბაგების ხანგრძლივი ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური ორგანიზმიდან გამოყოფისთვის მათი გამარჯვებით დამთავრდა (60,145-147.194,131). ამ კუთხის გამოყოფა ცალკე პოლიტიკურ ერთეულად ნიშნავდა საქართველოს სამხრეთ საზღვრების მოშლას და ოსმალო და სპარსელი დამპყრობლებისათვის გზის გახსნას (218,162). სამცხე-საათაბაგოს ერთიანი ქართული სხეულიდან გამოცალკავებამ... მნიშვნელოვნად დაასუსტა უცხო დამპყრობლების წინააღმდეგ ქვეყნის თავდაცვის უნარი, მით უმეტეს, რომ სწორედ ამ დროს დაიწყო ოსმალეთსა და ირანს შორის ბრძოლა სამცხე-საათაბაგოს დაპყრობისათვის. ასეთ ვითარებაში ათაბაგთა წინაშე მეტად სერიოზული პრობლემა დადგა. სამცხე-საათაბაგოს დაესახა სამგვარი გზა: პირველი – შეერთება საქართველოსთან და მასთან ერთად ბრძოლა თურქი და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ, რაც თავისთავად გულისხმობდა სამცხე-საათაბაგოს დამოუკიდებლობის დაკარგვას საკუთარ ერთან გაერთიანების ანგარიშზე, მეორე – ირანელ დამპყრობელთათვის ყურმოჭრილ მონად გადაქცევა და ყოველგვარი ეროვნული სახის დაკარგვა, მესამე – ოსმალეთის ყმობა, რაც აგრეთვე ეროვნული სახის დაკარგვას მოასწავებდა. ბუნებრივია, სამცხე-საათაბაგოსათვის შექმნილ ვითარებაში ყველაზე საუკეთესო პირველი გზა იყო, მაგრამ ათაბაგები ამ გზას არ დაადგნენ (194,130-131).

სამცხეს საკუთარი ძალებით არ შეეძლო ოსმალეთსა და ირანს გამკლავებოდა. ათაბაგებს ეშინოდათ, რომ გარეშე მტრის წინააღმდეგ დასახმარებლად მოსული ქართლის, ან იმერეთის მეფე მათ სამფლობელოს ჩამოართმევდა. ამიტომ ისინი უცხო დამპყრობლებთან მოლაპარაკებას არჩევდნენ. თავდამსხმელს მორჩილებას აღუთქვამდნენ და მდიდარი მისართმევით მშვიდობის ყიდვას ცდილობდნენ. ასეთი პოლიტიკა დამღუპველი აღმოჩნდა სამცხისათვის. ირანელები და ოსმალები რიგ-რიგობით არბევდნენ ორიენტაცია დაკარგულ რეგიონს. ამავე დროს, ირან-ოსმალეთის სამსახურით ათაბაგები მთელი საქართველოს დამონების ძალაუნებური აგენტები გახდნენ. მორჩილ სამცხეზე გამოვლითა და ათაბაგთა შემოძღოლით ოსმალები ხან ქართლს არბევდნენ და ხან დასავლეთ საქართველოს (118,319).

1498 წ. გარდაიცვალა ათაბაგი ყვარყვარე II, რომლის დიდი მეცადინეობით სამცხე-საათაბაგო გამოეყო ერთიან ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმს. მის შემდეგ ათაბაგი გახდა ქაიხოსრო II (1498-1500) ყვარყვარეს ძე, რომელსაც მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს მეფეებთან. ეს მდგომარეობა შეიცვალა მისი გარდაცვალების შემდეგ. ქაიხოსროს მემკვიდრე იყო მისი ვაჟი ყვარყვარე (შემდეგში ათაბაგი ყვარყვარე III 1516-1535), მაგრამ ხელისუფლება ხელთ იგდო ქაიხოსრო I-ის ძმამ მზეჭაბუკმა (1500-1516). თავდაპიველად ეს უკანასკნელი (60,137) იცავდა მეფე-მთავრებს შორის დადებულ ზავს, მაგრამ ოსმალთა შემოტევების გაძლიერებისთანავე საკუთარი სამფლობელოს ვიწრო კუთხური პოლიტიკით შემოიფარგლა და მტრის ძალებზე დაყრდნობით შინაური ბრძოლის კოცონი დაანთო. მზეჭაბუკმა მორჩილება გამოუცხადა ოსმალებს და მათივე მხარდაჭერით გაილაშქრა გურიაში და ამ გზით მოახერხა ჭანეთისა და აჭარის სამცხისათვის შემოერთება (23,711.60,100).

ამ მიღწევებით გათამამებული მზეჭაბუკი იმასაც ცდილობდა, რომ სამცხე-საათაბგო საეკლესიო სფეროშიაც დამოუკიდებელი გაეხადა. ეკლესიური ერთობა სახელმწიფოებრივი ერთობის ერთ-ერთი საფუძველი იყო. ამიტომ მზეჭაბუკისა და მისთანა სეპარატისტების პოლიტიკა დამღუპველი იყო ეროვნულ-კულტურული ერთიანობისათვის. ეს კარგად ჰქონდა შეგნებული მაშინდელი ფეოდალური საზოგადოების მოწინავე ნაწილს როგორც ქართლში, ისე საათაბაგოში. ქართლის სასულიერო და სამეფო ხელისუფლებამ ენერგიული ზომები მიიღო, კათალიკოსმა შეაჩვენა საათაბაგოს განდგომილი ეპისკოპოსები და საწყმსო, რაც იმ დროს ყველაზე უფრო მძიმე სასჯელად ითვლებოდა. საბოლოოდ მზეჭაბუკის ცდები მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ მცხეთის საკათალიკოსო საყდარს არა თუ არ ჩამოუშორებია სამცხის ტერიტორიაზე მდებარე საეკლესიო მამულები, არამედ უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა მას. საათაბაგოს ეპისკოპოსები მცხეთაში იკურთხებოდნენ ამასიის ზავის შემდეგაც კი, როცა სამცხის დასავლეთი ნაწილი თურქების ხელში იყო გადასული (60,87-91.200,168).

1516 წელს გარდაიცვალა მზეჭაბუკ I და ათაბაგი გახდა ყვარყვარე III (1516-1535) ძე ქაიხოსრო I-სა. ყვარყვარე III-ს აუჯანყდა მანუჩარი, ყვარყვარე II-ის მეექვსე ვაჟი (ყვარყვარე III-ის ბიძა) (29,42-50.60,99-100,134-135). ორივე მხარე ცდილობდა ბრძოლაში

გამოეყენებინათ გარეშე ძალები (ირან-ოსმალეთი) და მათი შემწეობით ხელთ ეგდოთ ხელისუფლება. ოსმალეთი და ირანი მარჯვედ იყენებდნენ შინაფეოდალურ ომს სამცხეში და "დახმარების" საბაბით არბევდნენ და იპყრობდნენ მას (183,52). რადგანაც, თურქთა შემოტევის მთავარი საფრთხე სამცხე-საათაბაგოდან იყო, ამიტომ ბაგრატმა ქვეყნის თავდაცვის ხაზი ამ რეგიონში გადაიტანა. მისი პოლიტიკის მიზანი სამცხის იმერეთის სამეფოსათვის შემოერთება იყო. ბაგრატ მეფე არ სცნობდა სამცხის ათაბაგთა დამოუკიდებობას და ეს სამთავრო თავის სამკვიდროდ მიაჩნდა. ის თავის სამკვიდროდ სამცხესთან ერთად სრულიად საქართველოსაც თვლიდა და მარტო იმერეთის მეფედ კი არა, არამედ "აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შენშე და შარვანშე" "ყოვლისა აღმოსავლისა დასავლეთიმდისინ თვითონმტკიცედ მფლობელ ხელმწიფედ მპყრობელ მეფედ მეფე"-დ (34,7-8) წარმოგვიდგებოდა.

ბაგრატ მეფეს საკუთარი ძალებით სამცხე-საათაბაგოს პრობლემის გადაჭრა არ შეეძლო. ამისათვის მას კავშირი უნდა შეეკრა დადიან-გურიელთან და გაერთიანებული ძალით ებრძოლა ამ კუთხის იმერეთის სამეფოსთან შემოსაერთებლად. სამცხისათვის ბრძოლაში როსტომ გურიელის (1534-1564) დაყოლიება ძნელი არ იყო, რადგან მზეჭაბუკმა მას აჭარა და ჭანეთი წაართვა ოსმალთა შემწეობით, როსტომ გურიელს უნდოდა დაკარგული ტერიტორიების უკან დაბრუნება. საამისოდ კი ბაგრატ III-ის სამცხეში ლაშქრობა ხელსაყრელი მომენტი იყო. მან თანხმობა განაცხადა მეფის წინადადებაზე, ბაგრატი გამარჯვების შემთხვევაში, აჭარასა და ჭანეთის გადაცემას დაჰპირდა გურიელს, ხოლო დადიანი, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს "შიშისათვის მიემხრო იგიცა ბაგრატს" (23,712).

დასახული მიზნის მისაღწევად საკმაო ძალების შეკრების შემდეგ "მოიხსენა შური იმერთა მეფემან ბაგრატ მზეჭაბუკ ათაბაგისა, რაჟამს მოჰყვა ოსმალთა იმერეთსა ზედა... ამათ ყოველთა შეკრებილთა გარდმოვლეს მთა ფერსა სპითა სრულიად იმერეთისათა" (იქვე).

ბაგრატ იმერთა მეფის მიერ საათაბაგოში მოწყობილი სამხედრო ექსპედიციის ასეთი ახსნა, თითქოს ეს ლაშქრობა მხოლოდ მზეჭაბუკ ათაბაგზე შურისძიებით იყო გამოწვეული, არ უნდა იყოს მთლად მართებული. ამის საფუძველს შემდეგი გარემოება გვაძლევს; მზეჭაბუკი ოსმალთა ლაშქარს იმერეთში 1510 წელს შემოუძღვა, ხოლო

აღნიშნული ლაშქრობა ბაგრატ III-მ 1535 წელს მოაწყო. ე.ი. 25 წლის შემდეგ. თუ კი იმერთა მეფეს მზეჭაბუკ ათაბაგის შურისძიება ჰქონდა განზრახული, მას შეეძლო ეს გაცილებით ადრე გაეკეთებინა – მზეჭაბუკის სიცოცხლეშივე, ე.ი. 1516 წლამდე. სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში "შურისძიება" საბაბი იყო და არა მიზეზი. ბაგრატ იმერთა მეფეს აღნიშნული სამხედრო ექსპედიციის მოწყობის დროს სამცხე-საათაბაგოს მიმართ უფრო დიდი მიზანი ამოძრავებდა, რაც სამცხის შემოერთებასა და სამხრეთ საზღვრების უზრუნველყოფაში გამოიხატებოდა. "რათა დაიპყრას სამცხე ბაგრატ" (იქვე).

1535 წელს ბაგრატ III-მ დადიან-გურიელთან ერთად მოაწყო ლაშქრობა საათაბაგოს დასაკავებლად. ბრძოლა მოხდა ახალქალაქის ახლოს – მურჯახეთთან 12 ივლისს, სადაც გამარჯვება წილად ხვდათ მოკავშირეებს. მათ ხელთ იგდეს ყვარყვარე ათაბაგი, რომელიც მალე იმერეთში ტყვეობაში გარდაიცვალა. ამ ბრძოლის შედეგად სამცხე-საათაბაგომ დამოუკიდებლობა დაკარგა და გარკვეული დროის განმავლობაში იმერეთის სამეფოს შეუერთდა. გურიელმა დაპირებისამებრ აჭარა და ჭანეთი მიიღო (8,497.21,354..23,712-713,811-813.51,33,46-47,55.83,380-392.93,42). ზოგიერთი კინკლოსი მურჯახეთთან ბრძოლას 1536 და 1537 წლებით ათარიღებს (40,5.51,27,30,50,51). რადგანაც წყაროების უმრავლესობა ამ ბრძოლას 1535 წლით ათარიღებს, ამიტომ ეს უკანასკნელი თარიღია მიღებული.

ამრიგად, მურჯახეთის ბრძოლა ერთ-ერთი ეპიზოდი იყო საქართველოს პოლიტიკურ მესვეურთა ბრძოლების ისტორიიდან სამცხე-საათაბაგოს შემოერთებისათვის. მაგრამ რეაქციონერმა თავადებმა და საგარეო მტერმა მიღწეულ წარმატებას მალე ბოლო მოუღო. იმერეთ-სამცხის ერთიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა.

სამცხე-საათაბაგოს ფეოდალთა ერთი ნაწილი, მომხდარ ფაქტს ვერ შეურიგდა. ისინი სხვადასხვა საშუალებებით ცდილობდნენ სამცხეში ათაბაგის ხელისუფლების რეანიმაციას. მესხი დიდებულების ეს ჯგუფი, გავლენიანი თავადის ოთარ შალიკაშვილის მეთაურობით, ოსმალეთში გადაიხვეწნენ. ყვარყვარე III-ის ვაჟი, ათაბაგობის მემკვიდრე ქაიხოსრო სულთანს წარუდგინეს და დახმარება სთხოვეს იმერეთის მეფის ბაგრატის წინააღმდეგ (8,498.21,354-355.23,713).

1536 წელს სულთნის ლაშქარი სამცხეში შემოვიდა. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობით "დიდი ომისა და ბრძოლის შემდეგ გამარჯვება ოსმალეთს ერგო... იმდენი ნადავლი ჩაიგდეს ხელში, რომ გადმოცემა ძნელია"(30,25). თუმცა, ფაქტია, რომ აღნიშნული ლაშქრობით სამცხეში მდგომარეობა არ შეცვლილა – ქაიხოსრომ ათაბაგობა ვერ მიიღო, სამცხე-საათაბაგო ისევ იმერეთის მეფის მფლობელობაში დარჩა.

ამ პერიოდში ოსმალეთმა მთავარი ყურადღება ევროპა-აფრიკაში დაპყრობებს მიაქცია. ამით ისარგებლა ირანის შაჰმა თამაზმა და შეეცადა თავისი ბატონობის განმტკიცებას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში. 1538 წ. ირანელებმა შირვანი დაიპყრეს. ამიერიდან ამ სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობას ბოლო მოეღო და იგი ირანის პროვინციად - საბეგლარბეგოდ გადაიქცა (130,82-84.135,104-105).

ქართლის მეფე ლუარსაბი ფხიზლად ადევნებდა თვალ-ყურს საქართველოს ირგვლივ შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებას. საფრთხე დიდი იყო; აღმოსავლეთ საქართველოს ყიზილბაშები ემუქრებოდნენ, დასავლეთს – ოსმალები. საერთო საფრთხის წინააღმდეგ ლუარაბი ცდილობდა დამოუკიდელობისათვის მებრძოლი ძალების გაერთიანებას მთელი საქართველოს მასშტაბით. გარდა იმისა, რომ ქართლი და იმერეთი პარტნიორული კავშრით იყვნენ შეკრული, ლუარსაბს კარგი დამოკიდებულება ჰქონდა კახეთის მეფე ლევანთანაც.

შირვანის დაპყრობის შემდეგ, 1541 წელს შაჰ-თამაზი დიდძალი ჯარით ყარაბაღიდან ქართლში მოვიდა. ყიზილბაშებმა აიღეს თბილისის ციხე, სადაც შაჰ-თამაზმა თავისი გარნიზონი ჩააყენა. მტერმა ქართლის დანარჩენი ნაწილიც მოარბია. ლუარსაბის მიერ წამოებული პარტიზანული ომის გამო შაჰ-თამაზი მალე გაბრუნდა უკან. თუკი ლუარსაბი მტერს თავგამოდებით ებრძოდა, კახეთის მეფე ლევანი შაჰს დიდძალი საჩუქრებით ეახლა და ნებაყოფლობით მორჩილება გამოუცხადა. ამ დროს ბაგრატ იმერთა მეფეს სამცხე ეჭირა, ხოლო ოთარ შალიკაშვილი ქაიხოსრო ყვარყვარეს ძესთან ერთად სტამბულში იყო გადახვეწილი და სულთანს დახმარებას სთხოვდა. ყარაბაღში გაბრუნებულ შაჰ-თამაზს ბაგრატიც ეახლა და შეწევნა ითხოვა, მაგრამ მან მისთვის საჭირო დახმარება შაჰისაგან ვერ მიიღო (8,497-498.21,357.23,402,812.29,26,33.15-16.39,7.68,167-168.93,32-33).

კახეთის მეფემ ეს ნაბიჯი თავისი სამეფოს ირანელთა ლაშქრობისაგან გადარჩენის მიზნით გადადგა. ამ შემთხვევაში ლევანი მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამოდიოდა. მართალია, ბაგრატი ლუარსაბის მოკავშირე იყო, მაგრამ როგორც უკვე ავღნიშნეთ, 1535 წლიდან იმერეთთან ერთად ის სამცხე-საათაბაგოსაც ფლობდა. მან კარგად იცოდა, რომ მისი სამცხეში ბატონობა მიუღებელი იყო საათაბაგოს დიდი ფეოდალისათვის – ის მათთვის უზურპატორი იყო. დიდებულთა ეს განწყობა კარგად ჩანდა ოთარ შალიკაშვილის მოქმედებიდან, რომელიც ათაბაგობის მემკვიდრე ქაიხოსროსთან ერთად სტამბოლში წავიდა და სულთანს დახმარებას სთხოვდა, ამიტომ ბაგრატს მათ წინააღმდეგ მოკავშირე ქვეყნის გარეთაც უნდა მოეძებნა და მან არჩევანი ოსმალეთის მოწინააღმდეგე ირანზე შეაჩერა. სწორედ ამას ისახავდა მიზნად მისი "სტუმრობა" შაჰ-თამაზთან ყარაბაღში.

წავიდა თუ არა შაჰ-თამაზი საქართველოდან, ლუარსაბმა მტრის მიერ დაკავებული თბილისი ბრძოლით აიღო და "დაიპყრა თვისადვე" (23,402-403).

XVI ს-ის 40-იან წლებში სამცხეში ისევ განახლდა ბრძოლა ათაბაგის ხელისუფლების აღდგენისათვის. ამ პერიოდში მეფე ბაგრატმა მოშალა ათაბაგის სახელისუფლებო სტრუქტურები და ის იმერეთის სამეფო ხელისუფლებას დაუქვემდებარა. ბაგრატმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სამხრეთ-დასავლეთის საზღვრისპირა ციხე-სიმაგრეთა გამაგრებას (183,57.218,76).

მურჯახეთის ომში ბაგრატ მეფის გამარჯვებამ უკიდურესად გაამწვავა მდგომარეობა საათაბაგოში. ბაგრატის გამარჯვებამ მოშალა საათაბაგო, მაგრამ ამავე გამარჯვებამ მიიყვანა ხონთქრის კარზე ათაბაგობის მაძიებელი ქაიხოსრო. სულთნის კარზე კარგად იცნობდნენ სამცხეში მომხდარ ამბებს. ეს გარემოება პორტას საშუალებას აძლევდა უფრო აქტიურად ჩარეულიყო მის შინაურ საქმეებში. სწორედ ამ დროიდან დაიწყეს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგის ტერიტორიის ფართო მასშტაბით დაპყრობა. სულთანი სულეიმანი სიამოვნებით გამოვიდა შემოხვეწილი ქაიხოსროს "მფარველის" როლში, რადგან კარგად ესმოდა, რომ ოსმალთა დახმარებით ქაიხოსროს გაათაბაგება სამცხეში გააძლიერებდა მათ გავლენას (183,56-58).

ქაიხოსროს თხოვნით სულეიმან I-მა არზრუმის მმართველი მუსტაფა ფაშა დიდი ლაშქრით ბაგრატის წინააღმდეგ გამოგზავნა. ეს ჯარი ტაოში შემოიჭრა და საშინლად

ააოხრა იქაურობა. მეფე ბაგრატი ამ შემთხვევას ელოდა და მტერს მომზადებული დახვდა. მან შეკრიბა იმერთა ჯარი, თან დადიანს და გურიელს მიმართა დასახმარებლად. კრიტიკულ მომენტში, როდესაც ქვეყნის ბედი წყდებოდა, თავი იჩინა ფეოდალურმა სეპარატიზმმა. როსტომ გურიელი (1534-1564) გამოცხადდა მეფესთან. ლევან I-მა დადიანმა (1533-1572) განაწყენებულმა იმით, რომ მეფემ 1535 წ. აჭარა და ჭანეთი გურიელს გადასცა, ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიიღო. მიუხედავად საშინაო მდგომარეობის ასეთი გართულებისა, ბაგრატ მეფემ და გურიელმა 1543 წელს მტერზე ქარაღაქთან სრული გამარჯვება მოიპოვეს (8,498.21,358.23,713,812.27,53.40,5.51,30,33,39,43,55.83,386.93,43.102,27-28).

ამრიგად, ქაიხოსრო მის მომხრე მესხ თავადებთან და ოსმალთა ჯართან ერთად ამჯერად დამარცხდა. ამის შემდეგ საათაბაგო კიდევ ორი წელი – 1545 წლამდე – დარჩა იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში.

ქარაღაქთან მარცხის შემდეგ ქაიხოსრომ და ოთარ შალიკაშვილმა კვლავ სულთანს სთხოვეს დახმარება. მან დიდძალი ჯარით არზრუმისა და დიარბექირის ფაშები ქაიხოსროსთან და ოთართან ერთად საქართველოში გამოგზავნა. ბაგრატმა ისევ დადინსა და გურიელს სთხოვა დახმარება. გურიელი თავისი ჯარით კვლავ გამოცხადდა მეფესთან, დადიანმა ისევ უღალატა საერთო საქმეს და დახმარებაზე მეფეს უარი შეუთვალა. ბაგრატმა თავის სიძეს ლუარსაბ ქართლის მეფესაც სთხოვა შეწევნა. ამ უკანასკნელს გათვალისწინებული ჰქონდა ის დიდი უბედურება, რომელიც მოჰყვებოდა თურქთა გაბატონებას სამხრეთ საქართველოში, რაც საფრთხეს შეუქმნიდა არა მარტო იმერეთს, არამედ მთელ საქართველოს. ოსმალთა ამ ლაშქრობით მარტო სამცხე-საათაბაგოს, კი არა, არამედ მთელი ქვეყნის ბედი წყდებოდა. ამიტომ ლუარსაბმა დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი და ბაგრატს შეუერთდა. რა იყო ოდიშის მთავრის პასიურობის მიზეზი? შესაძლოა, რომ მას კავშირი ჰქონდა გაბმული ქაიხოსროსთან და ამიტომ არ დაეხმარა მეფე ბაგრატს სამცხისათვის ბრძოლაში. შესაძლოა ამიტომ იყო, რომ როდესაც ბაგრატმა დადიანი შეიპყრო და გელათში გამოჰკეტა, ქაიხოსრო ათაბაგის მოსყიდულმა ხოფილანდრე ჩხეიძემ გააპარა გელათის სამრეკლოში გამოკეტილი ლევან დადიანი და ახალციხეს გადაიყვანა. მოკავშირეთა გაერთიანებულ ჯარს მესხებიც შეუერთდნენ. ბრძოლა მოხდა 1545 წელს, ბასიანის მახლობლად, სოხოისტას ველზე.

ბრძოლის წინ ქართლისა და საათაბაგოს რაზმებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი. მესხები მოითხოვდნენ, რომ მეწინავეობა მათ ჰქონოდათ, ისე როგორც ძველად. როცა ამაზე უარი მიიღეს, მათ ბრძოლის ველი დატოვეს. მესხთა წასვლამ და მტრის რიცხობრივმა უპირატესობამ თავისი გაიტანა. სოხოისტას ველზე ქართველები დამარცხდნენ და დიდი ზარალი განიცადეს. ბევრი მეომარი დაიღუპა, მათ შორის როსტომ გურიელის ძე ქაიხოსრო. ამ მარცხის შედეგად ქაიხოსრომ ათაბაგობა მიიღო (8,498-500.21,358.23,403,713,811.83,387.93,43). ამრიგად, სამცხე-საათაბაგო იმერეთის სამეფოს ჩამოშორდა და მისგან დამოუკიდებელი გახდა.

სოხოისტას ველზე მესხთა ლაშქრის მოქმედებას გ. ტივაძე იმით ხსნის, რომ იმდროინდელი სამცხის მესვეურები პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს გაერთიანების ინიციატორობაზე (194,131).

ს. ხოსიტაშვილი ამასთან დაკავშირებით სრულიად საპირისპირო აზრს ავითარებს. ის აღნიშნავს, რომ სამცხე-ცაათაბაგოს პოლიტიკურ მესვეურებს არ შეიძლება პრეტენზია ჰქონოდათ დაშლილ-დანაწევრებულ საქართველოს გაერთიანების მებაირახტრედ და ინიციატორად გამოსულიყვნენ. პირიქით, ამ მხარის მმართველი ათაბაგები, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ საქართველოს ერთიანობას გამოთიშვოდნენ და ცალკე პოლიტიკურ ერთეულად გამოეყოთ ეს კუთხე (218,182-185). მესხთა ეს მოქმედება შესაძლოა ქაიხისროსთან ყოფილიყო კავშირში და მათი პრეტენზიაც მეწინავეობაზე, საბაბი ყოფილიყო ბრძოლოდან გამოთიშვისათვის.

სოხოისტას ველზე გამარჯვების შემდეგ ოსმალებმა ათაბაგად დასვეს ქაიხოსრო II (1545-1573). ამავე დროს მათ დაიკავეს სამცხე-საათაბაგოს ციხეები (8,498-500.23,713-714.). ამგვარად, ქაიხოსრო II-ის გაათაბაგების შემდეგ მათ მყარად მოიკიდეს ფეხი საათაბაგოში, განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში. ამიერიდან მტერს სამცხეზე გავლით ქვეყნის შიდა რეგიონებში შემოსასვლელად წინ არაფერი ეღობებოდა.

ბაგრატ მეფე ვერ ურიგდებოდა სამცხე-საათაბაგოს დაკარგვას, ამიტომ სოხოისტას ბრძოლიდან ერთი წლის შემდეგ მან ისევ სცადა მისი უკან დაბრუნება, მაგრამ ეს მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. “მან ვერღარა დაიპყრო სამცხე, ვინაითგან ციხენი სრულიად დაეპყრა ოსმალთა” (23,813). ქაიხოსრო ათაბაგის დამორჩილება უკვე

ადვილი აღარ იყო, ისე როგორც ათი წლის წინათ. მაშინ ათაბაგი მარტო სეპარატისტ ფეოდალებთან ერთად აღმოჩნდა ბაგრატისა და მისი მოკავშირეების პირისპირ – ახლა კი მას ზურგს ოსმალები უმაგრებდნენ, რომელთა მეშვეობითაც მან დაკარგული სამკვიდრო მამული დაიბრუნა. ამიერიდან სამცხის მთავარი იმერეთის მეფის წინააღმდეგ დადიან-გურიელის დამხმარე და დამრაზმავ ძალად იქცა, რაზეც დაწვრილებით ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი.

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, მოიკიდეს თუ არა ფეხი ისმალებმა სამცხეში, მაშინვე გამოამჟღავნეს მათ თავიანთი ნამდვილი ზრახვები ამ კუთხის მიმართ. "ათაბაგის მფარველნი" შეუდგნენ სამცხის სრულ დაპყრობა-დამორჩილებას; "გარნა ოსმალთა წესის მათისაებრ იწყეს მძლავრება ქვეყანათა" (23,714). ოსმალთა ამგვარმა პოლიტიკამ სამცხე-საათაბაგოს მიმართ მნიშვნელოვნად დაასუსტა ათაბაგის ხელისუფლება. ქაიხოსრო ათაბაგმა დაინახა, რომ მისი ქვეყანა სერიოზული საფრთხის წინაშე იმყოფებოდა (183,67). საჭირო ყო ოსმალთა ბატონობისაგან განთავისუფლების გზის ძიება. ცხადია, რომ მათ წინააღმდეგ ბრძოლაში ათაბაგის საუკეთესო მოკავშირეები იქნებოდნენ ქართლისა და იმერეთის მეფეები, მაგრამ მათზე დაყრდნობა მას არ შეეძლო, რადგან ეშონიდა, რომ ოსმალთა წინააღმდეგ მოსული ქართველი მეფეები სამცხეს თვითონ შეიერთებდნენ.

ასეთ ვითარებაში ქაიხოსრო ათაბაგი დაუახლოვდა ირანს, რომელიც ოსმალეთისაგან განსხვავებით ამ პერიოდში სამცხის ინკორპორაციას არ ისახავდა მიზნად. "სამცხე-საათაბაგოს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა ირან-ოსმალეთის ქიშპში. ოსმალეთისათვის ეს იყო კარიბჭე, სადაც ბატონობა მას საშუალებას აძლევდა უმოკლესი გზით შეეყვანა ჯარები აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში და ჩრდილოეთ ირანში. ირანისათვის კი სამხრეთ საქართველოში ბატონობა ნიშნავდა მარჯვე პოზიციას ოსმალთთან ომში" (189,131). ამიტომ ორან-ოსმალეთის ომის მსვლელობაში ქაიხოსროს პოზიცია შაჰისათვის მეტად ხელსაყრელი იყო. ეს ის დროა, XVI ს-ის 40-იანი წლები, როდესაც ირანთან ომში გარკვეული წარმატებების მიღწევის შემდეგ სულთანმა სულეიმანმა განაახლა სამხედრო ოპერაციები ევროპაში (130,84).

ათაბაგმა შაჰ-თამაზს დახმარება სთხოვა. შაჰი ათაბაგის თხოვნას დაუყოვნებლივ გამოეხმაურა. მას მოსვენებას არც ლუარსაბ ქართლის მეფე აძლევდა. ასე რომ შაჰ-თამაზს ხელსაყრელი დრო ჰქონდა საქართველოში სალაშქროდ.

1547 წლის იანვარში ის დიდი ჯარით საქართველოში შემოვიდა. მან ჯერ მოარბია ჯავახეთი და შემდეგ ქვემო ქართლიც დალაშქრა, რის შემდეგაც ნადავლით დატვირთული მტერი უკან გაბრუნდა. უკან გაბრუნებულ შაჰს იმერეთის მეფე ბაგრატი და კახეთის მეფე ლევანი ეახლენ. შაჰმა ისინი უხვად დაასაჩუქრა და თავიანთ სამეფოებში გამოისტუმრა (25,26-27.33,17.39.7.102.25-26).

ამით ბაგრატს ოსმალთა წინააღმდეგ, რომელნიც დასავლეთ საქართველოსათვის განსაკუთრებით დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ, ირანელთა გამოყენება უნდოდა, ხოლო ლევანს კახეთის სამეფოს ირანელთა ლაშქრობისაგან დაცვის სურვილი ამოძრავებდა.

1547 წელს სულთანმა სულეიმან I-მა ზავი დადო ავსტრიის იმპერატორთან და უნგრეთის მეფესთან და ირანის წინააღმდეგ ომი განაახლა. შაჰ-თამაზმა უკან დახევის ტაქტიკა აირჩია, რომლის დროსაც მისი ლაშქარი აპარტახებდნენ ყველა იმ ქვეყანას, რომელიც ომის უშუალო, ან შესაძლო ასპარეზი გახდებოდა, რასაც შაჰს ოსმალთა სამხედრო უპირატესობა აიძულებდა და რის შედეგადაც ოსმალეთის ლაშქრის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. ისინი რაც უფრო მიიწევდნენ წინ ირანის საზღვრებისაკენ, მით უფრო მეტად განიცდიდნენ სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას. ოსმალებმა უბრძოლველად აიღეს ირანის დედაქალაქი თავრიზი. სურსათის ნეკლებობის გამო ისინი წინ ვერ წავიდნენ და თავრიზიდან უკან გამობრუნდნენ (183,59-62).

ირან-ოსმალეთის ომის განახლებისას ოსმალთაგან შევიწროებულმა ქაიხოსრო ათაბაგმა ისევ ირანის მხარე დაიჭირა, ამიტომ სულთანმა სულეიმანმა არზრუმის მეჰმედ ფაშა გამოგზავნა საათაბაგოში ჯარით. მათ რიგი ციხე-ქალაქები დაიპყრეს. მესხები იარაღს არ ყრიდნენ. სულთანმა საქართველოში ლაშქარი ისევ გამოგზავნა მეორე ვეზირის აჰმედ ფაშას მეთაურობით (30,26-28.90,59).

ამგვარად, ქართველების ბრძოლა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ სამცხეში ოსმალთა ახალი ლაშქრობის მიზეზი გახდა.

ოსმალები საქართველოს დაპყრობილ ტერიტორიაზე თავიანთი მართვა-გამგებლობისა და სოციალურ-ეკონომიკური სისტემის დანერგვას შეუდგნენ და აქ არსებული ქართული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის გაუქმება დაიწყეს (183, 65-66).

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა ქიშპისა და მათი შეუთანხმებლობის წყალობით ოსმალებმა ააგეს გონიოს ციხე და მასზე დაყრდნობით მალე ჭანეთისა და ბათუმის ზღვისპირი დაიპყრეს (135,109-110). 1550 წელს ოსმალებმა ძირითადად დაასრულეს ტაოს დაპყრობა. 1551 წელს აზრუმის ისქანდერ-ფაშა არტანუჯის ციხეს შემოადგა, მაშინ შაჰ-თამაზი მესამედ შემოესია საქართველოს. ისქანდერ ფაშა იძულებული იყო ალყა მოეხსნა და უკან გაბრუნებულიყო (25,27.86,44-47.102,28-32).

ირან-ოსმალეთის პირველი ომის უკანასკნელ ეტაპზე, როცა ორივე აგრესორი არაფერს ზოგავდა იმისათვის, რომ საქართველოს დაუფლებოდნენ, ლუარსაბ I ენერგიულად განაგრძობდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ამიტომ სამცხის ფეოდალთა ერთი ნაწილი ქართლის მეფესთან დაახლოების მომხრენი იყვნენ, ზოგი მათგანი ათაბაგის წინააღმდეგ აშკარადაც კი გამოდიოდა. ლუარსაბი სათავეში ჩაუდგა ერთიანობისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ძალებს, რომლემაც კარგად იცოდნენ, რომ საქართველოს მთავარი საფრთხე სამცხე-საათაბაგოდან მოელოდა. ის, მისი მომხრე მესხი თავადების დახმარებით, გადმოვიდა სათაბაგოში და დაიკავა ჯავახეთი და კოლა-არტაანი (23,404,716).

1551 წელს შაჰ-თამაზმა ლევან კახთა მეფის დახმარებით შაქი აიღო, რითაც შაქის სახელმწიფოს პოლიტიკურ არსებობას ბოლო მოეღო და ის სეფიანების პროვინციად იქცა.

ყიზილბაშების მიერ ჯერ შირვანის (1538 წ.), შემდეგ კი შაქის (1551წ.) დაპყრობით XVI ს-ის I ნახევარში აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გაქრნენ საქართველოს ძველი საყმო ქვეყნები. ამრიგად, XVIს-ის შუა ხანისათვის "საქართველოები" (ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროები) მთელს ამიერკავკასიაში ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც არც "ყიზილბაშობა" იყო და არც "ოსმალობა". ყოველმხრივ მტრებით გარშემორტყმული ქვეყანა ფეოდალიზმის უმდაბლეს საფეხურზე მდგარი მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში მოექცა (138,59-60). "თუ ლეონ მეფე მთელი ამ საქმის შედეგს

ჩაუკვირდებოდა, მას უნდა ეგრძნო, რომ საქართველოს მდგომარეობა სპარსთა შაქში გაბატონებით წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო გაუარესდებოდა და ამიტომაც საზიანო იყო. მაგრამ ლევან მეფე ნაკლებად ზრუნავდა მთელ საქართველოსათვის. მისი ინტერესები საკუთარი სამეფოს ფარგლებს არ სცილდებოდა" (220,243) აღნიშნავს ი. ჯავახიშვილი. მან ამ საკუთარ ინტერესებს მთელი საქართველოს ინტერესები გადააყოლა. ლევან მეფემ რატომღაც ვერ გაითვალისწინა, რომ ლუარსაბის წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი მოქმედება არც კახეთისათვის იყო ხელსაყრელი. მას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ თუკი შაჰ-თამაზი ქართლს დაიმორჩილებდა, ამის შემდეგ ჯერი კახეთზე მიდგებოდა. შაჰისათვის ლევანის ფორმალური მორჩილება საკმარისი აღარ იქნებოდა და კახეთიც ქართლის ხვედრს გაიზიარებდა.

1551 წელს შაქში მყოფ შაჰს ქაიხოსრო II ათაბაგისაგან ცნობა მოუვიდა, რომ ლუარსაბმა სამცხე-საათაბაგოს ნაწილი დაიპყრო და თუ სასწრაფო ზომები არ იქნებოდა მიღებული, მთლიანად დაეუფლებოდა მას. ამას მოჰყვა შაჰ-თამაზის ლაშქრის მესამედ შემოსვლა საქართველოში. 1551 წელს შაჰ-თამაზი მრავალრიცხოვანი ლაშქრით სამცხეში შევიდა. აქედან ის ქართლში გადავიდა, საიდანაც გამოსაზამთრებლად ყარაბაღში გაბრუნდა (8,506.23,407.716-717.33,18-19.102,26-31).

ამრიგად, ქაიხოსრო ათაბაგმა შაჰ-თამაზის დახმარებით სამცხეში თავისი მოწინააღმდეგენი დაამარცხა და ამით გაიუმჯობესა თავისი მდგომარეობა.

1554 წელს შაჰ-თამაზმა საქართველოში მეოთხედ ილაშქრა და ქართლის ზოგი ციხე-სიმაგრეები დაიკავა. (23,404-405.25,27-28.33,20-21.86,173. 93,44.102,32-34).

ირან-ოსმალეთის პირველი ომის (1514-1555) მთავარი ასპარეზი ამიერკავკასიის ქვეყნები (საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი) იყო, ორივე მხრიდან ომი შეუბრალებელი სისატიკით წარმოებდა. ირანელებიც და ოსმალებიც სიცოცხლის ნიშან-წყალს არ ტოვებდნენ, სადაც გაივლიდნენ (128,112.189,313).

1555 წელს 29 მაისს ქ. ამასიაში (მცირე აზიაში) გაფორმდა ირან-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება, რომლითაც დადასტურდა 1554 წლის არზრუმის 21 სექტემბრის დროებით შეთანხმების პირობები (207,314-320). ამით ირან-ოსმალეთის პირველი ომი, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში - 1514-1555 წწ. მიმდინარეობდა, დასრულდა. ამ ზავმა ასახა ორი აგრესორის მიერ მეზობელი ქვეყნების

წინააღმდეგ გაჩაღებულ ომებში მოპოვებული წარმატებები. მაგრამ 1555 წლის ზავი არ ნიშნავდა ირანისა და ოსმალეთის აგრესიის დასასრულს. ის იქცა მათი დაპყრობითი პოლიტიკის ამოსავალ პუნქტად. 1555 წლის საზავო ხელშეკრულება ნიშნავდა არა ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობათა გადაჭრას, არამედ მათი არსებობის დოკუმენტურ ასახვას (183,79.209,243-244).

ამ ზავის მიხედვით ოსმალებს ერგო იმერეთის სამეფო გურია-სამგრელოს სამთავროებით და სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი – ტაო, შავშეთი, კლარჯეთი (ჭოროხის აუზი), ირანს – ქართლისა და კახეთის სამეფოები და სამცხე-საათაბგოს აღმოსავლეთი ნაწილი (მტკვრის აუზი). სეფიანებმა შეინარჩუნეს მთელი აზერბაიჯანი და სომხეთის აღმოსავლეთი ნაწილი. სომხეთისავე დასავლეთი კი (ვანის ტბის რაიონი) თურქეთს ერგო, სასაზღვრო ზონა – ყარსის ოლქი - გაუკაცრიელებული უნდა ყოფილიყო. მისი მოსახლეობა ირანში უნდა გადაესახლებინა, ყარსის ციხე-სიმაგრე მიწასთან იქნა გასწორებული (134,113).

ირან-ოსმალეთის 1555 წლის სამშვიდობო ხელშეკრულების მთავარი დიპლომატიური ფორმულა იყო; ირანი ცნობდა ოსმალეთის უფლებას დასავლეთ საქართველოზე, ოსმალეთი კი ირანის უფლებას აღმოსავლეთ საქართველოზე, მესხეთიც გავლენის სფეროებად იყო განაწილებული. ეს დიპლომატიური ფორმულა ირან-ოსმალეთისათვის ომის შეწყვეტის მთავარ პირობად ითვლებოდა მთელ XVI-XVII სს-ში. ამასიაში დადებული საზავო ხელშეკრულების მონაწილე არც ერთი მხარე მიღწეულით კმაყოფილი არ იყო, "გურჯისტანის საკითხი" ფაქტიურად გადაუწყვეტელი რჩებოდა. მარტო ის რად ღირდა, რომ განაწილებული ქვეყნის დიდი ნაწილი აგრესორებს ჯერ ისევ დაუპყრობელი ჰქონდათ (128,67-68.129,67-69.208,335-336). ამასიის ზავის ეს პირობები ნიშნავდა ქვეყნის ხელოვნურად გაყოფას ორ ნაწილად, რაც მომავალში ქართული სამეფოების გაერთიანებას გამორიცხავდა (სანამ ამ ზავის პირობები ძალაში იყო) და აღრმავებდა ქვეყნის პოლიტიკურ დაშლილობას.

ამ ზავით დაიწყო ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი. სანამ ირანი და ოსმალეთი იცავდნენ 1555 წლის საზავო ხელშეკრულების პირობებს, დამოუკიდებლობისათავის მებრძოლი ქართული სამეფოები მთლიანად დამოკიდებელნი დარჩნენ საკუთარ სუსტ ძალებზე (235,94).

სხვა ქართველი მეფე-მთავრები ასე თუ ისე შეურიგდნენ შექმნილ მდგომარეობას, ქართლის მეფე ლუარსაბი ბრძოლას ისევ განაგრძობდა. ამასთან დაკავშირებით ფარსადან გოგიჯანიძე გვამცნობებს: "ამ გაყოფას (იგულისხმება ამასიის ზავის შედეგად საქართველოს გაყოფა ირან-ოსმალეთს შორის) სრულ საქართველოს მეფეები დასჯერდნენ, მაგრამ მეფე ლუარსაბ არ ჯერიყო, და კიდეც თაკილობდა. ამისთვის უფრო ურჩობდა და აქეთ ერანის თემსა და იქით ურუმის ქვეყანასა არბევდის"(39,7). ლუარსაბმა თანდათანობით შესძლო შიდა და ქვემო ქართლის ციხე-სიმაგრეების დაბრუნება. მან თბილისის ყიზილბაშური გარნიზონიც შეავიწროვა. ლუარსაბის მიერ შევიწროებულმა თბილისის ციხის ყიზილბაშურმა გარნიზონმა ყარაბაღის მმართველს, რომელსაც შაჰისაგან დავალებული ჰქონდა თბილისის დაცვა, სთხოვეს დახმარება.

1556 წელს ყარაბაღის მმართველი შაჰ-ვერდი სულთანი დიდი ჯარით ლუარსაბის წინააღმდეგ წამოვიდა. ბრძოლა მოხდა გარისთან, ქციის (ხრამის) ხეობაში. ქართველთა ლაშქარმა სიმონ ბატონიშვილის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ ეს ბრძოლა ლუარსაბ მეფისათვის საბედისწერო აღმოჩნდა. გორაკზე მდგარი მოხუცი მეფე, რომელიც თვალს ადევნებდა ბრძოლის მიმდინარეობას, მტრის ერთ-ერთ გაქცეულ რაზმთან შეტაკებას შეეწირა (8,517-518.21,371-372.23,405-406.23,22.61,340-341.83,400.93,44.102,35). ასე დაასრულა თავისი ლამაზი სიცოცხლე სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლმა მეფემ. გმირი მეფის ცხედარი მცხეთაში დაკრძალეს.

ქართლის სამეფო ლუარსაბის მეთაურობით შეუპოვრად იბრძოდა ირანელ და ოსმალო დამპყობლების წინააღმდეგ. უთანასწორო ბრძოლაში ქართველებმა ბევრი ზარალი ნახეს, მაგრამ მტერს არ დანებდნენ. ირანის შაჰმა თამაზმა ყველა ღონე იხმარა ლუარსაბის დასამორჩილებლად (მან მის წინააღმდეგ ოთხჯერ პირადად ილაშქრა საქართველოში,) მაგრამ ამ სწორუპოვარ მებრძოლს ქედი ვერ მოახრევინა.

თავი IV

ბაგრატ ალექსანდრეს ძის ბრძოლა დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონობისათვის

მესხეთში განცდილი მარცხის მიუხედავად, დაშლილი ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა დასავლეთ საქართველოში კვლავ გრძელდებოდა.

ბაგრატ III-ის მეფობის დასაწყისში დასავლეთ საქართველოს მთავრები სცნობდნენ იმერეთის მეფის უზენაესობას და ემორჩილებოდნენ მას, "არამედ დადიან-გურულისა ეპყრათ საზღვარნი თვისნი და იყვნენ მორჩილებისა ბაგრატ მეფისასა" (23, 808). მაგრამ ეს "მორჩილება" ხანმოკლე აღმოჩნდა. ფეოდალური დაშლის პროცესი ქვეყანაში (ამ შემთხვევაში საუბარია დასავლეთ საქართველოზე) შეუქცევად ხასიათს იღებდა. განკერძოებისაკენ ბრძოლაში განსაკუთრებით სამცხის ათაბაგებმა გამოიჩინეს თავი, ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ერთიან ქართულ ორგანიზმს ჩამოსცილებოდნენ და დამოუკიდებლობა მოეპოვებინათ. ამ საკითხზე ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ და სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, შევნიშნავთ მხოლოდ მოკლედ. როგორც აღნიშნული გვქონდა, ბაგრატ III (1510-1565) არ სცნობდა სამცხის ათაბაგის დამოუკიდებლობას. სამცხეც მას თავისთვის სამკვიდროდ მიაჩნდა. ამიტომ იყო, რომ ბაგრატი სამცხის ათაბაგთა სწრაფვას განკერძოებისაკენ წინ აღუდგა. მან შესძლო სამცხე-საათაბაგოს იმერეთის სამეფოსათვის შემოერთებაც, მაგრამ ეს ერთიანობა ხანმოკლე აღმოჩნდა, მხოლოდ ათი წელი (1535-1545) დაჰყო საათაბაგომ იმერეთის სამეფოს შემადგენლობაში. საგარეო მტრის (ოსმალეთის) შემოტევამ და საშინაო მდგომარეობის გართულებამ, მეფე-მთავრებს შორის არსებულმა წინააღმდეგობამ ხელი შეუწყო იმერეთ-სამცხის გაერთიანების დარღვევას. ამის შემდეგ საათაბაგო დამოუკიდებელი გახდა ქართველ მეფეთაგან. ეს "დამოუკიდებლობა" ძვირად დაუჯდათ ათაბაგებს. სწორედ ამ დროიდან იწყება ამ კუთხის ოსმალთა მიერ სრული ინკორპორაცია. სამცხე-საათაბაგოში გაბატონება ოსმალებს უადვილებდა ბრძოლას საქართველოს სხვა კუთხეებისათვისაც.

იმერეთის მეფისადმი გურიისა და ოდიშის (სამეგრელოს) მთავრების მორჩილება არ აღმოჩნდა "საუკუნო". ისინი ცდილობდნენ ამ "მორჩილებისაგან" თავის დაღწევას. მეფე ბაგრატი ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ მთავართა ძალების გაერთიანება არ დაეშვა. მურჯახეთის ომის შემდეგ აჭარა და ჭანეთი, რომელიც მანამდე მზეჭაბუკ ათაბაგმა გურიელს წაართვა, მეფემ ისევ დაუბრუნა ძველ პატრონს. ლევან I დადიანს ესმოდა, რომ მეფის ეს ნაბიჯი მის წინააღმდეგ იყო მიმართული და აშკარად

გადაუდგა ბაგრატს. თუ აქამდე ოდიშის მთავარი სცნობდა იმერეთის მეფის უზენაესობას, ამის შემდეგ ლევანის დამოკიდებულება იმერეთის სამეფო კარისადმი რადიკალურად შეიცვალა.

სამეგრელოს სამთავროს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება იმერეთის სამეფოსაგან, ბაგრატ III-ის საშინაო პოლიტიკის დიდი მარცხი იყო. სოხოისტას ბრძოლის შემდეგ, ბაგრატ იმერთა მეფე დარწმუნდა, რომ ქვეყანაში არსებული აშლილობის პირობებში გარეშეE მტერთან ბრძოლას წარმატება არ მოჰყვებოდა. ამიტომ მან გადაწყვიტა მთავრების დამორჩილება და მათი სამფლობელოების იმერეთის სამეფოსთან შეერთება. ამ განზრახვით 1546 წელს ბაგრატმა ხონის ჭალაში ლევან დადიანი მოიხმო ვითომც სანადიროდ. მოსული მთავარი მეფემ შეიპყრო და ეს ამბავი როსტომ გურიელს (1534-1564) აცნობა. ბაგრატმა მოუწოდა მას ერთად ელაშქრა ოდიშში და დადიანის სამფლობელო გაეყოთ. ამით ბაგრატს გურიელის ხელში ჩაგდებაც სურდა. დადიანი-გურიელის დატყვევების შემდეგ მეფის მიზანი ამ სამთავროების გაუქმება იყო, რათა "ჰყოს ყოველი იმერეთის ერთ საბრძანებლად, ვითარცა პირველი". გურიელმა საფრთხე იგრძნო და მეფის ჩანაფიქრი გამოიცნო. ამიტომ ის ბაგრატს არ ეახლა და მოიმიზეზა, ათაბაგი და ოსმალნი ჩვენს ქვეყანას ემუქრებიან და ამის გამო მოსვლა არ შემიძლიაო, თან ურჩია დადიანი ფიცით შემოემტკიცებინა და გაეთავისუფლებინა.

მეფე მიუხვდა განზრახვას თავის ყმას. რაკი ჩანაფიქრი სისრულეში ვერ მოიყვანა, განრისხებულმა ბაგრატმა ლევან დადიანი გელათის სამრეკლოში გამოჰკეტა (8,501.21,389.23,813).

მეფისა და დადიან-გურიელის კონფლიქტში აქტიურად ჩაერია სამცხის ათაბაგი ქაიხოსრო II. მას კარგად ესმოდა, რომ თუკი მთავრებთან ბრძოლაში მეფე წარმატებას მიაღწევდა, გაძლიერებული ბაგრატი სამცხისათვის ბრძოლას ისევ განაახლებდა. ეს კი ათაბაგისათვის მიუღებელი იყო. ამიტომ მან მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში მთავრების მხარე დაიჭირა. ამასთან, ათაბაგს ახსოვდა ის თანადგომა, რაც ნებით თუ უნებლიეთ დადიანმა გამოიჩინა მის მიმართ (ის იმერეთის მეფეს ორგზის არ გაჰყვა სამცხისათვის ბრძოლაში – 1543 წლის ქარაღაქისა და 1545 წლის სოხოისტას ბრძოლებში). ათაბაგმა ლევან დადიანის მცველთა უფროსად გამწესებული ხოფილანდრე ჩხეიძე მოისყიდა,

რომლის დახმარებითაც დადიანი გელათის სამრეკლოდან გამოაპარა და ახალციხეს გადაიყვანა.

ქაიხოსრო ათაბაგმა გადაწყვიტა დაევიწყა ძველი მტრობა გურიელთან და დაეზავა მას. მათ ერთობლივი ძალით ლევან დადიანი ოდიშში გადაიყვანეს და ისევ მთავრად დასვეს (8,501.21,389.23,711,813). ასე რომ XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან გურიისა და ოდიშის სამთავროები ფაქტიურად იმერეთის სამეფოსაგან დამოუკიდებელნი გახდნენ (144,202-205). ამრიგად, მთავრებთან ბრძოლაში ბაგრატ III დამარცხდა. ამას შედეგად მოჰყვა ცენტრალური ხელისუფლების დასუსტება და გაძლიერებული მთავრების განკერძოება მეფის ხელისუფლებისაგან.

მთავრობასთან ბრძოლაში დამარცხების მიუხედავად ბაგრატ III ისევ განაგრძობდა ბრძოლას დასავლეთ საქართველოში პოლიტიკური ჰეგემონობის აღდგენისათვის. მან მაინც მოახერხა დადიანისა და გურიელს შორის უთანხმოების ჩამოგდება, რაც ძვირად დაუჯდათ დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებს.

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ ოსმალები აქტიურად შეუდგნენ სამცხე-საათაბაგოს დაპყრობას. საათაბაგოს პარალელურად ისინი ცდილობდნენ ჭანეთ-გურიის დაპყრობასაც. ჭანეთის დაკავების შემდეგ ოსმალები გურიაში შეიჭრნენ და ბათუმში ციხე-სიმაგრის შენება დაიწყეს. შემოსული მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გურიელმა დახმარება სთხოვა ლევან დადიანს და ბაგრატ III-ს; "უკეთუ მძლონ მე, მოიწევიან თქვენზედაც" (8,501.21,389.23,711,813-814). დადიანი მაშინვე გაემართა ჯარით გურიელის მისაშველებლად. ბაგრატმა 500 მხედრით გაგზავნა თავისი ძმა ვახტანგი. იმერეთის მეფე გამდგარი დადიან-გურიელის შეერთებაში მისთვის საფრთხეს ხედავდა. ამიტომ საიდუმლოდ დაავალა ვახტანგს, რათა არ დაეშვა დადიანის ლაშქრის გურიელთან შეერთება.

დადიანისა და მეფის დამხმარე ჯარის მისვლამდე როსტომ გურიელი შეებრძოლა მოძალებულ მტერს და წარმატებასაც მიაღწია. მან მტერი ჭოროხის გაღმა გადარეკა. ჭოროხი ადიდებული იყო, გურიელს ნავები არ ჰქონდა და მდინარეზე ვერ გადავიდა. ოსმალები კი შეუდგნენ ციხის შენებას გონიოში. ამასობაში დადიანი ოდიშ-აფხაზთა ჯარითა და კატარღებით ფოთს მისულიყო და სალაშქროდ ემზადებოდა. ამ დროს საჯავახოში მდგარმა ვახტანგმა დადიანს შეუთვალა; "ვინაითგან ვარ ფუცებული შენდა

აწ უწყოდე: თუმცა შეიკრიბნეთ შენ და გურიელი, აქვს გურიელისაგან პირი ძმასა ჩემსა, დაგესხმის იგი, მოგაკუდიანებენ, ანუ შეგიპყრობენ” (23,814). ვახტანგ ბატონიშვილმა ძმის დავალება წარმატებით შეასრულა. დადიანი მოტყუვდა, ყოველივე დაიჯერა და უკან გაბრუნდა. ოსმალებმა ააგეს გონიოს ციხე და მასზე დაყრდნობით მალე ჭანეთისა და ბათუმის ზღვისპირეთი დაიპყრეს (8,501-502.23,814).

ამრიგად, მეფე-მთავართა შორის გათიშულობამ ხელი შეუწყო ოსმალებს წარმატებით განეხორციელებინათ თავიანთი დაპყრობები ზღვისპირა რეგიონში, რაც საფრთხეს უქმნიდა მთელ დასავლეთ საქართველოს.

ამიერიდან ურთიერთზე განაწყენებული მთავრები რიგ-რიგობით მიდიოდნენ გონიოს ციხეში მყოფ ოსმალებთან და გამოუძღვებოდნენ ხოლმე მეზობლის დასარბევად. ამას ისინი სიამოვნებით აკეთებდნენ, ვინაიდან მეფე-მთავართა კინკლაობით ხელს უკეთ ითბობდნენ (173,63).

ბაგრატ III-მ XVI საუკუნის შუა ხანებში გაატარა საეკლესიო რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავდა მსხვილი საეკლესიო კათედრების დაქუცმაცებას წვრილ პატარა საეპისკოპოსოებად. ეს უკანასკნელნი უფრო ადვილად დასამორჩილებელნი იქნებოდნენ. სამეფო ხელისუფლების სიმტკიცისა და ავტორიტეტის ასამაღლებლად ბაგრატ III-მ XVI ს-ის 50-იან წლებში საერთო ქართული მასშტაბის საეკლესიო კრება მოიწვია, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ქართლის კათალიკოსი მალაქია და აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე. კრებამ შეიმუშავა დოკუმენტი – “სამართალი კათალიკოზისა”, რომელშიც აისახა ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა (38,3-7). ბაგრატ III-ის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო საკათალიკოზო ტახტის გადმოტანა ბიჭვინთიდან გელათში.

წყაროებში ზუსტი თარიღი ბიჭვინთიდან საკათალიკოსო ტახტის გადმოტანისა არ მოგვეპოვება. წერილობითი წყაროებისა და იმდროინდელი სიგელ-გუჯრების განხილვის საფუძველზე ბიჭვინთიდან გელათში კათალიკოსის გადმოსვლის თარიღად დადებულია დროის მონაკვეთი 1545-დან 1569 წლამდე. ბაგრატმა პირველ რიგში აღადგინა ძველი და შემდეგ შექმნა ახალი საკათალიკოსო კათედრები, რომელთა გამგებლად თავისი მომხრეები დანიშნა (152,178-179).

რა იყო მიზეზი იმისა, რომ კათალიკოსმა ბიჭვინთა დატოვა? ბაგრატ III ენერგიულად ცდილობდა, რომ ეკლესია გაეძლიერებინა, ვინაიდან იგი მეფის ხელისუფლების ერთგული იყო და ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის ბრძოლაში მეფეს გვერდში ედგა. ამიტომ კათალიკოსის გადმოსვლა მეფის ერთ-ერთი ღონისძიება იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ცენტრალურ ხელისუფლების გაძლიერებას ეკლესიის მოკავშირეობით. მაგრამ მარტო ამით არ შეიძლება აიხსნას კათალიკოსის ტახტის გადმონაცვლება. საეკლესიო ცენტრის გადატანა გელათში და ბიჭვინთის დაცარიელება მაუწყებელი იყო ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი მნიშვნელოვანი ცვლილებებისა (152,178-180).

პოლიტიკურად დაქუცმაცებულ დასავლეთ საქართველოში, სადაც მეფე-მთავრები გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს, ხოლო მეფის მომხრე ეკლესიის უმაღლესი მესაჭის ადგილ-სამყოფელი მოქცეული იყო ისეთ კუთხეში, სადაც ოსმალეთის უფლება აღიარებული იყო იმერეთის მეფის საპირისპიროდ, კათალიკოსის მიერ ბიჭვინთიდან ეკლესიის მართვა და მეფესთან კავშირი შეუძლებელი იქნებოდა. ბიჭვინთის კათალიკოსის ცენტრთან მოახლოება უეჭველია ერთგვარი გამოხატულება იყო ბაგრატ მეფის საეკლესიო პოლიტიკისა, რომელიც გულისხმობდა ეკლესიის, როგორც დასაყრდენი ძალის გაძლიერებას ურჩი მთავრების წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მხრივ, ოსმალებისა თუ მათი გავლენის ქვეშ მყოფი ტომების შემოტევამ აფხაზეთზე, უეჭველია შეაფერხა ქრისტიანული მრევლისა და მასთან ერთად საკათალიკოსო საყმოს ნორმალური განვითარება აფხაზეთში. ყოველივე ამან იძულებული გახადა კათალიკოსი ევდემონ ჩხეტიძე დაეტოვებინა ბიჭვინთა, როგორც მუდმივი სამყოფელი და გადმოენაცვლა გელათში – პოლიტიკურ ცენტრში (მიუხედავად ამისა დასავლეთ საქართველოს საეკლესიო მთლიანობა მაინც არ დარღვეულა. აფხაზეთი კვლავ გელათის საკათალიკოსოს შემადგენლად ითვლებოდა).

საეკლესიო მოღვაწენი განუხრელად იდგნენ იმერეთის მეფის მხარეზე და შეძლებისდაგვარად ებრძოდნენ ფეოდალთა აღვირახსნილობას სამეფო კართან ერთად. ეს იქედანაც ჩანს, რომ როდესაც ბაგრატ III-მ მოიწვია საეკლესიო კრება, დღის წესრიგში დააყენა ყველაზე მტკივნეული საკითხი, ტყვის სყიდვის აკრძალვა, რომელმაც XVI ს-ში საგანგაშო ხასიათი მიიღო (152,211). სასულიერო პირები მეფესთან ერთად

შეებრძოლნენ ამ საშინელ სენს, რის შედეგადაც ქვეყანა ხალხისაგან იცლებოდა. საეკლესიო კრებაზე მიღებული დადგენილებით "ტყვის მსყიდველნი" სიკვდილით ისჯებოდნენ. მიღებულმა ღონისძიებებმა შეასუსტა ტყვის სყიდვა, რომელიც საზოგადოების თითქმის ყველა ფენას მოსდებოდა. მაგრამ საბოლოოდ მისი აღკვეთა შეუძლებელი გახდა, რადგან ოსმალეთის მთავრობა ყოველმხრივ უწყობდა ხელს ადამიანებით ვაჭრობის გაფართოებას.

1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ ოსმალეთი სისტემატურად არბევდა დასავლეთ საქართველოს. საშინაო და საგარეო მდგომარეობის გართულებამ ამასიის ზავის შემდეგ მეფე ბაგრატი აიძულა ოსმალეთის ვასლობა მიეღო და ხარკი ეძლია, რომლის ნაწილს ქალ-ვაჟნი შეადგენდნენ.

ამრიგად, ბაგრატ მეფის ცდა, მთავრები დაემორჩილებინა და დასავლეთ საქართველო ერთ მთლიან საბრძანებლად ექცია, მარცხით დამთავრდა. მეფე-მთავართა ბრძოლით გამოწვეულმა საშინაო მდგომარეობის გართულებამ და ოსმალთა მომძლავრებამ დასავლეთ საქართველო მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

თავი V

საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენის პრობლემა და სიმონ I

1556 წელს ქართლის სამეფო ტახტზე ლუარსაბ I-ის 19 წლის შვილი სიმონი (1556-1569, 1578-1600) ავიდა. ისევე როგორც მისი წინამორბედი მეფეები, ისიც თავის თავს "მეფედ მეფესა"(19,23-24.82,1-2,4,7,9,11,13,15-16) და "სრულიად საქართველოს მპყრობელს" უწოდებსა, ...ჩნ... აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, მესხთა, შარვანშა და შანშა... მპყობელ–მქონებელმან მეფეთ-მეფემან სიმონ''(83,408). ან კიდევ "აფხაზთა, ქართველთა, შანშთა და შარვანშთა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა და ყოვლისა საქართველოსა, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ორსავე თვითხელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთა-მეფეთამან სვიმონ" (იქვე). ზემოთ წარმოდგენილი ტიტულებიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ სიმონ I მხოლოდ ქართლის სამეფოს არ ჯერდებოდა და "ორსავე ტახტისა და სამეფოს" გაერთიანებისთვის ბრძოლას, რომელიც

ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის დაშლიდან (XV ს-ის ბოლო და XVI ს-ის დამდეგი) მოყოლებული სამივე ქართული სამეფოს (ქართლის, კახეთისა და იმერეთსი) მეფეთათვის აქტიურ პრობლემას წარმოადგენდა, აუცილებლად განაგრძობდა. რა თქმა უნდა ეს ტიტული ნომინალურ ხასიათს ატარებდა. ფაქტიურად სიმონ მეფე მხოლოდ ქართლის სამეფოს "მპყრობელ-მქონებელი" იყო. საქართველოს დანარჩენ ნაწილებს – სხვა "საქართველოებს" კი თავიანთი "მპყრობელ-მფლობელები" ჰყავდა.

სიმონს საკმაოდ რთულ და მძიმე პირობებში მოუხდა მეფობა. მრავალი წლის შეუწყვეტელი ომების შედეგად ქვეყანა განადგურებული იყო. ქართლის დედაქალაქი თბილისი ყიზილბაშებს ეჭირათ და მეფეთა რეზიდენცია ქ. გორში იყო გადატანილი. სიმონ მეფის უპირველეს ამოცანას ხშირი ომიანობით განადგურებული ქვეყნის აღდგენა-მოშენება წარმოადგენდა. 4-5 წლის განმავლობაში ქართლის მეფემ ამ მიმართულებით საგრძნობ წარმატებას მიაღწია.

სიმონი კარგად ხედავდა, რომ მტრის წინააღმდეგ წარმატებით ბრძოლისათვის საჭირო იყო ქართულ სამფლობელოებს შორის კავშირი. ამ მიმართულებით მან სათანადო ნაბიჯი გადადგა. 1559 წ. მან ცოლად შეირთო კახეთის მეფის ლევანის ასული ნესტან-დარეჯანი (23,406,575). ამ ქორწინებას პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. ეს ფაქტი თავისთავად მიუთითებდა აღმოსავლეთ საქართველოში ორი ქართული სამეფოს ანტიირანული კოალიციის შექმნაზე (155,159).

"კახთ ბატონის ლევან მეფის სიძობამ – აღნიშნავს დიდი ივანე – სიმონ მეფეს საშუალება მისცა საფრთხე არამც თუ მტრის შემოსევისაგან, კახეთის მხრიდანაც უზრუნველეყო და მისგან თავისი დიდი განზრახვის განსახორციელებლად მაშველი ჯარიც მიეღო" (220,258). რამ შეუწყო ხელი კახეთისა და ქართლის სამეფოს დაკავშირებას ირანის წინააღმდეგ? კახეთი ხომ ირანის ყმადნაფიცი სამეფო იყო? კახეთ-ირანის დამოკიდებულების ეს ფორმა ორივე მხრიდან გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. "შაჰ-თამაზისათვის ლევანის ვასალობა წარმოადგენდა არა ნებაყოფლობით ქცევას, არამედ ვითარებით ნაკარნახევ დიპლომატიურ ნაბიჯს, რომლის შედეგადაც კახეთი ყიზილბაშთა შემოსევებისაგან განზე რჩებოდა. მაგრამ კონკრეტულ სიტუაციაში გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო კახეთის მეფის "ერთგულების" ანტიირანულ საქმიანობით შეცვლა" (209,246). ეს გამოწვეული უნდა

ყოფილიყო ირანის სამეფო კარზე მყოფი კახელი უფლისწულის იესე ბატონიშვილის გამაჰმადიანებით, რომელსაც შაჰმა შაქის მმართველობა უბოძა (68,168-171). იესე ბატონიშვილის გამაჰმადიანებით შაჰი თავის მარიონეტს ამზადებდა კახეთის ტახტისათვის).

XVI ს-ის 50-იან წლების ბოლოსა და 60-იანი წლების დასაწყისში კახეთ-ირანის ურთიერთობის გამწვავების გამოვლინებას წარმოადგენდა ლევანის დანათესავება ირანის დაუძინებელ მოწინააღმდეგე ქართლის მეფე სიმონ I-თან (155,160).

სიმონი მთელი მონდომებით შეუდგა თბილისის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ორგანიზაციას. მის აქტიურ საბრძოლო მოქმედებას ყიზილბაშთა წინააღმდეგ ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ასე ახასიათებს: "ისიც მამის წესისამებრ ურჩობისა და წინააღმდეგობის გზას დაადგა"(33,23). მან თბილისისათვის ბრძოლაში დახმარება სთხოვა თავის მოკავშირე ლევანს. ეს უკანასკნელი ყოველთვის მოხერხებული დიპლომატიით მოქმედებდა. ახლაც, როდესაც კახეთ-ირანის ურთიერთობაში გარკვეულმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი, მაინც სიფრთხილე არჩია და თვითონ კი არ წამოვიდა, არამედ თავისი პირმშო გიორგი გამოგზავნა კახთა ჯარით, რომ შემდეგ, თუ კი საჭირო იქნებოდა, შაჰის წინაშე თავის გასასამართლებელი საბუთი ჰქონოდა. ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი 1561 წლის 6 აპრილს ციხედიდთან დამარცხდა. ამ ბრძოლაში მოკლეს კახელი უფლისწული გიორგი (8,510-511.21,367.23,487,575.33,28-29.39,8-9.93,44).

ციხედიდთან დამარცხების შემდეგ სიმონს მისი უმცროსი ძმა დავითი, რომელსაც ტახტის დაუფლების სურვილი ამოძრავებდა, განუდგა და მის მომხრე თავადებთან ერთად ყაზვინში შაჰ-თამაზს ეახლა, სადაც ის გამაჰმადიანდა და დაუდ-ხანი ეწოდა. შაჰმა მას "შვილის" წოდება მიანიჭა, თბილისისა და ქვემო ქართლის გამგებლად დანიშნა და საქართველოში გამოისტუმრა (8,512.21,367.23,407-408.25,27-28.33,23-24.39,9.42,198-102,37). როგორც ავღნიშნეთ შაჰმა დაუდ ხანს მთლიანი ქართლი კი არ გადასცა, არამედ "თბილისის ველაიეთი და ის ადგილები, რომელიც მაღალი დივნის მფლობელობაში იყო, მას უწყალობეს" (33,24) _ წერს ი. მუნში. ე.ი. მას ქვეყნის ის ნაწილი გადასცა, რომელსაც უშუალოდ ირანელები აკონტროლებდნენ. ქვეყნის

დანარჩენ ნაწილზე მას ხელი არ მიუწვდებოდა. ამრიგად, ქართლში ერთდროულად იჯდა ქრისტიანი სიმონი და გამაჰმადიანებული დაუდ-ხანი (1562-1578).

დაუდ-ხანი პირველი ქართველი მაჰმადიანი ხანი იყო, რომლის სახით ირანმა ქართლში ერთგული მოხელე გაიჩინა (125,149). მისთვის "შვილის" წოდების მინიჭება იმას ნიშნავდა, რომ შაჰი მას როგორც თავის მოხელეს, ისე უყურებდა (42,147). დაუდ-ხანი სპარსული სახელით იხსენიებდა თავის თავს მის მიერ გაცემულ სიგელში (62,საბ.[1]2116). აქედან გამომდინარე კარგად ჩანს, რომ ის თვითონაც შაჰის მოხელედ თვლიდა თავის თავს.

ი. მუნშის ცნობით პირველი ქართველი მაჰმადიანი მმართველის დაუდ-ხანის გვერდით დაუყოვნებლივ გაჩნდა პირველი ირანელი მეთვალყურე მოხელეც (33,24). ასე, რომ საერთო ირანული წესიდან გადახვევას არც ქართლში ჰქონდა ადგილი. როგორც უკვე ავღნიშნეთ, დაუდ-ხანს ქართლის ის ნაწილი გადასცეს, რომელიც "მაღალი დივნის მფლობელობაში იყო"(33,24). ამასთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში შენიშნულია, რომ დაუდ-ხანის დროს თბილისი და ქვემო ქართლის მიწები ირანელებმა პირველად აღწერეს და ირანის სახელმწიფო მიწების ფონდში შეიტანეს (42,199.125,31.128,198). რაკი დაუდ-ხანს ი. მუნშის ცნობით ქართლის ის ნაწილი მისცეს, რომელიც "მაღალი დივნის მფლობელობაში იყო", შესაძლოა, რომ ირანელებს ქართლის ეს ნაწილი უფრო ადრე, დაუდ-ხანამდე ჰქონდათ აღწერილი და მაღალი დივნის დავთრებში შეტანილი. ეს იყო სეფევიდების მიერ ქვემო ქართლის სახანოდ გადაქცევის პირველი ცდა, რომელიც მალე მარცხით დამთავრდა.

დავით ბატონიშვილის ყიზილბაშთა სამსახურში გადასვლა ქვეყნის გამოხსნა-აღდგომისათვის მებრძოლთა კიდევ ერთი მარცხი იყო, რომელიც ციხედიდთან განცდილ მარცხს ბევრად აჭარბებდა.

სიმონი არ სცნობდა დაუდ-ხანის ხელისუფლებას თბილისსა და ქვემო ქართლზე და წინანდებურად განაგრძობდა ბრძოლას მტრის ხელში მყოფი თბილისის გამოსახსნელად და იქ მყოფი რენეგატი დაუდის წინააღმდეგ (8,512. 21,368.23,408.33,24.61,341.83,408.93,44.102,38-39). შაჰმა სიმონის დაუცხრომელი ბრძოლის შესანელებლად საქართველოსკენ დიდძალი ჯარი გაგზავნა. ბრძოლა მოხდა 1569 წელს ფარცხისთან (ალგეთის ხეობაში). ამ ბრძოლაში მტრის ლაშქარს ტყვედ

ჩაუვარდა ქვეყნისათვის თავდადებული მებრძოლი მეფე სიმონი. შაჰი დიდხანს ცდილობდა ტყვე სიმონის გამაჰმადიანებას, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია და იგი ალამუთის ციხეში დაამწყვდია (8,513-514.21,368-369.23,408-409.39,10-11.51,33,41,48,50,64,65. 61,341.83,408. 93,44.102,39-40).

სიმონის დატყვევებიდან ცხრა წლის განმავლობაში (1569-1578) ქართლის გამგებლად დაუდ-ხანი ითვლებოდა. მაგრამ რენეგატს მოსახლეობა მხარს არ უჭერდა. მისი ხელისუფლება მხოლოდ თბილისსა და ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა. ქვეყანა განუკითხაობამ მოიცვა.

ყიზილბაშების წინააღმდეგ სიმონ მეფის მეთაურობით ქართველი ხალხის მამაცურმა ბრძოლამ ევროპელთა ყურადღებაც კი მიიპყრო. ცნობილმა პორტუგალიელმა პოეტმა ი. კამოენსიმ (1524-1580) მის ლუიზიადებში (1573 წ.) სამაგალითოდ დახატა ქართველების გმირული ბრძოლა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ (167,115).

მაშინ როდესაც ქართლის სამეფო სისხლისმღვრელ ბრძოლებს აწარმოებდა ყიზილბაშთა წინააღმდეგ, კახეთის მეფე ლევანი (1520-1574) სარგებლობდა რა სიმონ მეფის დაუცხრომელი ბრძოლით, ირანთან ჩაყოლის პოლიტიკას ეწეოდა. თუმც ის ირანის წინააღმდეგ ხშირად კავშირში იყო სიმონთან და ლაშქრითაც ეხმარებოდა მას (ციხედიდთან ბრძოლაში).

შექმნილ რთულ საგარეო ვითარებაში კახეთის სამეფო ხელისუფლება შეეცადა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა XVI ს-ის მეორე ნახევარში კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობაში მომხდარი ცვლილებები.

ლევანმა 60-იანი წლების დასაწყისში დაამყარა კავშირი კავკასიის ასპარეზზე ახლად გამოჩენილ რუსეთის სახელმწიფოსთან. მან ელჩები გაგზავნა მოსკოვში. ქართველ ელჩებს რუსეთის მთავრობა დახმარებას დაჰპირდა და მართლაც მალე გამოგზავნეს რუსთა რაზმი, რომელიც ლევანმა კახეთის ციხეებში ჩააყენა. რუსეთის მთავრობის ამ ნაბიჯს პროტესტით შეხვდა თურქეთიც და ირანიც. ამიტომ იყო, რომ შექმნილ რთულ ვითარებაში კახეთის მეფე იძულებული გახდა დაეთხოვა რუსთა რაზმი (23,573.216,277-321).

ამრიგად, კახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა შეწყდა, მაგრამ უკვე რუსეთი ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა სუბიექტი გახდა და დაუპირისპირდა ირანსა და ოსმალეთს (209,253,254).

1574 წ. გარდაიცვალა ლევან კახთა მეფე. მის შვილებს შორის ატყდა ბრძოლა ტახტის დაუფლებისათვის. რამდენიმე ძლიერი თავადისა და ქართლის გამგებლის დაუდ-ხანის დახმარებით გამარჯვება ალექსანდრეს დარჩა (8,515.21,369.23,576.102,40).

ალექსანდრე II (1574-1605) ცდილობდა მეგობრული დამოკიდებულება ჰქონოდა მეზობლებთან და ფრთხილი და მოხერხებული პოლიტიკით კიდევ უფრო გაეძლიერებინა კახეთის სამეფო. საგარეო პოლიტიკაში ალექსანდრე II მამის ნაცად გზას ადგა.

XVI ს-ის 60-იან წლებში დასავლეთ საქართველოში შინაპოლიტიკური მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. მეფე-მთავრებს შორის ბრძოლა არ ცხრებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო იმერეთში გიორგი II (1565-1583) ბაგრატის ძის მეფობის დროს. არც იგი ღალატობდა ტრადიციას და ასეთი ტიტულით წარმოგვიდგენდა თავს: "... ჩუენ ორსავე ტახტისა და სამეფოსა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა. . . მპყორბელმან მეფეთ-მეფემან გიორგი" (83,404). რეალობა სულ სხვა იყო. მისი უფლება ლიხთ-იმერსა და ლიხთ-ამერზე კი არა მთელს დასავლეთ საქართველოზეც არ ვრცელდებოდა. გიორგი II-ის "მფლობელ-მპყრობელობა" მხოლოდ იმერეთის სამეფოთი შემოიფარგლებოდა.

მეფობის დასაწყისში გიორგიმ შესძლო მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონოდა დადიანთან და გურიელთან. მან ამავე დროს სამცხე-საათაბაგოსთანაც დაამყარა კავშირი (23,815). მეფობის პირველ ხანებში გიორგი, როგორც ჩანს, თავის უფლებებს ნომინალურად, მაგრამ მაინც ავრცელებდა მთავრებზე, რაც იქიდან ჩანს, რომ როდესაც როსტომ გურიელი გარდაიცვალა, გიორგი მეფემ გურიელად დასვა გიორგო როსტომის ძე (23,815). მაგრამ მან თანდათან დაკარგა ძალაუფლება, რის შედეგადაც დასავლეთ საქართველოში დაიწყო გაუთავებელი შინაომები. "ბაგრატ III-ის შემდგომი დროიდან, მთელი XVI ს-ის ბოლო და XVII –XVIII სს-ში დასავლეთ საქართველოს ისტორია არსებითად მეფე-მთავართა ურთიერთბრძოლის ისტორიაა. დაუსრულებელმა

შინაომებმა ქვეყანა გააჩანაგეს. ამ ბრძოლაში არც ერთი მხარე არ ერიდებოდა უცხო ძალის (ოსმალეთის) გამოყენებას, რასაც უარყოფითი შედეგი მოჰქონდა ქვეყნისათვის" (173,65).

მეფე გიორგი ცდილობდა დადიან-გურიელი თავისი სამეფო სკიპტრისათვის დაექვემდებარებინა, რაც მიუღებელი იყო მთავართათვის. მალე გამწვავდა ურთიერთობა დადიანსა და გურიელს შორის. ამით ისარგებლა მეფემ, კავშირი შეკრა გიორგი გურიელთან (1564-1583) და ლევან I დადიანის (1533-1572) დასუსტება სცადა. დადიანმა მიიღო კონტრზომები მეფე-გურიელის კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა (8,502.21,361.23,815-816.83,409-410).

მეფეს გაურთულდა მდგომარეობა სამეფო სახლშიც. გიორგის აუჯანყდა მისი ბიძაშვილი ხოსრო ვახტანგის ძე (51,58.83,410). სამეფო სახლში მომხდარი კონფლიქტი როგორც ჩანს მალე მოგვარდა, რადგან ამის შემდეგ მასზე არსად არაფერია ნათქვამი.

მეფე მთავრებს შორის კონფლიქტი კვლავ გრძელდებოდა. დადიანმა ვერ შეძლო მეფე-გურიელის კოალიციას გამკლავებოდა და სტამბოლში წავიდა ოსმალებისათვის დახმარების სათხოვნელად, საიდანაც ოსმალთა ჯარით უკან მობრუნდა. ოსმალთა ჯარით მოსული დადიანისა შეეშინდა გურიელს და ის მას დაეზავა, დადიანმა ოდიში კვლავ დაიბრუნა (8,502-503.21,361.23,816). დადიანის წინააღმდეგ შეკრული მეფისა და გურიელის კოალიციის დაშლის შემდეგ, ახლა დადიან-გურიელის კოალიცია შეიკრა მეფის წინააღმდეგ. გიორგი მეფე სასწრაფოდ შეუდგა მთავრების კავშირის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარებას. პირდაპირი ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, მეფე შეეცადა სხვა გზით მიეღწია მთავრების კავშირის დარღვევისათავის. 1572 წ. ლევან I დადიანი ნადირობის დროს დაიღუპა. მთავრად დაჯდა მისი უფროსი შვილი გიორგი (1572-1582). მომდევნო წელს გიორგი დადიანის და დააქორწინეს გიორგი მეფის შვილ ბაგრატზე (იქვე). ამ ქორწინებით მეფემ მთავართა კავშირის დაშლა განიზრახა, რადგან დასავლეთ საქართველოში ჰეგემონობის კვლავ მოსაპოვებლად და დადიან-გურიელის დასამორჩილებლად ამათი კავშირი ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერეს ყოველთვის საფრთხის წინაშე დააყენებდა.

მეფისა და დადიანის დამოყვრებამ მთავართა კოალიცია დაშალა. ახლა გურიელი შეეცადა მათი კავშირის დარღვევას. ამ მიზნით ის დაუკავშირდა გიორგი დადიანის

უმცროს ძმას – მამიას. ილაშქრა ოდიშში, დაამრცხა გიორგი დადიანი, რომელიც აფხაზეთში გაიქცა. გურიელმა დადიანად დასვა მამია. ბრძოლით რომ ვერაფერს გახდა, გიორგი დადიანმა სცადა საქმე მშვიდობიანად მოეგვარებია. მან დახმარება სთხოვა მეფეს. ამ უკანასკნელის შუამდგომლობით გიორგი დადიანი და გიორგი გურიელი შერიგდნენ. გიორგი დადიანმა კვლავ დაიბრუნა სამეგრელო (8,503-504.21,461-462.23,816-818). ამრიგად, მოხერხდა სამი გიორგის დაკავშირება და დროებით მშვიდობიანობის დამყარება. მეფე-მთავრებს შორის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა, რადგან ვერც ერთი მათგანი დიდხანს ამ სიმშვიდეს ვერ შეინარჩუნებდა. მეფესა და მთავრებს საერთო ინტერესები არ გააჩნდათ. მეფე ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, რათა მთავრები მორჩილებაში მოეყვანა. ამ უკანასკნელთა ინტერესებში კი მეფის ხელისუფლების გაძლიერება არ შედიოდა. ის რაც მათ დიდი ხნის ბრძოლით მოიპოვეს, არ დათმობდნენ. ამრიგად, გიორგი იმერეთის მეფის მიერ დასავლეთ საქართველოს მთავართა დასამორჩილებად ზემოთ განხილული ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისთვის ბრძოლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. როგორც უკვე ავღნიშნეთ გიორგი მეფე მისი წინამორბედების მსგავსად "ორსავე ტახტისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელობაზე" აცხადებდა პრეტენზიას. მას "ორსავე ტახტის" ფლობისათვის ბრძოლა ჯერ დასავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებით, ე.ი. მთავრების დამორჩილებით და მათი კვლავ დაქვემდებარებით უნდა დაეწყო. ამის შემდეგ, თუ კი შესძლებდა უნდა განეგრძო ბრძოლა დანარჩენი საქართველოებისათვისაც.

არც სამხრეთ-საათაბაგოში იყო სტაბილური მდგომარეობა. 1555 წლის ზავის საფუძველზე, სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილი ოსმალებს ერგოთ, აღმოსავლეთ ნაწილი – იარანს. ირანის "ნაწილში" ათაბაგად იყო ქაიხოსრო II (1545-1573). ორივე მეტოქე სახელმწიფო ამ კუთხეს განსაკუთრებულ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებდა (183,80).

ოსმალები განუწყვეტლივ არბევდნენ ქაიხოსროს სამფლობელოს. უღონო ათაბაგი 1570 წ. ყაზვინში შაჰ-თამაზს ეახლა და დახმარება სთხოვა. ამაო დახმარების მოლოდინში ქაიხოსრო ყაზვინში დარჩა და 1573 წ. იქვე გარდაიცვალა (8,514.23,418.60,41).

ქაიხოსროს შემდეგ ათაბაგი გახდა მისი შვილი ყვარყვარე IV (1574-1581), მაგრამ ქვეყნის ფაქტიური მმართველი დედამისი – დედისიმედი იყო. საათაბაგოში კვლავინდებურად თავადი შალიკაშვილები პირველობდნენ. ვარაზა ოთარის ძე მამასავით აქტიური პოლიტიკური მოღვაწე იყო. ამიტომ დედისიმედმა ის მოაკვლევინა, რამაც სამცხეში შინაფეოდალური ბრძოლის გამწვავება გამოიწვია (8,515.21,370.23,418.60,41-42). ასეთი იყო სამცხე-საათაბგოს შინაპოლიტიკური ვითარება ირან-ოსმალეთის II ომის დასაწყისში.

იმ დროს, როცა საქართველოს სამეფო-სამთავროებში შინა-ფეოდალური ბრძოლები მიმდინარეობდა, საქართველოს მეზობელი ირანისა და ოსმალეთის ცაზე შავი ღრუბლები საავდროდ იყრიდნენ თავს.

1555 წლის ამასიის ზავის შემდეგ წინააღმდეგობა მათ შორის არ შენელებულა, რადგან ამ ზავის პირობებით არც ერთი მხარე არ იყო კმაყოფილი და ხელსაყრელ მომენტს ეძებდნენ, რათა ახალი ომი გაეჩაღებინათ. ოსმალეთისათვის ეს "ხელსაყრელი მომენტიც" მალე დადგა.

1576 წ. შაჰ-თამაზ I-ის (1524-1576) გარდაცვალების შემდეგ ირანში დაიწყო ბრძოლა ყიზილბაშ ამირებს შორის ტახტზე მათთვის სასურველი უფლისწულის ასაყვანად. შაჰის გარდაცვალებისთანავე ტახტზე ავიდა ჰეიდარ-მირზა, მაგრამ მისი ზეობა ირანის ტახტზე ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. იმავე წელს შაჰის ტახტის მფლობელი გახდა შაჰ-თამაზის მეორე ვაჟი ისმაილ-მირზა-შაჰ-ისმაილ II (1576-1577). მაგრამ არც მისი მეფობა გამოდგა დღეგრძელი. 1577 წ. ტახტზე აყვანილ იქნა შაჰ-ისმაილის ძმა მოჰამედ ხოდაბანდე (1577-1587), ნახევრად ბრმა და სუსტი ნებისყოფის მქონე ადამიანი (130,128-138).

ირანში მიმდინარე შინააშლილობა ოსმალეთისათვის ხელსაყრელი აღმოჩნდა მის წინააღმდეგ ახალი ომის დასაწყებად. მანაც არ დააყოვნა და ომი დაიწყო (30,175-176.88,139.89,135).

ოსმალთა სარდალმა ლალა მუსტაფა ფაშამ მოხერხებულად გამოიყენა "საქართველოებს" შორის გათიშულობა და შესძლო საქართველოში გარკვეული წარმატების მოპოვება (68,177.89,136).

ირანსა და ოსმალეთს შორის 1578 წლის 9 აგვისტოს ჩილდირთან ბრძოლის შემდეგ, რომელიც ოსმალთა გამარჯვებით დამთავრდა, ოსმალებმა ახალციხე დაიკავეს (28,20-24.60,47,153-162.83,104.194,102-144).

ლალა-მუსტაფა 24 ივლისს თბილისს მოადგა (182,127). დაუდ-ხანმა ქალაქი გადაწვა და თვითონ ლორეს წავიდა: ოსმალები დაცარიელებულ ქალაქში შევიდნენ. ამას შემდეგ თბილისის (ქართლის) საბეგლარბეგოს დაარსება მოჰყვა.

ოსმალებმა თბილისის საბეგლარბეგოსთან ერთად გორში სანჯაყი დააარსეს. ამიერიდან ქართლში ყიზილბაშთა ბატონობა ოსმალთა ბატონობით შეიცვალა (8,522.22,293-294.23,410.28,24-25.30,41-42.60,49.68,179.79,263.89,137.93,51.179.393-394).

კახეთის მეფე ალექსანდრემ არ უღალატა ტრადიციას და მორჩილება გამოუცხადა ოსმალებს (8,528.23,578.28,25-26.30,42.68,181.79,263-264.89,137), რათა კახეთი ეხსნა მათი დარბევისაგან. თუ კი აქამდე ალექსანდრე შაჰის ვასალი იყო, ახლა ოსმალთა ვასალი გახდა. მან ყოველწლიური ხარკი იკისრა მათ სასარგებლოდ.

ოსმალეთმა აღმოსავლეთ ამიერკავკასია დაიმორჩილა და იქედან ირანი გამოდევნა. მათი ბატონობის ასპარეზი კავკასიონის მთაგრეხილებს მისწვდა.

ამის შემდეგ ოსმალეთმა შესცვალა თავისი დამოკიდებულება სამცხე-საათაბაგოსადმი. ქვეყანა სანჯაყებად იქნა დაყოფილი. 1579წ. ოსმალებმა დააარსეს ჩილდირის (ახალციხის) საფაშო (184,45-46), რომელშიც გაერთიანებული იყო მათ მიერ სხვადასხვა დროს სამცხის დაპყრობილი ტერიტორიები. ახალციხის საფაშოს გამგებლად დაინიშნა ფორმალურად გამაჰმადიანებული მუსტაფად წოდებული მანუჩარი. ამიერიდან იგი სულთნის ვასალი (ათაბაგი) კი აღარ იყო, არამედ მოხელე ფაშა.

ოსმალთა წარმატებებმა ამიერკავკასიაში აიძულა შაჰის მთავრობა საქართველოს მიმართ გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო. ირანის სამეფო კარზე ხედავდნენ, რომ ქართლში მათ მიერ ხელდასმული დაუდ-ხანი ვერ გამოვიდოდა საქართველოში ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ძალების გამაერთიანებლის როლში. ამიტომ ირანის სამეფო კარმა შეცვალა თავისი დამოკიდებულება როგორც მისი "ერთგული ყმის" დაუდ-ხანის, ისე სიმონის მიმართ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ამ უკანასკნელს შეეძლო

თავის გარშემო შემოეკრიბა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სურვილით შეპყრობილი ქართველი ხალხი და გაეჩაღებინა ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ.

სიმონი, რომელიც შაჰ-ისმაილ II-მ (1576-1577) გაანთავისუფლა პატიმრობიდან შაჰ-ხოდაბანდმა (1578-1587) "ძმის" წოდებით ქართლში გამოგზავნა (8,517-518,523-524. 21,370-371.23,410-411.33,25,26-28.39,13.52,30-31.93,45-53.132,330-333). როგორც უკვე ავღნიშნეთ, სიმონი "ძმის" წოდებით დაბრუნდა საქართველოში, რითაც "ირანის ხელისუფლებასა და ქართლის ტახტზე აღდგენილ სიმონ მეფეს შორის პოლიტიკური ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო" (132, 334). ის თავისი ძმის, "შვილის" წოდების მქონე დაუდ-ხანისაგან განსხვავებით შაჰის ჩვეულებრივი მოხელე არ იყო. თავისი უფლებრივი მდგომარეობით ირანთან დამოკიდებულების მხრივ, ის მის ძმაზე გაცილებით მაღლა იდგა.

სიმონის საგარეო პოლიტიკა ორ პერიოდს მოიცავს. პირველი პერიოდი, მისი გამეფებიდან ვიდრე ირანის ტყვეობაში ჩავარდებოდა – 1556-1569 წლები. ამ ხნის მანძილზე სიმონი თავგამოდებით ებრძოდა ირანელებს და მეორე პერიოდი, 1578-1600 წწ, როცა იგი ირანის ტყვეობიდან დაბრუნდა სამშობლოში და ახლა ირანელებთან მოკავშირეობით ბრძოლა გააჩაღა ოსმალთა წინააღმდეგ.

1578 წლის ოქტემბერში სიმონ მეფე ირანელთა ჯარითა და იქ მყოფ ქართველებთან ერთად ქართლში მოვიდა. ის სულ მალე გახდა ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის მებაირაღედ არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. "სიმონის ბრძოლა ოსმალთა წინააღმდეგ მსოფლიო მნიშვნელობის გამოხმაურებას იწვევდა, რადგან მისი ბრძოლები არ იყო ლოკალური ხასიათისა. იგი უშუალოდ კავშირში იყო ოსმალთა იმპერიის ფარგლებში შემავალ სხვა დაპყრობილ სახელმწიფოებთან" (167,116).

სიმონმა პირველ რიგში მის მოწინააღმდეგე თავადებს შეუტია. ზოგი გააძევა, დაამდაბლა ან დაახოცვინა. მან თავის ირგვლივ შემოიკრიბა ერთგული პატრიოტები, ქართლის სამეფო შემოიმტკიცა და ამის შემდეგ დაიწყო ბრძოლა თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ქართლის მთავარ ციხე-სიმაგრეში თურქები იდგნენ, მაგრამ თემი სიმონ მეფეს ემორჩილებოდა. მან მტრისგან გაწმინდა რიგი სიმაგრეები. სიმონი საქართველოში მყოფ

ირანის ჯართან ერთად მოსვენებას არ აძლევდა ოსმალებს. გამუდმებით თავს ესხმოდა მათ და დიდ ზიანს აყენებდა (22,194.30,54,60-62).

იმ დროისათვის კახეთისა და ქართლის სამეფოებს შორის უთანხმოება იყო. ქართული წყაროების მიხედვით ამის მიზეზი ყოფილა ალექსანდრეს მიერ სიმონის ცოლისძმების დახოცვა. ამასთანავე ალექსანდრე დაუდ-ხანს უჭერდა მხარს, რომლის ცოლი მისი ნათესავი იყო (21, 372.23,412). ირან-ოსმალეთის ომის დაწყების შემდეგ, როდესაც კახეთის მეფემ ოსმალთა მომხრეობის გზა აირჩია, ქართლის მეფემ კი ირანის ერთგულება, მეფეთა შორის არსებულ უთანხმოებას პოლიტიკური გეზის შეურიგებლობაც დაერთო. მათ შერიგებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ირანისათვის ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში, ამიტომ ირანი მათ შორის შემრიგებლის როლში გამოვიდა, რითაც საქართველოსათვისაც დადებით საქმეს აკეთებდა.

ირანის სამეფო კარის ინიციატივით ქართლისა და კახეთის მეფეები მალე შერიგდნენ (33,36). “დაზავდნენ სვიმონ და ალექსანდრე და შემდგომად იყო მათ შორის სიყვარული და ერთობა” (23,579).

სამცხეში ჩილდირის საფაშოს დაარსების შემდეგ (1579წ) ოსმალები აქ კიდევ უფრო ენერგიულად შეუდგნენ ოსმალობის დანერგვას. Mმუსტაფა (მანუჩარი) კარგად ხედავდა, თუ რა სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა “ოსმალობის” შემოღება ქვეყანას. მაგრამ შექმნილ ვითარებაში მას არ შეეძლო აშკარად ოსმალთა წინააღმდეგ გამოსვლა. ირკვევა, რომ მანუჩარი საიდუმლო კავშირს ამყარებდა სიმონ მეფესთან და დახმარებასაც უწევდა მას (189,150-152).

ჩანს, ეს კავშირი ცნობილი გახდა ოსმალებისათვის. ამიტომ გადაწყვიტეს ვერაგულად მოეკლათ მანუჩარი, რადგან აშკარად გამოსვლა მანუჩარის წინააღმდეგ ვერ გაბედეს. ოსმალთა ამ გეგმის სისრულეში მოყვანა ვერ მოხერხდა, რადგან მანუჩარი მათ მიუხვდა განზრახვას (8,528.23,723.51,54.68,184.79,267.93,54).

მანუჩარმა სამცხეში აღადგინა ათაბაგობა, რომელიც ოსმალეთმა ფაქტიურად გააუქმა 1579 წელს ჩილდირის საფაშოს დაარსების შემდეგ. მან უარყო მაჰმადიანობაც და სამცხის ათაბაგი გახდა. მანუჩარმა სიმონის ქალიშვილი ელენე შეირთო ცოლად (8,528.23,413,723.68,54.93,54). ეს ფაქტიურად სამცხესა და ქართლს შორის პოლიტიკური

კავშირის დამყარებას ნიშნავდა. ამიერიდან სიმონ I-ს ოსმალთა წინააღმდეგ სამცხე-საათაბაგოც ამოუდგა მხარში.

მანუჩარი (1582-1614) ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყდა. მან მრავალი ციხე მტრისაგან გაწმინდა. ოსმალთა წინააღმდეგ წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას სიმონიც. ქართული წყაროების თანახმად სიმონს 1583 წ. თბილისიდანაც განუდევნია ოსმალები (8,529.21,374.23,414). ციხე-სიმაგრეები ხელიდან ხელში გადადიოდა. 1587 წ. ოსმალებმა ახლციხე კვლავ დაიპყრეს (8,529.51,54-56). მათ სამცხეში ფაქტიურად შესძლეს ძველი მდგომარეობის აღდგენა და მანუჩარის აჯანყების ჩაქრობა.

მიუხედავად ოსმალთა წარმატებებისა სამცხეთში, მათ ვერ შესძლეს სიმონ მეფის დამარცხება. სიმონი ქვეყნის გარეთაც შეუდგა დამხმარე ძალების ძებნას ოსმალთა წინააღმდეგ. ამ მიზნით ის დაუკავშირდა ევროპის ქვეყნებს. სიმონ I-მა 1587 წელს დესპანი გაგზავნა რომის პაპ სიქსტ V-თან და ესპანეთის მეფე ფილიპ II-თან. (46,197-200.167,117-118). მაგრამ სიმონის ცდას, შეექმნა ანტიოსმალური კოალიცია, შედეგი არ მოჰყოლია.

ოსმალები წარმატებით განაგრძობდნენ საომარ მოქმედებებს. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ისინი თითქმის მთელ ამიერკავკასიას დაეუფლნენ. შექმნილ მდგომარეობაში ირანს აღარ შეეძლო მათ წინააღმდეგ ომის წარმოება. ამიტომ შაჰ-აბას I –მა (1587-1629) გადაწყვიტა ოსმალეთს დაზავებოდა.

1588 წ. ირანსა და ოსმალეთს შორის წინასწარი დაზავება მოხდა. ამავე წელს სიმონიც დაეზავა ოსმალებს. მას ოსმალეთის სასარგებლოდ ყოველწლიური ხარკი უნდა ეხადა. ოსმალეთი ცნობდა სიმონს ქრისტიანობით, აღიარებდა მის მემკვიდროებით უფლებას და არ ჩაერეოდა მის შინაურ საქმეებში (183,180).

შაჰ-აბასი იძულებული გახდა 1590 წ. 21 მარტს სტამბოლში დადებული ზავით საქართველო, აღმოსავლეთ სომხეთი, ჩრდილო და სამხრეთ აზერბაიჯანი (არდეილისა და თალიშის გამოკლებით) ქურთისტანი და ლურისტანის ნაწილი ოსმალეთის სამფლობელოდ ეცნო. “ამ ზავით დამთავრდა ირან-ოსმალეთის მეორე ომი, რომელიც გრძელდებოდა 11 წელს, 11 თვეს და 11 დღეს” (183,181).

იმ დროს, როდესაც ქვეყანა “გაოსმალების” საფრთხის წინაშე იდგა, დასავლეთ საქართველოში შინაფეოდალური ომი მძვინვარებდა. დროებითი კავშირი და

მშვიდობა, რომელიც იმერეთის მეფესა და დადიან-გურიელს შორის 70-იან წლებში დამყარდა, 80-იან წლების დასაწყისში ისევ დაირღვა და შინაფეოდალური ბრძოლა ისევ განახლდა.

1582 წ. გარდაიცვალა გიორგი დადიანი. ოდიშის მთავარი მისი ძმა მამია (1582-1590) გახდა. 1583 წ. მამია დადიანი გურიაში შევიდა და დაამარცხა გიორგი გურიელი. ეს უკანასკნელი სტამბოლში გაიქცა დახმარების სათხოვნელად. დადიანმა კი გურიელად დასვა თავისი კაცი - გურიელთა სახლის წევრი ვახტანგი (1583-1587). სტამბოლში წასული გიორგი იქ კარგა ხანს დარჩა. სამეგრელოსა და გურიას შორის კი დროებით მშვიდობა ჩამოვარდა. (23,819).

არც იმერეთის სამეფო სახლში სუფევდა მშვიდობა. 1583 წ. მეფე გიორგიმ შეიპყრო და დააპატიმრა მისი ძმა კონსტანტინე და ძმისწული როსტომი, რათა მის მცირეწლოვან ძეს ლევანს მეფობას არ შესცილებოდნენ. 1585 წელს გარდაიცვალა მეფე გიორგი და ტახტზე ავიდა მისი 12 წლის შვილი ლევანი (1585-1590). ლევანის მცირეწლოვანობით ისარგებლა მისმა ბიძამ კონსტანტინემ, რომელმაც მოახერხა განთავისუფლება პატიმრობიდან და არგვეთი, სკანდა, კაცხი და ზოგი სხვა ციხე-სიმაგეები დაიკავა. ტახტის პრედენდენტის კონსტანტინეს წინააღმდეგ ლევან მეფე დაუკავშირდა მამია დადიანს. მან ცოლად შეირთო დადიანის და მარეხი და ამით ეს კავშირი განამტკიცა. 1587 წლის აპრილში ლევანმა მამია დადიანის დახმარებით კონსტანტინე დაამარცხა და დაიბრუნა მის მიერ წართმეული ადგილები. მალე ბიძა-ძმისწული შერიგდნენ. კონსტანტინე დაკმაყოფილდა იმით, რომ საუფლისწულო მიიღო (23,819.83,423). იმავე წელს გარდაიცვალა ვახტანგ გურიელი. გიორგი გურიელმა ოსმალთა დახმარებით ისევ დაიბრუნა გურიელობა (23,8820).

იმ დროს, როდესაც დასავლეთ საქართველოში მეფე-მთავართა შორის ომი მძვინვარებდა, ქართლის სამეფოში მშვიდობა დამყარდა. მეფე სიმონი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 1588 წელს ოსმალებს დაეზავა. “ხოლო იქმნა მშვიდობა, ვინაითგან არღარა აქუნდა ოსმალეთა თანა ბრძოლა” (23,415.) “და ჟამსა შინა მტერი აღარავინ ჰყავნდა მეფესა სვიმონს და გაძლიერდა” (21,375.23,415). როგორც უკვე ავღნიშნეთ, სიმონი “ორსავე ტახტისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის” ფლობის პრეტენზიით გამოდიოდა. ახლა, როცა ქართლში მშვიდობა დამყარდა ის შეეცადა გამოეყნებინა

დასავლეთ საქართველოში შექმნილი მგომარეობა და ის ქართლის სამეფოსათვის შეერთებინა (21,375).

“როცა მამამან ჩემმან ლუარსაბმა.... მიიღო წამების გვირგვინი, მე შემდგომად მათსა.... ორსავე ტახტისა მპყრობელი ვიქმენი”-ო, წერს სიმონ მეფე თავის 1559 წელს მცხეთის გუჯარში (83,401). ამ სიტყვებში მეფის პოლიტიკური მრწამსია გამოხატული. სიმონი თუმც რეალურად მხოლოდ ქართლის მპყრობელი იყო, მაგრამ მაინც თავის თავს იმიერ და ამიერ საქართველოს ხელმწიფედ თვლიდა, ცხადი იყო რომ პირველივე მარჯვე შემთხვევით სიმონი ისარგებლებდა, რომ თავისი წადილი განეხორციელებინა. სიმონს სწორედ ახლა დაუდგა საამისო დრო და მანაც არ დააყოვნა.

იმერეთში ლაშქრობის საბაბად სიმონ მეფემ, როგორც ვახუშტი წერს: “მოიხსენა შური გიორგი მეფისა” (23,820), რომელმაც 1582 წ. ოსმალთა ჯარის სარდალის ბრძანებისამებრ დადიან-გურიელთან ერთად მოარბია ქართლი. ეს იყო მხოლოდ საბაბი. რატომ მაინც და მაინც მაშინ გაიხსენა სიმონმა “შური გიორგი მეფისა”, როცა ის უკვე ცოცხალი აღარ იყო და იმერეთის ტახტი სუსტ ლევან გიორგის ძეს ეპყრა, რომელსაც “ვერ ეგოდენად მორჩილებდნენ იმერნი” (23,415.) სინამდვილეში მიზეზი სულ სხვა იყო - აქ შექმნილი მდგომარეობის გამოყენება, გადაედგა პრაქტიკული ნაბიჯები “ორსავე ტახტის მფლობელობისაკენ.

სანამ სიმონ მეფე თავისი მიზნის განსახორციელებლად დასავლეთ საქართველოში სამხედრო მოქმედებაზე გადავიდოდა, ის წინასწარ დაუკავშირდა ზოგიერთ იმერელ თავადს, რომელთაც აღუთქვეს თავიანთი მხარდაჭერა; “ვიეთამე იმერთა მისცეს სვიმონს პირი მტკიცე” (23,820). სიმონმა შეკრიბა ქართლის ლაშქარი და გამოემართა იმერეთისაკენ და “მიერთნენ ზემოურნი რომელნიმე”. ლევან მეფემაც შეკრიბა თავის მხრივ იმერთა ლაშქარი და დახმარება სთხოვა დადიანს და გურიელს. მათ დახმარება არ აღმოუჩინეს მეფეს “ვინაითგან შურობდნენ ურთიერთსა”. ქართლის და იმერთა მეფეებს შორის ბრძოლა მოხდა 1588 წელს გოფანთოსთან, სადაც ლევანი დამარცხდა და ლეჩხუმში გაიქცა. სიმონმა იმერეთი დაიკავა. მას იმერეთში დიდხანს დარჩენა არ შეეძლო, რადგან ქართლის ზოგიერთ ციხეში ოსმალები იდგნენ. ამიტომ მან იმერელ დიდებულებს მძევლები გამოართვა და ქართლში გაბრუნდა. ამით ისარგებლა ლევანმა და ისევ დაიკავა იმერეთი (8,532.21,376.23,820-821.83,426.93,58).

გოფანთოს ბრძოლის და ლევანის მიერ იმერეთის ტახტის კვლავ დაუფლების შემდეგ იმდენად გამწვავდა ურთიერთობა მეფესა და მამია დადიანს შორის, რომ საქმე ომამდე მივიდა. დადიანმა ილაშქრა ქუთაისში და ტყვედ ჩაიგდო ლევანი, რომელიც შხეფის ციხეში დაამწყვდია. ლევან მეფე იქვე გარდაიცვალა 1590 წელს (იქვე). ამის შემდეგ იმერეთში მამია დადიანის მხარდაჭერით ლევან მეფის ბიძაშვილი როსტომ (1590-1611) კონსტანტინეს ძე გამეფდა. ეს დადიანის გაძლიერებას ნიშნავდა. იმავე 1590 წ. გარდაიცვალა მამია დადიანი და მთავრის ტახტზე დაჯდა მისი ძმა მანუჩარი (1590-1611). დადიანის გაძლიერებას წინ აღუდგა გიორგი გურიელი. მან იმავე 1590 წელს ილაშქრა იმერეთში, აიღო ქუთაისი და ტახტზე თავისი სასურველი კანდიდატი - იმერეთის სამეფო სახლის წევრი ბაგრატ თეიმურაზის ძე დასვა (23,821.83,426). ქართლის საქმეების მოგვარების შემდეგ, სიმონ მეფე კვლავ გადმოვიდა იმერეთს. მას "მიერთნენ იმერნი". მეფემ აიღო ქუთაისის ციხე და გამოიყვანა იქიდან გიორგი გურიელის მიერ მეფედ დასმული ბაგრატ თეიმურაზის ძე. სიმონმა კვლავ დაიკავა იმერეთი და ქუთაიასის ციხეში "შეაყენნა გუშაგნი თვისნი". ქართლის მეფე ვერც ამჯერად გაჩერდა დიდხანს იმერეთში. მან ისევ გამოართვა იმერეთის დიდებულებს მძევლები, ბაგრატ თეიმურაზის ძეც თან წაიყვანა და ქართლში გაბრუნდა (8,532.21,376.23,821.93,58).

ლევანი ისე გარდაიცვალა, რომ მას მემკვიდრე არ დარჩენია. იმერეთის ტახტის ერთადერთი მემკვიდრე იყო როსტომ კონსტანტინეს ძე, ლევან მეფის ბიძაშვილი. როსტომი წავიდა მანუჩარ დადიანთან და დახმარება სთხოვა, წამოვიდა მანუჩარი ჯარით, აიღო ქუთაისის ციხე და როსტომი ისევ გაამეფა იმერეთში (იქვე). ამით დასავლეთ საქართველოში დადიანის გავლენა გაიზარდა. მისი ასეთი საქმიანობა სიმონ მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. ის იმერელი თავადები, რომელნიც ვერ ითმენდნენ დადიანის ასე გაძლიერებას, სიმონს ეახლნენ. სიმონი ლაშქრით ისევ მოვიდა დასავლეთ საქართველოში. მან აიღო სკანდის, კვასის, კაცხის ციხე-სიმაგრეები (ახლანდელი ჭიათურის და თერჯოლის რაიონებშია), ქუთაისი და ყველგან თავისი გარნიზონი ჩააყენა. როსტომ მეფე ისევ მანუჩართან გაიქცა. სიმონი გამოუდგა გაქცეულ როსტომს, რომელიც ერთადერთიღა დარჩენილიყო იმერეთის სამეფო საგვარეულოდან, ამიტომ მისი ხელში ჩაგდებით იმერეთის შემოერთება უზრუნველყოფილი იქნებოდა. მეფე

ოფშკვითთან (ახლანდელი წყალტუბოს რაიონი) დაბანაკდა. მანუჩარ დადიანმა სიმონს მოციქული გაუგზავნა და სთხოვა შერიგებოდა როსტომს; "გვიმონე ორნივე და მიეცი როსტომს იმერეთი და ვიყვნეთ მორჩილნი შენდა საუკუნოდ"-ო (23,821), მაგრამ სიმონს იმერეთის სამეფოს შემოერთება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი. მისი ხელისუფლება იმერეთში მყარი რომ ყოფილიყო, აუცილებლი იყო იმერეთის სამეფო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის - როსტომ კონსტანტინეს ძის ხელში ჩაგდება. სხვანაირად იმერეთის სამეფოს შემომტკიცება შეუძლებელი იყო. თუ კი სიმონი იმერეთში როსტომს დატოვებდა, რომლის მორჩილებაც ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ იქნებოდა დაყენებული, ის (როსტომი) ყოველთვის შეეცდებოდა ქართლის მეფის "უზენაესობისაგან" დამოუკიდებლობა მოეპოვებინა და მტკიცედ დაემკვიდრებინა იმერეთი. იმერეთის მეფეც ხომ ქართლის მეფის მსგავსად ერთიანი საქართველოს მეფეთა შთამომავალი იყო და აქედან გამომდინარე, ამ მხრივ არანაკლებ ამბიციურობას იჩენდა. ეს კარგად იცოდა სიმონმა და ამიტომ არ ირწმუნა მან მანუჩარ დადიანის მიერ შემოთვლილი სიტყვებისა: "ვიყვნეთ მორჩილნი შენდა საუკუნოდ"- ო. ეს სიტყვები საფუძველს იყო მოკლებული, ამიტომ მეფემ დადიანს დაზავებაზე უარი შეუთვალა და როსტომის მისთვის მიცემა მოითხოვა (იქვე).

მართალია, სიმონს იმერეთის თავადების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა, მაგრამ ეს მხარდაჭერა მხოლოდ გაძლიერებული დადიანის, ან გურიელის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიხატებოდა. როცა დადგა საკითხი იმერეთში სამეფო ხელისუფლების გაუქმებისა და მისი ქართლისათვის შეერთებისა, რაც სიმონის მიერ როსტომის ხელში ჩაგდების შემდეგ იქნებოდა შესაძლებელი, სიტუაცია შეიცვალა. სიმონ მეფის ლაშქარში მყოფი იმერელი თავადები საიდუმლოდ დაუკავშირდნენ დადიანს და მისწერეს, რომ "თავს დაგვესხი და არ შემოგებმითო, განგებ გაგექცევითო". აქედან ნათლად, ჩანს რომ იმერეთის თავადები დარჩნენ "ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა". იმერეთის სამეფოს შეერთება ქართლთან მიღებული იყო როგორც იმერეთის დიდკაცობისათვის, ისე დადიან-გურიელისათვის, რადგან ქართლის სამეფოსთან იმერეთის მიერთების შემდეგ გაძლიერებული სამეფო ხელისუფლება მათ უფლებებსაც შეზღუდავდა. ამიტომ მათ ისევ თავისი მეფის ერთგულებაზე ყოფნა არჩიეს და გადამწყვეტ ჟამს ერთად დადგნენ. სიმონის ჯარში მყოფი იმერთა თავადების

გამცემლობით გულმოცემული დადიანი დაესხა თავს სიმონის ბანაკს. ბრძოლა მოხდა ოფშკვითთან 1590 წელს. იმერელი თავადების წინასწარ მიღებულმა ზომებმა უმალვე იჩინა თავი. სიმონის ლაშქრის ნაწილმა ბრძოლის ველი მიატოვა, ის დამარცხდა და ქართლში გაბრუნდა. იმერეთის ტახტს დადიანის მეშვეობით ისევ როსტომი დაეუფლა (8,532-533.21,376-377.23,822-823.27,45.39,14.83,426-427.93,58.)

სიმონ მეფეს ამის შემდეგაც არ აუღია ხელი დასახულ მიზანზე და კვლავ განაგრძობდა ბრძოლას "ორსავე ტახტის" გაერთიანებისათვის. საყურადღებოა ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ცნობა, რომელიც სიმონ მეფის იმერეთისათვის ბრძოლას ეხება. ამ ცნობის მიხედვით, როდესაც ოფშკვითთან დამარცხებული სიმონ უკან გაბრუნდა "თავის სიძეს მანუჩარ ათაბაგს კაცი გაუგზავნა და "ასრე შესთვალა - იმერელთ მიმუხანათესო, მანდედამენ დიდის ჯარით თქვენ ჩაუდექით და აქედამ მე გარდმოვალო" (39,41.). ე.ი. სიმონმა იმერეთისათვის ბრძოლაში თავის მოკავშირე მანუჩარ ათაბაგსაც, რომელიც ოსმალების წინააღმდეგ ბრძოლაში მას გვერდით ედგა - სთხოვა დახმარება. მანუჩარს სიმონის თხოვნაზე არ გამოუდვია თავი. მან სიმონს ასე შემოუთვალა: "დრო არისო, რომ არზრუმის ბეგლარბეგიო ორმოცი ათასის კაცითო ჩემის ბიძაშვილის ყორყორესათვის მიუშველებიაო და ჩემზედ მოუძღვისო ასის ათასის კაცითო თავრიზის ბეგლარ-ბეგი თქვენზედ გამოგზავნესო. ჯერ ამათით ფიქრი ჰქენითო, თორღა რასაც იქნება ადვილი არისო" (იქვე).

ეს იყო მხოლოდ მიზეზი იმისა, რომ მანუჩარს სიმონისათვის დასავლეთ საქართველოს შემოერთებისათვის ბრძოლაში დახმარება არ გაეწია. სინამდვილეში იმ დროს ოსმალებს არავითარი ჯარი არ გამოუგზავნიათ საქართველოში. მართალია, მანუჩარ ათაბაგი სიმონ მეფეს ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში გვერდით ედგა და მასთან ერთად თავგანწირვით ებრძოდა ქვეყანაში შემოსულ მტერს, მაგრამ როდესაც ქვეყნის შინაგანი ერთიანობის აღდგენის საკითხი დადგა, მანუჩარმა, იმის მაგიერ, რომ სიმონს გვერდით ამოდგომოდა, ისე როგორც ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მასთან ერთად ეკეთებინა გარეშე მტერთან ბრძოლაზე არანაკლებ მნიშვნელოვანი საერთო ქართული საქმე, პასიური პოზიცია დაიჭირა - ფაქტიურად განზე გადგა.

ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს მესვეურთათვის, მანუჩარ ათაბეგისათვისაც მიღებული იყო 1490 წელს ქართლის სამეფო დარბაზზე აღიარებული

სამეფო-სამთავროებად დაშლილი ქვეყნის კვლავ გაერთიანება ერთი მეფის ხელქვეით. მითვის მისაღები იყო "ერთიანობის" ის ფორმა, რომელიც მასსა (ე.ი. მანუჩარს) და სიმონს შორის იყო. უფრო შორს წასვლა კი მის ხელისუფლებას შეზღუდავდა. მანუჩარმა კარგად იცოდა, რომ სიმონ მეფის მოქმედება მარტო იმერეთის შემოერთების წადილით არ შემოიფარგლებოდა. თუ კი ის იმერეთს ქართლის სამეფოს შემოუმტკიცებდა, ამის შემდეგ სიმონი დანარჩენი "საქართველოების" ქართლის სამეფო ტახტისათვის შემოსამტკიცებლად განაგრძობდა ბრძოლას. უკვე საუკუნე გასულიყო, მას შემდეგ, რაც ქართველმა მეფე-მთავრებმა საუკუნეების მანძილზე ბრძოლის შედეგად მოიპოვეს "დამოუკიდებლობა" ქართლის სამეფო ტახტისაგან და ახლა, ამდენი ბრძოლის შედეგად მოპოვებულის კვლავ დაკარგვა არც ერთ მათგანს არ უნდოდა. ამიტომ იყო, რომ სიმონს ყოველი მხრიდან ხელს უშლიდნენ.

სიმონ მეფის დიდი მცდელობის მიუხედავად, მისთვის ცხადი იყო, რომ მისი ბრძოლა "ორსავე ტახტისა და სამეფოს" კვლავ გაერთიანებისათვის მარცხისათვის იყო განწირული, რადგან გამაერთიანებელი მოძრაობის წარმატებას გვიან შუა საუკუნეების საქართველოში მყარი ნიადაგი უკვე კარგახანია გამოცლილი ჰქონდა. ქვეყნის დაქუცმაცებულობის პროცესი იმდენად გაღრმავდა, რომ მისი შეჩერება შეუძლებელი გახდა. ის, რაც უკვე მოხდა - ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად, რაც საუკუნეების მანძილზე მწიფდებოდა, მისი აღდგენა შეუძლებელი გახდა.

გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მთელს მანძილზე აღმოცენებულ გამაერთიანებელ მოძრაობათა მარცხის მთავარი მეზეზი ის იყო, რომ სამივე ქართველ მეფეს ერთიანი საქართველოს მფლობელობის პრეტენზია ჰქონდა (როგორი სუსტი ხელისუფალიც არ უნდა ყოფილიყო) და არც ერთი მათგანი ამ მხრივ პოზიციებს არ თმობდა. თუ კი "ორსავე ტახტის" მფლობელობისათვის ბრძოლას არ დაიწყებდა, იმას მაინც არ დათმობდა, რაც მემკვიდრეობით მიიღო. იმერეთის მეფე როსტომი რომელმაც ტახტი მანუჩარ დადიანის დახმარებით დაიკავა და რომლის მეფობის დროსაც დასავლეთ საქართველოში დადიანის უპირატესობა აშკარა იყო, მხოლოდ იმერეთის მეფედ კი არა, "აფხაზთა, ქართველთა, სომეხთა მეფეთ-მეფედ, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ორსავე ტახტისა და სახელმწიფოსა

თვითმპყრობელ”-ად (34,36) წარმოგვიდგებოდა. ფაქტიურად კი როსტომი იმერეთის სამეფოსაც ძლივს ფლობდა, მაგრამ “იმერეთსა ზედა” მებრძოლ სიმონს კი თავგამოდებით ებრძოდა. სიმონს სხვა აღარაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ შერიგებოდა ბედს. ის დაეზავა იმერეთის მეფე როსტომს და სცნო მისი უფლება იმერეთის სამეფოზე (23,417,823). ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში სამეგრელოს სამთავროს პოლიტიკური უპირატესობა აშკარა იყო. გურიელთან მეტოქეობა მისი გამარჯვებით დამთავრდა. დადიანის გავლენის ქვეშ მოექცა იმერეთის მეფე და გურიელიც. თუ აქამდე დადიანი ფორმალურად მაინც რამდენადმე დამოკიდებული იყო იმერეთის სამეფო კარზე იმით, რომ იგი სამეფოს მანდატურუხუცესის ტიტულს ატარებდა, ახლა მას ასეთი პატივი აღარ აკმაყოფილებდა (144,202-203.154,98).

ამრიგად, “ორსავე ტახტის” გაერთიანების ეს ცდაც მარცხით დამთავრდა, რასაც ხელი შეუშალა არა მარტო ქვეყნის შიგნით გამაერთიანებელი ძალების სისუსტემ, არამედ გარეშე მტერმაც - ოსმალებმა, რომელთაც საქართველოს ციხე-სიმაგრეთა ნაწილი ეჭირათ და ქვეყნის გამაერთიანებელ ისედაც სუსტ ძალებს კიდევ უფრო ასუსტებდნენ და მას თავისუფალი მოქმედების საშულებას არ აძლევდნენ. ამასთან დაკავშირებით სამართლიანად შენიშნავს ვ. ჩოჩიევი: მტრული გარემოცვის პირობებში ორი ტახტის გაერთიანების ცდები საქართველოსათვის არახელსაყრელი შედეგებით მთავრდებოდა. ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში აღმოცენებული ორი ტახტის საკითხს ოსმალეთი იმერეთ-ამერეთის დასასუსტებლად და საქართველოში თავისი ბატონობის განსამტკიცებლად იყენებდა (206,105).

ამ დროს, როდესაც სიმონ მეფე ებრძოდა ოსმალებს და ამავე დროს ცდილობდა ქვეყნის მთლიანობის აღდგენას, კახეთის მეფე განზე იდგა და ძველებურად მხოლოდ საკუთარი სამეფოს ბედზე ზრუნავდა. XVIს-ის 80-იანი წლებიდან კახეთ-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა ისევ განახლდა. ამას ხელი შეუწყო ოსმალეთის პოზიციების გაძლიერებამ კავკასიაში, რაც საგრძნობლად ლახავდა რუსეთის ეკონომიურ და პოლიტუკურ ინტერესებს. ოსმალეთთან მეტოქეობაში რუსეთი მოკავშირეებს ეძებდა იმიერსა და ამიერკავკასიაში. თავის მხრივ თურქული აგრესიის წინააღმდეგ მებრძოლი კავკასიის ხალხები დაინტერესებული იყვნენ გაძლიერებული

რუსეთის სახელმწიფოსთან კავშირით. ასეთ პირობებში მოხდა კახეთ-რუსეთის პოლიტიკური კავშირ-ურთიერთობის განახლება.

1587 წლის 22 სექტებერს კახეთის მეფემ ხელი მოაწერა ფიცის წიგნს, რომლითაც რუსეთის მეფე კახეთის სამეფოს თავისი ნებით მის მფარველობაში იღებდა და კისრულობდა კახეთის დაცვას საგარეო მტისაგან. ეს იყო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება, რომელიც საქართველოსა და რუსეთს შორის დაიდო (111,55-58.114,11-21.195,66-67.).

“ფიცის წიგნით” ნაკისრი ორმხრივი ვალდებულებები რუსეთის მეფემ დაამტკიცა სპეციალური “წყალობის სიგელით”, რომელიც კახეთის მეფეს 1589 წელს გამოეგზავნა (111,58).

ქართლის მეფე სიმონ I ოსმალთა დაუძინებელი მტერი, “დელი სიმონი” (გიჟი სიმონი), როგორც მას თურქები უწოდებდნენ, ირან-ოსმალეთს შორის ზავის დადების შემდეგაც განაგრძობდა ბრძოლას ოსმალთა წინააღმდეგ.

დასავლეთ ევროპის ქრისტიანული სახელმწიფოები შეშფოთებით შეხვდნენ 1590 წლის ირან-ოსმალეთის ზავს. ისინი შეეცადნენ ანტიოსმალური კოალიციის შექმნას. ამის ინიციატივა რომის პაპმა კლიმენტი VIII-მ (1592-1605) და გერმანიის იმპერატორმა რუდოლფ II-მა (1576-1612) ითავა. მათ გეგმაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ირანელებსა და ქართველებს. თავის მხრივ ესენიც დიდი ენთუზიაზმით გამოეხმაურნენ მათ ინიციატივას (128,90-91). ამის შედეგად 1595 წელს სიმონმა, ალექსანდრემ და შაჰ-აბას I-მა ოსმალეთის წინააღმდეგ კავშირი შეკრეს, რის შესახებაც წერილობით აცნობეს დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებს (69,222-227.128,94-101-141,76-77).

მიუხედავად დიდი მცდელობისა ამ ანტიოსმალური კოალიციის შექმნა მარცხით დამთავრდა. 1598 წ. სიმონმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა, ხოლო ალექსანდრე კახთა მეფემ კი ოსმალებს ხარკი შეუწყვიტა.

ქართლიდან ოსმალთა განდევნისათვის ბრძოლა სიმონმა გორიდან დაიწყო, რომელიც ქართლში ოსმალთა ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი იყო და მათ გორის ციხე საგანგებოდ ჰქონდათ გამაგრებული. მან გორის ციხეს ალყა 1598 წლის ზაფხულშიD შემოარტყა. ცხრა თვიანი ალყის შემდეგ სიმონმა გორის ციხე აიღო (8,535-21,379.23,418.50,83.83,430-431.93,58.)

გორის ციხის აღება სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ოსმალთა ბატონობას. ამიტომ სულთანმა სასწრაფო ზომები მიიღო და სიმონ მეფის წინააღმდეგ დიდძალი ჯარით გაგზავნა Yთავიზისა და განჯის ბეგლარბეგი ჯაფარ-ფაშა. ნახიდურთან გამართულ ბრძოლაში (1599წ,) სიმონი ტყვეთ ჩავარდა. დატყვევებული მეფე ჯაფარ ფაშამ სტამბოლში გაგზავნა. (8,535-536.21,379-380.23,418.27,53.50,83. 51,41,46,50,61.83,430-431.93,58-59).

ცნობამ სიმონის დატყვევების შესახებ ოსმალეთში დიდი სიხარული გამოიწვია. "სულთანმა – წერს სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი – როდესაც სიმონ მეფის დატყვევების ამბავი შეიტყო, ბრძანა მთელი თავისი იმპერიის ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღე და ღამის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ" (17,54-55).

სულთანი მეჰმედ III (1595-1603) ბევრს ეცადა, რომ სიმონი თავის ნებაზე დაეყოლებინა, მაგრამ უშედეგოდ. ურჩი მეფე იედიყულეს ციხეში გამიამწყვდიეს. რამდენიმე წლის ტყვეობაში ყოფნის შემდეგ სიმონი იედიყულეს ციხეში გარდაიცვალა. (13,84-86.44,122-123.71,341.83,431).

ასე შეეწირა ქვეყნის კეთილდღეობისათვის ბრძოლას სიმონ მეფე, რომელმაც ქართლს "ხმალი შეარტყა".

სიმონის მეთაურობით წარმოებული ბრძოლა ყიზილბაშთა თუ ოსმალთა აგრესიის წიანააღმდეგ დიდი მნიშვნელობის მქონე იყო არა მარტო ქართლისათვის, არამედ მთელი საქართველოსათვის. მისი ბრძოლა რამდენადმე ამსუბუქებდა ყიზილბაშთა და ოსმალთა ბატონობის სიმძიმეს საქართველოს დანარჩენ ნაწილებში.

გარეშე მტერთან ბრძოლის პარალელურად სიმონი აქტიურად იბრძოდა ქვეყნის შინაგანი მთლიანობის აღდგენისათვისაც. ის ამ მხრივ ბრძოლის სხვადასხვა ხერხებს მიმართავდა. ზოგჯერ ქართველ მეფე-მთავრებთან დამოყვრების საშუალებით (კახეთის სამეფო და სამცხე საათაბაგო) ცდილობდა მათ შემომტკიცებას. ზოგჯერ კი იარაღის ძალით ცდილობდა ქვეყნის მთლიანობის აღდგენას (მაგალითად დასავლეთ საქართველოში), მაგრამ მისი მცდელობები "ორსავე ტახტის" გაერთიანებისათვის ბრძოლაში წარუმატებელი აღმოჩნდა, რასაც შიდა პოლიტკურ ხელისშემშლელ ფაქტებთან ერთად საგარეო მდგომარეობის გართულებაც უშლიდა ხელს. თავისი

თავდადებული ბრძოლით სიმონმა იმას მაინც მიაღწია, რომ ქართველ მეფე-მთავრებთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა.

თავი VI

ერთიანი ქართული პოლიტიკის შემუშავების მცდელობანი
და ქართლ-კახეთის პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა XVII ს-ის I მესამედში

XVII საუკუნეს საქართველო პოლიტიკურად დაქუცმაცებული შეხვდა. ისევე როგორც წინა XVI ს-ში ერთიანი ქართული მონარქიის ნაცვლად ქვეყანა დაყოფილი იყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. სამეფოთა სათავეში ბაგრატიონთა ძველი სამეფო დინასტიის შთამომავლები იდგნენ. სამთავროების სათავეში კი ერთიანი სამეფოს დროინდელი მოხელე-გამგებლების, ერისთავთ-ერისთავების მემკვიდრეები.

ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლის მოუხედავად ერთიანი ფეოდალური მონარქიის აღდგენის იდეა კვლავ ცოცხლობდა. ამ საუკუნეშიც ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოთა მეთაურები ცდილობდნენ ქვეყნის გაერთიანების მესაჭედ გამოსულიყვნენ. საამისოდ ისინი არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას არ უშვებდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ საქართველოს კვლავ გაერთიანებისთვის.

თითოეული სამეფოს მეთაურს რომ თავი წარმოდგენილი ჰქონდა ქვეყნის გაერთიანების მესაჭედ, კარგად სჩანს მათი ტიტულებიდან. ისინი თავიანთ თავს "მეფეთ-მეფედ" და "ყოვლისა საქართველოს მფლობელ-მპყრობელად" წარმოგვიდგენდნენ. ქართლის მეფე გიორგი X (1600-1606) თავს ერთიანი ქართული სამეფოს მეფეთა ტიტულით იმკობდა. "ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატიონმან, აფხაზთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და საქართველოსი თვით პყრობით მფლობელმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგი" (95,72-73). კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605) ამ მხრივ შედარებით თავმდაბლობას იჩენდა. "ნებითა და შეწევნითა ჩუენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრემ" (35,50,57,58.36,87).

მისი შვილი დავითიც "მეფეთ-მეფედ" წარმოგვიდგებოდა. "ჩუენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან დავით" (37,3). იმერეთის მეფე როსტომი

(1590-1605) მედიდურად აცხადებდა: “ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან ბაგრატუანმან ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, კახთა, სომეხთა მეფეთ-მეფისა, შანშა და შარვანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთისა და ჩრდილოეთისა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა და ორსავე ტახტისა და სახელმწიფოსა თვითფლობით მტკიცედ მპყრობელმან ღვთივ აღმატებულმან სკიპტრა პორფირგუირგუინ შარავანდედთა შორის ბრწყინვალემან ჩუენ ღმრთივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან როსტომ” (36,37). რეალური სურათი სულ სხვა იყო. თითოეული მეფის უფლება საკუთრივ მათი სამეფოს ფარგლებს არ სცილდებოდა. მაგრამ ამ ტიტულებიდან გამომდინარე ცხადი იყო, რომ ქვეყნის გაერთიანების იდეა XVII ს-შიც ცოცხლობდა და “ორსავე ტახტის მფლობელობის” პრობლემა ისევე აქტუალურად იდგა ქართველ მეფეთა წინაშე, როგორც XVI ს-ში.

XVII ს-ის დასაწყისისათვის საქართველოში, ისევე როგორც მთელ ამიერკავკასიაში ოსმალეთი ბატონობდა. მაგრამ ძალთა განლაგება საერთაშორისო ურთიერთობაში ირანის სასარგებლოდ შეიცვალა. 1603 წ. შაჰ-აბას I-მა (1587-1629) ომი გამოუცხადა ოსმალეთს. ამ ომისათვის მზადებას იგი 1590 წლის ზავის დადებისთანავე შეუდგა. მან ქვეყანაში რეფორმები გაატარა, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს ღონისძიებები მიმართული იყო მეტისმეტად აღზევებული ყიზილბაშური ტომების ამირების წინააღმდეგ (133,260.151,65).

შაჰ-აბასმა ყიზილბაშ ამირებს დაუპირისპირა ახალი კავკასიური ელემენტი (151,66). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-აბასის მიერ ჩატარებულ სამხედრო რეფორმებს. მან მნიშვნელოვნად შეამცირა ყიზილბაშთაგან გამომავალი ლაშქარი. ამავე დროს შექმნა კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი მუდმივი ჯარი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ღოლმთა ცხენოსანი კორპუსი, რომელიც შაჰის გვარდია (ყულის ჯარი) იყო. იგი ირანში აღზრდილი და გამაჰმადიანებული ქართველი და სომეხი ახალგაზრდებისაგან დააკომპლექტეს. ყურაღალასი მიღებული წესის თანახმად ქართველი უნდა ყოფილიყო (151,66,68,224,245-246). ღოლამთა რიგებიდან გამოვიდა ირანის არა ერთი გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. მათ შორის იყო ალავერდი ხანი. პირველი ყურაღალასი სახელმგანთქმული მხედართმთავარი და

ირანის უმნიშვნელოვანესი ოლქის ფარსის ბეგლარბეგი, რომელიც უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა მთელს ირანში (127,64-83,168,137-147.184,280-283,237,429-438,238,1076). მთელი სამხედრო რეფორმა ირანში ჩატარდა ალავერდი ხან უნდილაძის უშუალო ხელმძღვანელობით, რომლის ტექნიკური თანაშემწეები იყვნენ ინგლისელი ძმები შერლები.

ირან-ოსმალეთის ომის განახლების დროს აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, კახეთში სამეფო სახლის წევრებს შორის დაიწყო ბრძოლა ტახტისათვის, რის გამოც 1601 წ. მოხუცი მეფე ალექსანდრე გადადგა. კახეთში მისი უფროსი ვაჟი დავითი გამეფდა. სამეფოში მშვიდობა მაინც არ დამყარებულა. დავითის ძმამ გიორგიმ შეთქმულება მოაწყო მის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა. დავითი შეთქმულებს სასტიკად გაუსწორდა. კახეთის სამეფო სახლის წევრებს შორის ატეხილ კონფლიქტში გიორგი ქართლის მეფეც ჩაერია. ამ უკანასკნელმა დავითის მხარე დაიჭირა. დავითი სასტიკად გაუსწორდა ალექსანდრეს მომხრეებსაც (21,381-382,23,580-581,83,433). გიორგი ქართლის მეფის ჩარევა კახეთის სამეფო სახლს შორის გამართულ ბრძოლაში იმით აიხსნებოდა, რომ თუ კი ალექსანდრე დასუსტდებოდა და მისი ხელშეწყობით კახეთში დავითი გამეფდებოდა, კახეთის სამეფოში გიორგი მეფის გავლენა გარკვეულწილად დამყარდებოდა.

დავითის მეფობა დიდხანს არ გაგრძელებულა. 1602 წელს ის გარდაიცვალა. ტახტზე კვლავ ალექსანდრე ავიდა (21,482,23,581,83,433).

ირანთან დაწყებულ ომში ოსმალეთი მარცხდებოდაა. ამ ომში გამომჟღავნდა ოსლამეთის სამხედრო პოტენციალის სისუსტე. ირანის სამხედრო წარმატებებს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ ოსმალეთს ერთდროულად უხდებოდა ომის წარმოება აღმოსავლთსა და დასავლეთში.

შაჰ-აბასმა დაიკავა თავრიზი, აიღო ჯულფა, ნახიჭევანი, ერევნის ციხე (1604 წ.) (183,230-231,208,341,224,246-247).

ერევნის აღების დროს შაჰ-აბასმა ჯარებიანად იხმო მისი ვასალები – ალექსანდრე კახთა მეფე და გიორგი ქართლის მეფე (33,43-44). კახეთისა და ქართლის ჯარებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს ერევნის ციხის აღებაში (21,380-381.23,419.93,59), რისთვისაც შაჰ-აბასმა “უხვად” დააჯილდოვა ქართველი მეფეები. სამაგიეროდ შაჰმა

ქართლის მეფეს ლორეს პროვინცია და მდ. დებედას ხეობა გამოსთხოვა (8,537,23,420). ლორეს პროვინციისაგან შაჰმა სახანო შექმნა, რომლის ხანად ადგილობრივი გამუსლიმანებული ფეოდალი დანიშნა. დებედას ხეობაში კი თურქმანული ტომი "ბორჩალუ" ჩამოასახლა და აღჯაყალის ირანელ ციხისთავს დაუმორჩილა. ამით შაჰმა ქართლს სამხრეთის კედელი მოურღვია და მის თადაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზაიანი მიაყენა (114,127).

ასევე მოიქცა შაჰ-აბასი კახეთის მიმართაც. ალექსანდრეს მან კაკ-ენისელის (საინგილოშია) პროვინცია "მიუღო" და იქაც მუსლიმანური სასულთნო შექმნა. ამით შაჰ-აბასმა კახეთს აღმოსავლეთის კედელი მოურღვია (23,573.114,127-127.139,14-17.140,31-40).

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე შაჰ-აბასს კავკასიაში, კერძოდ, საქართველოში ახალი მეტოქე გამოუჩნდა რუსეთის სახით. რუსეთის სახელმწიფოს საქართველოში კახეთის სამეფო იწვევდა. ალექსანდრე კახთა მეფე ამ მხრივ დიდი აქტიურობით გამოირჩეოდა. შაჰ-აბასს რუსეთის ინტერესები ამიერკავკასიში არანაკლებ სახიფათოდ ეჩვენებოდა, ვიდრე ოსმალეთისა, მით უმეტეს, რომ ქართველი პოლიტიკოსები დიდ იმედებს ამყარებდნენ ერთმორწმუნე რუსეთის დახმარებაზე, როგორც ოსმალეთის, ისე ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, ირანის ინტერესები მოითხოვდა ოსმალეთთან ერთად რუსეთის უკუგდებასაც. ამიტომ იყო, რომ შაჰ-აბასი ფხიზლად ადევნებდა თავლ-ყურს რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობის განვითარებას. მისთვის ცნობილი იქნებოდა კახეთ-რუსეთის ურთიერთობის ინტენსიური განახლება XVII ს-ის დასაწყისში (111,60-62.114,117-120).

"ამიერიდან ამიერკავკასიის ასპარეზზე ორი კი არა სამი დიდი ძალა ექიშპებოდა ერთამნეთს" (114,120-121). ამ მესამე ძალის, რუსეთის მხარდამჭერი კახეთის მეფე ალექსაქნდრე იყო. ამიტომ შაჰ-აბასმა გადაწყვიტა შური ეძია მასზე. მისი ხელშეწყობით 1605 წელს მეფე ალექსანდრე და მასთან ერთად გიორგი ბატონიშვილი, მისმა შვილმა, შაჰის კარზე აღზრდილმა, გამაჰმადიანებულმა კონსტანტინემ მოკლა (ძეგამის 12 მარტის ტრაგედია). ამის შემდეგ კონსტანტინემ თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ კახელებმა მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე მეფედ არ ისურვეს, აჯანყდნენ დავითის ქვრივის ქეთევანის მეთაურობით და კონსტანტინე მოკლეს

(6,28.8,539.23,87.17,14-16.18,41-42.21,382-383.23,581-583.33,45-46.51,33,41,53.61,342.77,91-92.83,434-435.93,60-63).

ალექსანდრე ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და კარგი პოლიტიკოსი იყო. ისქანდერ მუნში ასე ახასიათებს მას "ალექსანდრე თავისი სწორი მსჯელობით და გამჭრიახობით უგამოჩინებულესი ადამიანი იყო. ახალგაზრდათა და მოხუცთა შორის ეშმაკობისა და მოხერხების მხრივ ბებერი მგელი იყო" (33,42-43). პროფ. გ. ჯამბურია მართებულად შენიშნავს, რომ – ეტყობა ამ ჭკვიამა პოლიტიკოსმა და დიპლომატმაც კი სათანადოდ ვერ შეაფასა შაჰ-აბასის, ამ ვერაგი პიროვნების სამხედრო სიძლიერე (224,250) და მისი ინტრიგების მსხვერპლი გახდა.

კონსტანტინეს სიკვდილი შაჰ-აბასის მარცხი იყო, მაგრამ ცბიერმა შაჰმა ეს მარცხი არ შეიმჩნია (21,383.23,583.33,60). მან სიტუაცია სათანადოდ შეაფასა და გაითვალისწინა საერთაშორისო ვითარებაც. ამიტომ დროებით უკან დაიხია და კახეთის მეფედ ქრისტიანი თეიმურაზი (1606-1663) დაამტკიცა. თეიმურაზი მეფედ შაჰის კარზე დალოცეს და კახეთში გამოისტუმრეს (33,60-61.39,17-18.93,64). ამით მან "ირან-კახეთის ძველ ურთიერთობაში არსებითი ხასიათის ცვლილება შეიტანა. ამიერიდან კახთა მეფის დალოცვა შაჰმა თავის კარზე გადაიტანა" (114,148).

თეიმურაზი გამეფებისას 16 წლის ყმაწვილი იყო. მისი მცირეწლოვანობის გამო სამეფოს დედამისი ქეთევან დედოფალი განაგებდა. 1607 წელს თეიმურაზი მამია გურიელის ასულ ანაზე დააქორწინეს, რომელთანაც მას ორი ვაჟი ლევანი და ალექსანდრე ეყოლა, მაგრამ ეს ქალი მალე გარდაიცვალა (6,35,21,384,23, 584.83,437.93,64).

ასე რომ კახეთის ტახტზე დაჯდა ქრისტიანი თეიმურაზი, რომელიც წინაპრებისაგან განსახავებით უფრო მოკრძალებულად წარმოადგენდა თავს. "...ჩუენ ღ'თივ გვირგვინოსანმან მეფემან პატრონმან თეიმურაზ" (62,საბ.[1]1554.65,1). "...ჩუენ მეფემან ბატონმან თეიმურაზ" (65,537). კახთა მეფე თეიმურაზი არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ "მეფე-ბატონის" ტიტულით და თავს "მეფეთ მეფის" წოდებითაც იმკობდა: "...ჩუენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან თეიმურაზ" (37,24.65,184). თეიმურაზი ამაზე შორსაც მიდიოდა: "ნებითა და შეწევნითა ღ'თისათა ჩუენ ღ'თივ გვირგვინოსანმან და ორსავე სამეფოსა და ტახტის მპყრობელმან მეფეთ-მეფემან

პატრონმან თეიმურაზ” (37,18). ამ ტიტულიდან კარგად ჩანს თეიმურაზის მისწრაფება “ორსავე ტახტისა და სამეფოს” მფლობელობისაკენ, რომ მისთვის მარტო კახეთის ტახტი არ იყო საკმარისი და ნებისმიერ ხელსაყრელ შემთხვევას გამოიყენებდა, რათა სათავეში ჩადგომოდა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას.

1605 წ. შაჰ-აბასმა განჯა აიღო. ამის შემდეგ კი თბილისის ციხე (1606 წ.). ამ დროს გიორგი ქართლის მეფე მოულოდნელად გარდაიცვალა (83,434.93,63.1). შაჰმა ქართლის მეფედ გარდაცვილილი მეფის 14 წლის პირმშო ლუარსაბი (1606-1615) დაამტკიცა (33,66.237, 577). ამრიგად, თეიმურაზიცა და ლუარსაბიც შაჰ-აბასის მიერ იყვნენ დამტკიცებულნი თავიანთ სამეფო ტახტზე, რითაც ირანის გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს ორსავე სამეფოში (ქართლში და კახეთში) გარკვეულწილად გაიზარდა. მიუხედავად ამისა ლუარსაბი თეიმურაზის მსგავსად თავს საკმაოდ დამოუკიდებლად გრძნობდა და არა შაჰის მიერ დამტკიცებულ ქართლის მმართველად, არამედ “მეფეთ-მეფეთ” (62,საბ[1]1554) წარმოგვიდგებოდა. ორივე ქართულ სამეფოში (ჯერ კახეთში, შემდეგ ქართლში) ქრისტიანი მეფეების დამტკიცება იყო დროებითი დათმობა, შაჰ-აბასი ხელსაყრელ მომენტს უცდიდა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი მიზნების განსახორციელებლად – მის ყიზილბაშურ სახანოდ გადასაქცევად.

თბილისიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ ქართლში ფაქტიურად დამთავრდა ე.წ. ოსმალობა (1578-1606 წწ.), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პერიოდი იყო ქართველი ხალხის ისტორიაში, მაგრამ ქვეყანას თავისუფლება მაინც არ მოუპოვებია (183,237), რადგან ოსმალთაგან განთავისუფლებულ ციხეებში ყიზილბაშები ჩადგნენ. ამიერიდან ქართლისა და კახეთის სამეფოები ირანის ვასალებად ითვლებოდნენ. ირან-ოსმალეთის ამ ომში ოსმალები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ. 1607 წ. ირანელებმა ქართველების დახმარებით აიღეს ახალციხე, რომლის გამგებლადაც მანუჩარ II-ის ვაჟი მანუჩარი დაამტკიცეს. მაგრამ ახალციხე ირანელთა ხელში დიდხანს არ ყოფილა. 1608 წ. მას კვლავ ოსმალები დაეუფლენ.

1609 წელს ოსმალეთის ლაშქარი, რომელშიც მონაწილეობდა ყირიმელი თათრები, ქართლში შემოიჭრა. ქართველებმა გიორგი სააკაძის მეთაურობით ქვიშხეთთან ისინი სასტიკად დაამარცხა. ეს იყო თურქთა მარბიელი ლაშქრობა,

რომლის მიზანი ქვეყნის მორბევა იყო (21,385-388.23,420-423.33,73.51,34,41,46,48,61.76,7-10.93,76.226,254-257).

1610 წელს აზერბაიჯანში მყოფმა შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეები თავისთან დაიბარა. ისინი მივიდნენ მასთან, შაჰმა დააკმაყოფილა ლუარსაბ მეფის თხოვნა და თბილისის ციხე დაუბრუნა (თბილისის ციხეში 1606 წლიდან ირანელთა გარნიზონი იდგა). ამ ვიზიტით ქართველმა მეფეებმა ირანის შაჰთან დროებითი ურთიერთობის მოგვარება შეძლეს. ცბიერმა შაჰმა კარგად იცოდა, რომ მათი ეს "მორჩილება" მოჩვენებითი იყო. ამიტომ ის ხელსაყრელ მომენტს ეძებდა "გურჯისტანის" საკითხის თავის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. ქართლის ერთგვარ წარმატებაში გარკვეული წვლილი მიუძღვის თბილისის მოურავს გიორგი სააკაძეს.

* * *

გიორგი სააკაძე და მისი წინაპრები სამეფო აზნაურები იყვნენ (143,67-75.205,68-69.217,1-3). სააკაძეები წარმოშობით შიდა ქართლიდან, ატენის ხეობიდან იყვნენ. ისინი განსაკუთრებით დაწინაურდნენ XVI ს-ის II ნახევარში სიმონ I-ის მეფობის დროს. გიორგის მამა სიაუშ გიორგის ძე მეფის სალაროს მოლარე იყო (82,37.221,20-21), 1590 წლიან კი თბილისის მოურავი, მისი ბიძა ქართლის სამეფო კარის სახლთუხუცესი იყო.

სააკაძეებმა შემდგომ თეძმის ხეობაში მოიკიდეს ფეხი, სადაც გიორგი სააკაძის ფეოდალური სამფლობელო ჩამოყალიბდა. მისი ცენტრი იყო სოფ. ნოსტე. აქ ჰქონდა მას სასახლე, ციხე-კოშკით და კარის ეკლესია. სოფ. ერთაწმნიდაში კი საგვარეულო მონასტერი, სადაც შემდეგ მის მემკვიდრეებს მარხავდნენ. სააკაძეები ფლობდნენ მრავალ სოფელს, ყმა-გლეხებსა და აზნაურებსაც (221,22-35).

გიორგი სააკაძე დაიბადა 1570-იან წლებში სააკაძეთა ძველ სამკვიდრო სოფელ ფელში (222,282-287). მას როგორც მაღალი სამოხელეო არისტოკრატიის ოჯახის შვილს იმ დროს შესაფერისი განათლება უნდა მიეღო (205,100). იგი სიმონ I-თან ერთად იბრძოდა ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ. შემდეგ კი ქართლის მეფის გიორგი X-ის თანამებრძოლი იყო.

გ. სააკაძე ლუარსაბის უახლოესი თანამებრძოლიც იყო, რომელმაც იგი თბილისის მოურავად, ანუ ამირთ-ამირად დანიშნა. 1608 წ. გიორგი უკვე თბილისის

მოურავად იხსენიება (62,საბ.№952). სააკაძეთა ოჯახი XVI ს-ის ბოლოსა და XVII ს-ის დასაწყისში ერთ-ერთი უძლიერესი ფეოდალური ოჯახი იყო, რომელიც დიდი გავლენით სარგებლობდა მთელს სამეფოში და გავლენას ახდენდნენ სახელმწიფო საქმეებზე და სხვა.

ლუარსაბის მეფობის დასაწყისში გიორგიმ შეძლო ცენტრალური ხელისუფლების ერთგვარი განმტკიცება. ამან ქართლის თავდაცვისუნარიანობა რამდენადმე გააძლიერა.

ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლა მთელი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის ბრძოლის ნაწილი იყო. სააკაძე ხელს უწყობდა წვრილ აზნაურეთა და საერთოდ "უგვაროთა" წინ წამოწევას, რომელნიც დიდი თავადების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი მთავარი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო. დიდებული თავადებისა და მთავრების სიძლიერე მეფის ხელისუფლების სისუსტით იყო განპირობებული. ამიტომ სააკაძე მეფის ხელისუფლების სიძლიერის მომხრე და დიდი თავადების მოწინააღმდეგე იყო. თავადებსა და მეფეს შორის წარმოებულ ბრძოლაში სააკაძე ამ უკანასკნელის მხარეზე იყო (221,57-58,70.226,258-259). გიორგი სააკაძის უშუალო თანამშრომელნი ზოგიერთ თავადთან ერთად წვრილი აზნაურები და გლეხები იყვნენ. თავადებს კარგად ესმოდათ, რომ ეს ძალა მათ წინააღმდეგ იყო მიმართული. მართლაც გიორგი ამ ძალაზე დაყრდნობით ცდილობდა დიდ ფეოდალთა ალაგმვას და ქვეყნის გაერთიანებას. ეს იყო საქართველოს გაერთიანების აზნაურული იდეა. თავადებს კი საქართველოს გაერთიანება მეფე-მთავართა კავშირად ჰქონდათ წარმოდეგნილი. თავადებისა და სააკაძის გეგმები ერთმანეთის საწინააღმდეგო იყო. სწორედ ეს შეიქმნა უმთავრესი მიზეზი თავადების სააკაძესთან მტრობისა, რის გამოც ის იძულებული გახდა გადახვეწილიყო სამშობლოდან (133,282.222,70-71.226,259-260).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ერთ სახელმწიფოდ ხელახლა გაერთიანების იდეის ავტორი გიორგი სააკაძე არ ყოფილა. ეს იდეა საქართველოში ყოველთვის ცოცხლობდა. კერძოდ, ქვეყნის სამეფო-სამთავროებად დაშლისთანავე, საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება უმთავრესი პრობლემა იყო გვიანფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე. სააკაძემდე და მის შემდგომაც იბრძოდნენ ამ იდეის განსახორციელებლად. უფრო მეტიც, მას ეს იდეები

შეთვისებული უნდა ჰქონოდა სიმონ I-საგან, რომელიც ქვეყნის გაერთიანებისათვის თავგამოდებით იბრძოდა.

სააკაძეს მომხრეები დიდ ფეოდალთა წრიდანაც ჰყავდა. ესენი იყვნენ: ნუგზარ არაგვის ერისთავი, თეიმურაზ მუხრანბატონი, იასე ქსნის ერისთავი, ზაზა ციციშვილი, ბაკა ხერხეულიძე და სხვა. ერთხანს მის მომხრეთა შორის იყვნენ ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილებიც. მათ ქართულ წყაროებში სააკაძის "მოკიდებულნი კაცნი" ეწოდებოდათ. აკად. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით: "ესაა თავისუფალ პირთა (თუ სახლების) გაერთიანება ამა თუ იმ პირის (თუ სახლის) გარშემო. იგი უმთვრესად სოციალურ-პოლიტიკურ საფუძველს და ანგარიშიანობას ემყარებოდა. ამიტომაც სააკაძის "მოკიდებულნი კაცნი", ანუ "სააკაძის პარტია" არ იყო მტკიცე პოლიტიკური გაერთიანება. სიტუაციებისა და ინტერესთა შეცვლის შედეგად სააკაძის მომხრეები მის მტრადაც გადაქცეულან. მაგ: ადრე სააკაძის მომხრეები ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები შემდეგ მისი მოსისხლე მტრები გახდნენ. ასევე უფრო გვიან, გიორგის ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი თანამებრძოლი მისივე ცოლისძმა ზურაბ არაგვის ერისთავი, მოწინააღმდეგე ბანაკის მეთაურთაგანი გახდა. აღნიშნული ვითარება იმის შედეგი იყო, რომ სააკაძის "მოკიდებულნი კაცნი" სხვადასხვა საფუძველზე და სხვადასხვა მიზეზით იყვნენ გაერთიანებულნი. ზოგი მოყვრობის ნიადაგზე (არაგვის და ქსნის ერისთავები, მუხრანბატონი) გამხდარიყო გიორგის მომხრე, რომელთაგან ნაწილი თავისი სამფლობელოს გაზრდა-გაფართოებას მოელოდა, სხვა გაერთიანებული საქართველოს სამეფო ტახტსაც კი ემიზნებოდა (მუხრანბატონი), ზოგი გიორგის, როგორც ძლიერი პიროვნების მფარველობას საჭიროებდა თავისი სახლიკაცების წინააღმდეგ ბრძოლაში (ჯავახიშვილები), ზოგი კი უფრო მცირე ჯგუფი და უფრო სუსტნიც გიორგის იდეებს უნდა მოეზიდნათ მის "პარტიაში" (ხერხეულიძე და სხვა). მიუხედავად აღნიშნულისა, გ. სააკაძის მომხრეთა დასი საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური დაჯგუფება იყო 1608-1611 წლებში. ამ პოლიტიკური დასის სიძლიერის შედეგი იყო სააკაძის აღზევება და მის მიერ წამოწყებული ზოგიერთი საქმის წარმატებაც" (113,114-117).

არ არსებობდა რომელიმე ერთი მტკიცე ძალა, რომელზედაც დაყრდნობით სააკაძე შესძლებდა თავისი მიზნების განხორციელებას. საშუალო და წვრილი

აზნაურობა ორგანიზაციულად უაღრესად სუსტი, ხოლო მისი მომხრე თავადთა ჯგუფი უაღრესად არასაიმედო ძალა იყო. ასეთი ვითარება გიორგისთვისაც ნათელი უნდა ყოფილიყო. მან სცადა ამ ორი მომენტის ერთ ძლიერ ძალად გაერთიანება. პირველ ხანებში ერთგვარ წარმატებასაც კი მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მისი განხორციელება ამ უდიდესი ტემპერამენტისა და ენერგიის მქონე ადამიანისთვისაც შეუძლებელი აღმოჩნდა.

გ. სააკაძეს და მის მომხრეებს არანაკლებ სიძლიერის მოწინააღმდეგენი ჰყავდათ გიორგის პოლიტიკით უკმაყოფილო დიდი თავადების მრავალრიცხოვანი ჯგუფის სახით. ამ ფეოდალური პოლიტიკური დასის, რომელიც მსხვილ ფეოდალთა ინტერესებს გამოხატავდა, მეთაურები იყვნენ დიდი გავლენის მქონე თავადები: ფარსადან ციციშვილი და შადიმან ბარათაშვილი. მათი, სააკაძის გეგმის დიამეტრულად საწინააღმდეგო მიზნები, თავადთა, ამ ნახევრად ხელმწიფეთა პოლიტიკური უფლებების შემდგომ ზრდასა და მაშასადამე, სრული ხელმწიფობისაკენ მისწრაფებაში გამოიხატებოდა. ეს ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებისა და საქართველოს პოლიტიკური დაშლის ტენდენციების გაღრმავებას გამოხატავდა. მათ ამ სურვილს წინ გ. სააკაძე ეღობებოდა, ამდენად, მისი თავიდან მოცილება და ფიზიკური განადგურება ამ ჯგუფის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა. ბრძოლა მწვავე და დაუნდობელი იყო.

აღნიშნულ ორ ფეოდალური დაჯგუფებას შორის ბრძოლა ეს იყო შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალური კლასის შიგნით იმ დროისათვის პროგრესული და რეაქციულ ფრთას შორის. სააკაძე პროგრესული საქმის მეთაურად გამოდიოდა (221,70-74.226,253-261).

1611 წლის შემოდგომაზე ლუარსაბ მეფემ ცოლად შეირთო სააკაძის და. ამ ქორწინებას წყაროები სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ. ერთი ნაწილი სააკაძის დისა და ლურსაბის ქორწინებას მოურავის ინიციატივად თვლის. მეორე ნაწილი კი პირიქით (17,18-19.21,383-389.23,423-424.76,37-38.85,303.93,68-69).

გიორგი სააკაძე მისი დისა და ლუარსაბ მეფის ქორწინების წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო, რადგანაც სააკაძეს უნდა სცოდნოდა, რომ მის დას დედოფლად არ მიიღებდნენ დიდი თავადები და ეს იქნებოდა მოურავის მტრებისათვის მისი და მისი დის დაღუპვის მიზეზი (237,578). პროფ. გ. ჯამბურიას აზრით, თითქოს მეფისა და

სააკაძის დის ქორწინება მოურავს უნდოდა. “შესაძლებელია ასეც იყო, აქ საკვირველი არაფერია. ფეოდალურ ქვეყანაში მოყვრულ-ნათესაურ კავშირს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თუ ვის მხარეს აღმოჩნდებოდა მეფე. მეფესთან დამოყვრებით გიორგის გავლენა კიდევ უფრო გაიზრდებოდა და თავისი დიდი საქმის გამხორციელებას უფრო ადვილად შესძლებდა. მან ასეთი რამ შემდეგაც სცადა. 20-იან წლებში იმერეთის მეფეს გიორგის ქალი სთხოვა თავისი ვაჟის ავთანდილისათვის” (221,75). ვერ დავეთანხმებით გ. ჯამბურიას ამ მოსაზრებას. მართალია, იმ დროისათვის გ. სააკაძე დიდი მამულების მფლობელი იყო, დიდი თანამდებობაც ეჭირა და მისი სახელი საქართველოს ფარგლებსაც გასცდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ის აზნაური იყო, ამიტომ ცხადია, რა მიზანიც არ უნდა ჰქონოდა სააკაძეს მეფესთან დამოყვრებით, მას კარგად უნდა სცოდნოდა, რომ დიდი თავადები არ მოითმენდნენ სააკაძის დის, აზნაურის ქალის გადედოფლებას. მოურავის პოლიტიკური მიზანსწრაფვა არ შეესაბამებოდა რეაქციონერ თავადთა პოლიტიკურ შეხედულებებს და ბრძოლა მათ შორის სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა. მეფესთან დამოყვრებით ხომ სააკაძის და მისი მომხრეების გავლენა ქვეყანაში კიდევ უფრო გაიზრდებოდა და ის მეფის შემდეგ პირველი პირი გახდებოდა სამეფოში. “მოურავმა იცოდა, რომ ამას მოჰყვებოდა დიდი შფოთი, ისიც იცოდა, რომ საწყაო საქართველოს დიდებულთა იმის ასე ამაღლებისთვის აღვსილი იყო, ერთი წვეთიც კიდევ და გადმოიღვრებოდა. სააკაძე ხედავდა რომ ღრუბელი იზრდებოდა მისსა და მთელი სამშობლოს თავს” (205,129-130).

სააკაძის და მეფის დამოყვრებით მოურავის პოზიციები უფრო განმტკიცდა. უგვარო სააკაძის გაძლიერება მიუღებელი იყო დიდი თავადებისათვის. ისინი ყოველნაირად ცდილობდნენ მეფისა და სააკაძის კავშირი დაეშალათ. მათთვის სააკაძე მარტო უგვარობით კი არ იყო მიუღებელი, არამედ მისი პროგრესული იდეებითაც. დაშლილი ქვეყნის გაერთიანება და ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება ხომ მათ ინტერესებს რადუალურად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომ ცდილობდნენ ისინი სააკაძე მეფისათვის დაეშორებინათ და ამით მისი პოზიციები დაესუსტეინათ, მისი პროგრესული იდების გატარებიასთვის ნიადაგი გამოეცალათ. იოსებ ტფილელი მოგვითხრობს, რომ მეფეს თავადებმა პირდაპირ დაუსვეს საკითხი – “ან სააკაძე ან

ჩვენო” (76,18). მეფე დიდხანს არ თანხმდებოდა თავადთა ამ მოთხოვნას, “დაღაცა თუ არ ენება მეფესა მოურავის გამომეტება” (21,389), მაგრამ თავადები არ ეშვებოდნენ.

ამიტომაც მალე მეფე იძულებული გახდა თავადების სურვილს დაჰყოლოდა. გადაწყდა დედოფლის განშორება და სააკაძის სიკვდილით დასჯა (21,390.76,19). მათ მიერ მოურავის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულება მარცხით დამთავრდა. ამის შემდეგ სააკაძეს აქ აღარ ედგომებოდა. იგი იძულებული გახდა სამშობლოდან გადახვეწილიყო. სააკაძე ირანში გაიქცა და თავი შაჰ-აბასს შეაფარა. ეს მოხდა 1612 წელს (21,390-391.76,19-20.). სააკაძის ირანში წასვლა იმ დროს ფიზიკური გადარჩენის ერთ-ერთი გამოსავალი იყო. მეფე “ლუარსაბმა და ქართლის დიდებულებმა – აღნიშნავს ა. ფურცელაძე – სააკაძე გადაუგდეს შაჰ-აბასს, როგორც მოღალატე მამულისა, როგორც მტერი ქვეყნისა” (205,135).

არასოდეს სააკაძისა და შაჰ-აბასის პოლიტიკა ერთმანეთს არ ემთხვეოდა, მაგრამ სააკაძე მისდა უნებურად 1612 წლიდან მოყოლებული 1625 წლამდე შაჰ-აბასის სამსახურში იდგა. შაჰ-აბასი და სააკაძე, იმ დროს ეს ორი დიდი ადამიანი, ერთმანეთის გამოყენებას ცდილობდნენ თავაიანთი მიზნების მისაღწევად.

რა მიზანი ჰქონდა სააკაძეს როცა ირანში მიდიოდა? ამასთან დაკავშირებით პროფ. დ. გვრიტიშვილი წერს: “ჩვენი ღრმა რწმენით, როცა გ. სააკაძე ირანში მიდიოდა, მისი მიზანი იყო შაჰ-აბასის სამხედრო ძალებით თავისი მოწინააღმდეგეების დათრგუნვა და ერთი მეფის ხელში მთელი ქვეყნის გაერთიანება. თავისთავად ამ მოსაზრებას ერთგვარი სოციალური საყრდენი ჰქონდა. ქვეყნის შიგნით ეს იყო აზნაურთა ფენის მოძრაობა თავადთა წინააღმდეგ, რომელსაც მხარს უჭერდა გლეხთა ფართო ფენები და თავადთა ქვედა ფენა”. ამ მოძრაობის დევიზი იყო ერთიანი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ ქვეყნის გაერთიანება. ეს გაერთიანება დიდ ფეოდალთა წინააღმდეგ მიმართული მოძრაობა იყო. მაგრამ ამ მოძრაობის მომხრეთა ძალები იმდენად სუსტი იყო, რომ საკუთარი შესაძლებლობებით მოწინააღმდეგეს ვერ დაამარცხებდნენ და გ. სააკაძემ, ამ აზნაურული მოძრაობის მამამთავარმა მიზნის მისაღწევად მცდარი გზა აირჩია. შაჰის დახმარებით სცადა მიზნის მიღწევა. როცა ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ შაჰ-აბასს საქართველოში სიკეთე კი არ მოაქვს, არამედ განადგურება და სიკვდი-ლი, მან, ამ გულწრფელმა პატრიოტმა შვილიც კი გასწირა

საკუთარი ქვეყნის ბედნიერებისთვის, ჩაშალა შაჰის საქართველოს მოთხრის შავბნელი საქმე” (133, 298). ბოლომდე ვერ გავიზიარებთ მეცნიერის ამ მოსაზრებას. სააკაძისათვის ნათე-ლი უნდა ყოფილო, რომ შაჰ-აბასის სამხედრო ძალის გამოყენებით მთელი ქვეყნის გაერთიანებას ვერ შესძლებდა. ცნობილია, რომ 1555 წლის ამასიის ზავით მიღებუ-ლი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი ირანმა 1590 წელს კონსტანტინეპოლის ზავით დაკარგა. 1603 წელს შაჰ-აბასმა ოსმალეთთან განახლებული ომის შედეგად ისევ დაიბრუნა ირან-ოსმალეთის მეორე ომის (1578-1590) დროს დაკარგული საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილი. დასავლეთ საქართველოზე ირანს ხელი არ მიუწვდებოდა. ქვეყნის ეს ნაწილი ოსმალეთის “კუთვნილი ქვეყანა” იყო.

თუ კი შაჰ-აბასი სააკაძეს დაეხმარებოდა თავისი იდეის განხორციელებაში – ქვეყნის გამთლიანებისათვის ბრძოლაში, მაშინ მას დასავლეთ საქართველოდან ოსმალეთისათვის ფეხი უნდა ამოეკვეთა და ქვეყნის ეს ნაწილიც თავისი გავლენის სფეროში მოექცია. მართალია, შაჰ-აბასს ოსმალეთზე გაცილებით ძლიერი სამხედრო ძალა ჰყავდა და წარმატებითაც იბრძოდა მათ წინააღმდეგ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაშინ ირანს მაინც არ შეეძლო ოსმალეთისათვის მთლიანი საქართველოს წართმე-ვა, როგორც ეს ოსმალებმა ირან-ოსმალეთის მეორე ომის დროს შესძლეს. ყოველი-ვე ეს კარგად უნდა სცოდნოდა იმ დროს ერთ-ერთ უჭკვიანეს და უნიჭიერეს პოლიტიკოსს სააკაძეს და ამიტომ მას ირანში წასვლისას ასე შორს განზრახული მიზანი არ უნდა ჰქონოდა. რაც შეეხება მის მოწინააღმდეგე დიდ ფეოდალთა დათრგუნვას, საამისოდ ირანის სამხედრო ძალის გამოყენება შესაძლებელი იყო.

სააკაძისათვის იმ დროს უკეთესი გამოსავლის პოვნა ძნელი იყო. სამშობლოში დარჩენის შემთხვევაში მას სიკვდილი ემუქრებოდა. თავისი მიზნის (ქვეყნის გაერთიანება ერთი მეფის ხელში, რისთვისაც ბრძოლას შესწირა მან საკუთარ თავთან ერთად დედა და ცოლ-შვილი) განხორციელებისათვის ბრძოლა ამ შემთხვევაში დროებით სამშობლოს დატოვების აუცილებლობას მოითხოვდა. როდესაც ირანში მიდიოდა, სააკაძეს კარგად უნდა სცოდნოდა ისიც, რომ “ირანის ლომი” საქართველოსთვის სიკეთის მომტანი არ იყო. ამიტომ ის თავისი გეგმით ვერ აღაფრთოვანებდა შაჰ-აბასს და ამ “გეგმის” განხორციელების მხურვალე მხარდამჭერად ვერ გაიხდიდა, რადგან საქართველოს გაერთიანება ეწინააღმდეგებოდა არა მარტო

ქვეყნის შიგნით რეაქციონერ თავადთა ინტერესებს, არამედ საგარეო მტრის (ამ შემთხვევაში ირანის) ინტერესებსაც. ირანში წასვლა იყო რეაქციონერ თავადთაგან (რომელთაც მეფე იძულებით გადაიბირეს) დევნილი სააკაძისათვის დროებითი თავშესაფარი, სადაც ის ხელსაყრელ მომენტს დაელოდებოდა უკან დასაბრუნებლად და დაწყებული საქმისათვის ბრძოლას გააგრძელებდა.

როდესაც ქვეყნის შიგნით ასეთი ამბები ხდებოდა, ირანსა და ოსმალეთს შორის ომი კვლავ გრძელდებოდა. ბრძოლა მათ შორის ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა. ორივე მხარე დაინტერესებული იყო ზავის დადებით.

1612 წლის 20 ნოემბერს ქალაქ სტამბოლში ირანსა და ოსმალეთს შორის ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას. ამით აღდგენილ იქნა 1555 წლის ამასიის ზავის პირობები, იმ განსხვავებით, რომ შაჰი სულთანს ყოველწლიურად 200 საპალნე აბრეშუმს გადაუხდიდა (208,248-255).

ოსმალეთთან დაზავების შემდეგ შაჰმა საქართველოსთვის მოიცალა. მას არ აკმაყოფილებდა ქართლ-კახეთის სამეფოების ვასალური დამოკიდებულება, მით უმეტეს როცა მათი "ერთგულება" საეჭვო ჩანდა.

1612 წლის ზაფხულში შაჰმა თეიმურაზი და ლუარსაბი ნადირობის საბაბით მაზანდარანში დაიბარა. ქართველი მეფეები არ წავიდნენ მასთან (33,80-81.77,93). ლუარსაბისა და თეიმურაზის საქციელი აჯანყებას უდრიდა – ამით ისინი შაჰის ვასალობაზე უარს ამბობდნენ.

საქართველოში კარგად იცოდნენ შაჰ-აბასის ზრახვები და თავის მხრივ ქართლ-კახეთის მეფეებიც კონტრზომებს იღებდნენ. ერთის მხრივ შინაგან შესაძლებლობებს აკოწიწებდნენ, მეორეს მხრივ ქვეყნის გარეთ მოკავშირეებს ეძებდნენ. შემთხვევითი არ იყო, რომ თეიმურაზმა ლუარსაბ მეფის და ხორეშანი შეირთო ცოლად.

ლუარსაბის და თეიმურაზის დამოყვრებით აღდგენილ იქნა შინაგანი ერთიანობა ქართლისა და კახეთის სამეფოებს შორის. "ასე არჩიეს საქრისტიანოს გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის"- აღნიშნავს ფარსადან გორგიჯანიძე (39,20). აღმოსავლეთ საქართველოს ამ ორ სამეფოს შორის კავშირი არ იყო მყარი. აღნიშნული კავშირი საგარეო მტრისგან საფრთხის გამო შეიკრა, რომელიც თითქოსდა დინასტიური ქორწინებით "განმტკიცდა". ნებისმიერ შემთხვევაში შეიძლებოდა მისი დარღვევა. ამ

კავშირის არამყარობის მიზეზი ის იყო, რომ ორივე მათგანს, როგორც ლუარსაბს, ისე თეიმურაზს მეფეთ-მეფობის პრეტენზია ჰქონდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეები ქვეყნის გარეთაც ეძებდნენ მოკავშირეებს. 1613 წელს თეიმურაზმა სცადა ევროპელ მბრძანებლებთან ურთიერთობის დამყარება, მაგრამ ამ ცდას არ მოჰყოლია რაიმე რეალური შედეგი (141,86).

1613 წლის შემოდგომაზე შაჰ-აბასი დიდი ლაშქრით საქართველოსკენ დაიძრა და განჯაში დაბანაკდა (33,81-82). თეიმურაზისა და ლუარსაბის დამოყვრება, რომ მის წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს შაჰმა კარგად იცოდა, ამიტომ ვიდრე საქართველოში შემოვიდოდა, მან სცადა ქართლისა და კახეთის მეფეებს შორის განხეთქილება ჩამოეგდო, მაგრამ შაჰის ეს ცდა უშედეგო აღმოჩნდა (17,23-24.85,305-306).

ამ მცდელობის ჩაშლის შემდეგ შაჰ-აბასმა თეიმურაზს მძევლად შვილები მოსთხოვა. თეიმურაზმა ჯერ უმცროსი შვილი ალექსანდრე და დედამისი ქეთევან დედოფალი გაგზავნა შაჰთან, შემდეგ კი უფროსი შვილი ლევანიც. ამის შემდეგ შაჰმა თეიმურაზიც დაიბარა თავისთან, მაგრამ იგი არ წავიდა. (18,46,21,391-392.23,585-586.70,106.77,93).

ამრიგად, შაჰმა მოახერხა კახეთის ტახტის მემკვიდრეების შეპყრობა. საჭირო იყო უძეოდ დარჩენილი თეიმურაზისა და უმემკვიდრეო ლუარსაბის ხელში ჩაგდებაც. როგორც XVII ს-ის ირანელი ისტორიკოსი ფუმენი წერს: "შაჰმა გადაწყვიტა საქართველოს აოხრება, იქაური (იგულისხმება ქართლ-კახეთის მეფეების) საგვარეულოს ამოწყვეტა" (43,103). მათი მოსპობით ის მკვეთრად გააადვილებდა ქვეყნის სრული ინკორპორაციის საქმეს (159,60).

შაჰმა მძევლები ირანში გაგზავნა. თავად კი 1614 წლის გაზაფხულზე დიდძალი ჯარით კახეთში შეიჭრა (33,82-83.77,93). კახეთში შემოსულმა ყიზილბაშებმა თეიმურაზის ჯარს ალყა შემოარტყა. ქართველებმა ალყა გაარღვიეს და მუხრანში მივიდნენ. იქ თეიმურაზს ქართლის მეფე ლუარსაბი დახვდა. ერთად შეყრილ ქართლ-კახეთის მეფეებს "ენებათ ბრძოლა, გარნა არა ინებეს ქართველთა და კახთა ბრძოლა შაჰ-აბასისა". ქართველ დიდებულთა მხარდაჭერის გარეშე დარჩენილმა მეფეებმა იმერეთს შეაფარეს თავი (6,55.21,392-393.23,425,587).

შაჰ-აბასის ჯარებმა კახეთი დაიკავეს. მათ ალავერდის ეკლესია და მისი გალავანი ციხე-სიმაგრედ გადააკეთეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. შაჰ-აბასი და მისი ჯარები 50 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ კახეთში და არბევდნენ ამ მხარეს (17,27-28.18,46-47.21,393.23,425,587.33,85-87.77,93). შაჰმა კახეთის მმართველად ირანში გაზრდილი გამუსლიმანებული ბატონიშვილი იესე – ისა-ხანი (გიორგი ალექსანდრეს ძის ვაჟი) დანიშნა, რომელსაც ვაქილად კახეთის დიდი თავადი დავით ჯანდიერი (ასლანიშვილი) დაუნიშნა (33,84). იესეს კახეთის მმართველად დანიშვნით შაჰმა თეიმურაზს დაუპირისპირა მისი ბიძა-შვილი, რომლის მამა გიორგი მიუხედავად იმისა, რომ მეფობა თეიმურაზის მამას დავითს ეკუთვნოდა, პრეტენზიას აცხადებდა კახეთის ტახტზე. შესაძლოა შაჰი ვარაუდობდა, რომ იესეს კახეთში დასმით კახეთის სამეფო სახლს შორის ბრძოლა ისევ განახლდებოდა და ამ უთანხმოებას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა.

კახეთის აოხრების შემდეგ შაჰ-აბასი თავისი ჯარით ქართლში გადავიდა (33,87).

დასავლეთ საქართველოში ჩასვლის შემდეგ ქართლისა და კახეთის მეფეებმა აქტიური დიპლომატიური საქმიანობა გააჩაღეს, დაიწყეს საგარეო მოკავშირის ძებნა. ასეთად მათ ოსმალეთი მიიჩნიეს. მათ სულთან აჰმედ I-ს (1603-1617) ელჩობა გაუგზავნეს და შაჰ-აბასის წინააღმდეგ დახმარება სთხოვეს (33,92-93).

აღმოსავლეთ საქართველოს მეფეთა ოსმალეთზე ორიენტაციასთან დაკავშირებით ნ. ნაკაშიძე აღნიშნავს: “ირანის გაძლიერებამ და მისმა წარმატებებმა თურქეთთან ომში შესაბამისად შეცვალა ქართველი ხალხის თავდაცვის ფრონტი. ამიერიდან, მთელი XVII ს-ის განმავლობაში ოსმალეთის საკითხი ქართველი, ყოველ შემთხვევაში აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკოსთა თვალში მეორეხარსხოვანი გახდა. უფრო მეტიც, ქართველი პატრიოტები ამჯერად ოსმალეთის მოკავშირეობასაც კი ეძებდნენ” (158,20). “შაჰ-აბასმა კარგად იცოდა, ვიდრე საქართველოს მეფეები თავისუფალი იქნებოდნენ გამარჯვება უზრუნველყოფილი არ იქნებოდა” (85,308). ამიტომ ქართლში მყოფი შაჰი გიორგი იმერთა მეფისაგან (1605-1639) მასთან თავშეფარებული ლუარსაბისა და თეიმურაზის მისთვის გადაცემას მოითხოვდა, მაგრამ გიორგიმ “ხიზნების” გადაცემაზე შაჰს უარი უთხრა (6,56-57.21, 393.23,425.33,88,39.21).

შაჰ-აბასი ლტოლვილ მეფეთა ხელში ჩასაგდებად იმერეთში ვერ გადავიდოდა. დასავლეთ საქართველო სულთნის წილხვდომილი ქვეყანა იყო, ამიტომ იმერეთში გადასვლა ოსმალეთის წინააღმდეგ ომს ნიშნავდა. საამისოდ კი შაჰი ამჯერად მზად არ იყო. ამასთანავე იმერეთის საზღვრებთან შაჰის ჯარების მიახლოება და შაჰის მუქარა ლიხთ-იმერეთის მეფე-მთავრებს ფეხზე დააყენებდა (133,306).

მიზნის მისაღწევად შაჰს სხვა გზა უნდა აერჩია. მან ხელი აიღო თეიმურაზის ხელში ჩაგდების ცდაზე და იერიში ლუარსაბზე მიიტანა. ის ელჩობას ელჩობაზე გზავნიდა იმერეთში ლუარსაბთან და არწმუნებდა, რომ შაჰს მასთან სამტრო არაფერი აქვს და თუ კი ლუარსაბი მასთან მივა, არაფერს დაუშავებს, თავის სამეფოს დაუბრუნებს და თვითონ უკან გაბრუნდება. შაჰმა მიზანს მიაღწია. ლუარსაბი თეიმურაზისა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა რჩევების მიუხედავად გადმოვიდა იმერეთიდან და შაჰთან წავიდა (6,57-60.17,30-33.21,393-394.23,425-426,528.33,88-91.39,21-22.85,308).

ვახუშტი ლუარსაბის იმერეთიდან წასვლასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: "იტყვიან რამეთუ ისხდნენ მეფენი ერთად, მაშინ გიორგი მეფემან მოიხადნა ქუდი და შემოიდვა ფერჰი მუჰისა ზედა – ესე იუკადრისა მეფემან ლუარსაბ და შეირაცხა უპატიოდ და არარად შერაცხა და იტყოდა: "რა იგი ნებავს მტერსა, ჰყოს, ხოლო უმცირესსა კაცისაგან უპატიობას არა დავითმინო" და არარაი უსმინა გიორგი მეფესა და წარვიდა ვითარცა მწყრალი" (23,825).

ამ ციტატიდან ჩანს, რომ მეფე ლუარსაბი როგორც ქართლის ტახტზე მჯდომი დანარჩენ მეფეთა უმთავრესად თვლიდა თავს. ქართლის მეფეთათვის, ამ შემთხევაში ლუარსაბისათვის იმერეთის და კახეთის მეფეები მასზე დამოკიდებული "უმცირესი მეფეები" იყვნენ. ამიტომ იყო, რომ გიორგი იმერთა მეფის კარზე "შეხიზნულმა" ლუარსაბმა ვერ დაიმონა "უმცირესი კაცის", იმერეთის მეფისაგან მის წინაშე ქუდის მოხდა და ფეხის ფეხზე შემოდება ეს მან დიდ შეურაყოფად მიიჩნია: "რა იგი ნებავს მტერსა, ჰყოს, ხოლო უმცირესი კაცისაგან უპატიობას არ დავიომენ"_ ამბობს ლუარსაბი.

თუ ქართლელ ბაგრატიონებს მიაჩნდათ, რომ ისინი იყვენენ "ყოვლისა საქართველოს მფლობელ-მპყრობელნი" და იმერელ და კახელ ბაგრატიონებს უკანონოდ ეჭირათ ეს სამეფოები, იმერელი და კახელი ბაგრატიონებიც სრულუფლებიან

ხელმწიფეებად თვლიდნენ Yთავს და არა ქართლის მეფეზე უმცირესად. ეს კარგად იცოდნენ "ქართლისა ზედა" მჯდომმა მეფეებმა. თუ ლუარსაბ ქართლის მეფე სრულიად საქართველოს მფლობელად მიიჩნევდა თავს, ამ მხრივ მას არც იმერეთის მეფე გიორგი ჩამორჩებოდა, რაც ნათლად ჩანს მისი სამეფო ტიტულიდან: "...აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა და შანშე და შარვანშა მეფეთ-მეფე გიორგი..." (34,36-37) - აცხადებდა იმერეთის მეფე.

ლუარსაბის შაჰთან წასვლის უმთავრეს მიზეზად ქართლის სამეფოს აოხრებისაგან გადარჩენა უნდა ჩაითვალოს. "ამას ვბრძანებ "თუ არ მოვალ, ქართლს კახეთებრ წახდნენ" (6,59). უეჭველია ლუარსაბის მისვლამ (1614 წლის ოქტომბერი) რამდენადმე დააცხრო შაჰის მრისხანების ცეცხლი და ქართლი შედარებით იოლად გადაურჩა შაჰ-აბასის "სტუმრობას".

შაჰ-აბასმა თბილისის და ქართლის სხვა ციხეებში თავისი გარნიზონი ჩააყენა და ლუარსაბ მეფესთან ერთად ირანში გაბრუნდა. მან თან უამრავი ტყვე წაასხა (6,60-61.17,33-35.18,47-48.21,395-396.23,426-427.39,91-92.77,93.163,263).

შაჰმა ლუარსაბს გამუსლიმანება მოსთხოვა, რაზეც მან უარი განაცხადა. განრისხებულმა შაჰმა ქართლის მეფე გოლაბის ციხეში გამოჰკეტა (21,427.23,396-399).

1614 წლის დასაწყისიდან მოყოლებული შაჰ-აბასი კიდევ რამოდენიმეჯერ შემოესია საქართველოს (1614-1617), რასაც ხელი შეუწყო იმ პერიოდში ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ. ეს ლაშქრობები ემსახურებოდა ირანის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს და იგი გარდაუვალი იყო. ერთადერთი ძალა, რომელიც ამ ლაშქრობებს შეაფერხებდა, იყო გაერთიანებული საქართველო, რაც იმ ვითარებაში აბსოლუტური ილუზია იყო (159,60). ტერმინი "გაერთიანებული საქართველო" თავისი შინაარსის მქონეა და უპირველეს ყოვლისა გულისხმობდა ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა რესურსების მობილიზებას. ამ გაგებით რა თქმა უნდა იმ ხანებში საქართველოს გაერთიანება მართლაც შეუძლებელი იყო.

ოსმალეთმა ირანს 1612 წლის ზავის პირობების დარღვევაში დასდო ბრალი და მასთან 1615 წელს ომი განაახლა. ირან-ოსმალეთის ომის განახლების დროს, თეიმურაზი დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა. მან თავის მხრივ ეს ამბავი

კახელებს შეატყობინა. ამ ამბავმა კახელები გაამხნევა და ისინი ირანის წინააღმდეგ აჯანყების სამზადისს შეუდგენენ.

კახეთის აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს ალავერდობას დაიწყო. აჯანყებას სათავეში ჩაუდგნენ დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე. მათ თეიმურაზი კახეთში მოიწვიეს (33,96). ისიც იმერეთიდან კახეთში გადავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას (6,62-63.21,400.23,587).

კახეთის აჯანყებას შირვანიც აჰყვა, რომელიც არანაკლებ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. შირვანელთა აჯანყების მეთაურმა დელუ მელიქმა "გაგზავნა კაცი თეიმურაზთან და ერთგულება განუცხადა" (33,96).

შაჰ-აბასმა კახეთის აჯანყების ამბავი რომ გაიგო, დიდძალი ლაშქარი ალი ყული ხანის მეთაურობით საქართველოში გამოაგზავნა. კახელებმა მათთან ბრძოლაში ერთგვარ წარმატებას მიაღწიეს (6,63-65.21,400.233,588.97,100).

კახელებს თითქმის მარტო უხდებოდათ ბრძოლა მრავალრიცხოვან მტერთან. ქართლის მესვეურები ბრძოლაში არ მონაწილეობდნენ. მხოლოდ აქა-იქ თუ დაეხმარებოდა ვინმე კახელებს და ისიც ფარულად. არც ოსმალეთიდან ჩანდა დახმარება. ოსმალებთან ბრძოლაში მოპოვებული წარმატების შემდეგ 1616 წელს შაჰ-აბასი თბილისს მოვიდა. მან ქართლის მმართველად სიმონ I-ის ძმისწული, დაუდ-ხანის უფროსი შვილი გამუსლიმანებული ბაგრატ-ხანი (1616-1619) დანიშნა (21,400.23,428.33,103). უნდა აღინიშნოს, რომ მართალია ბაგრატი ქართლის ტახტზე შაჰ-აბასმა დასვა და აქედან გამომდინარე, ის მისი ხელდებული გამაჰმადიანებული ქართლის მმართველი იყო, მაგრამ "მეფეთ-მეფობის" პრეტენზია მასაც ჰქონდა. "ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმა ბაგრატ" (37,10) - აცხადებს ის 1618 წელს ბოძებულ მცხეთის სიგელში.

კახელები მარტო აღმოჩნდნენ გამძვინვარებული შაჰ-აბასის პირისპირ. თეიმურაზი კახეთს გაეცალა და კვლავ იმერეთში გადავიდა. ხელმძღვანელობასა და სარდლობას მოკლებული ქვეყანა უდიდეს გასაჭირში ჩავარდა. "ქართველებისთვის მეორედ მოსვლის დღე დადგა" აცხადებს ისქანდერ მუნში (33,103).

შაჰ-აბასმა კახეთის სამეფო ორ ნაწილად გაჰყო. ივრის აღმოსავლეთის მხარე განჯის მფლობელს ფეიქარ ხანს გადასცა, ხოლო ივრის დასავლეთი ნაწილი ქართლის

ხანს ბაგრატს უწყალობა. ასე რომ ბაგრატი ფლობდა არა მარტო ქართლს, არამედ კახეთის ნაწილსაც. მაგრამ ის მაინც შაჰის მიერ ხელდასმული გამაჰმადიანებული მმართველი იყო და მის მფლობელობაში კახეთის ერთი ნაწილის გადასვლა შაჰის ინტერესებში შედიოდა. თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ მართალია, ბაგრატი შაჰის მიერ ხელდასმული მმართველი იყო, მაგრამ, ის ქართლის ბაგრატოვანთა სამეფო სახლის წარმომადგენელია და "მეფეთ-მეფობის" პრეტენზია მასაც ჰქონდა. მიუხედავად ამისა, დაშლილი ქვეყნის გაერთიანების ინიციატორად მას ვერ მივიჩნევთ.

1616 წელს, როდესაც შაჰ-აბასი ცეცხლითა და მახვილით კახეთს აოხრებდა, ოსმალთა დიდვეზირმა მეჰმედ-ფაშამ ირანელთა წინააღმდეგ ბრძოლა განაახლა და ნახიჭევანამდე მიაღწია, მაგრამ ერევნის, ნახიჭევნისა და სხვა ციხეებში გამაგრებულმა ირანელმა მეთოფეებმა წარმატებით მოიგერიეს ოსმალთა შემოტევები. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა დიდვეზირმა იმავე 1616 წელს განაახლა 1612 წლის ზავის პირობები. ამით შაჰ-აბასმა მისთვის საჭირო შესვენება მიიღო და კვლავ კახეთისათვის მოიცალა (208,344).

დასავლეთ საქართველოში მეორედ გადახვეწილმა თეიმურაზმა სტამბულში ელჩი ისევ გაგზავნა და სულთნისაგან "ითხოვა სადგური და შეწევნა". სულთანმა აღუთქვა შეწევნა კახთა მეფეს და "მოუბოძა გონთა და ახალციხის გარემოს რამდენიმე დაბნები" (21,402.27,589).

შაჰ-აბასის 1614-1617 წლების შემოსევებმა ხერხემალში გატეხეს კახეთი. კახეთში დატრიალებულ უბედურებას შაჰ-აბასის კარის მეისტორიე ისქანდერ მუნში თეიმურაზის "უწესობად და ურჩობად მიიჩნევს" (33,109). სინამდვილეში შაჰ-აბასის საქართველოში ლაშქრობათა მიზეზი სულ სხვა იყო, რაზეც უკვე ითქვა. "მაგრამ ერთი კი ცხადია - დასძენს პროფ. გივი ჯამბურია. თეიმურაზის პოლიტიკასა და დიპლომატიას აკლდა მისი პაპის ალექსანდრეს მოქნილობა და ჭკუამახვილობა" (230,273). "გურჯისტანის საკითხი" ყოველთვის მწვავედ იდგა შაჰ-აბასის საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ალექსანდრე II-ის მეფობის დროს მთავარ ამოცანად ირანის ლომისათვის ოსმალეთი იყო და ბუნებრივია რომ გურჯისტანის პრობლემა შაჰის იმდროინდელ საგარეო პოლიტიკაში (ალექსანდრეს მეფობის დროს) ისე მწვავედ არ იდგა, როგორც თეიმურაზ I-ის მეფობის პერიოდში. ალექსანდრეს მეფობის ბოლო

პერიოდიდან, კერძოდ ირან-ოსმალეთის ახალი ომის დაწყებიდან ოსმალეთის იმპერია ირანთან ომში თანდათან პოზიციებს თმობდა და ამდენად ის ისეთი საშიში აღარ იყო ირანისათვის. ამის შემდეგ შაჰ-აბასმა თავისი ყურადღება და ძალები "გურჯისტანის საკითხს" თავის სასარგებლოდ გადაწყვეტისაკენ მიმართა. მიუხედავად ამისა,Aრომ ალექსანდრეს პოლიტიკასა და დიპლომატიას არ აკლდა მოქნილობა და ჭკუამახვილობა, მაშინ როცა უკვე ირანი გაძლიერდა და საქართველოსთვის მოიცალა, კახთა მეფე ალექსანდრე "თავისი ნიჭითა და გამჭრიახობით ეს ბებერი მგელი" - როგორც ი. მუნში უწოდებს, ვერაფერს გახდა მასზე არანაკლებ მოქნილი პოლიტიკოსის - შაჰ-აბასის წინაშე და მისი ინტრიგების მსხვერპლი შეიქმნა. აქედან გამომდინარე, როგორი პოლიტიკოსიც არ უნდა ყოფილიყო თეიმურაზი, შაჰ-აბასის ამ შემოსევებს აღმოსავლეთ საქართველო ვერ აცდებოდა, რადგან საამისოდ მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება შაჰის წისქვილზე ასხამდა წყალს.

შაჰ-აბასის მიერ ქართლში დასმული გამაჰმადიანებული მმართველი ბაგრატი (1616-1619) ირანის ტიპიური მოხელე-ხანი იყო, რომლის ხელისუფლება მთლიანად ირანის მბრძანებელზე იყო დამოკიდებული. ბაგრატის მეფობა ქართლში არაფრით გამოირჩეოდა. ქართული წყაროები მას ასე ახასიათებენ: "ხოლო დაჯდა ქართლს ბაგრატ, რომელი გარდაქცეულიყო რჯულსა მაჰმადისასა და არც იყო ღირსი მეფობისა და არც ჰყუარობდნენ ქართველნი და არც-არად ახსენებდნენ თათრობისათვის" (21,402,23,428).

1618 წელს ოსმალეთის ახალმა დიდვეზირმა ხალალ-ფაშამ დიდი ლაშქრით შეუტია სეფიანთა სახელმწიფოს მეტად მნიშვნელოვან ოლქს – სამხრეთ აზერბაიჯანს. დასავლეთ საქართველოში მყოფი თეიმურაზი, რომელიც ირანის წინააღმდეგ საგარეო მოკავშირის ძებნას კვლავ განაგრძობდა. ის დიდ იმედებს ამყარებდა ამ ლაშქრობაზე. ოსმალთა ეს ლაშქრობაც წარუმატებელი აღმოჩნდა. ხალილ-ფაშამ იმავე წლის 26 სექტემბერს სულთნის დაუკითხავად ზავი დადო ირანთან სერაფში (სამხრეთ აზერბაიჯანშია), რომლითაც განახლებულ იქნა 1612 წლის ზავის პირობები. ეს ზავი სულთანმა არ დაამტკიცა. მათ შორის ზავი დაიდო სტამბოლში 1619 წელს. (183,274.208,345). თეიმურაზს იმედები ახლაც გაუცრუვდა.

თეიმურაზისათვის, როგორც ჩანს ირან-ოსმალეთის ომის ასეთი შედეგი არ იყო მოულოდნელი. ამიტომ იყო, რომ ხალილ ფაშას ლაშქრობის დაწყებამდე თეიმურაზმა და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებმა ერთობლივი ელჩობა გაგზავნეს მოსკოვის სამეფო კარზე (111,60-67.159,73-76.198,35.236,73-76). ამით განახლდა დროებით შეწყვეტილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. ეს ელჩობა იმ მხრივაც იყო მნიშვნელოვანი, რომ იგი წარმოადგენდა არა მხოლოდ კახეთის მეფეს, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსაც. ამ დროიდან იწყება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ახალი ეტაპი. რაც მთავარია რუსეთის სამეფო კარზე საერთო ელჩობის გაგზავნა ქვეყნის შინაგანი ერთიანობის აღდგენას ნიშნავდა. ქართველ მეფე-მთავართა შორის შინაგანი ერთიანობა მაშინ აღსდგა, როცა შაჰ-აბასისაგან ლტოლვილი თეიმურაზი და ლუარსაბი იმერეთის სამეფოში გადავიდნენ და დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა მხრიდან მხარდაჭერა და თანადგომა მიიღეს. ქართველ მეფე-მთავართა ამ კავშირს ლუარსაბი მალე გამოეთიშა. აღნიშნული შინაგანი ერთიანობის აღდგენის ინიციატორი თეიმურაზი იყო. ის იყო რუსეთში აღნიშნული ერთობლივი ელჩობის გაგზავნის მოთავეც.

თუ მისი წინამორბედი კახელი მეფეები ლევანი და ალექსანდრე – მხოლოდ კახეთის ინტერესებით შემოიფარგლებოდნენ ხოლმე და ამ ინტერესებიდან გამომდინარე ქვეყანაში შემოსულ მტრებს (ირანელებს, ოსმალებს) ეზავებოდნენ და ამით საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლას ეთიშებოდნენ, თეიმურაზი მათგან განსხვავებით სხვაგვარად მოქმედებდა, ის ცდილობდა ქართველ Mმეფე-მთავართა შეკავშირებას და მათი ძალების დარაზმვას მომხდური მტრის წინააღმდეგ.

ქართველ მეფე-მთავართა შეკავშირება, შინაგან ერთიანობის აღდგენა გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში გამაერთიანებელი მოძრაობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო.

თეიმურაზი საღად მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწე იყო. აღნიშნავს თ. ტივაძე და კარგად იცოდა, რომ შექმნილ ვითარებაში რუსეთი უნდა დაინტერესებულიყო სამხრეთის საზღვრების განმტკიცებით და იქ ირანის პოზიციების შესუსტებით. ამის მიღწევა კი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ქართველი ხალხის დახმარებით შეიძლებოდა. სწორედ ამის იმედი ჰქონდა კახეთის მეფეს და მის მოკავშირეებს –

დასავლეთ საქართველოს მესვეურებს, როდესაც ერთობლივ ელჩობას აგზავნიდნენ რუსეთის სამეფო კარზე (198, 35).

ამ ელჩობის შედეგებს სწორ შეფასებას აძლევს ნ. ნაკაშიძე. "თეიმურაზის 1618 წლის ელჩობამ მიზანს მიაღწია და დასახული ამოცანა შეასრულა. რუსეთი, რომელიც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო და დიდად უფრთხილდებოდა ირანთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, მიესალმა საქართველოსთან ურთიერთობის აღდგენას ძველ საწყისებზე, გამოვიდა მის მფარველად და დამცველად ირანთან დიპლომატიურ ურთიერთობაში (159,77.78).

ქართველ მეფე-მთავართა მოსკოვის სამეფო კარზე ერთობლივი ელჩობის გაგზავნით ნათლად ჩანს, რომ თეიმურაზმა ამჯერადაც (მან ჯერ კიდევ 1612 წელს შეკრა კავშირი ლუარსაბ ქართლის მეფესთან აღმოსავლეთ საქართველოს ძალთა გაერთიანებისათვის) შეძლო ქვეყნის შინაგანი ერთიანობის აღდგენა, რაც მეფე-მთავართა კავშირით გამოიხატა. დასავლეთ საქართველოში გადახვეწილი თეიმურაზი ვერ შეძლებდა იქურ მესვეურთა მხარდაჭერის გარეშე აქტიური საგარეო პოლიტიკის წარმოებას. ამრიგად, თეიმურაზი ქვეყნის შინაგან ძალთა გაერთიანებასა და აქედან გამომდინარე, ერთიანი ქართული პოლიტიკის წარმოების საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა.

1619 წელს ბაგრატ-ხანი გარდაიცვალ. (23,427). იმავე წელს შაჰ-აბასმა ქართლის მმართველად ბაგრატის მცირეწლოვანი შვილი გამუსლიმანებული სიმონი დანიშნა, რომელიც შაჰის მიერ "შვილის" წოდების მქონე (33,115) ირანის მოხელე ხანი იყო, არც ის ჯერდებოდა მხოლოდ მეფობას (64,29.82,53,66,68,70) და "ღვთივ გვირგვინოსან მეფეთ-მეფედ" წარმოგვიდგებოდა (65,141). შაჰმა მცირეწლოვანი სიმონის "ვაქილად და ხელმძღვანელად დანიშნა მოურავ-ბეგი" (33,115). სააკაძე ქართლის ფაქტიური მმართველი გახდა.

ქართლში სრული ანარქია სუფევდა. ფეოდალები თავიანთ მამულებში ჩაკეტილიყვნენ და მხოლოდ საკუთარი სამფლობელოების გაზრდა-გაფართოებაზე ზრუნავდნენ. სააკაძის წინაშე ქვეყნის ერთიანობის აღდგენისა და განმტკიცების ამოცანა კვლავ იდგა. ამ მიზნით, პირველ რიგში თავის მტრებთან შერიგებას შეეცადა. ამას იგი შაჰ-აბასის შემოსევების დროსაც ცდილობდა, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგან სააკაძის

მტრები შაჰს მოუვიდნენ. შაჰი კი გიორგის ხანგრძლივად საქართველოში არ აჩერებდა. ახლა კი სხვა ვითარება შექმნილიყო. ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა ფენა, მათ შორის დიდი თავადებიც შაჰ-აბასის პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ. თან სააკაძე ქართლის გამგებელი იყო და შეეძლო ხელისუფლება თავისი მიზნებისათვის გამოეყენებინა. ამიტომ სააკაძემ თავის მტრებზე არ იძია შური, რადგან ეს ქართლის ძალების დაქსაქსვას გამოიწვევდა. "ამავე დროს იგი თავის მომხრეთა წრის გასაფართოებლად იღწვოდა. ყველაფერი ეს ფარული აჯანყების გეგმაში შედიოდა".

გ. სააკაძე, როგორც ჩანს საგარეო მოკავშირეებსაც ეძებდა მოსალოდნელი აჯანყებისთვის. აღნიშნულ პოლიტიკურ მიზანს უნდა ისახავდეს სააკაძის ქალიშვილისა და ფარად ფაშას (იგი ათაბაგთა გამუსლიმანებული ჩამომავალი უნდა იყოს) ქორწინება (221,115-119), რომელიც სწორედ აჯანყების სამზადისის პერიოდში, 1620-1624 წლებში მოხდა. ფარად ფაშას, რომელიც ოსმალეთის მოხელე იყო, საჭიროების შემთხვევაში სააკაძეს ოსმალეთთან დაკავშირება შეძლებოდა.

იმავე ხანებში სააკაძე და მისი მომხრეები გიორგი იმერთა მეფესაც დაკავშირებიან და მომავალ ბრძოლებში მისი მხარდაჭერის მოპოვებას ცდილან. გამარჯვების შემთხევაში მისთვის ქართლის ტახტი აღუთქვამთ. ეს სააკაძის გეგმის, საქართველოს გაერთიანების განხორციელების დასაწყისი იქნებოდა. სააკაძე მთელ ამ სამზადისს საიდუმლოდ ინახავდა და თან თავი შაჰ-აბასის ერთგულ მოხელედ მოჰქონდა, რათა მას ეჭვი არ აეღო და საქმე არ ჩაეშალა (221,120).

კახეთის მეფე თეიმურაზი კვლავ აქტიურად მოქმედებდა ირანის წინააღმდეგ საგარეო მოკავშირის საპოვნელად. მისი აზრით ამ დროს ოსმალეთი იყო ერთადერთი სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო სამხედრო საფრთხე შეექმნა ირანისათვის. თეიმურაზი 1621 წელს თვითონ ჩავიდა სტამბოლში, მაგრამ ამ დროს ოსმალეთის საშინაო და საგარეო მდგომარეობა მეტად მძიმე იყო და იქიდან რაიმე დახმარების მიღება გამორიცხული იყო. თეიმურაზი იმედგაცრუებული დაბრუნდა სტამბოლიდან (183, 276-277).

ამის შემდეგ თეიმურაზმა 1623 წელს რუსეთში ისევ გაგზავნა ელჩობა. არც ამ ელჩობას მოჰყოლია რაიმე მნიშვნელოვანი შედეგი.

თეიმურაზის გაუტეხლობითა და მისი ოსმალეთთნა და რუსეთთან კავშირით გაცოფებულმა შაჰ-აბასმა შური მისი ოჯახის წევრებზე იძია. ჯერ თეიმურაზის ვაჟები - ლევანი და ალექსანდრე დაასაჭურისებინა, უფრო გვიან (1624წ.) დიდი წამებით სიკვდილით დასაჯა მისი დედა ქეთევან დედოფალიც. ქართულმა ეკლესიამ სამშობლოსათვის წამებული დედოფალი წმინდანად შერაცხა. შაჰ-აბასმა 1622 წელს მოაკლევინა ლუარსაბ მეფეც (17,139-141.48,51-54.237,585).

XVII ს-ის 20-იანი წლების დასაწყისიდან მახლობელ აღმოსავლეთში ირანის პოზიციები სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა. 1623 წელს შაჰმა ოსმალეთის წინააღმდეგ ომი განაახლა. ირანელებმა 1624 წელს დაიკავეს მთელი ერაყი და ქურთისტანის ნაწილი. ამის შემდეგ ერევნის მმართველმა ამარგუნე ხანმა შაჰის ბრძანებით სამცხეში გაილაშქრა და ახალციხე ოსმალებს ხელიდან გამოგლიჯა. ამ დროს შაჰ-აბასის იმპერიამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. (183,200,208,349).

ახლა დადგა დრო, როცა შაჰ-აბასს საბოლოოდ უნდა გადაეწყვიტა "გურჯისტანის საკითხი". საქართველოში ამ დროს ანტიირანული განწყობა სუფევდა. მწიფდებოდა საერთო სახალხო აჯანყება.

შაჰი ამჯერად არა მარტო კახეთს, არამედ ქართლსაც ემუქრებოდა. მან მათი საბოლოოდ მოსპობა გადაწყვიტა. ამით "გურჯისტანის საკითხი" ერთხელ და სამუდამოდ უნდა გადაეწყვიტა.

მან დიდი ლაშქარი ყარჩიხა-ხანის სარდლობით საქართველოში გამოგზავნა. შაჰმა მას მრჩევლად გ. სააკაძე დაუნიშნა. ყარჩიხა-ხანს სააკაძესთან ერთად ზურაბ ერისთავიც მოჰყვებოდა. ცბიერმა შაჰმა ყოველი შემთხვევისათვის გიორგის ვაჟი პაატა და ზურაბის მეუღლე თავისთან მძევლად დაიტოვა. ამით ის თავისი ბოროტი გეგმების შესრულების საქმეში სააკაძისა და ზურაბის მხარდაჭერის უზრუნველყოფას ფიქრობდა. "შაჰი შეცდა, როცა სააკაძე ქართველი ხალხის ჯალათად დაიგულა" (221,123).

სააკაძეს აჯანყება რომლისთვისაც იგი დიდი ხანია ემზადებოდა ირანშივე ჰქონდა გადაწყვეტილი (221,124).

ირანელთა ჯარი 1625 წლის ადრიან გაზაფხულზე მოვიდა საქართველოში. ყარჩიხა-ხანი მუხრანს მივიდა და აღაიანის ველზე დაბანაკდა (6,67-68.23,429,76,69),

სადაც კახელების უმაგალითო ჟლეტა მოეწყო. მტრის ბანაკში მყოფ მოურავს კვლავ შაჰის ერთგულად ეჭირა თავი. მასაც თვალყურს ადევნებდნენ, მაგრამ როგორც ჩანს სააკაძესაც ჰყოლია ირანში მსტოვრები, რომლეთაც მას შაჰ-აბასის შიკრიკის საქართველოში წამოსვლა აცნობეს. სააკაძემ შაჰის შიკრიკი ხელში ჩაიგდო, რომელსაც ყარჩიხა-ხანის სახელზე წერილი მოჰქონდა. ამ წერილით შაჰი მას ატყობინებდა, რომ ქართველები ამოეწყვიტა და სააკაძისათვის თავი მოეკვეთა. (21,405.29,423,-430.76,30).

აღნიშნულ წერილთან დაკავშირებით მ. ჯანაშვილი წერს: "ცბიერი ყაენის განკარგულებაში რომ ეს სამი სიტყვა – "მოურავს თავი მოჰკვეთეთ" არ წერებულიყო, ვეჭვ სააკაძეს ხანჯალი ეძრო. მის ამ ხელგამოდებას სარჩულად ედო უფრო ჯავრის ამოყრა მისი სიკვდილის გადაწყვეტისთვის" (231,23). მ. ჯანაშვილის აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს მ. ბროსეც (122,28). ვერ დავეთანხმებით მ. ჯანაშვილის მოსაზრებას, რომ თითქოს ამ სამი სიტყვის შემდეგ გაიკრა ხმალზე ხელი სააკაძემ და გადაწყვიტა აჯანყებოდა შაჰ-აბასს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიდი მოურავი ამ აჯანყებისათვის დიდი ხანი ემზადებოდა, რადგან მისთვის შაჰის ნამდვილი ზრახვები საქართველოს მიმართ ნათელი იყო. ამ წერილის მიღების შემდეგ ვერ შეძლებდა გიორგი ამ დიდი აჯანყების ორგანიზებას. დიდ ხნის მზადების შემდეგ, როდესაც ყარჩიხა-ხანთან ერთად ის საქართველოში გამოგზავნეს. ჯერ ზურაბ არაგვის ერისთავს გაენდო, შემდეგ მასთან ერთად ქართველ დიდებულებს დააუკავშირდა, რათა ერთიანი ძალით გამკლავებოდნენ ქვეყნის დასაქცევად მოსულ მტერს. ისინიც კი ვინც ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებდნენ გიორგის, საბოლოოდ დარწმუნდნენ შაჰის საშინელ განზრახვაში და სააკაძის გულწრფელობაში (221,126.227,278-279).

1625 წლის 25 მარტს მარტყოფის ველზე დაბანაკებულ მტერს ქართველები თავს დაესხნენ. მანამ კი გიორგიმ და მისმა მხლებლებმა მტრის ჯარის მეთაურები გაჟლიტა. უსარდლოდ დარჩენილ მტრის ლაშქარს ქართველებმა მუსრი გაავლეს (8,69.12,137-138.21,406.23,430.33,123-124.39,25,50,158-159.73,178-179.76,30.77,96.80,227-228.83,462.
93,90).

მოურავმა სულის მოთქმის საშუალება არ მისცა მტერს. აჯანყებულებმა რამდენიმე დღეში ქართლი და კახეთი თითქმის მთლიანად გაწმინდეს ყიზილბაშთა ჯარებისაგან. თეიმურაზი, რომელიც იმ დორს გონიოს ციხეში იმყოფებოდა,

აჯანყებულებმა მოიწვიეს და ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე დასვეს (6,70-71.23,591.83,462). ამით აღმოსავლეთ საქარათველოს სამეფოები ერთი მეფის ხელში გაერთიანდა. ეს დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო.

როგორც დ. გვრიტიშვილმა აღნიშნა: "მარტყოფის ბრძოლა არის უმაგალითო ეპოპეა ქართველთა გმირობისა. ამ ბრძოლამ გადაწყვიტა ქართველთა ყოფნა-არყოფნის საკითხი" O(133,335). ამ აჯანყების შედეგად, ქართლისა და კახეთის სამეფოები გაერთიანდა. "ამ დიდი საქმეების ორგანიზატორი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე იყო. მისი სამხედრო ნიჭისა და სიმამაცის ამბები შორს გასცილდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთ ქვეყნების ფარგლებს" (210,243-246) და ევროპამდეც მიაღწიაა (70,98).

ყარჩიხა-ხანის უზარმაზარი არმიის ერთიანმა გაწყვეტამ თავზარი დასცა შაჰ-აბასს. ირანის სამხედრო ძლიერება, რომელიც ამ დროს თავისი ძლიერების ზენიტში იყო, საფუძვლიანად შეირყა. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფეჩევი საგანგებოდ აღნიშნავს: "ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლიაო" (30,85).

გამძვინვარებული შაჰის ბრძანებით წამებით მოკლეს სააკაძის ვაჟი პაატა, რომლის თავი მამას გამოუგზავნეს საქართველოში. საკაძემ იცოდა, რომ შაჰ-აბასი მარტყოფის მარცხს უპასუხოდ არ დატოვებდა და საქართველოს ასაოხრებლად ისევ გამოგზავნიდა დიდ ლაშქარს. ამიტომ მან მრავალი სამხედრო და ადმინისტრაციული ღონისძიებანი განახორციელა ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად. ქართლისა და კახეთის მესვეურთა ერთიანობის განმტკიცების მიზნით, სააკაძის ინიციატივით თეიმურაზმა თავისი ქალი დარეჯანი ზურაბ არაგვის ერისთავს შერთო ცოლად (21,407.23,591.93,91). ამით ზურაბის პატივმოყვარეობა დაკმაყოფილებული იქნა. ბაგრატიონებთან დამოყვრება გარანტი იქნებოდა ზურაბის ამ ძლიერი, მაგრამ მერყევი პიროვნების ერთგულებისა საერთო საქმისთვის ბრძოლაში. სააკაძემ კარგად იცოდა, რომ მხოლოდ ქართლ-კახეთის ძალებით შაჰ-აბასთან ბრძოლა გაუჭირდებოდა. ამიტომ დახმარებისათვის ოსმალეთს მიმართა. მოურავის აღნიშნული მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა. მან იმ დახმარებაზე, რომელიც ოსმალეთისათვის ხელსაყრელი იყო ირანის წინააღმდეგ ბრძოლაში, უარი მიიღო (30,83.50,53-54). ამრიგად, ოსმალეთისაგან

დახმარების იმედი ამაო გამოდგა. სააკაძე მარტო ქართლ-კახეთის ძალებით აღმოჩნდა გამძვინვარებული ირანის ლომის პირისპირ.

შაჰ-აბასმა უზარმაზარი არმია თავისი სიძის ისა-ხან ყორჩი-ბაშის სარდლობით საქართველოში გამოისტუმრა. ყორჩი-ბაშის ლაშქარში იმყოფებოდა ქართველი უფლისწული ხოსრო-მირზა (შემდგომში როსტომ მეფე). ირანელთა ლაშქარი 1625 წლის ივნისის ბოლოს შემოვიდა საქართველოში და მარაბდის ველზე დადგა (21,407-408.23,431.33,126).

თეიმურაზთან და სააკაძესთან მივიდა ახალციხიდან ლტოლვილი მანუჩარ-ათაბაგი სამასი რჩეული ვაჟკაცით (21,408.23,431,725.33,126). ბრძოლა გაიმართა 1625 წლის 1 ივლისს მარაბდის ველზე, მთავრსარდლობა თეიმურაზ მეფემ იკისრა. ქართველთა უნიჭიერესი სარდალი სააკაძე ჩამოცილებული იქნა ომის წარმოების საერთო ხელმძღვანელობას. გ. ჯამბურიას მართებული შენიშვნით ეს დიდი შეცდომა იყო ქართველების მხრიდან (227,283).

ქართველები მარაბდის ველზე დამარცხდნენ (6,74-75.21,407-408.23,431-432.33,127-129.39,26-27.50,160-162.73,178-180.76,31-32). "ფეოდალთა პოლიტიკური სიბეცე – შეზღუდულობა იყო მარაბდის ქართველთა დამარცხების უმთავრესი მიზეზი (118,343). სამშობლოსათვის დაღუპულთა შორის იყვნენ გმირი სარდლები და რაინდები: დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ალათანგ ხერხეულიძე, ბადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები, რუსთაველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლაყაშვილი და სხვა მრავალი. განსაკუთრებით დაზარალდა გლეხობა (6,75-76.21,408.205,298,227,285).

დამრცხების მიუხედავად ქართველებმა უფრო მეტი ენერგითა და თავდადებით განაგრძეს ბრძოლა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათ- ვის. მათ გ. სააკაძის მეთაურობით ირანელების წინააღმდეგ პარტიზანუილი ომი გააჩაღეს, რის შედეგადაც მტერმა ქვეყანაში ფეხი ვერ მოიკიდა. მათ საჩუქრბითა და დაპირებით ქართლის მრავალი ძლიერი თავადი თავის მხარეზე გადაიბირეს. მოღალატე თავადთაგან გარიყული სააკაძე იძულებული გახდა ქართლს გასცლოდა. იგი სამცხეში გადავიდა. იმავე ხანებში თეიმურაზი იმერეთში წავიდა (39,27.76,34).

ქართლი კვლავ ირანელთა ხელში გადავიდა, მაგრამ შაჰ-აბასმა ვერ შესძლო იმ მდგომარეობის აღდგენა საქართველოში, რომელიც მარტყოფის ბრძოლამდე ჰქონდა.

სამცხეში მყოფმა მოურავმა ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლა განაგრძო. სამცხის რიგ ციხეებში ირანელები იდგნენ. სააკაძემ მათ ხერთვისი და ზოგი სხვა ციხე წაართვა (21,410.23,433-434.76,34).

იქიდან სააკაძემ კვლავ ელჩი გაგზავნა ოსმალეთის სულთანთან. მან სულთანს სამცხეში ყიზილბაშთაგან ციხეების განთავისუფლება აუწყა და ირანელთა წინააღმდეგ დახმარება სთხოვა, მაგრამ ამ დროს ოსმალები ბაღდადის აღებას ცდილობდნენ და საქართველოსთვის არ ეცალათ. ამის შემდეგ სააკაძემ თვით ქვეყნის შიგნით დაიწყო მოკავშირის ძებნა. მან მიზნად დაისახა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შეკრება და ყიზილბაშთა წინააღმდეგ გამართულ საერთო ბრძოლაში მათი ჩაბმა. სააკაძე გადავიდა დასავლეთ საქართველოში და შეკრა კავშირი იქაურ მეფე-მთავრებთან (23,827.31,25.76,35-36).

ამ დროს უნდა მომხდარიყო მისი ვაჟის ავთანდილისა და იმერეთის მეფის ასულის ნიშნობა, რომელიც სათანადო "პირობის წიგნით" გაუფორმა (31,22). ეს აქტი უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო, ვიდრე მოყვარული. ასე, რომ სააკაძემ დიდი მოსამზადებელი საქმიანობა ჩაატარა საქართველოს სამეფოებისა და სამთავროების ერთიანი ფრონტის შესაქმნელად.

1626 წლის გაზაფხულზე გიორგი ქართლში გადმოვიდა. ქართლში დაბრუნდა თეიმურაზიც. მათ ქართლ-კახეთის ციხეები ყიზილბაშებისაგან გაათავისუფლეს (76,37-38). მხოლოდ თბიილსის ციხე დარჩა მტრის ხელში. თბილისის ციხეში იჯდა ყორჩი-ბაშის მიერ ქართლის მმართველად დატოვებული სიმონ მეფე, რომელიც "ვერ გამოვიდოდა ციხიდან და ვერცა პატრონობდა ქართლსა" (21 ,410).

ქართლისა და კახეთის სამეფოები გაერთიანებული იყო, რომლის სათავეში თეიმურაზი იდგა. თბილისის ციხეში გამოკეტილი სიმონ-ხანი კი თეიმურაზის ხელისუფლებას ქართლში საფრთხეს ვერ უქმნიდა, რადგან როგორც უკვე ავღნიშნეთ თბილისის ციხეში შეკეტილი სიმონი "ვერ გამოვიდოდა ციხიდამ და ვერცა პატრონობდა ქართლსა" (21,410). სამწუხაროდ, სააკაძისა და თეიმურაზის შეთანხმებული მოქმედება ხანმოკლე აღმოჩნდა.

გიორგის დაუღალავმა საქმიანობამ და მისი ხელმძღვანელობით წარმოებულმა ბრძოლებმა დიდების შარავანდედით შემოსეს იგი. უზომოდ გაიზარდა მისი ავტორიტეტი და გავლენა, როგროც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთაც. მოურავი ქვეყნის ფაქტიური მმართველი გახდა. "და იყო თავი და უფროსი კაცი მაშინ მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილებდნენ" (21,407). სააკაძეს საქართველოში ქართლის მოურავს ეძახდნენ (83,447). ოსმალეთში კი "ქართლის მფლობელ მოურავ-ბეგს" (50,157.80,227.100,236) უწოდებდნენ და ელჩებასაც მას უგზავნიდნენ.

ასეთი ვითარება ცხადია დიდხანს ვერ გასტანდა. საკაძის განდიდება არ მოსწონდა პატივმოყვარე თეიმურაზს. "ასეთმა მდგომარეობამ თანდათან და საბოლოოდ ერთამნეთს დააშორა ეს ორი პატრიოტი და საქართველოსთვის საჭირო კაცი" (133,353).

სააკაძის მოწინააღმდეგე თავადებმა შესძლეს დიდ მოურავსა და თეიმურაზს შორის განხეთქილების ჩამოგდება. ეტყობა ამაში შაჰ-აბასის ხელიც ერია. საქართველოში ირანის ლაშქრის განადგურებამ დიდი გავლენა მოახდინა მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ამიერიდან აშკარად გართულდა ირანის მდგომარეობა, რომელსაც ოსმალეთთან შედარების უკეთესი საგარეო პოლიტიკური პირობები ჰქონდა 1623-1624 წლებში (210,254). ამიტომ შაჰი არაფერს დაზოგავდა იმისათვის, რომ სააკაძე და თეიმურაზი ერთამანეთისთვის გადაემტერებინა.

შექმნილ სიტუაციაში "უძლეველი შაჰი" იძულებული შეიქნა კომპრომისზე წასულიუყო.

1626 წელს შაჰ-აბასი განჯის ბეგლარ-ბეგისა და თბილისის ციხისთავის დაუდ-ხან უნდილაძის (ის იყო ირანის პირველი ყურალასარის ალავერდი-ხანის უმცროსი ვაჟი) შუამდგომლობით თეიმურაზს შეურიგდა. მან "ქართლიცა და კახეთიც ბატონ თეიმურაზს მისცა და ხალათიც და რაყამი გამოუგზავნა" (39,27). შაჰმა ქრისტიანი თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ სცნო. ამასთანავე, სომხით-საბარათიანოს მეფედ ის სიმონ ხანს ტოვებდა. ქართლის ტახტზე შექმნილი ამგვარი "ომიანობით" შაჰი თეიმურაზისა და სიმონ II-ის მკვეთრ დაპირისპირებას ცდილობდა (129,363). მართალია, სიმონ ქართლის გამაჰმადიანებული მმართველი იყო, მაგრამ ის ქართლის

სამეფო კარის წარმომადგენელი იყო. აქედან გამომდინარე, მას უფრო მეტი უფლებები ჰქონდა ქართლის სამეფო ტახტზე, ვიდრე თეიმურაზს. ნებისმიერ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო, ქართლის დიდი თავადები თეიმურაზს განდგომოდნენ "ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფესა" – სიმონ ხანის მხარეს დამდგარიყვნენ. ასე რომ, კი მართალია შაჰ-აბასი წავიდა კომპრომისზე და ქრისტიანი თეიმურაზი სცნო ქართლ-კახეთის მეფედ, მაგრამ მან სიმონის თბილისში დატოვებით თეიმურაზის ხელისუფლების სიმტკიცეს ქართლში საფრთხე შეუქმნა.

გარდა ამისა შაჰმა თეიმურაზთან შერიგებით საბოლოოდ ჩამოაგდო განხეთქილება მასსა და სააკაძეს შორის. სააკაძისათვის შაჰთან ყოველგვარი შეთანხმება მიუღებელი იყო.

მათ შორის მდგომარეობა იმდენად გამწვავდა, რომ ომი გარდაუვალი ჩანდა. ქართული ფეოდალური ძალები ორ ურთიერთსაწინააღმდეგო ბანაკად გაიყო: ნაწილი ფეოდალებისა თეიმურაზის მხარეზე დადგა, ნაწილი სააკაძეს ამოუდგა გვერდით.

თეიმურაზი კახ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა. ქართლის ფეოდალებს მისი ქართლში გამეფება ეთაკილებოდათ. როცა 1490 წლის ქართლის სამეფო დარბაზზე აღიარებულ იქნა ქვეყნის დაშლა სამეფო-სამთავროებად, ამის შემდეგ თითოეული სამეფოს მესვეურნი მტკიცედ დადგნენ "ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა". აქედან მოყოლებული, თუ კი რომელიმე სამეფოს მეთაური მისი მეზობელი სამეფო ტახტს დაიკავებდა ის "უზურპატორად" და "დამპყრობლად" მიაჩნდათ. ეს აზრი მტკიცედ იყო გაბატონებული გვიან შუა საუკუნეების ქართულ ფეოდალურ აზროვნებაში. ამიტომ იყო, რომ თეიმურაზს, როგორც კახეთის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელს "დამპყრობლად" მიიჩნევდნენ. ამით ისარგებლა სააკაძემ და თეიმურაზს ქართლის ბაგრატიონთა გათავადებული შტოს წარმომადგენელი ქაიხოსრო მუხრანბატონი დაუპირისპირა. თეიმურაზს ქართლის ფეოდალთაგან მხოლოდ ზურაბ არაგვის ერისთავი და იოთამ ამილახვარი შერჩა. ზ. ერისთავი, რომელიც სააკაძეს ედგა გვერდით ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში და მასთან ერთად გადაიტანა მთელი ამ ბრძოლების სიმძიმე, ახლა მოურავის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იმყოფებოდა.

თეიმურაზი იძულებული გახდა კახეთში გადასულუიყო. მოურავმა ქართლის გამგებლად (და არა მეფედ) ქაიხოსრო მუხრანბატონი დანიშნა, რომელსაც, როგორც

ზემოთ ავღნიშნეთ, როგორც ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენელს, ქართლის სამეფოს დაკავების მეტი "უფლება" ჰქონდა, ვიდრე თეიმურაზს. ამით ქართლისა და კახეთის სამეფოების ერთიანობა დაირღვა.

რატომ დასვა სააკაძემ ქაიხოსრო ქართლის გამგებლად და არა მეფედ? ქაიხოსროს ქართლში გამეფებით სააკაძე ქართლისა და კახეთის ცალცალკე არსებობას აღიარებდა. და რაც მთავარია, იმერეთის სამეფოს (ამით მთელი დასავლეთ საქართველოს) შემოერთების პერსპექტივა გაქრებოდა. სააკაძის მოღვაწეობის მთავრი მიზანი კი სამი სამეფოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება იყო. სწორედ ამის გამო არ დასვა სააკაძემ ქაიხოსრო ქართლის მეფედ და მხოლოდ დროებით გამგებლად დანიშნა" (221,158).

გადამწყვეტი მომენტი დადგა. სააკაძე ან უნდა გამომშვიდობებოდა საქართველოს გაერთიანების იდეას, რომელიც მთელი მისი ცხოვრების მიზანი იყო, ან კიდევ უნდა გააქტიურებულიყო თეიმურაზის წინააღმდეგ, რაც ძმათა შორის ომს გამოიწვევდა. გიორგი ყოველთვის ერიდებოდა ძმათა შორის ომს. ეს მან მრავალჯერ დაამტკიცა. სააკაძეს არც ერთ თავის მოწინააღმდეგე ფეოდალზე, რომელთაც სასიკვდილოდ გაიმეტეს ის, შური არ უძიებია. ამას მისგან საქართვე-ლოს ინტერესები მოითხოვდა. ახლა კი იგივე ინტერესები შინაური ომისკენ უბიძგებდნენ მას. სააკაძემ ომი გადაწყვიტა. ორივე მხარე ომის სამზადისს შეუდგა.

თეიმურაზთან განხეთქილების შემდეგ სააკაძემ ორიენტაცია იმერეთის მეფის გიორგი III-ის მემკვიდრე ალექსანდრეზე აიღო. თუ ის თეიმურაზზე გაიმარჯვებდა, მაშინ ალექსანდრე ქართლ-კახეთის მეფე და იმერეთის ტახტის მემკვიდრე იქნებოდა. გიორგი მეფის გარდაცვალების შემდეგ კი (იქნებ მანამდეც) იმერეთი ქართლ-კახეთს შეუერთებოდა და ერთ სამეფოდ გაერთიანებული სამი სამეფო გამდგარ სამთავროებს ადვილად შეიერთებდა და საქართველო აღდგებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი იმერთა მეფე წლების მანძილზე თეიმურაზის მოკავშირე იყო. როდესაც სააკაძემ მასთან მოლაპარაკება გამართა და მისი შვილის ალექსანდრეს ხელში ქართლის, კახეთის და იმერეთის გაერთიანების იდეა შესთავაზა, "აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, სომეხთა, შანშე და შარვანშა მეფეთ-მეფობის" (34,36) პრეტენზიის მქონე გიორგი მეფე სააკა-ძის ბანაკში გადავიდა, რადგან მისთვის თეიმურაზის მფლობელობაში გაერთია-ნებული საქართველო მიუღებელი იყო.

იმერეთის მეფეც ისევე მიიჩნევდა თავს სრულიად საქართველოს ტახტის კანონიერ მემკვიდრედ, როგორც თეიმურაზი.

1626 წლისათვის მკვეთრად გამოიკვეთა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დაჯგუფება, თეიმურაზისა და გიორგი სააკაძის. მათ კონფლიქტში ირანი და ოსმალეთიც ჩაერივნენ. ირანმა თავისი ჯარი მიაშველა თეიმურაზს. სულთანმა მურად II-მ იმერეთის მეფეს, სამეგრელოსა და გურიის მთავრებს გაუგზავნა ბრძანება, რომ მოურავისათვის დახმარება გაეწიათ (100,239-240). ასეთივე ბრძანება გაუგზავნა სამცხის მმართველ საფარ-ფაშას, ბათუმის ბეგლარბეგს, არზრუმის, ტრაპიზონის და ანატოლიის ფაშებს (იქვე 237-239).

იმერთა მეფემ მოურავს დამხმარე ჯარი გამოუგზავნა. მას ჯარი სამცხიდანაც მოუვიდა. მის მხარეზე იყო ქაიხოსრო მუხრანბატონი, იასე ქსნის ერისთავი და სამეფოს აზნაურთა ერთი ნაწილი. ქართლის თავადთა ერთი ჯგუფი, მათ შორის ორი უძლიერესი თავადი ზურაბ არაგვის ერისთავი და იოთამ ამილახვარი თეიმურაზის მხარეს იდგნენ (6,79.21,411.23,435.76,56).

მოწინააღმდეგეებს შორის ბრძოლა 1626 წლის გვიან შემოდგომაზე ბაზალეთის ტბასთან მოხდა, რომელიც თეიმურაზისა გამარჯვებით დამთავრდა (6,80.21,411-412.23,435.76,56.83,447). სააკაძე დამარცხდა. მის მიერ დაწყებული საქართველოს გაერთიანების საქმეც ჩაიშალა. ბაზალეთის ბრძოლა დიდ ფეოდალთა გამარჯვება იყო.

“ბაზალეთის ბრძოლა იყო ქართველ ფეოდალთა უგნურობის მწვერვალი – აღნიშნავს პროფ. დ. გვრიტიშვილი. ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალებით საერთო მტერს შებრძოლებოდნენ, ერთამენთს დაერივნენ. ფეოდალურმა ჟინიანობამ დაღუპა საერთო საქვეყნო საქმე” (133,353). ეს ბრძოლა ქართველთა ტრაგედია იყო, არა მარტო იმიტომ, რომ იქ მოძმეთა სისხლი დაიღვარა, არამედ იმიტომაც რომ ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც საკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეალია (128,343).

ბაზალეთის მარცხის შემდეგ სააკაძე იძულებული გახდა ხელმეორედ გადახვეწილიყო სამშობლოდან ახლა უკვე სამუდამოდ, თუმცა თვითონ ასე როდი ფიქრობდა – გაუტეხელი დიდი მოურავი უკან დაბრუნებას და ბრძოლის გაგრძელებას აპირებდა.

სააკაძე თავისი ოჯახით და მომხრეებით სამცხეში გადავიდა. აქედან ოსმალეთში ჩავიდა (76,57). ის დიდი პატივით იქნა მიღებული სულთნის კარზე. მას დიდ დამსახურებად ჩაუთვალეს ყიზილბაშთა განადგურება საქართველოში (50,173.80,232-233) და სამცხის ციხეებიდან ირანელების განდევნა (76,57).

სააკაძეს სულთანმა ყარამანიის (კონიის) ველაიეთი უბოძა (50,173). ამ დროს კვლავ მიმდინარეობდა ირან-ოსმალეთის ომი, სააკაძე, როგორც ჩანს ოსმალთა ჯარის დახმარებით ფიქრობდა ქართლ-კახეთის ყიზილბაშთაგან განთავისუფლებას და საქართველოს გაერთიანებას. ამ იმედით ეახლა დიდი მოურავი სულთანს. გაუტეხელმა გმირმა თავისი გეგმის განხორციელება – ფეოდალთა თვითნებობის ალაგვმა და საქართველოს გაერთიანება ოსმალთა დახმარებით სცადა. სხვა გზა მაშინ არ სჩანდა.

რა ბედი ეწია დიდ მოურავს ოსმალეთში? ქართული წყაროები როდესაც მოურავის დაღუპვის შესახებ მოგვითხრობენ იმ აზრს ავითარებენ, რომ დიდმა ვეზირმა ხუსრევ-ფაშამ შურის გამო მოაკვლევინა სახელოვანი სარდალი, რადგან ხუსრევ-ფაშას არ მოსწონდა მისი დიდი პოპულარობა ოსმალეთში (21,412.23,435-436.39,28,76,61-62). ს. კაკაბაძე იზიარებს ქართველ ისტორიკოსთა ზემოთ აღნიშნულ შეხედულებას (142,123-136).

გ. სააკაძის სიკვდილი მხოლოდ ხუსრევ-ფაშას მეშურნეობით არ უნდა ყოფილიყო გამოწვეული. მას საფუძვლად უფრო დიდი და სერიოზული მიზეზი ედო. ამ საკითხის გასარკვევად ძალზედ საინატერესოა თურქ ავტორებთან დაცული ერთი პატარა დეტალი. “ხუსრევ-ფაშა სისხლის მოყვარული და მუხანათი კაცი იყო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ რომ სისხლის დაღვრა ეწადა, მან ხონთქრისთვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოკლა ასეთი გმირი მოხუცი.” (50,185,80,234). ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსმალეთის ვეზერთელა იმპერიის დიდ ვეზირს მხოლოდ შურიანობა ამოძრავებდა. როცა სააკაძეს თავს კვეთდა, მას სათანადო საბაბიც მოუტანია, ”მოურავი საქართველოში წავაო”. განა მოსალოდნელი არ იყო დიდ მოურავს საქართველოში დაბრუნებაზე ეფიქრა, როგორც პროფ. გ. ჯამბურია შენიშნავს, არაა გამორიცხული, რომ თითქმის სამი წლის ლოდინის შემდეგ სააკაძეს იმედი გადასწუროდა ოსმალეთის დახმარებაზე და ეცადა საქართველოში დაბრუნება, რათა საკუთარი ძალებით მაინც განეგრძო მისი დაწყებული საქმე (227,291).

გ. სააკაძის საქართველოში გაქცევის შესახებ ცნობას გვაწვდის ისქანდერ მუნში და 1658 წელს თეიმურაზ I-ის მოსკოვში წარმოებული მოლპარაკების ჩანაწერები (32, 49. 47,447).

დიდმა მოურავმა, რომელმაც ვერ მიაღწია ოსმალეთის დახმარებას თავისი გეგმების შესასრულებლად სხვა ძალის მოძებნა დაიწყო თვით საქართველოში. თეიმურაზის ცნობით, მან "დადიანის ქვეყანაში" (ე.ი. სამეგრელოში) დააპირა გაქცევა (იქვე). რატომ მაინც და მაინც ოდიშის სამტავროში აპირებდა მოურავი გაქცევას?

გ. სააკაძემ ბაზალეთი ბრძოლა წააგო. ამდენად, იგი ქართლ-კახეთში, სადაც თეიმმურზი მეფობდა, ვერ ჩავიდოდა. ამ ხანებში არც იმერეთში ჩაესვლებოდა მოურავს. პოლიტიკაში ხშირად იცვლება სიტუაციები. თუ 1626 წელს ბაზალეთის ბრძოლაში იმერეთის მეფე გიორგი III მოურავის მოკავშირე იყო, 1629 წელს იმერეთის მეფე თეიმურაზ I-ს დაუმოყვრდა. თეიმურაზმა თავისი ქალიშვილი დარეჯანი, ზურაბ არაგვის ერისთავის ქვრივი იმერეთის მეფის ვაჟს ალექსანდრეს მიათხოვა. ალექსანდრესა და დარეჯანის ქორწინება მათი მამების პოლიტიკური დაახლოების შედეგი იყო. ამიტომაც უნდა აერიდებინა თავი გ. სააკაძეს იმერეთისთვის. ფაქტიურაად ერთად-ერთი პოლიტიკური ერთეული სადაც სააკაძე შეიძლებოდა ჩასულიყო, ოდიში იყო. ოდიშში იმ დროს ლევან II დადიანი (1611-1658) მთავრობდა, რომელიც მტრობდა თეიმურაზსა და გიორგი იმერეთის მეფეს. "საქართველოში შექმნილი კონკრეტული პოლიტიკური სიტუაცია ობიექტურად აახლოებდა გ. სააკაძესა და ლ. დადიანს" (106,190-191).

ამ მხრივ საინეტრესოა ფ. გორგიჯანიძის "ისტორიაში" დაცული ერთი მეტად საინტერესო დეტალი. ის მოგვითხრობს, რომ როდესაც სულთანმა გაიგო სააკაძის დაღუპვის ამბავი "ნამერტნავად იწყინა, მაგრამ სანამდის ხოსრომ-ფაშა არ დაბრუნდა, არა თქვა რა. რა მოვიდა ხონთქარმა ჰკითხა სად არის მოურავიო, იმან მოახსენა – რაფიზი იყო და მოვაკვლევინეო" (39,28-29).

როგორც ვხედავთ, დიდ ვეზირს იმიტომ დაუსჯია სააკაძე, რომ ის "რაფიზი" ყოფილა. რას ნიშნავს "რაფიზი"? "რაფიზი" არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერეტიკოსს. ასე უწოდებდნენ თურქები შიიტებს (ირანელებს). თურქულ წყაროებში ირანელები რაფიზებად იწოდებიან. ამრიგად, რაფიზი ოსმალეთში სპარსელის აღმნიშვნელი

ტერმინი იყო. უეჭველია, რომ ფ. გორგიჯანიძე რაფიზს ხმარობს სპარსულის მნიშსვნელობით (178,176-177.184,296).

რატომ უწოდა ხუსრევ-ფაშამ სააკაძეს რაფიზი და რატომ დასაჯა ამის გამო სიკვდილით? 1629 წლის იანვარში გარდაიცვალა ირანის ლომი შაჰ-აბას I. მისი გარდაცვალების შემდეგ ქართველ უფლისწულს ხოსრო-მირზას (ის იყო სიმონ I-ის ძმის დაუდ-ხანის ვაჟი და სიმონ II-ის ბიძა), რომელიც მაშინ ისპაჰანის ტარუღა იყო (150,95-97), დახმარებით ტახტზე ავიდა შაჰ-აბასის I შვილიშვილი სეფი I (1629-1642). ამის შემდეგ ხოსრო-მირზას ავტორიტეტი ირანში ძალიან გაიზარდა.

შაჰ-აბასის სიკვდილი სააკაძეს საშუალებას აძლევდა კვლავ ირანს დაკავშირებოდა, მაშინ როცა ირანის საქმეები ერთბაშად მოექცა ხოსრო-მირზას ხელში, რომლის ირანის სამეფო კარზე დაწინაურებაში თავის დროზე დიდი როლი ითამაშა გ. სააკაძემ.

“საფიქრებელია, რომ გ. სააკაძემ საქართველოს გაერთიანების მიზნით ირანში მყოფ ქართველებთან ურთიერთობა გააბა. მან საქართველოს გაერთიანების ახალი გეგმა შეიმუშავა, რასაც დიდი ვეზირის დაუკითხავად აკეთებდა” (178,179.184.301). ამ სიტუაციაში ბუნებრივი ჩანდა ოდიშში გაქცევა, რადგან ლევან დადიანი მტრობდა თეიმურაზსა და იმერეთის მეფეს და ცდილობდა ირანს დაკავშირებოდა. შემთხვევითი არაა, რომ როსტომის ქართლში გამეფების შემდეგ ლევანი და როსტომი მოკავშირეებად იქცნენ. ჩანს, ყოველივე ამას ობიექტური საფუძვლები ადრე ჰქონდა ჩაყრილი (106,191). გ. სააკაძე საქართველოში რომ დაბრუნებულიყო და დადიანს დაკავშირებოდა, თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ხელისუფლებას აშკარა საფრთხე დაემუქრებოდა. ეს კი არ შედიოდა იმჟამად ოსმალეთის ინტერესებში. თეიმურაზი და იმერეთის მეფე ანტი-ირანულ განწყობილებას ამჟღავნებდნენ და ბუნებრივია ოსმალეთის მოკავშირეებად გამოდიოდნენ. ყოველივე ამან, აუცილებელი გახადა გ. სააკაძის თავიდან მოცილება. იგი სიკვდილით იქნა დასჯილი (იქვე). აქიდან გამომდინარე, დიდი მოურავის სიკვდილით დასჯა, მხოლოდ ხუსრევ ფაშას სურვილით არ მომხდარა.

ამრიგად, დიდი მოურავის დაღუპვის მიზეზი, მის პოლიტიკურ საქმიანობაში უნდა ვეძიოთ და მჭიდროდ დავიკავშიროთ საქართველოსა და ირან-ოსმალეთში შექმნილ სიტუაციას. “დასრულდა სააკაძიადა - აღნიშნავს ლ. ტუხაშვილი – დაიშრიტა

ეროვნული ენერგიის შენივთების მაცოცხლებელი ძარღვი” (203,210). მართალია, სააკაძემ უდიდესი როლი შეასრულა საქართველოს ისტორიაში, ეროვნული ერთიანეობის აღდგენის მცდელობის საქმეში, მაგრამ ლ. ტუხაშვილის ამ შეფასების მიღება უკრიტიკოდ მაინც შეუძლებელია. ეროვნული ენერგიის შენივთების მაცოცხლებელი ძარღვი არ შეიძლება ერთი პიროვნების ოსტორიული სცენიდან წასვლით დაიშრიტოს. ქართველი ხალხის ბრძოლისუნარიანობა სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული და ეს შესანიშნავად დაადასტურა საქართველოს შემდგომდრიონდელმა ისტორიამ.

* * *

იმერეთის მეფის როსტომის მემკვიდრედ გიორგი III-ს (1605-1639) მისი წინამორბედის მსგავად პრეტენზიას “ორავე ტახტის” მფლობელობაზე აცხადებდა; “ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონმან ორსავე ტახტისა და სახელმწიფოს ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა თვითფლობით მტკიცედ მპყრობელმან, ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან გიორგი” (34,36,37.36,30) _ აცხადებდა ის.

იმერეთის სამეფო ტახტზე მსხდომი მეფეები მთელ დასავლეთ საქართველოზეც ვერ ახორციელებენ თავიანთ “უფლებებს” და ზედმეტი იყო ლაპარაკი “სრულიად საქართველოს ორსავე ტახტის მფლობელ-მპყრობელობაზე”. პრეტენზიის გაცხადება გურიისა და ოდიშის სამთავროებმა ჯერ კიდევ XVI ს-ის 40-იან წლებში მოიპოვეს დამოუკიდებლობა იმერეთის სამეფო ტახტისაგან. XVII ს-ის 10-იანი წლების ბოლოს ცალკე სამთავროდ ჩამოყალიბდა აფხაზეთი. მანამდე აფხაზეთი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში შედიოდა. XVII ს-ის დასაწყისიდან აფხაზეთში დაწინაურდა შარვაშიძეთა ფეოდალური სახლი, რომელმაც შეძლო აფხაზეთის ოდიშისაგან გამოყოფა. ამ სამთავროს ცენტრი შეიქმნა ზუფუ (ლიხნი). საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთის სამთავროებს შორის XVII ს-ის 90-იან წლებამდე მდ. კოდორზე გადიოდა.

მთავრები დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ, მაგრამ იმერეთის მეფე მათ თავის ვასალებად თვლიდა.

XVII ს-ის 20-იან წლების დასაწყისამდე დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ძირითადად შეთანხმებულად მოქმედებდნენ ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ. ისინი

მხარს უჭერდნენ აგრეთვე ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ მებრძოლ ქართლ-კახეთის მეფეებსაც.

ოსმალო დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას ქართველ ხალხთან ერთად აწარმოებდნენ აგრეთვე თურქთა მიერ დაპყრობილი სხვა ხალხებიც. XVII ს-ის დასაწყისიდან დონისა და ზაპოროჟიეს კაზაკობამ (განსაკუთრებით დონის) დაიწყო ორგანიზებული თავდასხმები ყირიმისა და თურქეთის სანაპიროებზე. ისინი დიდ ზიანს აყენებდნენ თურქეთის სამხედრო და სავაჭრო ფლოტს. ეს გარემოება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ მესვეურებს. მათ ოსმალეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში კაზაკებთან კავშირის შეკვრა უცდიათ. ცხადია, ეს დაახლოება ხელსაყრელი იყო ორივე მხარისათვის. უპირველეს ყოვლისა საქართველოს ზღვისპირეთი კაზაკებისთვის ერთგვარ დამხმარე ბაზას წარმოადგენდა თურქეთის შავიზღვისპირა ქალაქებსა და სოფლებზე თავდასხმის დროს (174,25-33. 215,11735).

XVII ს-ის 10-იანი წლების დასაწყისში ოსმალეთმა გურიისა და სამეგრელოს დამორჩილების მიზნით საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების ბლოკადა მოაწყო. შეწყდა მარილის (იგი უმთავრესად ყირიმიდან შემოჰქონდათ) და რკინის შემოზიდვა, რამაც დიდი სიძნელეები შეუქმნა ორივე სამთავროს. ამ სიძნელეებს ისე შეუწუხებია მთავრები, რომ 1614 წლის დასასრულს ჯერ გურიის მთავარმა მამია II-ემ (1600-16225), შემდეგ 1615 წლის დამდეგს ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმაც (1611-1657) ოსმალეთის სასარგებლოდ ხარკი იკისრა. ოსმალეთის მოხარკე იყო აფხაზეთიც. რაც შეეხება იმერეთს, უფრო გვიან იმერეთიც ყოველწლიურ ხარკს იხდიდა ოსმალეთის სასარგებლოდ (1107,50.109,196-198.223,239-240).

მაშასადამე, მთელი დასავლეთ საქართველო ოსმალეთის მოხარკე, ვასალია. მიუხედავად ამისა, სამეფო-სამთავროები შინაგან დამოუკიდებლობას ინარჩუნებენ. ხშირად დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკასაც აწარმოებდნენ (18,56-57).

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრები ერთსულოვნად მოქმედებდნენ შაჰ-აბასის ქართლ-კახეთში ლაშქრობების დროს. მათ შეიფარეს და მხარდაჭერა აღმოუჩინეს იმერეთში გადახვეწილ ქართლ-კახეთის მეფეებს. გურიისა და ოდიშის მთავრები მონაწილეობდნენ გიორგი III –ის მიერ მოწვეულ იმ თათბირში, რომელიც ურჩევდა

ლუარსაბს არ წასულიყო შაჰ-აბასთან. 1615 წლის კახეთის აჯანყების დროს გიორგი მეფემ და გურია-ოდიშის მთავრებმა თეიმურაზი თავინთი ჯარებით არაგვამდე მიაცილეს.

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა კავშირი და ერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ შორის უთანხმოების ჩამოვარდნა დაკავშირებულია ოდიშის მთავრის ლევანის აქტიურ ბრძოლასთან დასავლეთ საქართველოში პირველობისათვის (XVII ს-ის 20-იანი წწ.). "ლევან დადიანი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურა იყო XVII ს-ის საქართველოს, კერძოდ კი სამეგრელოს ისტორიაში" (108,10.166,167). ევროპული წყაროები ერთხმად წარმოადგენენ ლევანს, როგორც ძლიერ და ნიჭიერ ადამიანს (15,140.41,44-45.45,15.77,7-9.85,232.101,109).

"ლევანი თავისი აღზრდით, მორალითა და პოლიტიკური შეგნებით ღვიძლი შვილი იყო იმ ეპოქისა. პირად მამაცობასთან ერთად მას ახასიათებდა ორჭოფობა და თვალთმაქცობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში... მითუმეტეს, ლევანი პატარაობიდან იზრდებოდა კახეთში, თავის პაპის – ალექსანდრე II-ის (1574-1605) ოჯახში, სადაც მუხანათური პოლიტიკის სისტემას იგი პატარაობიდანვე ეცნობოდა. ლევანი იყო ნიჭიერი, უშიშარი და მტკიცე ნებისყოფის ადამიანი" (154,106).

დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის პირველი უთანხმოება იმერეთის მეფესა და მამია გურიელს შორის ჩამოვარდა.

1620 წელს ალექსანდრე გიორგი მეფის ძემ თავის ცოლ თამარს, მამია გურიელის ასულს ღალატი დასწამა და ცოლი თავისი ვაჟით ბაგრატით მამამისს მიუბრუნა. ამით შეშფოთებული მამია გურიელი "ეზრახა დადიან ლევანს". მათ შორის კავშირის განმტკიცების მიზნით დადიანის და მარიამი ცოლად შეირთო გურიელის ვაჟმა სიმონმა (23,826). თვით ლევანი დაქორწინებული იყო აფხაზთა მთავრის სეტემან შარვაშიძის ასულზე, რაც მათ შორის პოლიტიკურ კავშირს მოასწავებდა.

ამრიგად, დასავლეთ საქართველოს სამი სამთავრო – გურია, ოდიში და აფხაზეთი ერთ ბლოკად შეიკრა. მთავართა ეს კავშირი იმერეთის მეფის წინააღმდეგ იყო მიმართული. გიორგი III-ს მხოლოდ თეიმურაზი უჭერდა მხარს, რომელიც მაშინ იმერეთში იყო გადახვეწილი და რეალური ძალა არ გააჩნდა.

ამ ორ დაპირისპირებულ ბანაკს შორის ბრძოლა გარდაუვალი იყო. მათ შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა 1623 წელს ქუთაისის მახლობლად გოჭოურასთან, სადაც გიორგი III დამარცხდა (15,148.23,826.27,46.83,446).

წყაროები გოჭოურას ბრძოლაში არ იხსენიებენ მამია გურიელის მონაწილეობას. როგორც ჩანს, მან ნეიტრალური პოზიცია დაიკავა. "ამის შემდეგ ლევანი ისე გაძლიერდა - აღნიშნავს პროფ. გ. ჯამბურია, პოლიტიკურად თუ ეკონომიურად, რომ სიცოცხლის ბოლომდე ფაქტიურად მთელი დასავლეთ საქართველოს ბატონ-პატრონი იყო" (223,303). მალე უთანხმოება ჩამოვარდა გიორგი III-ის მოწინააღმდეგეთა ბანაკშიც. დადიანი გაეყარა ცოლს, შარვაშიძის ასულს და მის სიმამრს სამთავროც მოურბია. ლევანმა ცოლად ჭილაძის ასული შეირთო, რომელიც ბიძამისს, გიორგი ლიპარტიანს წაართვა (41,84.45,16-19.85,233.101,83).

ახლა გიორგი მეფის მომხრეთა ბანაკი გაიზარდა. მის მხარეს დადგა აფხაზთა მთავარი შარვაშიძე. გურიის მთავარი მამია შეშფოთებული იყო დადიანის გაძლიერებით. ლევანის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო, მაგრამ შეთქმულნი დამარცხდნენ (45,19-20). ლევანი უფრო გააქტიურდა, მან ისევ დალაშქრა აფხაზეთი (იქვე).

ჯერი გურიაზეც მიდგა. ის თავს დაესხა თავის სიძეს სიმონ გურიელს, რომელმაც ღალატით მოკლა მამა და თვითონ გამთავრდა. ლევანმა სიმონი დაატყვევა, დააბრმავა იგი და ცოლ-შვილი წაართვა. ლევანმა გურიის მთავრად მამიას ძმა აფხაზეთის კათალიკოსი მალაქია (1625-1639) დასვა (23,827). ამით მან მარტო გურია კი არ დაუქვემდებარა თავის გავლენას, არამედ აფხაზეთის კათალიკოსიც მიიმხრო.

ლევან დადიანის პოლიტიკური სიძლიერე ისე გაიზარდა, რომ "მან იმერეთის დამორჩილება გადაწყვიტა. ამ განზრახვით დადიანს განუწყვეტელი ომი ჰქონდა იმერეთთან. გიორგი მეფე გამაგრდა ქუთაისის ციხეში. მის სიმაგრეს დადიანმა ვერ სძლია, მაგრამ მაინც ისე დაასუსტა იმერეთის სამეფო, რომ სამეგრელოს ბევრად ჩამოუვარდებოდა ძალ-ღონით" (45,22).

პროფ. ი. ანთელავა ლევან დადიანის იმერეთში ლაშქრობას ასე აფასებს: "მას სურდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და ეს რომ განეხორციელებინა, უდიდეს საქმეს გააკეთებდა, მაგარამ საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური

დაქუცმაცებულობისა და რთული საგარეო ვითარების პირობებში ეს განუხორციელებელი აღმოჩნდა. ლევანმა თავისი გაუთავებელი ბრძოლებით მიზანს ვერ მიაღწია” (107,1311-134).

ვერ დავეთანხმებით პროფ. ანთელავას ამ მსჯელობას. ლევანის მრავალგზის იმერეთში ლაშქრობის უპირველეს ამოცანას შეადგენდა ოდიშის საზღვრების გაფართოება. მისი ლაშქრობები უფრო მძარცველური ხასიათისა იყო, ვიდრე ქვეყნის შემომტკიცების მცდელობისა.

* * *

ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ კახეთი და შიდა ქართლი თეიმურაზს ეჭირა, თბილისში სიმონ-ხანი იჯდა, რომლის ხელისუფლება მხოლოდ სომხით-საბარათიანოზე, ანუ ქვემო ქართლზე ვრცელდებოდა.

ქართლელ თავადთა ერთი ნაწილი სიმონ II-ის გარშემო დაირაზმა, მაგრამ მათი მნიშვნელოვანი ნაწილი თეიმურაზს ემხრობოდა. მართალია, ირანის ლომი ქართლ-კახეთთან მიმართებაში კომპრომისზე წავიდა და ქრისტიანი თეიმურაზი ფაქტიურად ქართლ-კახეთის მეფედ ცნო, მაგრამ ეს იყო შაჰ-აბასის იძულებით უკან დახევა. იგი კომპრომისზე წავიდა, მაგრამ სამაგიეროდ, თეიმურაზმა თავი ირანის შაჰის ვასალად აღიარა (228,292).

ქართლის სამეფოში უძლიერესი თავადი იყო ზურაბ არაგვის ერისთავი. ძლიერი საფეოდალო ზურაბმა მემკვიდრეობით მიიღო. ჯერ კიდევ მამამისი ნუგზარი ძლივს სცნობდა პატრონად ქართლ-კახეთის მეფეებს. ზურაბი კიდევ უფრო გაძლიერდა; “ამას ჟამსა შინა უფრო განდიდნა ზურაბ ერისთავი” (21,113) გვაუწყებს ბერი ეგნატაშვილი. თეიმურაზსა და ზურაბს შორის უკამყოფილება სამუხრანბატონოს გამო ჩამოვარდა. ბაზალეთის ბრძოლის შემდეგ ზურაბმა მთელი სამუხრანო ვერ მიიღო. თეიმურაზმა “მუხრანი მისცა თავის ვაჟს დათუნას” (23,437.39,28), ამიტომ ზურაბმა “არღარა დაუდვა თავი ბატონს თეიმურაზს” (21,413). როგორც ვახუშტი გადმოგვცემს მას, “სწადდა, რათა ყოს თეიმურაზ კახ-ბატონად და სვიმონ ქართლისად და ორნივე იყვნეს მავედრნი მისნი” (23,437).

პატივმოყვარე ერისთავმა თეიმურაზ მეფეს სიმონი დაუპირისპირა, რითაც საფრთხე შეუქმნა თეიმურაზის ხელისუფლებას ქართლში და აქედან გამომდინარე ქართლისა და კახეთის ერთიანობასაც. მან "დაუწყო საქმობა სვიმონ მეფეს პატარას", გამოიყვანა თბილისის ციხიდან და "გააბატონა და მიუყენა ქართლი" (21,413.23,437). ზურაბთან დამარცხებული თეიმურაზი კახეთში გადავიდა (39,28).

ამრიგად, ქართლისა და კახეთის ერთიანობა დაირღვა. თეიმურაზი კახეთში გაბატონდა, ხოლო სიმონი არაგვის ერისთავის შემწეობით მთელ ქართლს დაეუფლა. სიმონ ქართლის მეფემ დახმარების სანაცვლოდ "მამულით გაუმაძღარ" ერისთავს "მუხრანი მისცა" (იქვე). ქართლის მეფე სიმონ II მთლიანად ზურაბ ერსითავზე იყო დამოკიდებული, "სიმონ მეფე მამას ეძახდა ზურაბს და იყო მისი მორჩილი და არას იქმოდა მის გარადუვალსა" (21,413).

ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლი თეიმურაზი არ შერიგებია აღნიშნულ ვითარებას. ის ვერ ითმენდა ქართლის სამეფო ტახტზე გამაჰმადიანებული სიმონის დამკვიდრებას. მიუხედავად იმისა, რომ სიმონს, როგორც ქართლის ბაგრატიონთა წარმომადგენელს მეტი უფლება ჰქონდა ქართლის ტახტზე, თეიმურაზი ფარ-ხმალას მაინც არ ყრიდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა გზიდან ჩამოეცილებინა ორივე მოწინააღმდეგე – სიმონიც და ზურაბიც და ქართლის სამეფოს კვლავ დაუფლებოდა.

1629 წელს შესაფერი დრო დადგა. 19 იანვარს შაჰ-აბას I გარდაიცვალა, რომელმაც "თავისი მამაცობითა და სახელმწიფოებრივი ნიჭით სპარსეთი იმდენად გააძლიერა და მის კულტურულ აყვავებას ისე შეუწყო ხელი, რომ სპარსეთის ოდინდელი ძლიერებისა და ბრწყინვალების სახელი კვლავ გამოაცოცხლა" (220,341), ირანის სამეფო კარი ტახტისათვის ბრძოლით იყო დაკავებული. ხელსაყრელი იყო საერთაშორისო ვითარება მახლობელ აღმოსავლეთშიც. ირანს დასავლეთიდან ოსმალებმა შეუტიეს (208,356-357). თეიმურაზმა შექმნილი ვითარება მარჯვედ გამოიყენა და გადამწყვეტ ზომებს მიმართა. მან ზურაბ ერისთავთან აშკარა ბრძოლას ფარული შეთანხმება არჩია და იგი თავის მხარეზე გადმოიბირა.

თეიმურაზს, რომ ქართლის სამეფოში მტკიცედ მოეკიდებინა ფეხი, ზურაბის შემორიგება არ იყო საკმარისი. საჭირო იყო სიმონ II-ის გზიდან ჩამოცილება. სანამ ეს უკანასკნელი ცოცხალი იყო, თუნდაც თბილისის ციხეში ჩაკეტილი, თეიმურაზის

ხელისფლება ქართლში მყარი ვერ იქნებოდა. ქართლის ნებისმიერ ძლიერ ფეოდალს (თუნდაც იგივე ზურაბს) ნებისმიერ დროს შეეძლო კვლავ დაეპირისპირებინა იგი თეიმურაზისათვის, როგორც ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მემკვიდრე. ამიტომ მან ზურაბის მეშვეობით სცადა სიმონ-ხანის მოცილება. გაუმაძღარ ფეოდალს სიმონის მოკვლის საფასურად "იორის პირის მამულს" დაა "თიანეთის სამამულედ მიცემას დაჰპირდნენ" (39,28.83,462). ზურაბმა ვერაგულად მოკლა მასზე მინდობილი სიმონ-ხანი (6,22.21,413,414.23,437.32,51.39,28. 71,131-132.83,462.93,92). სიმონი ზურაბს 1630 წელს უნდა მოეკლა, რადგან მის მიერ გაცემული საბუთები 1630 წელს არ სცილდება (82,80-84). ამის შემდეგ თეიმურაზი კვლავ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ სამეფოთა მეფე გახდა. 1631 წლის მცხეთის სიგელში ნათქვამია: "...გუუირგუინოსანმან მეფემან ქართველთა და კახთამან თეიმურაზ" (37,17). ამავე წლის ბოდბის სიგელში ვკითხულობთ: "ნებითა და შეწევნითა ღ'თისათა, ჩვენ ღ'თივ გუირგუინოსანმან და ორსავე სამეფოსა და ტახტის (აქ იგულისხმება ქართლისა და კახეთის სამეფოები) მპყრობელმან, მეფეთ-მეფემან, ხელმწიფემან პატრონმა თეიმურაზ" (იქვე,18). თეიმურაზს მხოლოდ თბილისი არ ემორჩილებოდა, სადაც კვლავ ყიზილბაშთა დიდი გარნოზონი იდგა.

წყაროები ერთსულოვანნი არ არიან სიმონ-ხანის სიკვდილში თეიმურაზის მონაწილეობის შესახებ. ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი, არჩილი, ისქანდერ მუნში და საქართველოში იმ დროს მყოფი კათოლიკე მისიონერები უარყოფენ ამ საქმეში მეფე თეიმურაზის მონაწილეობას და სიმონის მკვლელობის ინიციატორად მხოლოდ ზურაბ არაგვის ერისთავი ჰყავთ გამოყვანილი (6,82,21,413-414.23,437.32,51.71,131,172.141,124). ფ. გორგიჯანიძე, "პარიზის ქრონიკის" ავტორი და როსტომ მეფე 1648 წელს შედგენილ სიგელში პირდაპირ მიუთითებენ თეიმურაზის ინიციატივით სიმონ-ხანის მკვლელობაზე (39,28.83,462.93,92). რადგანაც ქართლის და კახეთის ერთიანობის სიმტკიცისათვის აუცილებელი იყო ქართლის ტახტის კანონიერი მემკვიდრის, სიმონის გზიდან ჩამოცილება, არ არის გამორიცხული, სიმონის მკვლელობა თეიმურაზის ინიციატივით და ხელშეწყობით რომ მომხდარიყო.

სიმონ-ხანის სიკვდილს ირანის სამეფო კარი ასე ადვილად არ შეურიგდებოდა, რადგანაც ეს უკანასკნელი ქართლში შაჰის მიერ დასმული მმართველი იყო და აქედან

გამომდინარე, ირანის ინტერესების დამცველი. მართალია შაჰი თეიმურაზს შეურიგდა და ის ქართლ-კახეთის მეფედ ცნო, მაგრამ სიმონი შაჰის ხელში კარგი იარაღი იყო თეიმურაზის წინააღმდეგ. შაჰის რისხვის თავიდან აცილების მიზნით თეიმურაზმა და სასახლის დიდებულებმა გადაწყვიტეს, რომ ზურაბ ერისთავი მოეკლათ, თავი ყაენისათვის გაეგზავნათ და სიმონის სიკვდილი მისთვის დაებრალებინათ. ასეც მოხდა. ზურაბი ღალატით საფურცლეს მოკლეს, თავი შაჰს გაუგზავნეს და შეუთვალეს, რომ სიმონ-ხანის მკვლელობის გამო შური ვიძიეთ და ზურაბი მოვსპეთო (39,29-30). მუნში თავის "ისტორიის" გაგრძელებაში აღნიშნავს, რომ თეიმურაზმა ყაენს შეუთვალა: "რადგან ზურაბმა სახელმწიფოს უღალატა სიმონ-ხანის მოკვლით, ამიტომ თქვენდამი კეთილგანწყობილების საფუძველზე იგი დავსაჯეთო" (32,54). ირანის ახალი მბრძანებლის შაჰ სეფისთვის (1629-1642) ნათელი უნდა ყოფილიყო სიმონ-ხანის მკვლელობაში თეიმურაზის ხელო რომ ერია და ისიც, თეიმურაზმა ეს საქმე მთლიანად ზურაბს რომ გადააბრალა.

თეიმურაზმა ზურაბის ქვრივი, თავისი ქალიშვილი დარეჯანი იმერეთის ტახტის მემკვიდრეს, ალექსანდრე გიორგის ძეს მიათხოვა (21,415.23,428). ეს ის ალექსანდრეა, რომლის ქართლში გამეფება გ. სააკაძემ 1626 წელს სცადა. ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. ჯამბურია შენიშნავს "უთუოდ ამ გარემოებამ უკარნახა თეიმურაზს იმერეთის მეფესთან დამოყვრება" (228,293). გ. სააკაძის ოსმალეთში დაღუპვის შემდეგ თეიმურაზისათვის მოიხსნა იმის საფრთხე, რომ ქართლის ტახტისთვის ბრძოლაში მას მოცილე ეყოლებოდა ალექსანდრე გიორგის ძის სახით. ეს იყო დიდი მოურავის იდეა. მისი სიკვდილის შემდეგ იმერეთის სამეფო კარს ქართლის ტახტის დაკავების სურვილი რომც ჰქონოდა, საამისო ძალა არ შესწევდა, სამეგრელოს მთავარ ლევან II დადიანთან (1611-1657) განუწყვეტელი ბრძოლის გამო. აღნიშნული ქორწინება იმითაც იყო განპირობებული, რომ ახლა, როცა თეიმურაზი აღმოსავლეთ საქართველოს ორსავე სამეფოს ფლობდა, ქვეყნის შინაგან ძალთა გაერთიანებისთვის საჭირო იყო იმერეთის სამეფოსთანაც კარგი ურთიერთობის ქონა. ამ დინასტიურმა ქორწინებამ ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები უფრო მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს.

ქვეყნის შინაგანი მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლის პარალელურად მეფე თეიმურაზი ირანის წინააღმდეგ საგარეო მოკავშირეებსაც აქტიურად ეძებდა. 1629 წლის

აგვისტოში ევროპიდან დაბრუნდა თეიმურაზის ელჩი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი (ნიკიფორე ირბახი) (105,49), რომელიც მან 1626 წელს გაგზავნა რომის პაპთან და დასავლეთ ევროპის მეფეებთან ირანის წინააღმდეგ დახმარების სათხოვნელად (105,30-31.141,92.146,200-201). ამ ელჩობასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული გ. აკოფაშვილს: "ერთი შეხედვით ადამიანს იქნებ გულუბრყვილოდაც კი მოეჩვენოს თეიმურაზ მეფის ცდა - დასავლეთ ევროპაში ირანის წინააღმდეგ მოკავშირის ძიება. ევროპის სახელმწიფოებს ცხადია საკუთარი პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ და არ ეცალათ იმისათვის, რომ თავს ედოთ, მათი უშუალო ინტერესებისაგან თითქოს შორს მდგომი პატარა სახელმწიფოს ქართლ-კახეთის სამეფოს დაცვა ირანის აგრესიისაგან. საქმე ისაა, რომ თეიმურაზის ელჩობის უპირველესი მიზანი არა იმდენად საბრძოლო კავშირის შეკვრა იყო ირანის საწინააღმდეგოდ, რამდენადაც ევროპელ მეფე-მთავრებთან უშუალო მეგობრული კავშირის დამყარების გზით თავის, როგორც სახელმწიფოს მეთაურის საერთაშორისო პრესტიჟის ამაღლება და ქართლ-კახეთის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს პოლიტიკური ავტორიტეტის განმტკიცება" (105,31).

თეიმურაზ მეფეს ვერ დავწამებთ ამ დროის საერთაშორისო მდგომარეობის უცოდინარობასა და მასში გაურკვევლობას. ნ. ნაკაშიძის სამართლიანი თქმით, თეიმურაზის მიმართვა რომის პაპისა და ესპანეთის მეფისადმი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ის იცნობდა და რეალურად აფასებდა არსებულ საერთაშორისო სიტუაციას არა მარტო ახლო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც. უეჭველია, რომ ქართველ მეფეებს კარგად მოეხსენებოდა ირანისა და რომს და ესპანეთსა დაა ირანს შორის ურთიერთობის გაფუჭება მოცემულ ხანაში (236,91). "ქართველი მეფის მხრიდან ეს იყო დროული და საერთაშორისო სოტუაციის თვალსაზრისით არსებითად გამართლებული ღონისძიება "(105,38).

ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზმა ვერ შესძლო სამეფოს შინაგანი მდგომარეობის განმტკიცება. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ქვეყნის მართვა-გამგეობის სადავეები კახელ მოხელეთა ხელში გადავიდა. "კახელნი ქართველზედ ამაყობდნენ და უპატიოდაც ეპყრობოდეს" – გვაუწყებს ფ. გორგიჯანიძე (39,30). ქართველ თავადთა უკმაყოფილების, "გულის გაავების" ამოსავალი ისიც უნდა

ყოფილიყო, რომ “ქართლსა ზედა” მჯდომი თეიმურაზი კახელ ბაგრატიონთა შტოს ეკუთვნოდა და არა ქრთლისას. იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოს დაშლა ცალკეულ “საქართველოებად” აღიარებულ იქნა 1490 წლის ქართლის სამეფო დარბაზზე, თუ კი რომელიმე სამეფოს მფლობელი მეზობელი სამეფო ტახტის დაჭერას მოახერხებდა, მაშინდელი ქართველი პოლიტიკური აზროვნების თანახმად, ეს უკანონო იყო და “სხვისი ტახტის დამჭერი” მეფე კი უზურპატორი. ქართლელთათვის თეიმურაზი “კახი ბატონი” იყო, აქედან გამომდინარე, მას ქართლის ტახტის ჭერის უფლება არ ჰქონდა. სიმონ II-ის მოკვლის შემდეგ “ვინაიდან არღარავინ ჰყავდათ ქართველთა მკვიდრი არცა მეფე და არცა ძენი მეფისანი, მცირედ ოდენ მორჩილ იყვნენ კახის ბატონის თეიმურაზისა” – გადმოგვცემს ბ. ეგნატაშვილი (21,416). აქედან გამომდინარე, ქვეყნის მართვა-გამგებლობის სადავეების კახელთა ხელში გადასვლით და მათი ქართლელებზე ამაყობით და უპატიოდ პყრობით ქართლის თავადები რა თქმა უნდა უკმაყოფილონი იქნებოდნენ. ქართლის დიდკაცობა “ჭმუნვიდეს უმკვიდრობისათვის მეფისა საქართველოსათა” – გვაუწყებს იგივე ისტორიკოსი (იქვე).

გაერთიანების პროცესს განკერძოების პროცესი თან სდევდა ხოლმე. როგორც აკად. ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, “ტომობრივ სამეფოებამდე დაქვეითებული და დანაწილებული ქვეყნისა და ერის გაერთიანების დროს დიდი წინდახედულება და სიდინჯეა საჭირო, რომ პოლიტიკურ გაერთიანებაზე გაცილებით უფრო დიდმნიშვნელოვანი და სათუთი პროცესი სულიერი გაერთიანება და ეროვნული თვითშეგნების Gგანმტკიცება იყო. ადგილობრივმა თემურმა თავმოყვარეობამ და მამულიშვილობამ მეტად გაიმაგრა ფესვები საქართველოში. ისე, რომ მათი შელახვა და გარდაქმნა ისეთი ადვილი საქმე არ იყო, როგორც პოლიტიკური, ან უფრო სამხედრო გაერთიანება” (220,358-359).

ქართლში თეიმურაზის გავლენა და ავტორიტეტი საგრძნობლად შეირყა. “ქართველებს ბატონის თეიმურაზის ბატონობა არ უნდოდათ და გზასა და ღონეს რასმეს ეძებდნენ” (39,31). შაჰის კარზე იმ დროს იმყოფებოდა ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენელი, გამაჰმადიანებული ხოსრო-მირზა, დიდი ლუარსაბ I-ის (1527-1558) ძის დავით XI-ის (1562-1578) (დაუდ-ხანად წოდებული) უკანონო ვაჟი, რომელსაც შემდეგ როსტომი ეწოდა. მას შაჰ-სეფი I-ზე დიდი გავლენა და ავტორიტეტი ჰქონდა.

ქართლის ფეოდალთა უმრავლესობამ მისი კანდიდატურა წამოაყენა ქართლის სამეფო ტახტზე დასასმელად. ამით თეიმურაზს ამ სამეფოს კანონიერი მემკვიდრე დაუპირისპირეს. როგორც გ. ჟორჟოლიანი აღნიშნავს "XVII ს-ის 30-იანი წლების დამდეგს თეიმურაზ მეფის მიერ ქართლ-კახეთის სამეფო გვირგვინის დაკარგვის და შაჰის მიერ გამაჰმადიანებული როსტომ-ხანის ქართლის მეფედ გამოგზავნის ერთ-ერთი ხელისშემწყობ და დამაჩქარებელ ფაქტორს განჯა-ყარაბაღის 1632 წლის ლაშქრობა წარმოადგენდა" (170,24).

შაჰ-ბას I-ის გარდაცვალებისთანავე (1629 წლის იანვარი) შაჰის კარზე გამაჰმადიანებულ ქართველებში ორი ურთიერთდაპირისპირებული დაჯგუფება გამოიკვეთა. ერთ მხარეს იყო როსტომ-ხან ბაგრატიონი, რომელსაც ახალგაზრდა შაჰ-სეფი უჭერდა მხარს, ხოლო მეორე მხარეს გამაჰმადიანებული ქართველების - უნდილაძეების ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენლები.

ცნობილია, რომ XVI ს-ის II ნახევრიდან მოყოლებული უნდილაძეთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლები (ალავერდი-ხანი, იმამ-ყული ხანი, დაუ-ხანი) აქტიურ როლს ასრულებდნენ სეფიანთა ირანის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში (127,64-75.151,65-67.168,137-147.237,429-431,435-439.238,961-963,1059,163-1064). ამ ძლიერი ფეოდალური სახლის წარმომადგენლებს XVII ს-ის 20-იანი წლებიდან დაუპირისპირდა ქართველი ბატონიშვილი ხოსრო-მირზა ბაგრატიონი, რომელიც 1618 წლიდან დაინიშნა სეფიანთა სატახტო ქალაქის – ისფაჰანის მმართველად (ტარუღად) (150,95-96).

განსაკუთრებით განმტკიცდა ხოსრო-მირზას პოზიციები ირანში მას შემდეგ, რაც აბას I-ის გარდაცვალების შემდეგ ქართველმა უფლისწულმა ტახტზე შაჰ-აბას I-ის შვილიშვილი საამ მირზა დასვა, რის შემდეგაც ის "უმაღლეს ხარისხმადე ამაღლდა" (32,64). "ერანის საქმე როსტომ მეფეს ეკითხებოდა" (39,31). ისფაჰანის ტარუღას ასეთი აღზევების შემდეგ შეირყა უნდილაანთ ფეოდალური სახლის ძლიერება (127,76), რამაც უნდილაძეთა შეშფოთება გამოიწვია. პიეტრო ავიტაბილეს ცნობით, უნდილაძეთა გვარის დამხობა შაჰს განჯის ბეგლარბეგ დაუდ-ხანის 1632 წლის აჯანყებამდე განუზრახავს. ამით მას "უნდოდა შირაზის ხანის იმამ ყული-ხანის, დაუდ-ხანის ძმის განდიდებისათვის მოეღო ბოლო, რადგან მისი წარმატებისა ძლიერ ეშინოდა. ეს ორი

ძმა თავიანთი მშვენიერი ყოფა-ქცევით მთელი სპარსეთის სიყვარულის საგნად იყვნენ გამხდარნი” (2,43). ამას ისიც ემატებოდა, რომ ინდილაძეთა მთელი სიმპათიები ქართლ-კახეთის ქრისტიანი მეფის, თეიმურაზის მხარეს იყო, მაშინ როცა შაჰი ქართლის ტახტზე ასაყვანად ამ სამეფოს კანონიერ მემკვიდრეს, თავის ერთგულ კაცს, ხოსრო-მირზას ამზადებდა.

შაჰ-სეფი და ხოსრო-მირზა დაუპირისპირდნენ არა ძლიერ და გავლენიან იმამ-ყული-ხანს, არამედ შორს, ამიერკავკასიაში მყოფ დაუდ-ხანს. ამ დაპირისპირებით ქართლში თეიმურაზის მეფობასაც უქმნიდნენ საფრთხეს, რომელსაც ხოსრო-მირზა ქართლის ბაგრატიონების სახელით უპირისპირდებოდა.

მჭიდრო ურთიერთობა ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზსა და განჯა-ყარაბაღის ბეგლარბეგ დაუდ-ხან უნდილაძეს შორის რამოდენიმე წელი იყო რაც არსებობდა. ეს ურთიერთობა კიდევ უფრო განამტკიცა შაჰის კარზე ხოსრო-მირზას აღზევება-გაძლიერებამ (127,72). ამრიგად, თეიმურაზისა და უნდილაძეთა, კერძოდ, დაუდ-ხანის ერთობლივი მოქმედების საფუძველი იყო ის საფრთხე, რომელიც მათ ხელისუფლებას დაემუქრა შაჰის კარზე აღზევებული ქართველი ბატონიშვილის ხოსრო-მირზას მხრიდან XVII ს-ის 30-იანი წლების დასაწყისში. ერთის მხრივ საფუძველი ეცლებოდა ქართლისა და კახეთის სამეფოების ერთიანობას, რომელთა გაერთიანება და ერთი მეფის ხელისუფლების ქვეშ მოქცევა თეიმურაზმა დიდი ბრძოლითა და ძალისხმევით შესძლო, ხოლო მეორეს მხრივ საფრთხე დაემუქრა უნდილაძეთა ძლიერი ფეოდალური სახლის აქტიურ მოღვაწეობას ირანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გაჩნდა საშიშროება მათი ირანის პოლიტიკური ცხოვრების ავანსცენიდან ჩამოსვლისა.

დაუდ-ხანი დაუკავშირდა თეიმურაზს, აჯანყების გეგმა გააცნო და ერთობლივ მოქმედებასზე შეთანხმდნენ. “შეიფიცნეს, ადრე ბეჟანის დაჭერვა მოინდომეს” – გვამცნობს ფ. გორგიჯანიძე (39,31). მახლობელ აღმოსავლეთში შექმნილიი საერთაშორისო მდგომარეობა თეიმურაზისა და დაუდ-ხანისათვის ხელსაყრელი არ იყო, რადგან ოსმალებმა, რომელთაც ირანის წინააღმდეგ ლაშქრობა შაჰ-აბას I-ის გარდაცვალებას (1629წ.) დაუკავშირეს, უშედეგო აღმოჩნდა (208,357-358).

თეიმურაზი და დაუდ-ხანი შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ერთად მეთაურობდნენ ირანის წინააღმდეგ დაწყებულ ამ აჯანყებას. თეიმურაზმა დაუდ-

ხანთან ერთად ბარდა და ყარაბაღი დაარბია (2,43-44.21,416.23,437.32,56.39,31.77,97). განჯა-ყარაბაღზე ლაშქრობა 1632 წლის ზაფხულში უნდა მომხდარიყო.

ფ. გორგიჯანიძის ცნობით განჯა-ყარაბაღის დალაშქვრის დროს თეიმურაზს თან ახლდა სრულიად საქართველოს ლაშქარი. "ლევან დადიანი ოდიშის ლაშქრით, მეფე ალექსანდრე იმერეთის ლაშქრით, მესხი თავადნი და აზნაურნი, ქართველნი და კახნი სრულიად შეჰყარნეს და განჯა-ყარაბაღი არეზამდის სრულ დაარბიეს" (39,31). ფ. გორგიჯანიძის ამ ცნობიდან ჩანს, რომ თეიმურაზ დაუდ-ხანის მიერ მოწყობილ ანტიირანულ აჯანყებაში ჩაბმულა სრულიად საქართველო. თითოეული მათგანისათვის ცხადი იყო, რომ ირანიც და ოსმალეთიც, ამ შემთხვევაში კი ირანი არა ერთ რომელიმე კუთხეს, არამედ სრულიად საქართველოს ემუქრებოდა დაპყრობა-გადაგვარებით. ირანის წინააღმდეგ საერთო ქართული ძალის დარაზმვის ინიციატორად ისევ თეიმურაზი გვევლინება.

პროფ. მ. რეხვიაშვილი საეჭვოდ მიიჩნევს ფ. გორგიჯანიძის ზემოთ მოტანილ ცნობას, რომელიც თავის ეჭვს ასე ასაბუთებს, "ამ დროს მეფე გიორგი ცოცხალია და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მეფედ არ იწოდებოდა. მაგრამ რაც მთავარია, მაშინ ოდიშის მთავარი დადიანი და იმერთა მეფე გიორგი III სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადამტერებულნი ერთმანეთს, ამიტომ ვერც ერთი ბედავდა ადგილიდან ფეხის მოცვლას. გარდა ამისა, სხვა წყაროები ამ ლაშქრობაში მონაწილედ არც ერთს არ იხსენიებს. ამას გარდა, დიდი დრო არ იყო გასული ბაზალეთის დამარცხებიდან და ამიტომ იმერთა ლაშქარი უარს იტყოდა თეიმურაზის დახმარებაზე" (172,38). აკად. ივ. ჯავახიშვილი ფ. გორგიჯანიძის აღნიშნული ცნობის მართებულობაზე გადაჭრით არაფერს ამბობს, მაგრამ აღნიშნავს, რომ "ამ დროს იმერეთის მეფე გიორგი ცოცხალია და ალექსანდრე მეფედ არ ყოფილა. თუმცა ამ შემთხვევაში იქნება ტექსტი დაზიანებულია და თავდაპირველად "მეფის ძე" ეწერა "მეფის" მაგიერ (220,260). რაც შეეხება მ. რეხვიაშვილის ზემოთ აღნიშნულ ვარაუდს იმერთა მეფესა და დადიანს შორის მტრობის გამო ისინი თეიმურზს ბრძოლაში ვერ გაჰყვებოდნენო, უნდა აღინიშნოს, რომ თუ ორივე მათგანი მოვიდოდა თეიმურაზთან თავიანთი ლაშქრით, მაშინ ერთმანეთის სამფლობელოს როგორღა დაარბევდნენ. აქვე ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ მართალია, ბაზალეთის ბრძზოლაში ((1626წ.) თეიმურაზი და

იმერლები ერთმანეთის მოწინააღმდეგეთა ბანაკში იყვნენ, მაგრამ იმერეთის სამეფოსთან თეიმურაზის ურთიერთობა კვლავ აღდგა 1629 წ. იმერეთის სამეფო ტახტის მემკვიდრის ალექსანდრესა და თეიმურაზის ქალიშვილის დარეჯანის ქორწინების შედეგად. უფრო მეტიც, ამ ქორწინებით გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის კავშირი უფრო განმტკიცდა.

თეიმურაზი ჯერ კიდევ უკან არ დაბრუნებულიყო "ბარდას იჯდა", რომ მასთან მივიდა "განჯის სომეხი კათალიკოზი დიდ ჯარითა და ფეშქაშით". კათალისკოზმა თეიმურაზს ქართველ-სომეხთა გაერთიანებული ძალებით ირანელთა განადგურების მიმზიდველი გეგმა შესთავაზა (39,31). აქედან კარგად ჩანს, რომ საქართველოს სახით სომეხი ხალხი თავის ქომაგს ხედავდა (153,162). სომეხი კათალიკოზის ეს გეგმა თეიმურაზმა შორს დაიჭირა (39,31). სომეხი კათალიკოზის გეგმის თეიმურაზის მხრიდან "შორს დაჭერის" მიზეზი ის იყო, რომ მას ამ გეგმის განსახორციელებლად ძალა არ შესწევდა.

განჯიდან თეიმურაზი თავისი ჯარით საქართველოში მობრუნდა, რომელსაც თან გამოჰყვა დაუდ-ხანი. ისინი გორში მოვიდნენ (39,31).

მონაწილეობდა თუ არა ამ აჯანყებაში იმამ-ყული-ხანი? ძნელი დასაჯერებელია რომ თეიმურაზ მეფისა და დაუდ-ხანის აჯანყებაში პასიური მეთვაყურის როლი ეთამაშა სახელგანთქმულ შირაზის ხანს, რადგან მისი მეტოქე, როსტომ ხანი ირანის ყულარაღასი და ისფაჰანის ტარუღა, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა და შაჰის კარზე უნდილაძეებს მკვეთრად უპირისპირდებოდა (127,81.160,170-173.161,266.170,29).

იმ კონკრეტულ პოლიტიკურ სიტუაციაში საჭირო იყო დინჯი და აუჩქარებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარება. თეიმურაზი იმის მაგივრად, რომ ქვეყნის საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებაზე ეზრუნა, საკმაოდ მოუმზადებელი, ირანთან შეტევაზე გადავიდა (228,194). აქედან გამომდინარე მისი ეს ლაშქრობა "მეტად გაბედული და წინდაუხედავი ნაბიჯი იყო" (220,353).

"შაჰის საქმეს ქართველები თავისივე ხელით თვითონ აკეთებდნენ" (220,366). ასეთ ვითარებაში ირანის ხელმწიფისათვის დიდ სირთულეს აღარ წარმოადგენდა არც უნდილაძეთა თავიდან მოშორება, არც სამეფო ტახტიდან თეიმურაზის ჩამოგდება და არც ქართლის სამეფო გვირგვინის ხოსრო-მირზა ბაგრატიონისათვის გადაცემა.

შაჰმაც არ დააყოვნა. მან სიცოცხლეს გამოასალმა იმამ-ყული-ხანი თავისი შვილებით, დაუდ-ხანის ვაჟი და ყველა მათი ახლობელი და ნათესავი (32,59.77,97-99.97,168-169). შაჰმა დაუდ-ხანის შეპყრობაც სცადა, მაგრამ ვერ შესძლო. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, დაუდ-ხანმა ოსმალეთს შეაფარა თავი (39,31).

“ბატონს თეიმურაზსაც გაუწყრა ყაენი” (იქვე) და ქართლში მეფედ ხოსრო-მირზა (რომელსაც როსტომი უწოდა) გამოგზავნა. როგორც პიეტრო ავიტაბილე აღნიშნავს “როსტომი ქართლის პროვინციის მეფეთა შტოს ეკუთვნოდა და ტახტიც როსტომ ხანს ეკუთვნოდა” (2,46-47). იმავე დროს შაჰმა კახეთის მმართველად ყიზილბაში სელიმ-ხანი დანიშნა და ორივე საქართველოში გამოისტუმრა. მათ თან დიდი ლაშქარი გამოაყოლა, რომელსაც ირანის ჯარების მთავარსარდალი როსტომ ხან სააკაძე ხელმძღვანელობდა (2,46-47.21,437.32,58.61,17.83,450,469.93,92.204,288-293). როსტომი ქართლის მეფედ 1632 წლის მიწურულს დაუმტკიცებიათ (131,198).

თავისი სამკვიდრო მამულის – ქართლის სამეფო ტახტის დასაკავებლად წამოსულ როსტომ მეფეს ლაშქრის გარდა თან ახლდა შაჰის კარზე მყოფი ქართველ ფეოდალთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი. თეიმურზმა სცადა წინააღმდეგობა გაეწია როსტომისათვის, მაგრამ, ის მარტო აღმოჩნდა. ქართლის დიდებულებმა თეიმურაზი მიატოვეს, როგორც “კახი ბატონი” და “დადგნენ ერთგულებასა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა” ე.ი. როსტომს მიემხრნენ.

ფ. გორგიჯანიძის ცნობით თეიმურაზს “აღარავინ მიუვიდა იოთამ ამილახორის მეტი” (39,31).

მან იმერეთის მეფესაც სთხოვა დახმარება, მაგრამ იმერთა მეფეს “დადიანი ჩამოსდგომოდა და ვეღარც ის მიეშველა” (39,31). როსტომი ქართლში 1633 წლის დამდეგს შემოვიდა (132,198). ყოველი მხრიდან მიტოვებული, ქვეყნის გამთლიანებისათვის თავგამოდებით მებრძოლი თეიმურაზი იმერეთში გადავიდდა. მან დაჰკარგა არა მარტო ქართლის სამეფო, არამედ “თავისი სამკვიდროც”. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფო კვლავ დაიშალა. ქართლის სამეფოს დაეუფლა მისი “კანონიერი” მფლობელი, ამ სამეფო სახლის საგვარეულოს წარმომადგენელი როსტომი, თეიმურაზის სამკვიდრო კახეთში კი შაჰმა სელიმ-ხანი დასვა.

თავი VII

საგარეო პოლიტიკური ფაქტორი და გამაერთიანებელი მოძრაობა XVII ს-ის 40-60-იან წლებში

დაუდ-ხანთან ერთად ირანის წინააღმდეგ აჯანყების გამო თეიმურაზმა შაჰის რისხვა დაიმსახურა. მან სისხლის ფასად მიღებული ქართლ-კახეთის სამეფოს გვირგვინი ერთბაშად დაჰკარგა და ამით მნიშვნელოვნად დააჩქარა შაჰის მიერ როსტომ-ხანის ქართლის მეფედ დამტკიცება.

შაჰმა როსტომს ქართლის მეფედ დამტკიცებისას "ვალის" ტიტული უბოძა, სპარსულ წყაროებში ტერმინი "ვალი" შაჰის ყმა-ხელდებულ" მოადგილეს, ან "მოხელეს" ნიშნავს. "როსტომიდან მოყოლებული ^XVIII ს-ის 40-იან წლებამდე ქართლის მეფეები ამ ტიტულით მართავდნენ ქვეყანას" (170,40).

თუ როსტომის წინამორბედი ქართლის გამაჰმადიანებული მმართველები დაუდ-ხანი, ბაგრატ-ხანი და სიმონ-ხანი სპარსულ წყაროებში შაჰის "შვილებად" იწოდებოდნენ, როსტომის თანადროულ სპარსულ საბუთებში იგი შაჰის "ძმადაა" გამოცხადებული – "ჩემი ძმა ქართლის ვალი როსტომ-ხანი" (66,30-73.96,5-9,103,28,34-35,56-57,241,243,252,283,104,22-23,256,257). ეს იმას ნიშნავს, რომ როსტომი უბრალო მოხელე არ იყო. პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო შაჰი მას მეტი პატივისცემით ეპყრობა, ვიდრე მის წინამორბედ გამაჰმადიანებულ ქართველ მმართველებს.

როსტომი მარტო მეფობას არ ჯერდებოდა (82,85,90,92,96). ის თავის-თავს "მეფეთ-მეფეს" და ხელმწიფეს უწოდებდა, ისე როგორც უწოდებდნენ თავიანთ თავს ქრისტიანი მეფეები. "ნებითა და შეწევნითა ღვთისათა, ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ხელმწიფემან როსტომ" (20,26-28.37,28,35.62, საბ.[1]314,533.64,30,31,63,65,129.65,145.81,12-14,14-16,18,22-24,25-27,82,106,112,118,120) აცხადებდა ის.

XVII ს-ის ირანში სულ ოთხი ვალი (არაბისტანის, ლურისტანის, გურჯისტანის, ქურთისტანის) იყო, რომლებიც ადგილობრივ მემკვიდრე დინასტიებს ეკუთვნოდნენ და ბეგლარბეგთან, ხანებთან და ირანის სხვა მოხელეებთან შედარებით მეტი

დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ. ქართლის ვალი როსტომი ირანის სხვა ვასალებისაგან განსხვავდებოდა თავისი უფლება-მოსილებით.

როსტომი პირველი მაჰმადიანი მეფე იყო, რომელმაც ქართლში ფეხის მტკიცედ მოკიდება შესძლო (115,252). ამრიგად, ვ. გაბაშვილის სიტყვებით რომ ვთაქვათ, თუ შაჰ-აბასი იძულებული იყო თეიმურაზი მეფედ ქრისტიანობით ეცნო, შაჰ-სეფიმ წესად აქცია ქართველი მეფის მაჰმადიანოება, რაც XVIII ს-ის 30-იანი წლებიდან დაწყებული XVII ს-ის 40-იან წლებამდე გაგრძელდა (127,83).

რაც შეეხება კახეთს, მისი ტახტის კანონიერი მფლობელი თეიმურაზი როსტომის ქართლში შემოსვლისას დასავლეთ საქართველოში გადავიდა და თავი იმერეთის სამეფოს შეაფარა. მის სამეფოში კი შაჰმა ყიზილბაში სელიმ-ხანი დასვა. "კახეთში გაგზავნილი სელიმი მმართველ ხანად იხსენიებოდა. (ასე იწოდებოდნენ კახეთის შემდგომი ყიზილბაში ხანებიც) კახეთის სამეფოს შემოსავალი კი ირანის სამეფო შემოსავლებში იყო აღრიცხული." (129,375). არსებითად უცვლელი დარჩა კახეთის შინაგანი წყობილება. (სამამულო სისტემა და სხვა) (42,209-210).

არც დასავლეთ საქართველოში იყო სიმშვიდე. მართალია, აქ აღმოსავლეთისაგან განსხვავებით გარეშე მტრის (ოსმალთა) დიდი რაოდენობით ჯარი არ შემოსულა, მაგრამ ქვეყანა შინაგან მღელვარებას განიცდიდა, რაც ხშირად გარედან მოსულ მტერზე მეტად ანგრევდა ქვეყანას. ფაქტიურად დასავლეთ საქართველოში სიტუაციას სამეგრელოს მთავარი ლევან II დადიანი (1611-1658) აკონტროლებდა.

ქართლში შემოსვლისთანავე თავისი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით, როსტომ მეფემ ქართლ-კახეთის ციხეები გაამაგრა. მან გორის, სურამისა და ალავერდის აღდგენილ ციხეებში ყიზილბაშური გარნიზონი ჩააყენა (2,53.21,417.23,438.32,60.39,32.141,125). თბილისში ყიზილბაშური გარნიზონი მანამდეც იდგა.

როსტომს ქართლის დიდ თავადთაგან მხოლოდ ფარსადან ციციშვილი არ მოუვიდა, რადგან ციციშვილისა და სარდალ როსტომ სააკაძეს "ძველად მტრობა ჰქონდათ და იმას სარდლისა ეშინოდა" (39,32.93,94). ამ მტრობის გამო სარდალმა საციციანოს ლაშქარი გაუსია და დაარბევინა (იქვე). ამ ნიადაგზე ქართლის მეფესა და რ. სააკაძეს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა. მეფემ მას ასე შეუთვალა "თავად

საქართველო აოხრებული არის, რაც დარჩომილა იმასაც თქვენ ამიოხრებთო, მაშ მე რისიღა ბატონი ვიქნებიო” (39,32). აქედან ნათლად ჩანს, რომ ქართლის მეფე ისედაც აოხრებული და გაჩანაგებული ქვეყნის რბევას მორიდებია.

მეფე როსტომის თხოვნის საფუძველზე სარდალი რ. სააკაძე შაჰ-სეფიმ (1629-1642) თავისი ჯარით საქართველოდან გაიწვია. როსტომს კი თავისი ჯარით შირვანის ბეგლარბეგი გამოუგზავნა. (39,32,93,94). მას შემდეგ, რაც “სარდალი საქართველოს გამოეცალა, ფარსადან ციციშვილი ან სხვანი, რაცა დახიზნულ იყვნენ ყველანი როსტომთან მოვიდნენ” (იქვე) ასეთი ლმობიერი და წინდახედული პოლიტიკის წყალობით როსტომმა შესძლო ქართლის თავადთა სრულიად მის გარშემო შემოკრება და ქვეყანაში თავისი პოზიციების განმტკიცება. როსტომის მიერ დამშვიდებულმა ქვეყანამ იწყო “აშენება, ხვნა და თესვა” – გვამცნობს ფარსადან გორგიჯანიძე (39,32).

როსტომი თავისი ხელისუფლების დასაყრდენის გამყარებას ცდილობდა. საქართველოს ამ პოლიტიკური ხშირი ცვალებადობის ხანაში თითქმის ყველა ახალ მეფეს თავისი მართვა-გამგეობის პირად შემადგენლობაში დიდი ცვლილება შეჰქონდა, რადგან მას მხოლოდ მაშინ შეეძლო დამშვიდებული ყოფილიყო. “ამიტომ სამეფოს სათავეში მყოფი პირის გამოცვლა სამოხელეო აპარატის გამოცვლას მოასწავებდა” აღნიშნავს დიდი ივანე (220,241) და იქვე განაგრძობს: “ეს აუცილებელი ხდებოდა მაშინ, როდესაც ტახტზე წინანდელი მეფის მოწინააღმდეგე და მეტოქე ადიოდა” (იქვე). როსტომ მეფესაც შეუძლებელია თეიმურაზ მეფის მიერ დაყენებული მოხელეების ერთგულების იმედი ჰქონოდა. ამიტომ ის მართველობის სისტემის მოწესრიგებას შეუდგა. ქართლის მეფემ და მისმა მომხრეებმა ქართლში თეიმურაზის მიერ დაყენებული მოხელეები გამოცვალეს და მეფის ერთგულები დანიშნეს, რის შედეგადაც როსტომის პოზიციები ქართლში საგრძნობლად განმტკიცდა.

როსტომ-ხანისთვის ცხადი იყო, რომ ქართლში განმტკიცება მხოლოდ ყიზილბაშებზე დაყრდნობით არ შეიძლებოდა. მას თვით ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკურ მესვეურთა შორის უნდა ჰყოლოდა მოკავშირე. როსტომმა კარგად იცოდა, რომ თეიმურაზი არ შეურიგდებოდა ქართლ-კახეთის ტახტის დაკარგვას, რომ იმერეთში გახიზნული თეიმურაზი მის წინააღმდეგ იმოქმედებდა. მას ამ საქმეში შემწედ ჰყავდა იმერეთის მეფე გიორგი III და მისი ვაჟი - თეიმურაზის სიძე

ალექსანდრე. მათთან შერიგება როსტომისთვის ძნელი იყო. ამიტომ ქართლის ვალსა და მის დასს ისეთი მოკავშირე უნდა შეერჩიათ, რომელთან ერთადაც ენერგიულად შეუტევდა როგორც თეიმურაზს, ისე მის მოკავშირე იმერეთის მეფეს. ასეთ მოკავშირედ მათ ოდიშის Mმთავარი ლევან II დადიანი მიიჩნიეს, რომელიც "განუწყვეტლად თავს ესხმოდა, იმერეთის მეფეს. ამასთან, ლევანი ძლიერი ხელისუფალი იყო" (107,81). ყოველივე ამის გამო როსტომმა ლევანთან დამოყვრება გადაწყვიტა. "ამ გადაწყვეტილების განხორციელების შემთხვევაში თეიმურაზსა და მის მოკავშირეებს - იმერეთის მეფეს გიორგი III-სა და მის ვაჟს ალექსანდრეს დაუპირისპირდებოდნენ ქართლის მეფე როსტომი და ოდიშის მთავარი ლევან დადიანი. ამ უკანასკნელს დასვლეთ საქართველოში ძლიერი პოზიციები გააჩნდა (170,43).

როსტომის თაოსნობით და სამეფო კარის გადაწყვეტილებით დადიანს მოციქულები გაუგზავნეს და მისი და მარიამი "სადედოფლოთ სთხოვეს" (39.33). როსტომ მეფესა და სამეგრელოს მთავარს შორის კავშირის დამყარებით იქმნებოდა ორი გარკვეული პოლიტიკური დაჯგუფება. იმერეთის მეფესთან დამოყვრებული თეიმურაზი მასთან ერთად გარკვეულ ძალას ჰქმნიდა როსტომის წინააღმდეგ. ლ. დადიანს იმერეთის მეფესთან მუდმივი ქიშპობა და მტრობა ჰქონდა დასავლეთ საქართველოში პირველობისთვის. ამდენად, ის ბუნებრივია როსტომ მეფის მოკავშირე უნდა გამხდარიყო. ამიტომაც იყო, რომ, როდესაც დადიანს როსტომის მოციქულები ეწვივნენ, მარიამისა და როსტომის შეუღლების თაობაზე, დადიანი ამ წინადადებას დიდი კმაყოფილებით შეხვდა. ეს ამბავი ლევანს "ნამეტნავად იამა" (39,33). საპასუხოდ მან თავისი მოციქულები მიავლინა ქართლში. საკითხი მეტად მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათისა იყო და მოლაპარაკება დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, მაღალ დონეზე წარმოებდა.

მოლაპარაკების დროს, როგორც ჩანს განიხილებოდა დადიანის ირანთან პოლიტიკური დაკავშირების საკითხიც, რაც დადიანისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ერთი მხრივ ოსმალეთის და მეორე მხრივ კი იმერეთის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მოკავშირეობისთვის.

როსტომს, როგორც ირანის ერთგულ მოხელეს – "ვალს", საგარეო კავშირების დამოუკიდებლად შეკვრის უფლება არ ჰქონდა ამიტომ მან დადიანთან დამოყვრების

დასტური შაჰს სთხოვა. “დადიანის მოყვრობა ხელმწიფეს (იგულისხმება შაჰ-სეფი) გაასინჯვინა” (39,33). ირანის მთავრობამ მოიწონა როსტომის ნაბიჯი (იქვე). ირანის შაჰმა, ისე როგორც როსტომმა, კარგად შეაფასა ამ კავშირის დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ქართლისთვის. მას კარგად ესმოდა, რომ იმერეთში გახიზნული თეიმურაზი დაკარგული ტახტის დაბრუნებაზე უარს არ იტყოდა. ამ კავშირის შედეგად კი თეიმურაზსა და მის მოკავშირე იმერეთის მეფეს დაუპირისპირდებოდა იმ დროის საქართველოში ერთ-ერთი ძლიერი პოლიტიკური ფიგურა ლ. დადიანი.

აღნიშნული კავშირი ირანის პოლიტიკური მიზნებისთვისაც ძალზე ხელსაყრელი იყო. მას შემდეგ, რაც ირანმა აღმოსავლეთ საქართველო ასე თუ ისე დაიმორჩილა, დღის წესრიგში დასავლეთ საქართველო დგებოდა. იმერეთში მყოფ თეიმურაზთან ბრძოლის საბაბით ახლა ირანი შეეცდებოდა თავისი გავლენა აქაც გაევრცელებინა. ამ საქმეში მისი დასაყრდენი ლ. დადიანი გახდებოდა. ამასთანავე, ოსმალეთთან ომის შემთხვევაში ირანისათვის დადიანთან კავშირს ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა (131,201).

მექორწილეებმა პაემანი საჩხეიძეოში, ბაღდათში კაკასხიდზე დანიშნეს. ეს ქორწინება რომ თეიმურაზისა და იმერეთის მეფის წინააღმდეგ მიმართული აქცია იყო ამას ცხადია კარგად ხვდებოდნენ ისინი. ამიტომ მათ ამ ქორწილის სამხედრო ძალით ჩაშლა გადაწყვიტეს. დადიანმა მათთან ბრძოლაში გაიმარჯვა. მან გიორგი III-ც კი დაატყვევა. როსტომმა საცოლე თბილისში გადმოიყვანა და ქორწილი გადაიხადა (15,150.21,419.23,829.39,34.83,463.94,376).

დაუღალავი თეიმურაზი როსტომისა და ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლას იმერეთიდან განაგრძობდა. მის მიზანს ქართლიდან როსტომის გაძევება, ირანის ბატონობის უკუგდება და აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოთა კვლავ გაერთიანება წარმოადგენდა. როსტომსა და თეიმურაზს შორის დაპირისპირებამ ქართული ფეოდალური საზოგადოების ორ ნაწილად დაყოფა გამოიწვია. ქართლში როსტომის გამეფებისთანავე ქართლელ ფეოდალთა ერთი ნაწილი მაჰმადიან მეფეს არ დაემორჩილა. როგორც ფ. გორგიჯანიძე აღნიშნავს: “ზოგს კაცს ქრისტიანობის სჯულისთვის ბატონი თეიმურაზი ერჩივნაო და თემის აშლას სცდილობდეს (39,34). თეიმურაზის მომხრე ფეოდალებმა როსტომს დათუნა არაგვის ერისთავი (ზურაბ არაგვის ერისთავის ძმა) დაუპირისპირეს (39,34.93,94-95). აჯანყებული დათუნა არაგვის

საერისთავოში გამაგრდა. იმერეთში მყოფ თეიმურაზს კაცი გაუგზავნა და ქართლში გამეფება შესთავაზა. თეიმურაზი არ ენდო დათუნას, რადგან მისი ძმა ზურაბი მან მოაკვლევინა. როსტომი გამდგარი ფეოდალის წინააღმდეგ ლაშქრით გაემართა. მან შერიგების საბაბით დათუნა მუხრანს მიიწვია და ღალატით მოაკვლევინა. დათუნას მომხრეებმა მისი ძმა, ზაალი გააერისთავეს (21,419.23,439-440.39,34.93,95).

ზაალ ერისთავმაც თეიმურაზი საფიცრის წიგნებით ქართლში გასამეფებლად მიიწვია. ამჯერად თეიმურაზმა არ დააყოვნა და დიდოეთის გზით ანანურში მოვიდა. თეიმურაზმა ქართლისა (ზაალ არაგვის ერისთავი და იასე ქსნის ერისთავი) და კახეთის თავადების დახმარებით როსტომთან შებრძოლებისას რამდენიმე წარმატებას მიაღწია, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდა. როსტომისაგან ძლეული თეიმურაზი ქართლს გაეცალა, ქსნისა და არაგვის ერისთავების დახმარებით კახეთში გადავიდა, სელიმ-ხანს თავს დაესხა, გააქცია და 1634 წელს კახეთი დაიკავა (39,34).

როსტომმა ეს ამბავი შაჰ-სეფის შეატყობინა. შაჰის ბრძანებით მას აზერბაიჯანიდან დამხმარე ძალები მოუვიდა (39,34-35.66,32-33.96,5-6). როსტომმა ქართლისა და ყიზილბაშთა ჯარით კახეთზე გაილაშქრა. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა თეიმურაზმა როსტომთან შერიგება არჩია (39,35). თეიმურაზთან შერიგება ქართლის ვალს "ნამეტნავად იამა", ლაშქრობა მოშალა და ეს ამბავი შაჰს შეატყობინა (იქვე).

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ოსმალეთის არმია თვით სულთან მურად IV–ის სარდლობით ირანზე გასალაშქრებლად მზად იყო (3,108.208,363-364). ახლა, როცა ირანს საქართველოსთვის აღარ ეცალა, შაჰისათვის თეიმურაზთან შერიგება ხელსაყრელი იყო. მან თეიმურაზს "ათასი თუმანი თეთრი და ათასი თუმნის ხალათი გაუგზავნეს და კარგი და საიმედო რაყამი მისწერეს: რაც ამას წინათ შეგიცოდავს, ყველა შეგვინდვიაო" (39,35). ამგვარად, შაჰმა ოფიციალურად ცნო ქრისტიანი თეიმურაზი კახეთის მეფედ. ის კახეთში 1648 წლამდე მეფობდა. მთელი ამ ხნის მანძილზე (1634-1648წწ.) თეიმურაზი ხმალჩაუგებლად იბრძოდა ქართლის ტახტის კვლავ დაბრუნებისთვის.

ცოტა ხნით მშვიდობა ჩამოვარდა ქართლისა და კახეთის მეფეებს როსტომსა და თეიმურაზს შორის. როსტომმა კარგად იცოდა, რომ თეიმურაზთან მშვიდობიანი ურთიერთობა დიდხანს არ გასტანდა, რომ თეიმურაზი მარტო კახეთის დაუფლებით არ

დაკმაყოფილდებოდა და ქართლისთვის ბრძოლას კვლავ განაახლებდა. ამიტომ როსტომის წინაშე ქართლის დაქსაქსული ძალების კონსოლიდაცია დადგა. ქართლის ძალების გასაერთიანებლად საჭირო იყო მისდამი მტრულად განწყობილი, გამდგარი თავადების შემორიგება. მან შემოირიგა ქართლის გამდგარი თავადები: ქსნისა და არგვის ერისთავები, იოთამ ამილახვარი და სხვები.

მიუხედავად როსტომის გულმოდგინებისა, თეიმურაზთან და შემორიგებულ ქართლის თავადებთან არსებული სიმშვიდე მალე დაირღვა. კახეთის მეფე ისევ გააქტიურდა და ისევ განაგრძო ბრძოლა ქართლისათვის. მას ქართლისთვის ბრძოლაში კახელ ფეოდალებთან ერთად მხარს უჭერდა ქართლის ფეოდალთა ერთი ჯგუფიც, ნოდარ ციციშვილისა და ზაალ ბარათაშვილის მეთაურობით. მათ რამდენჯერმე შეთქმულებაც კი მოაწყვეს როსტომის წინააღმდეგ (1636,1638,1642წწ.), მაგრამ ყველა მათგანი მარცხით დამთავრდა.

“ქართლსა ზედა” ბრძოლაში თეიმურაზი საგარეო მოკავშირეებსაც ეძებდა. ის დიდ იმედებს ამყარებდა ოსმალეთის მიერ ირანის წინააღმდეგ განახლებულ საომარ მოქმედებაზე, რომელიც 1635 წელს დაიწყო და წარმატებით მიმდინარეობდა (3,109-110). ომმა მძიმე მდგომარეობა შეუქმნა ირანსაც და ოსმალეთსაც. ამიტომ 1639 წელს ლურისტანში, სოფ. ზოჰაბში მათ შორის ზავი დაიდო. 1636 წლის ზავით დასრულდა ომები, რომლებსაც ირანი და ოსმალეთი აწარმოებდა XVI-XVII სს-ში. ამ ომების დროს ორივე სახელმწიფო მიზნად ისახავდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობას. ზოჰაბის ზავი შეეხო ყველა იმ ქვეყანას, რომლებიც ამ ომების ასპარეზს წარმოადგენდა. ამ ზავში აისახა საქართველოს წინააღმდეგ ოსმალო და ყიზილბაშ დამპყრობლების 100 წლოვანი აგრესიის შედეგები. ამ ხელშეკრულებით აღმოსავლეთ საქართველო ირანს ერგო, დასავლეთ საქართველო კი ოსმალეთს. რაც შეეხება სამცხეს, ის მთლიანად ოსმალებმა დაიკავეს, რომელიც თავის ადმინისტარციულ ერთეულად აქციეს (208,364-371.).

ამრიგად, თეიმურაზის იმედები 1635 წელს განახლებულმა ირან-ოსმალეთის ომმა არ გაამართლა. პირიქით, ზოჰაბის ზავმა დიდი ხნით დააკანონა საქართველოს პოლიტიკური გათიშულობა. ამ ზავით ორივე აგრესორი (ირანი და ოსმალეთი) ხელს უშლიდა იმიერ და ამიერ საქართველოს პოლიტიკურ შეკავშირებას.

მოკავშირეს თეიმურაზი ჩრდილოეთშიც ეძებდა. ამ მიზნით მან 1635 წელს ელჩები გაგზავნა რუსეთში და სამხედრო დახმარება ითხოვა. რუსეთისაგან ამჯერადაც მხოლოდ საჩუქრები და დაპირებები მოვიდა, თანაც მოსთხოვეს რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი მიეღო. თეიმურაზმა ესეც შეასრულა და 1639 წელს მიიღო აღნიშნული ფიცი, მაგრამ სასურველი შედეგები არც ამას მოჰყოლია (198,81-85.236,101-125). როგორც პროფ. ი. ცინცაძე აღნიშნავს: "XVII ს-ის არც პიველ და არც მეორე ნახევარში რუსეთს საშინაო და საგარეო მგომარეობა ხელს სრულებით არ უწყობდა სამხრეთით აქტიური პოლიტიკა რომ ეწარმოებინა" (212,113). კახეთის მეფე ამის შემდეგაც აგზავნიდა რუსეთში ელჩებს და ითხოვდა დახმარებას, მაგრამ ამაოდ. რუსეთის სახელმწიფოს დახმარება მხოლოდ დაპირებებით შემოიფარგლებოდა (171,294-308).

თეიმურაზი მაინც არ გატეხილა. კახეთისა და ქართლის თავადების ერთი ჯგუფის დახმარებით ის დაჟინებით ცდილობდა როსტომის ქართლიდან გაძევებას და ქართლის დაჭერას. ამ საქმეში მისი მოკავშირე იყო აგრეთვე იმერეთის მეფე, მისი სიძეც ალექსანდრე III-ც (1639-1660), მაგრამ ლ. დადიანის მიერ იმერეთზე მოწყობილი ინტენსიური თავდასხმების გამო (21,421.45,22) აქედან მორალური მხარდაჭერის გარდა რეალურ დახმარებას ვერ ღებულობდა. ლევანი ხომ როსტომის მოკავშირე იყო. ამიტომ სავარაუდოა, რომ ოდიშის მთავრის ასეთ აქტიურობაში იმერეთის წინააღმდეგ ქართლის ვალის ხელიც ერია, რათა დადიანთა ბრძოლაში ჩაბმულ ალექსანდრეს ძალა აღარ ჰქონდა თეიმურაზის დახმარებისა.

როსტომი ქართლში მტკიცედ რომ დამკვიდრებულიყო, მას მემკვიდრე უნდა ჰყოლოდა. თეიმურაზისა და მისი მოკავშირეების შესუსტების მიზნით უშვილო როსტომ მეფემ ქართლის თავადთა რჩევით შვილად აიყვანა იმერთის მეფის გიორგი III-ის ვაჟი მამუკა ბატონიშვილი, რომელიც იმ დროს ახალციხეში იმყოფებოდა (39,38). როსტომმა ქართლის ტახტის მომავალი მემკვიდრის შერჩეული კანდიდატი ახალციხიდან ქართლს გადმოიყვანა. ამ ამბავს გ. ჟორჟოლიანი 1636 წლით ათარიღებს (170,65).

თავადთა ერთმა ჯგუფმა როსტომის ღალატით მოკვლა და მის ადგილზე მამუკა ბატონიშვილის გამეფება განიზრახეს. შეთქმულებმა განზრახულის სისრულეში მოყვანა

ვერ შესძლეს. როსტომი ძმათა შორის სისხლის ღვრას მოერიდა და მის წინააღმდეგ გამომჟღავნებული შეთქმულების გამო დუმილი ამჯობინა. ის შეეცადა ყველაფერი მშვიდობიანი გზით მოეგვარებინა. მამუკა ბატონიშვილს ათი ათასი მარჩილის საჩუქრები გაუგზავნა და ტკბილი სიტყვით ახალციხეში დაბრუნება ურჩია (39,38-39).

ფ. გორგიჯანიძე როსტომ მეფის მიერ მამუკა ბატონიშვილის შვილად აყვანას მისი გულუბრყვილობით ხსნის. "მოატყუეს მეფე როსტომი, მამუკა ბატონიშვილი ჩამოიყვანეს და მისი ქართლში გამეფება მოინდომეს" (39,38).

მემკვიდრის საკითხში ქართლის მეფის თანხმობა მისი გულუბრყვილობით კი არ აიხსნება, არამედ პოლიტიკური შორსმჭვრეტელობით. როსტომის თანხმობას ქართლის სამეფო ტახტის მემკვიდრედ იმერელი ბატონიშვილის გამოცხადებაზე, თავისი პოლიტიკური მიზანდასახულობა ჰქონდა. ქართლის ვალი ყოველ ღონეს ხმარობდა რათა მისი მეტოქე, ტახტის მოცილე თეიმურაზი ჩიხში მოექცია. ამისთვის საჭირო იყო მის მომხრეთა დასის შერყევა. როსტომმა კარგად იცოდა, რომ თეიმურაზის ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი იმერეთის სამეფო კარი იყო. ყიზილბაშთაგან დევნილი მეფე ხომ ყოველთვის თავს იმერეთს აფარებდა. თუ კი როსტომი იმერეთის სამეფო სახლის წარმომადგენელს, მამუკა ბატონიშვილს ქართლის ტახტის მემკვიდრედ გამოაცხადებდა, იმერეთის სამეფო მამუკა ბატონიშვილის მეშვეობით ქართლის სამეფოს დაუკავშირდებოდა. ამ შემთხვევაში თეიმურაზს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოკავშირეთაგანი – იმერეთის სამეფოს სახით ეცლებოდა ხელიდან. ქართლის ტახტის დაუფლების სურვილი არა მარტო კახეთის მეფე თეიმურაზს, არამედ მის თანამედროვე იმერეთის მეფეებსაც (გიორგი III-ს და ალექსანდრე III-ს) ჰქონდა. თეიმურაზის მსგავსად ისინიც აცხადებდნენ პრეტენზიას ქვეყნის გაერთიანების მედროშეობაზე, რაც მათი სამეფო ტიტულებიდან ჩანს. მაგ., გიორგი III ასეთი ტიტულით წარმოგვიდგენდა თავს: "...ორასვე ტახტისა და სახლემწიფოს ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის თვითფლობით მტკიცედ მპყრობელმან, ჩვენ ღვთივ გვირგვინოსანმან მეფედ-მეფემან პატრონმან გიორგი" (31,20.34,.36-37.). მას არც ალექსანდრე III ჩამორჩებოდა (იქვე). ეს ბუნებრივიცაა – ისინიც ხომ ისეთივე ბაგრატიონები იყვნენ, როგორიც თეიმურაზი და როსტომი. იმ დროს გამაერთიანებელ მოძრაობას თეიმურაზი ედგა სათავეში. იმერეთის სამეფო კი ამ ბრძოლაში მის მოკავშირედ გამოდიოდა. მაშინ, როცა დღის წესრიგში

ქართლ-იმერეთის სამეფოთა დაკავშირება დადგა, ბუნებრივია იმერეთის სამეფო კარი გააქტიურდებოდა. ამას კი საქართველოში პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფება მოჰყვებოდა. ფ. გორგიჯანიძნის ცნობით, როსტომს მისი მომხრენი ეუბნებოდნენ, რომ მამუკა ბატონიშვილს "იმერეთიც ზედ აბიაო და იქედამეც ხელს მოიმართავსო" (39,39). ასე, რომ ქართლის ვალის და მისი დასის გეგმით, თეიმურაზი კახელი თვადების ამარა უნდა დარჩენილიყო, რითაც მისი დამარცხება გაადვილდებოდა და რაც მთავრია მას პოლიტიკური თავშესაფარი აღარ ექნებოდა იმერეთის სამეფო კარზე. როგორც დავინახეთ ქართლის ვალის ამ გეგმას განხორციელება არ ეწერა.

გ. ჟორჟოლიანი აღნიშნავს, რომ მამუკა ბატონიშვილის ქართლის ტახტის მემკვიდრედ (შვილად) აყვანის შემდეგ ქართლის ვალის მიზანი მოკავშირეთა დამხარებით იმერეთის სამეფოს ქართლთან შეერთება უნდა ყოფილიყო (170,65-66). ეს სავსებით ბუნებრივია, რადგან როსტომი ქართლის ტახტზე შაჰის მიერ ხელდასმული მოხელე "ვალი" იმავდროულად ბაგრატიონი და ქართლის სამეფო ტახტის კანონიერი მფლობელი იყო. როსტომი, როგორც "ქართლის ზედა" მჯდომი მეფე, ისევე უნდა ცდილიყო "ორსავე ტახტის" გაერთიანებას და მას დანარჩენ "საქართველოებზე" ისეთივე პრეტენზიები უნდა ჰქონოდა, როგორიც მის თანამედროვე კახელ და იმერელ ბაგრატიონებს ჰქონდათ.

მთელი XVII ს-ის I ნახევარი "ორსავე ტახტის" გაერთიანების აქტიურ მედროშედ კახელ ბაგრატიონთა წარმომადგენელი თეიმურაზ I გვევლინება. განიმტკიცა თუ არა როსტომმა პოზიციები ქვეყანაში, მანაც დაიწყო ზრუნვა "დანარჩენ საქართველოებზე". ამით უნდა ყოფილიყო განპირობებული უშვილო როსტომისა და მისი "დასის" არჩევანის შეჩერება იმერელ მამუკა ბატონიშვილზე, "თავად ბაგრატიონი და მერმე მეფის შვილი და თქვენი ნათესავი არისო" (39,38) ურჩევენ მეფეს. თუ კი ქართლი და იმერეთი გაერთიანდებოდა, ამის შემდეგ კახეთის შემოერთება უფრო ადვილი იქნებოდა.

როსტომისა და მისი დასის მცდელობამ მარცხი განიცადა. მამუკა ბატონიშვილი ვერ გახდა როსტომის მემკვიდრე. შესაძლოა ამაში თეიმურაზის ხელი ერია. ის რა თქმა უნდა ყოველნაირად შეეცდებოდა ქართლ-იმერეთის დაკავშირებისათვის ხელი შეეშალა. ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცების მედროშედ თეიმურაზი უკვე კარგა ხანია

გამოდიოდა. მან ბრძოლის ამ გზაზე დიდი მსხვერპლიც გაიღო და პოზიციებს ასე ადვილად არ დათმობდა.

აღსანიშნავია, რომ როსტომი, რომელიც შაჰის ერთგულ მოხელედ იყო მიჩნეული, ირანის ვასალობის საფარველით ქართული საქმის გაკეთებას ცდილობდა. მას საგარეო პირობებმაც შეუწყო ხელი. ზოჰაბის (1639 წ.) ზავი 1723 წლამდე არ დარღვეულა. შეწყდა ოსმალთა და ყიზილბაშთა თარეში. ქვეყანაშიც თანდათან წესრიგი დამყარდა. სოფლებმა და ქალაქებმა თანდათან მოშენება-აღმავლობა იწყეს. როსტომის პოლიტიკამ ქართლში თეიმურაზის მომხრეები შეამცირა, მაგრამ ეს უკანასკნელი მაინც თავს არ ანებებდა ბრძოლას (117,200-201). თეიმურაზი როსტომს სხვადსხვა ფორმით ებრძოდა.

1642 წელს როსტომ მეფის წინააღმდეგ დიდი შეთქმულება მოაწყვეს. ამ შეთქმულებაში როსტომის წინააღმდეგ მონაწილეობდნენ: ზაალ არაგვის ერისთავი, ნოდარ ციციშვილი, იოთამ ამილახვარი, გიორგი გოჩაშვილი, რევაზ ბარათაშვილი, კათალიკოსი ევდემონ დიასამიძე (მისი ძმისწული დავით თეიმურაზის ძის მეუღლე იყო), სომხითის მელიქი და სხვა (21,422-423.23,440-441.39,40.49,380-381). შეთქმულების მიზანი იყო როსტომის მოკვლა და ქართლში თეიმურაზის გამეფება (23,442.39,40). ეს შეთქმულებაც უშედეგოდ დამთავრდა (ის სომხითის მელიქმა გასცა). ამ შეთქმულების მონაწილენი როსტომმა მკაცრად დასაჯა (6,89-90.21,423.23,442.39,40).

მიუხედავად ამ მარცხისა, თეიმურაზი ისევე განაგრძობდა ბრძოლას ქართლის ტახტისათვის. როგორც თ. ტივაძე შენიშნავს: "კახეთის მეფის გამუდმებული ბრძოლები ქართლის ვალთან, როსტომ-ხანთან გარეგნულად თეიმურაზის ჭირვეულობად, დაუთმობლობად და გაუტანლობად მოსჩანდა. გარეშე მტრის თარეშისაგან გავერანებული კახეთის, თუ ქართლის დაღლილ და გატანჯულ მოსახლეობას ყოველთვის არ შეეძლო თეიმურაზის მაღალ-იდეური ეროვნული პოლიტიკის მთელი სიღრმით აღქმა (198,102)". თეიმურაზის მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად კახეთის ბარი გადაშენების პირზე იყო მისული. ამ გარემოებამ კახელ თავადებს გული გაუტეხათ და როსტომთან შერიგების გზას დაადგენენ. ამაში უთუოდ კახეთის ტახტის მემკვიდრის დავითის დაღუპვამაც კარკვეული როლი შეასრულა. თეიმურაზი უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა (225,323). ფარსადანის სიტყვით რომ ვთქვათ "ბატონს

თეიმურაზს ყოველგნით ღონე მოეღო... კახნიც ქართველთა მისვლოდეს და მეფეს როსტომს ბატონის თეიმურაზის დაჭერას ეპატიჟებოდნენ" (39,48).

როსტომს თეიმურაზის დაჭერას სთავაზობდნენ ის კახელი თავადები, რომლებმაც თეიმურაზთან ერთად გადაიტანეს ყიზილბაშების წინააღმდეგ მრავალწლიანი ბრძოლების მთელი სიმძიმე (225,323).

თეიმურაზი უკვე ფაქტიურად ტყვე იყო. მას გაქცევის საშუალება აღარ ჰქონდა. მაგრამ მაინც როსტომმა თეიმურაზის "დაჭირვა შორს დაიჭირა" (39,48). მოლაპარაკების შედეგად როსტომმა თეიმურაზს გზა მისცა. 1648 წ. "ბატონი თეიმურაზ კახეთით აიყარა და ქართლი შეიარა და იმერეთს გადავიდა" (21,426.23,443.33,49-50).

ამრიგად, თეიმურაზ-როსტომს შორის 1633 წელს დაწყებული ბრძოლა 1648 წელს როსტომის გამარჯვებით დამთავრდა.

ისმის კითხვა, რატომ დაინდო როსტომმა თეიმურაზი, რომელიც წლების განმავლობაში ებრძოდა მას ქართლის ტახტისათვის? "ჭკვიანი პოლიტიკოსი როსტომი კარგად გრძნობდა, რომ თეიმურაზის ენერგიული ბრძოლა ირანის წინააღმდეგ რამდენადმე განაპირობებდა შაჰის შედარებით ლოიალურ პოლიტიკას ქართლისა და თვით როსტომისადმი" (198,102). იმ შემთხვევაში თუ კახეთში თეიმურაზი აღარ იქნებოდა და იქ ყიზილბაში ხანი დაჯდებოდა, ირანის შაჰი როსტომისაგან უფრო მეტს მოითხოვდა. ე.ი. ეცდებოდა ქართლიც კახეთის მსგავსად სახანოდ გადაექცია და შესაძლოა თვით როსტომიც ყიზილბაში ხანით შეეცვალა (225,325). "როსტომმა სწორედ იმით გაიმარჯვა, რომ ქართველობას შეურიგებელი ბრძოლა არ გამოუცხადა, როსტომის ღონისძიებები ქართულ საზოგადოებრივსა და სამეურნეო წყობას არ შეჰხებია. არც ქრისტიანობა განიცდიდა მის დროს ქართლში აშკარა დევნას" (118,314). ე.ი. "ქართველობას ყიზილბაშობა არ დაუპირისპირა". მართალია მან რეფორმები გაატარა და სამეფო კარი "ყიზილბაშურ ყაიდაზე გამართა", მაგრამ ეს არ მოასწავებდა ქართული სახელმწიფოებრივი სისტემის შეცვლას. ქართული სახელმწიფოებრივი მმართველობის სისტემა უცვლელი რჩებიდა: "ურჩ ფეოდალებს ებრძოდა, და ყიზილბაშების ჯარს ეყრდნობოდა, მაგრამ მათ ნებას არ აძლევდა ხალხის ძარცვა-გლეჯისათვის მიეყოთ ხელი" (133,394-395).

თეიმურაზის დასავლეთ საქართველოში გადასვლის შემდეგ შაჰმა კახეთი როსტომს უბოძა (39,51.49,384), რის შემდეგაც იგი გახდა "ქართლისა და კახეთის ორსავე მპყრობელი მეფეთ-მეფე ხელმწიფე" (37,29.62,საბ.[1]14415.64,74,130,416... 65,544.82,244,246,249,252...). ქართლ-კახეთში მშვიდობა ჩამოვარდა. შეწყდა გაუთავებელი შეთქმულებები. პროფ. ი. ცინცაძის მართებული შენიშვნით, თეიმურაზის შეურიგებლობამ ირანი აიძულა დათმობაზე წასულიყო და როსტომს საშუალება მისცა მშვიდობიანი გზით ეკეთებინა ის საქმე, რომლის გაკეთებასაც თეიმურაზი იარაღით ცდილობდა (212,114).

იმერეთში გახიზნული თეიმურაზი ისევ შეეცადა საქართველოს ძალთა გაერთიანებას ქართლ-კახეთში გამეფებული როსტომის წინააღმდეგ. თეიმურაზი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო ქვეყნის განმტკიცება-გაძლიერებისათვის ბრძოლის გაზაზე (ჯერ დედა და ორი ვაჟი – ლევანი და ალექსანდრე, შემდეგ 1648 წ, უმცროსი ძე დათუნა) ბუნებრივია, გულხელდაკრეფილი ვერ იქნებოდა. ვერ შეეგუებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ორივე ტახტის, ქართლის და კახეთის დაკარგვას. ახლა აღმოსავლეთ საქართველო როსტომის დროშის ქვეშ იყო გაერთიანებული. კახეთი თეიმურაზის სამკვიდრო მამული იყო, ქართლი კი როსტომისა. თეიმურაზს არა მარტო "თავის სამკვიდროზე", არამედ ქართლზეც ეჭირა თვალი. ოდიშის მთავრის ლევან დადიანის წინააღმდეგობის გამო მან დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება ვერ შეძლო.

თეიმურაზი ბევრს ეცადა მეფე ალექსანდრე და ლ. დადიანი შეერიგებინა, მაგრამ ყველა ცდა მარცხით დამთავრდა. იმერეთ-ოდიშის დაზავების გარეშე კი ალექსანდრეს არ შეეძლო თეიმურაზს დახმარებოდა, რადგან "მეფე ალექსანდრე თუ იმერეთით დაიძვრებოდა, დადიანი იმერეთს ჩამოუდგებოდა" (39,51). დადიანის დამარცხება იმერეთის მეფეს არ შეეძლო, რადგან ის "ძლიერი ბატონი იყო და მეფეს როსტომს მისი და მარიამ დედოფალი ცოლად ჰყვანდა, ყაენიც წყალობდა და ლაშქრითა და სალაროთი მომხმარებელი ჰყვანდა" (იქვე). როგორც მკვლევარი თ. ტივაძე შენიშნავს: "ლ. დადიანის საქციელი საქართველოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანებას უშლიდა ხელს, რასაც დიდი ზიანი მოჰქონდა ქვეყნის აწმყოსა და მომავლისათვის" (198,101).

თეიმურაზს თავისი გეგმისათვის საგარეო მოკავშირეც სჭირდებოდა. მას ოსმალეთის დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდა, რადგან ირანსა და ოსმალეთს შორის 1639 წელს საუკუნო ზავი დაიდო. მას ერთადერთ იმედად ისევ რუსეთი რჩებოდა.

როსტომთან ბრძოლაში დამარცხებულმა და იმერეთში თავ-შეფარებულმა თეიმურაზმა შემოიკრიბა დასავლეთ საქართველოს წარჩინებულთა ნაწილი და რუსეთთან დაკავშირებაზე დაითანხმა (198,102.200,42). 1648 წელს თეიმურაზისა და იმერეთის მეფის ერთობლივი ელჩობა გაიგზავნა რუსეთში.

თეიმურაზი ითვალისწინებდა რუსეთის კარის შესაძლო უარს ჯარის გამოგ-ზავნაზე. ამიტომ იგი რუსეთს სთხოვდა დიპლომატიური ზეგავლენა მოეხდი-ნა ირანის შაჰზე, რომ ამ უკანასკნელს მისთვის კახეთი დაებრუნებინა. ალქსანდრე III რუსეთის მფარველობაში მიღებასა და დადიანის წინააღმდეგ დონე-ლი კაზაკების გამოგ-ზავნას ითხოვდა (111,73.158,320-322.176,241-242.198,112-113.200,43-44.236,148).

მომდევნო წელს მოსკოვის მთავრობამ საპასუხო ელჩობა გამოაგზავნა საქართველოში (ნ. ტოლოჩანოვისა და ა. იევლიევის მეთაურობით). ეს ელჩობა იმერეთში 1651 წელს ჩამოვიდა (4.75.111,73-75.198,114-115.200,44-45). მათ მხოლოდ საჩუქრები და დაპირებები ჩამოიტანეს. სამაგიეროდ კი დიდი მონდომებით მიაღებინეს ალექსანდრეს რუსეთის მეფის ერთგულების ფიცი (1651 წ. 3 ოქტომბერს) (176,242-243.236,148-152).

სხვა საკითხებთან ერთად ამ ელჩებს ევალებოდათ თეიმურაზის შვილიშვილის ერეკლე დავითის ძის რუსეთში წაყვანა. უფლისწულის წაყვანის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი იყო არა მარტო რუსეთ-საქართველოს, არამედ რუსეთ-ირანის ურთიერთობაშიც. იგი უბრალო გადასაწყვეტი არ იყო, იმიტომ, რომ როგორც საქართველოს, ისე რუსეთის მხრიდან ამ პოლიტიკურ ნაბიჯში სულ სხვა გაგება იყო ჩადებული. ქართველი ბატონიშვილი მძევლად არ იგზავნებოდა მოსკოვის სამეფო კარზე, არც მოსკოვის ხელისუფლება იღებდა მას ამ რანგში, ირანის და ოსმალეთისაგან განსხვავებით, სადაც ქართული სამეფო სახლის წევრები მძევლად რჩებოდნენ. რუსეთში წასულ უფლისწულს შეეძლო რომანოვების სახლის წევრი შეერთო ცოლად, ჰყოლოდა თავისი ამალა და ა.შ. ფაქტიურად რუსეთი თეიმურაზის შვილიშვილის მოპატიჟებით საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას იღებდა მის თავზე. ამას მისი

მფარველობისათვის შეიძლებოდა დიდი გართულება გამოეწვია (ასეც მოხდა მომავალში) ირანთან ურთიერთობაში (198,113-115.212,43-47). უფლისწული ერეკლეს რუსეთში გაგზავნის საკითხი მაშინ ვერ გადაწყდა.

1652 წელს ქართლ-კახეთის მეფე როსტომმა რუსეთში ელჩი გაგზავნა. ამ ელჩობას წინ უსწრებდა რუსეთ-ირანის ურთიერთობის გამწვავება, რაც რუსეთთან ამიერკავკასიისკენ მომავალი სტრატეგიული მნიშვნელობის გზების ხელში ჩაგდების საკითხით იყო გამოწვეული. მეორე მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ასევე წინ უსწრებდა აღნიშნულ ელჩობას, ის იყო, რომ 1651 წელს იმერეთში ჩასული ელჩებისა და თეიმურაზის შეთანხმებით მოსკოვის სამეფო კარზე თეიმურაზის შვილიშვილის ერეკლეს გაგზავნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო, რაც არც შაჰს და არც გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფეს ესიამოვნებოდა. 1652 წლამდე ამგვარ ფაქტს ადგილი არ ჰქონდა. ეს ელჩობა შაჰის მიერ იყო სანქცირებული, რადგან ირანის ვასალური ქვეყანა ქართლ-კახეთი, მიუხედავად გარკვეული დამოუკიდებლობისა შაჰის დაუკითხავად მოსკოვის სამეფო კარზე ოფიციალურად ელჩს ვერ გაგზავნიდა. ამ ელჩობის მთავარი მიზანი იმერეთში დევნილი, ირანის მფარველობაში მყოფი ქართლ-კახთის მეფე როსტომის "მოცილე" თეიმურაზის იზოლირება იყო (74,21-27.92,38,42.119,97-98.202,117-118.213,264-266).

ამ ელჩობამ ვერ შეუშალა ხელი მოსკოვში თეიმურაზის შვილიშვილის ერეკლეს ჩასვლას.

1653 წელს საქართველოს საკითხით რუსეთის უკეთ დაინტერესების მიზნით, თეიმურაზმა თავისი შვილიშვილი ერეკლე (ნიკოლოზ) დავითის ძე მოსკოვის სამეფო კარზე გაგზავნა. განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ეს როსტომ მეფემ და პირველ რიგში ირანის შაჰმა, რომელიც ამ აქტში პირველ რიგში რუსეთის ამიერკავკასიის საკითხით აქტიურად დაინტერესებას ხედავდა. თუ კი ქართლ-კახეთის ტახტის პრეტენდენტს თეიმურაზს რუსეთის სამეფო კარზე ერეკლე ბატონიშვილი ეყოლებოდა, რუსეთის კავკასიონზე გადმოსვლის შემთხვევაში ირანს საქართველო სამუდამოდ ეცლებოდა ხელიდან (213,262-263). შაჰის ბრძანებით რუსეთში მიმავალ ბატონიშვილს თავს დაესხნენ კავკასიონის გადასასვლელთან ყუმუსები, მაგრამ ბატონიშვილი ხელში ვერ ჩაიგდეს (119,99.192,118-119.213,258).

თეიმურაზი ყოველმხრივ შეეცადა კახეთის მსგავსად საქართველოს სხვა კუთხეებიც რუსულ ორიენტაციაზე გადაეყვანა და გარს შემოეკრიბა მტერთან გაერთიანებული ბრძოლების საწარმოებლად. თეიმურაზის ეს ცდა კარგად დამთავრდა იმერეთთან მიმართებაში (1651 წ. ოქტომბერში ალექსანდრე III-მ რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღო), ცოტა მოგვიანებით რუსეთს საქართველოს მთიანეთიც დაუკავშირდა (119,178-180.199,219-242).

თეიმურაზმა გადაწყვიტა თავადვე გამგზავრებულიყო რუსეთში და ეთხოვა რუსეთის მეფისათვის დახმარება. იგი იმედოვნებდა, რომ რუსეთი მას დაეხმარებოდა არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ თავისი ავტორიტეტითაც (47,437-445.149,9.192,133-144.214,180-182). თეიმურაზი 1658 წელს წავიდა რუსეთში. რუსეთს ამჯერად საქართველოსთვის რეალური დახმარების გაწევა არ შეეძლო (პოლონეთთან და შვედებთან ომის გამო). ამას გარდა, რუსეთის საგარეო პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები მოითხოვდა ირანთან ურთიერთობის გაუმჯობესებას... რა თქმა უნდა შაჰის წინააღმდეგ აჯანყებული თეიმურაზისათვის დახმარება ირანის წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავდა, ამიტომ თეიმურაზს ირანთან დიპლომატიურ დახმარებას დაჰპირდნენ. იმედგაცრუებიული თეიმურაზი გამობრუნდა საქართველოში (იქვე).

მეფობდა როსტომი ქართლ-კახეთში. ქვეყანამ მუდმივი ომისაგან ცოტა შეისვენა. გახიზნული მოსახლეობა უკან დაბრუნდა, სოფლებმა და ქალაქებმა მოშენება-აღორძინება იწყეს. ირანის ერთგული მოხელის მიერ მის ვასალობას ამოფარებული "ქართული საქმის" კეთება შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ირანის მესვეურებს. ამიტომ "როსტომი საეჭვო ხდებოდა მათთვის". ამას ზედ ემატებოდა თეიმურაზის გაუტეხლობა და დაუცხრომელი საქმიანობა ირანის წინააღმდეგ, რაც მის მიერ რუსეთთან კავშირის გაძლიერებაში გამოიხატა (თეიმურაზის მოკავშირის – იმერეთის მეფის რუსეთის ერთგულების ფიცის მიღება, ერეკლე ბატონიშვილის მოსკოვში გაგზავნა, თუშ-ფშავ-ხევსურეთის ელჩობა რუსეთში და სხვა).

ამან კვლავ გააცოცხლა შაჰ-აბას I-ის ძველი გეგმა ირანში, რომელიც კახეთის მოთხრას, იქ თურქმანების ჩამოსახლებას და სახანოს შექმნას ისახავდა მიზნად. შაჰმა კარგად იცოდა, რომ ამ საქმეში მას როსტომი არ გამოადგებოდა. ამიტომ 1656 წელს

როსტომს კახეთი ჩამოართვეს და სამმართველოდ განჯის ხანს ჩააბარეს. ამრიგად, ქართლისა და კახეთის გაერთიანება და ერთი მეფის მფლობელობაში გადასვლა ირანის შაჰის აბას II-ის (1642-1666) მეშვეობით მოხდა. ამავე დროს აბას II-ის მიერვე მოხდა აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანებულ სამეფოთა დაცალკავებაც. თუ კი 1648 წელს ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანების მიზეზი თეიმურაზის დაუცხრომელი ბრძოლა იყო ირანელთა წინააღმდეგ, იგივე თეიმურაზის ბრძოლა იყო ერთ-ერთი მიზეზი ამ სამეფოთა დაცალკავებისა.

უშვილო როსტომმა მემკვიდრედ ჯერ იმერეთის მეფის გიორგი III-ის ვაჟი მამუკა აირჩია. თუ როგორ დასრულდა მამუკა ბატონიშვილის ქართლის სამეფოს მემკვიდრეობის საკითხი, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. შემდეგ როსტომმა შვილად და მემკვიდრედ ლუარსაბ I-ის შვილიშვილის შვილი ლუარსაბი აიყვანა, რომელიც ირანში იყო აღზრდილი. მას "ნადირობისას შემთხვევითი ტყვია" მოხვდა და გარდაიცვალა. ბოლოს როსტომმა მუხრანბატონების წარმომადგენელი ვახტანგი აირჩია ემკვიდრედ. იგი 1653 წელს ირანში გაგზავნეს, სადაც გაამაჰმადიანეს, როსტომის მემკვიდრედ დაამტკიცეს, ქართლის გამგებლობა უბოძეს და საქართველოში დააბრუნეს შაჰნავაზად წოდებული (21,427-428.23,445-446.39,58-59.49,387-388.91.2-3).

როსტომი 1658 წელს გარდაიცვალა. იგი ირანში წაასვენეს და ქუმში დაასაფლავეს.

როსტომის გარდაცვალების შემდეგ (1658 წელს) ირანის შაჰმა ქართლის მეფედ ვახტანგ შაჰნავაზ-ხანი დაამტკიცა. ისე, როგორც როსტომი ვახტანგიც (1658-1675) შაჰისათვის "ქართლის ვალი" იყო (ასე უწოდებს მას ირანელი ისტორიკოსი მოჰამედ თაჰერი და სპარსულ-ისტორიულ საბუთებშიც ვახტანგ V "ვალად" იხსენიება) (49,389,390... 66,76-77, 79-80, 83.. 67, 29-30, 40-41. 103, 57-58, 59-60, 61-62. 284-285, 287-288, 295-296, 104,78,79,83,84,317,318.320.) უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგი მის დროს ირანის შაჰების მიერ გაცემულ სპარსულ საბუთებში არც "შვილად" იწოდებოდა და არც "ამად". ის მხოლოდ ქართლის "ვალ"-ად იხსენიება (იქვე). ე. ი. ვახტანგი, ანუ შაჰ-ნავაზი არც სიმონ ხანივით შაჰის ხელქვეითი მოხელე იყო და არც როსტომივით პრივილეგირებული ქართველი "ვალი". იმ დროის ქართველი ისტორიკოსები (ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ფ. გორგიჯანიძე) ვახტანგს უმეტესად სპარსული სახელით

შაჰნავაზით იხსენიებენ (21,415,416.. 23,448,449,39,60,61..) ასევე იხსენიება ის მის მიერ გაცემულ სიგელ-გუჯრებშიც (37,100,132.81,29,30-31.82,291,293..). ვახტანგიც არ ღალატობს ტრადიციას და მის მიერ გაცემულ სიგელ-გუჯრებში იწოდება, როგორც "მეფეთ-მეფე ხელმწიფე პატრონი ვახტანგი ან შაჰნავაზი. ის მეფეთ-მეფობით" არ კმაყოფილდებოდა და უფრო შორსაც მიდიოდა, "ორსავე ტახტისა და სახელმწიფოსა თვით პყორბით მტკიცედ მქონებლად-"აც წარმოგვიდგენდა (37,43,44.62,საბ.[1]1458,63,საბ.[1]1498,13064.64,100,132.81,29,30,30-31.82,284, 287,290,294,296..). მართალია, ზემოთ წარმოდგენილ სამეფო ტიტულში არ იყო ასახული არსებული რეალური მდგომარეობა, მაგრამ ვახტანგ V მთელი თავისი მეფობის მანძილზე ენერგიულად იბრძოდა "ორსავე ტახტის ფლობის-"ათვის. ამ სამეფო ტიტულში კი მისი ბრძოლის მიზანი იყო ასახული. შაჰის ბრძანებით ვახტანგმა ცოლად შეირთო როსტომის ქვრივი ლევან II დადიანის და მარიამი. ვახტანგი იმ დროს დაქორწინებული იყო. მას ცოლად ჰყავდა ყაფლან ბარათაშვილი-ორბელიშვილის ასული როდამი. მასთან ვახტანგს ექვსი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდა (21,435.23,441.39,60.49,389.,91,2-3)

ვახტანგი პირველი მეფე იყო ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოდან. მისი მეფობით დაიწყო "ბაგრატიონთა მუხრანბატონობის შტოს მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართლის სამეფო ტახტზე (118,358)-როგორც პროფ. გ. ჯამბურია აღნიშნავს; "ვახტანგ V-ის მეფობა აღმოსავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებით და საქართველოს გაერთიანებისაკენ მიმართული ღონისძიებებით აღინიშნა (225,342)."

ამ დროს კახეთში მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. შაჰის ბრძანებით იქ თურქმანები ჩამოასახლეს. მისივე ბრძანებით კახეთში სამი ციხე ააგეს, რომელთა გარნიზონებს უნდა დაეცვათ თურქმანები ქართველთა თავდასხმებისაგან (49,393). ირანელებმა ალავერდის მონასტრის გალავანი ციხე-სიმაგრედ გადააკეთეს და შიგ ყიზილბაშთა გარნიზონი ჩააყენეს. ციხე ააგეს აგრეთვე ალაზანის მარცხენა ნაპირზე მდებარე პატარა ციხე ბახტრიონში. მესამე ციხის სახელი წყაროებში არ ჩანს. იგი უნდა იყოს ყარაღაჯი (157.92).

კახეთში ჩამოსახლებულ თურქმანებს ადგილობრივი მოსახლეობა უნდა გადაეშენებინათ, მეურნეობა მოეშალათ და საქართველოს ეს უმდიდრესი კუთხე

თავისი ფარა-ჯოგების საძოვრებად გადაექციათ, საშიშროების წინაშე აღმოჩნდა მთიანეთის მოსახლეობაც, რომელიც ბარის პურითა და ღვინით, და საზამთრო საძოვრებით ირჩენდა თავს (110,121.157,94)

კახეთში საყოველთაო უკმაყოფილება ჩამოვარდა. უკმაყოფილო იყო მოსახლეობის ყველა ფენა. მათ მხარი ქართლმაც დაუჭირა. ყოველივე ეს ბახტრიონის მძლავრი აჯანყებით დაგვირგვინდა (1659წ).

ბახტრიონის სახალხო აჯანყებამ მოსახლეობა იხსნა ფიზიკური განადგურებისაგან. როგორც თ. ბოცვაძე ა ღნიშნავს "ბახტრიონი შაჰ-აბას-II თვის მარტყოფის ველი იყო, რომელსაც კიდევ ერთხელ უნდა დაერწმუნებინა ირანის სამეფო კარი ქართველების ლიკვიდაციის მიუწვდომლობაში (119,101-102).

ქართლის მეფე ვახტანგს ბახტრიონის აჯანყებაში აშკარა მონაწილეობა არ მიუღია. ის ირანთან მიმართებაში მისი წინამორბედის, როსტომის "ზომიერი" პოლიტიკის გამგრძელებელი აღმოჩნდა. ვახტანგი ასე მშვიდობიანი გზით ცდილობდა ქართული პოლიტიკის წარმოებას. მისი მიზანი ხომ "ორსავე ტახტის"- ე. ი. სრულიად საქარათველოს "თვით პყრობა" იყო.

ვახტანგის გამეფებას ქართლში ყველა როდი შეხვდა მოწონებით, მიუხედავად დიდი მარცხისა, თეიმურაზ I-ს კიდევ დარჩა მომხრეები როგორც ქართლში, ისე კახეთში. მათ რიცხვს ეკუთვნოდა კახეთის სახალხო აჯანყების მეთაური ზაალ არაგვის ერისთავი. იგი ჯერ კიდევ როსტომს ებრძოდა და ქართლში თეიმურაზის გამეფებას ცდილობდა, მაგრამ ზაალი როსტომთან ბრძოლაში დამარცხდა და დამორჩილდა მას. ეს მორჩილება ხანმოკლე აღმოჩნდა. როსტომის გარდაცვალებისთანავე (1658წ) ზაალ ერისთავი კვლავ განდგა, "მტერი იყო საქართველოს გამგებლისა ვახტანგისა ზაალ ერისთავი". გვაცნობებს ბერი ეგნატაშვილი (21,434). "არა მნებელი ვახტანგის მეფობისა," (23,447) "წარმოვიდა ხევსა არაგვისასა, განუდგა და არა მორჩილ ექმნა მეფესა შაჰნავაზს" (21,434-435,436.23.447). ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის მებრძოლმა ვახტანგმა მოხერხებულად ალაგმა ურჩი ფეოდალების თვითნებობა და ქვეყანაში წესრიგი დაამყარა.

XVII-ს-ის 60-იან წლებში დასავლეთ საქართველო ფეოდალურმა ანარქიამ მოიცვა. ქვეყნის პოლიტიკურმა მდგომარეობამ ვახტანგი მოვლენათა სათავეში ჩააყენა.

1657 წელს ოდიშის მთავარი ლევან დადიანი გარდაიცვალა. ამის შმდეგ "პოლიტიკური ვითარება დასავლეთ საქართველოში მკვეთრად შეიცვალა იმერეთის მეფის სასარგებლოდ" (107,131). ლევანის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე იმერთა მეფემ ილაშქრა ოდიშში, გააძევა იქედან ლიპარიტ იესეს ძე და ვამიყ გიორგის ძე ლიპარტიანი გაამთავრა (21,431.23,832-833.39,59-60.64,80,81). გურიაში მთავრად კი დასვა დემეტრე სვიმონის ძე (23,834). ლიპარიტი და ქაიხოსრო გურიელი დახმარების სათხოვნელად სტამბოლში გაიქცნენ. ამით იმერეთის მეფე ალექსანდრემ თავისი ჰეგემონობა გაავრცელა გურია-ოდიშის სამთავროებზე. 1658 წელს ალექსანდრემ სტამბოლში ელჩობა გააგზავნა რათა არ დაეშვა იქ თავშეფარებული ლიპარიტისა და ქაიხოსროსათვის დახმარების აღმოჩენა სულთნის მხრიდან. 50-იანი წლების ბოლოს ოსმალეთის როგორც საშინაო, ისე საგარეო მდგომარეობა მძიმე იყო, ალექსანდრე III ფხიზლად ადევნებდა თვალს ბოლო წლებში მიმდინარე პროცესებს ოსმალეთში და თავის პოლიტიკასაც იმისდა მიხედვით აწარმოებდა (176,248). სტამბოლში ამ მისიის მივლინებით იმერეთის მეფეს აინტერესებდა, თუ რა რეაქცია მოჰყვებოდა ოსმალეთის მხრიდან ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ მისი მხრიდან დასავლეთ საქართველოში გატარებულ ღონისძიებებს (176,250).

დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფის უპირატესობის აღდგენა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1660წ ალექსანდრე გარდაიცვალა. "60-იანი წლებიდან მთელი დასავლეთ საქართველო საშინელმა ანარქიამ მოიცვა, რაც დაახლოებით 100 წელიწადს გაგრძელდა. მეფის ხელისუფლება კიდევ უფრო დაეცა, ქვეყანა თავადების სათარეშოდ იქცა. დადიანი, გურიელი, ქართლის ბატონიშვილები, აბაშიძე, თუ იმერეთის ბატონიშვილი თავადების სურვილით წარამარა ცვლიდნენ ერთი მეორეს სამეფო ტახტზე" (115,274).

ალექსანდრე III-ის გარდაცვალების შემდეგ იმერეთის ტახტზე ავიდა ბაგრატ IV ალექსანდრეს ძე (1660–1681წწ. ინტერვალებით), "მაგრამ დარეჯან დედოფალი (ბაგრატის დედინაცვალი) მეფეც იყო და დედინაცვალიც. ბაგრატს არაფერს ეკითხებოდა" (39,63.). დარეჯანი დიდი ნებისყოფის მქონე ქალი იყო (49, 395). იმ დროს სიგლები ერთდროულად ორივეს დარეჯან დედოფლისა და ბაგრატის სახელზე გამოდიოდა (31,30,31...) დარეჯანის სურვილით ბაგრატმა ცოლად შეირთო დედოფლის ძმისწული ქეთევანი (თეიმურაზ I-ის ძის დავითის ასული). 6 თვის შემდეგ

დედინაცვალმა გერს შეთქმულება მოუწყო. ბაგრატს თვალები დასთხარა, ტახტიდან ჩამოაგდო და ცოლიც წაართვა. (21,437.23,835.39,62-63.49,395). დარეჯანმა იმერეთის ტახტი სკანდის ციხეში მყოფ თეიმურაზს შესთავაზა, "მეფობას თავის მამას შეეპატიჟა" (39.63.93,111).

ამასთან დაკავშირებით ნ. ასათიანი წერს: "დარეჯან დედოფალს ყავდა თავისი მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ აღნიშნავს მეცნიერი – დედოფალი დარეჯანი და მისი მომხრენი თეიმურაზის პოლიტიკის გამგრძელებლები არიან. ეს თუნდაც იქედან ჩანს, რომ ბაგრატის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მათ მეფობა თეიმურაზს შესთავაზეს. ასევე რუსეთიდან ერეკლე ბატონიშვილის ჩამოყვანას და მის გამეფებას აპირებდნენ, აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ – განაგრძობს მკვლევარი – საგარეო პოლიტიკაში ისინი რუსული ორიენტაციისანი იყვნენ, ხოლო ქვეყნის შიგნით მტკიცე წესრიგის დამყარების მომხრენი იქნებოდნენ. ამრიგად, დარეჯანის გამოსვლა ბაგრატის წინააღმდეგ მარტო მისი ბოროტი ბუნებით არ უნდა აიხსნას, როგორც ამას ზოგიერთი მაშინდელი წყარო წარმოგვიდგენს. მის მოქმედებაში გარკვეული პოლიტიკური ხაზი ჩანს და ამ საქმეში იგი მარტო არ არის" (110,42). ვერ დავეთანხმებით მეცნიერ ნ. ასათიანის აღნიშნულ მოსაზრებას. დარეჯანის მოქმედება თეიმურაზის პოლიტიკის გაგრძელებად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან თეიმურაზი მთელი თავისი მეფობის (1606-1662) მანძილზე ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად და ცენტრალური ხელისუფლების განსამტკიცებლად იბრძოდა. ამ ბრძოლაში მისი მოკავშირე კი იმერეთის სამეფო იყო. დარეჯანის მოქმედება კი, იმერეთში ძალაუფლების ხელში ჩაგდებას უფრო ისახავდა მიზნად (რისთვისაც თეიმურაზის გამოყენებასაც ცდილობდა), ვიდრე ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას, როგორც ეს ნ. ასათიანს მიაჩნია.

დარეჯანის საქციელი თეიმურაზს არ მოეწონა, "მამამ უჯავრა, რისთვის ჩემს სიძეს თვალები დასთხარაო. სკანდით ქუთათისს არ ჩამოვიდა" (39,63.93,111). დარეჯან დედოფალი და მისი მომხრენი თეიმურაზის პოლიტიკის გამტარებელი რომ ყოფილიყო, მაშინ რატომ "უჯავრებდა" ის მის ქალიშვილს ტახტიდან ბაგრატის ჩამოგდებას? დარეჯანს და მის მომხრეებს თეიმურაზის პოლიტიკა ხომ ამ უკანასკნელთან ერთად უნდა გაეტარებინა. თუ კი მამა-შვილი შეთანხმებულად

მოქმედებდნენ, რატომ თქვა უარი თეიმურაზმა იმერეთის ტახტზე, და "სკანდით ქუთათისს არ ჩავიდა"? მართალია თეიმურაზი მისი მთელი მოღვაწეობის მანძილზე ქვეყნის გაერთიანებისათვის იბრძოდა და ამ საქმეს შესწირა თავისი დიდი ოჯახი და ბოლოს საკუთარი თავიც, მაგრამ ის ახლა იმერეთის ტახტზე პრეტენზიას ვერ განაცხადებდა. თეიმურაზი ლუარსაბ II–ის გარდაცვალებიდან მოყოლებული (1622წ.) იბრძოდა ქართლის ტახტისათვის. მის ბრძოლას "ქართლსა ზედა" ნაწილობრივ საფუძველს აძლევდა ის, რომ ლუარსაბ II–ის სიკვდილის შემდეგ ქართლში გამაჰმადიანებული ქართველი ბაგრატიონები (სიმონ, ბაგარტი, როსტომი) მეფობდნენ. მიუხედავად მაჰმადიანობისა, ისინი ქართლის სამეფო სახლის წარმომადგენლები და აქედან გამომდინარე, ამ სამეფოს კანონიერი მფლობელნი იყვნენ. ამიტომ იყო, რომ გადამწყვეტ მომენტში ქართლელები რჩებოდნენ "ერთგულებასა ზედა თვისთ რჩეულთა მეფეთა". თეიმურაზმა მხოლოდ ცოტა ხნით (1626-1632წწ.) მოახერხა ქართლის ტახტის ფლობა. ახლა რომ თეიმურაზს იმერეთის ტახტი დაეკავებინა, ეს იმერეთში დიდ შეხლა-შემოხლას გამოიწვევდა. ბაგრატ ალექსანდრეს ძე იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო. მიუხედავდ იმისა, რომ დარეჯანმა მას თვალები დასთხარა, იმერლები, ისე როგორც ამას ქართლისა დაკახეთის სამეფოს მესვეურნი აკეთებდნენ 1490 წლის ქართლის სამეფო დარბაზის მიერ ქვეყნის დაშლის ცნობიდან მოყოლებული, მტკიცედ დადგებოდნენ "ერთგულებასა ზედა ბაგრატისასა", თეიმურაზი იმერთათვის "კახ ბატონი" იყო, როგორც თავის დროზე ქართლელთათვის. "უთვალო" ბაგრატი კი იმერეთის მპყრობელი. აქედან გამომდინარე, თეიმურაზი რომც დამჯდარიყო ქუთაისში ტახტზე ქვეყანაში ფეხს მტკიცედ ვერ მოიკიდებდა. ეს თეიმურაზმა კარგად იცოდა. ამიტომ თქვა მან უარი მისი ქალიშვილის შემოთავაზებულ წინადადებაზე და "უჯავრა" დარეჯანს ბაგრატის დაბრმავება და ტახტიდან ჩამოგდება. ამასთანავე უკვე მოხუც თეიმურაზს აქტიური პოლიტიკის წარმოება აღარ შეეძლო.

რაც შეეხება ერეკლე ბატონიშვილს, რომლის იმერეთში ჩამოყვანასაც ფიქრობდა დარეჯან დედოფალი. როდესაც მოსკოვიდან წამოსულ თეიმურაზს გზაში აცნობეს ლუარსაბ დავითის ძის გარადცვალების ამბავი, მან მაშინვე ელჩები გაგზავნა მოსკოვში და რუსეთის ხელმწიფეს ერეკლესა და დედამისის ელენეს სამშობლოში გამოშვება

სთხოვა (59,136-139.198,187.199,182). იმერეთში დაბრუნების შემდეგ თეიმურაზმა და ალექსანდრე III-ემ ელჩობა მიავლინეს მოსკოვში ერეკლე ბატონიშვილის საქართველოში გამოგზავნის მოთხოვნით (54, 151-152.59,139-150) თუშ-ფშავ-ხევსურებიც სისტემატიურად აგზავნიდნენ ელჩებს მოსკოვში, ერეკლეს გამოგზავნის მოთხოვნით (53,459) რუსეთის მთავრობამ გაითვალისწინა ყოველივე ეს და 1660 წელს ერეკლე ბატონიშვილი დედასთან ერთად სამშობლოში გამოგზავნეს (53,152). ერეკლე თუშეთში 1661 წელს ჩამოვიდა და იქედან ადევნებდა თვალს მოვლენების განვითარებას საქართველოში.

დარეჯანის მოქმედების მიზეზი იყო "გერის" გზიდან ჩამოცილება და ტახტის დაუფლება. მისი ქმედება თეიმურაზის "გეგმის" განხორციელებას რომ არ ისახავდა მიზნად და მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის იბრძოდა, ნათელს ჰფენს "პარიზის ქრონიკის" ერთი ცნობა, როცა ბაგრატს ქეთევან შერთეს ცოლად და მეფედ აკურთხეს "ცოტა ხანს უკან დარეჯან დედოფალმა თავისი გერი ბაგრატ შესართავად მოინდომა. ბაგრატ არა ქმნა." და ამის შემდეგ დააბრმავა მან ბაგრატი (93, 111).

მიიღო რა მამისაგან უარი, დარეჯანმა ქმრად შეირთო ვახტანგ ბაგრატიონი, იმერელი ბაგრატიონების შორეული ნათესავი, ჭუჭუნიაშვილის ზედწოდებით ცნობილი და მეფედ გამოაცხადა. დარეჯანი იმერეთის ფაქტიური მმართველი გახდა. ამან იმერელ თავადთა აღშფოთება გამოიწვია (21,437.23,835. 39,63.49,395.78,48-49).

"ბაგრატის კერძოთა" ახალციხის ასლანთ-ფაშას მოუწოდეს "რამეთუ ხონთქარი მათ ჰკითხავდა (ახალციხის ფაშებს) და მათი შეკითხულობითა იპყრობდა იმერეთს და იგინი განაგებდნენ და არიგებდნენ" (21,437). მოვიდა ასლანთ-ფაშა იმერეთში. ბაგრატი ისევ მეფედ დასვა და დარეჯან დედოფალი, მისი ქმარი ვახტანგი და ძმისწული ქეთევანი (ბაგრატის ყოფილი ცოლი) ახალციხეს წაიყვანა (21,437.23,835). მაგრამ "ბაგრატ მეფე უთვალობითა ვერა ეგოდენ მართავდა იმერეთსა" (23,835), ამიტომ იმერელ თავადთა ერთმა ნაწილმა (ქვემო იმერეთიდან) ვამიყ დადიანი, მეორე ნაწილმა კი (ზემო იმერეთიდან) ქართლის მეფე ვახტანგი მიიწვიეს იმერეთში (21,437,23,835).

ვახტანგმა კარგად შეაფასა დასავლეთ საქართველოში შექმნილი მდგომარეობა. მან კარგად იცოდა რომ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საქართველოს დაუძლურებისა მისი სახელმწიფოებრივი დაშლა-დაქუცმაცება იყო, ამიტომ ვახტანგმა ერთ-ერთ

ძირითად მიზნად პოლიტიკურად დაშლილ-დაქუცმაცებული საქართველოს შეკავშირება-გაერთიანება დაისახა. ამიტომ ის არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას ხელიდან არ უშვებდა საქართველოს სამეფო-სამთავროების შესაერთბელად "ან ამ სამეფო-სამთავროებზე თავისი გავლენის გასავრცელებლად" (148,126). როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს "მე-17 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველო აღდგომისა და გამოხსნისათვის ძალას იკრებდა, საამისოდ ირაზმებოდა. წამყვანი როლი ამ საქმეში ქართლს ეკუთვნოდა. ირანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართლი აღნიშნულ დროს ეკონომიკურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავ დროს მისი გავლენა საქართველოს სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო იზრდებოდა" (115,276). ვახტანგი აქტიურად ჩაერია იმერეთის საშინაო საქმეში იქ თავისი ძალაუფლების გასავრცელებლად, როგორც ბაგრატიონს, იმერეთიც მას თავისად მიაჩნდა. ამას კიდევაც ათქმევინებს "შაჰნავაზიანის" ავტორი იმერეთის დასაჭერად ჩასულ ვახტანგს:

"ნათესავი ვარ, მე მმართებს, სხვას არავის მივცე თემია,

სრა და სამყოფი მეფეთა, მკვიდრი ვარ, სრულად ჩემია" (78,56).

ვახტანგმაც და ვამიყ დადიანმაც იმერეთს მიაშურეს. ვამიყმა დაასწრო, ქუთაისი აიღო და თავი მეფედ გამოაცხადა (83,479.145,97). ბიჭვინთის ერთ-ერთ სიგელში ვამიყ დადიანი "ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ოსეთისა და დვალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა, და გურიისა, სრულიად საქართველოს მპყრობელ-მქონებლად, დიდ მეფეთ-მეფეთ ხელმწიფედ" (34,67) აცხადებს თავს. ეს ტიტული არ შეესადაგებოდა რეალურ ვითარებას. "ერთი კი ცხადია – აღნიშნავს პროფ. დ. გვრიტიშვილი – დადიანს მხოლოდ მაშინ შეეძლო ასეთი რამ დაეწერა თავის თავზე, როცა მან იმერეთის ტახტი დაიჭირა, იმერეთის სამეფო ტახტის დინასტიის – ბაგრატიონათა მემკვიდრეობა ჩაიბარა და რაკი ბაგრატიონების რომანტიკული სახელდება მათ წარმოდგენაში კიდევ არსებობდა, დადიანმაც შეიფერა ეს ტიტული (133,437).

ამასობაში ვახტანგმა ზემო იმერეთი დაიკავა. ვახტანგი და ვამიყი შეთანხმდნენ და იმერეთი შუაზე გაიყვეს. საზღვრად მდინარე ბუჯის წყალი დადვეს (1660 წელი). ამ შეთანხმების დროს ვამიყმა თავისი ქალი ვახტანგის ვაჟს არჩილს აღუთქვა. დადიანმა

მალე დაარღვია შეთანხმება და არჩილისათვის აღთქმული ქალი იმერელ თავადს ბეჟან ღოღობერიძეს მიათხოვა (21,437.439-440. 23,835.39,63.49,395.78,66).

იმერეთის დანაწევრება ხელოვნური იყო და არ შეიძლებოდა ასეთი მდგომარეობა დიდხანს გაგრძელებულიყო, რადგან ვახტანგი სრულიად იმერეთისათვის იბრძოდა, მისთვის დადიანთან იმერეთის გაყოფა მიუღებელი იყო. დადიანმაც კარგად იცოდა, რომ იმერეთს ვახტანგი მას ვერ გაუყოფდა და თუ კი ქართლის მეფე აქ უპირატესობას მოიპოვებდა, დადიანის "დამოუკიდებელი მოქმედება" შეიზღუდებოდა. ამიტომ დაარღვია მან ვახტანგთან შეთანხმება და არჩილისათვის აღთქმული ქალი ბეჟან ღოღობერიძეს მისცა. ამით ვამიყს დასავლეთ საქართველოში ვახტანგის შემდგომი წინსვლისათვის ხელის შეშლა უნდოდა.

ვახტანგმა კავშირი დაამყარა დემეტრე გურიელთან (1660-1664) და ზემო იმერეთის თავადებთან, რომელთაც ღოღობერიძე მოკლეს. 1661წ. ვახტანგი დიდი ჯარით გადავიდა იმერეთში. ვამეხ დადიანმა ვახტანგთან შებრძოლება ვერ გაბედა და ოდიშში დაბრუნდა. ვახტანგმა აიღო იმერეთის ციხეები, სვერი, კაცხი და სკანდა (ამ ციხეში თეიმურაზი იმყოფებოდა) და ქუთაისი დაიკავა. "მიერთნენ სრულიად იმერნი და შემოკრებილნი ყოვლითა ქართველ-იმერთა" გადავიდა ოდიშში. მან აიღო ზუგდიდი. ვამიყმა თავი შეაფარა სვანეთს, სადაც იგი ვახტანგმა მოაკლევინა. ქართლის მეფემ ოდიშში მთავრად დასვა ლევან II –ის ძმის იოსების ძე შამადავლე, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. ლევან III –ს (1661-1680) მასთან კავშირის უფრო მეტად განმტკიცების მიზნით ცოლად შეირთო თავის ძმისწული – სილამაზით განთქმული თამარი (23,835.78,66-73). ეს ქალი შემდეგ დიდი ცილობის საგანი გახდა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის. ზუგდიდში ვახტანგს ეახლა აფხაზეთის მთავარი შარვაშიძე "ძღვნითა დიდთა" და მორჩილება გამოუცხადა მას. ვახტანგი ზუგდიდიდან ქუთაისში მიბრუნდა, სადაც დემეტრე გურიელი ეახლა ასევე "ძღვნითა დიდითა" და მორჩილება გამოუცხადა (23,836.78,74-85). ამრიგად ვახტანგმა მთელი დასავლეთ საქართველო დაიქვემდებარა.

ვახტანგმა ქუთაისში იმერეთის მეფედ გამოაცხადა თავისი უფროსი ვაჟი, 14 წლის არჩილი (1661-1663) თვითონ ქართლში დაბრუნდა და უსინათლო ბაგრატი თან

წაიყვანა (23,836,93,112). იმერეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრის თან წაყვანით შაჰნავაზმა დროებით შეაჩერა იმერელთა აშლილობა.

რაც შეეხება კახეთს, მართალია, ის ყარაბაღის ბეგლაბეგ მურთუზა ყულიხან ზიად ოღლის ჰქონდა ჩაბარებული, მაგრამ ბახტრიონის აჯანყების შემდეგ თითქმის მთელი კახეთი (გარდა იმ ციხეებისა სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და მურთუზა ყული ხანს ემორჩილებიდნენ) ვახტანგის მმართველობაში იყო გადასული. ამრიგად ვახტანგმა იმდროისათვის თითქმის მთელი საქართველო გააერთიანა. როგორც ბ. ეგნატაშვილი აღნიშნავს, "მეფობდა მეფე შაჰნავაზ სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა. ესრეთ განდიდნა და აღემატა მეფობა და სიმდიდრე მისი საქართველოსა შინა" (21,440).

ვახტანგმა იმერეთში ლაშქრობის დროს თეიმურაზი სკანდის ციხიდან გადმოიყვანა და თბილისში წაიყვანა. მალე მან თემურაზი მისსივე სურვილით ირანში გაგზავნა (23,449.39,63-64.61,348.83,479.93,112). თემურაზი შაჰის კარზე გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით წავიდა. მისი მიზანი თუშეთში მყოფი ერეკლესათვის სამკვიდრო მამულის - კახეთის ტახტის დამტკიცება იყო. შაჰ-აბას II-ემ (1642-1666) თეიმურაზი დიდი პატივით მიიღო (39,64.49,397). "შაჰ-აბას II-ის მიერ თეიმურაზის დიდი პატივით მიღებას გარკვეული პოლიტიკური მიზანი ჰქონდა – აღნიშნავს დ. კაჭარავა. ირანი ვერ მოითმენდა ქართლის, ან კახეთის ტახტზე რუსეთში აღზრდილ და რუსული ორიენტაციის მქონე ერეკლეს, რომელიც რუსეთიდან თუშეთში ჩამოვიდა და კახეთის დაკავებას ცდილობდა. რუსეთში იცოდნენ, რომ ერეკლე ვერ მოახერხებდა კახეთის დაჭერას და ეშინოდათ, იგი შაჰს არ მისვლოდა, რაც რუსეთის ინტერესებისათვის საზიანო იქნებოდა. რუსეთის შიში არ იყო საფუძველს მოკლებული. შაჰმა როგორც კი შეიტყო ერეკლეს თუშეთში ჩამოსვლა, შეეცადა მის მოტყუებას. ამით ირანს სურდა რუსეთისათვის საქართველოს საქმეებში ჩასარევი იარაღი გამოეცალა ხელიდან. შაჰმა არ დააყოვნა ერეკლეს გადმობირების ცდა. მას უნდოდა ამ მიზნებისათვის თეიმურაზი გამოეყენებინა" (148,129-30). შაჰმა თეიმურაზს ერეკლეს მოყვანა სთხოვა. თეიმურზმა სცადა შვილიშვილის შაჰთან მიყვანა, მაგრამ თუშებმა ერეკლე ირანში არ გაუშვეს. შაჰ-აბასმა ერეკლეს მოუსვლელობა თეიმურაზს დააბრალა. მისი ბრძანებით მხცოვანი მეფე ასტრაბადის ციხეში გამოჰკეტეს, სადაც გარადაიცვალა

კიდეც 1663 წელს. იგი საქართველოში ჩამოასვენეს და ალავერდის მეფეთა სასაფლაოზე დაკრძალეს (23,449-450.39,64.49,398.93,112). თეიმურაზი "იყო ფრიად მხნე და შემართებული მტერთა ზედა, რომელმან მრავალი ძლევანი შეიმოსა სპარსთა და თურქთა ზედა და თვითცა ყოველსა ბრძოლასა შინა უპირველეს მეომრად გამოჩნდის. მრავალნი ძლევანნი და ჭირნი გამოიარა ქართველთათვის სტამბოლის სულთანთან მისვლით, რუსეთს და სპარსეთს შინა მიმოსვლით" (26,26-27). თეიმურაზს ქედი ირანის წინაშე არ მოუხრია. ის 50 წელს ებრძოდა მათ. ამ ბრძოლაში დიდი მსხვერპლი გაიღო საკუთარი ოჯახის ჩათვლით. ბოლოს შაჰის კარზე მივიდა დ იმ ქვეყანაში დალია სული, რომლის წინააღმდეგაც ბრძოლას შესწირა ყველაფერი. მისმა შეუდრეკელმა ბრძოლამ აიძულა ირანის სამეფო კარი ხელი აეღო საქართველოს ჯიქურ გასპარსელებაზე. თეიმურაზის თანამედროვე ირანის შაჰები: აბას I (1587-1629), სეფი I (1629-1642) და აბას II (1642-1666), როდესაც საქართველოსთან მიმართებაში დათმობის პოლიტიკას ატარებდნენ, მასში ლომის წილი თიმურაზის შეუნელებელ ბრძოლას მიუძღოდა. შაჰ-აბას I ისე ჩავიდა საფლავში, რომ "გურჯისტანის" საკითხი (რასაც დიდი მონდომებით ცდილობდა) ვერ გადაწყვიტა. "გურჯისტანის საკითხი" მისი მემკვიდრეებისათვისაც გადაუჭრელი პრობლემა იყო. თეიმურაზი ასევე დიდი მონდომებით იბრძოდა ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცებისათვის. ბრძოლის ამ რთულსა და სიძნელეებით აღსავსე გზაზე დროდადრო ის წარმატებებსაც აღწევდა, მაგრამ იმდროინდელი საქართველოს საშინაო თუ საგარეო მდგომარეობა არ იძლეოდა მყარ საფუძველს ქვეყნის გაერთიანებისათვის. მიუხედავად ამისა, თეიმურაზი ბრძოლას მაინც არ წყვეტდა და თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ის ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლის მედროშედ გვევლინებოდა. მისი იდეები მასთან ერთად არ მომკვდარა ასტრაბადის ცივ კედლებში. ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცებისათვის ბრძოლას ქართლის მეფე ვახტანგ V და მისი მემკვიდრეები ჩაუდგენენ სათავეში.

ვახტანგის მეფობა "სამთავე სამეფოთა: ქართლსა, კახეთსა და იმერეთსა ზედა" არამყარი იყო. არჩილმა ორნახევარი წელი იმეფა იმერეთში და (1663 წლამდე) ბუნებრივია, იმერეთის ტახტის კანონიერ პრეტენდენტს ბაგრატს, რომელიც იმჟამად თბილისში ჰყავდა შაჰ-ნავაზს "საპატიო ტყვეობაში", იმერეთში თავისი მომხრეები ეყოლებოდა. ვახუშტი გვაუწყებს, რომ "აცნობა ახალციხის ასლან ფაშამ ხონთქარს

ვახტანგ მეფისაგან დაპყრობა იმერეთისა” (23,450,837). ახალციხის ფაშას, რომელსაც იმერეთის საქმეები ეკითხებოდა, აქ არჩილის მეფედ დაჯდომის შემდეგ იმერეთი აღარ ეყოლებოდა მის “ნებასა ქუეშე”. ამით აიხსნება მისი გააქტიურება. ასლან ფაშას აქტიურობას ბაგრატის მომხრეებიც უწყობდა ხელს. ამას ზედ ერთვოდა ის გადაულახავი წინააღმდეგობა, რომელიც ქვეყნის გაერთიანებას 1639 წლის ზოჰაბის ზავმა შეუქმნა. აღნიშნული ირან-ოსმალეთის ზავით აღმოსავლეთ საქართველო ირანის, ხოლო დასავლეთ საქართველო ოსმალეთის ვასალად იქნა აღიარებული (აღნიშნული დაყოფა დაკანონებული იქნა ჯერ კიდევ 1555 წელს ამასიის ზავით). ამიტომ იყო, რომ ვახტანგის დასავლეთ საქართველოში გაბატონება ოსმალეთმა ირანის მხრიდან თავის საშინაო საქმეებში ჩარევად მიიჩნია და კატეგორიულად მოთხოვა ირანს არჩილის უკან გაწვევა. როდესაც ვახტანგი დასავლეთ საქართველოში გადავიდა და იმერეთში არჩილი გაამეფა, მან ეს ირანის სამეფო კარს აცნობა და თან შეუთვალა, “როგორც შაჰის დადგენილება იქნება, ისე მოვიქცევიო” (49,401-402). რა თქმა უნდა ვახტანგი, როგორც ირანის ვასალი, შაჰის დადგენილებას უნდა დამორჩილებოდა.

არჩილის იმერეთში გამეფებას ისფაჰანში დადებითად შეხვდნენ, რადგან ამით ირანის პოლიტიკური გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებს სცილდებოდა.

არჩილის იმერეთში გამეფება ოსმალეთში ირანის მხრიდან მის საშინაო საქმეებში ჩარევად ჩათვალეს (49,402.148,121). ამას ზედ დაერთო ახალციხის ფაშასა და ბაგრატის მომხრე თავადთა გააქტიურება, ამიტომ იყო, რომ როდესაც სულთანმა მაჰმუდ IV-მ (1648-1687) მოითხოვა იმერეთიდან არჩილის გაყვანა, შაჰის ბრძანებით ვახტანგმა ეს მოთხოვნა მაშინვე შეასრულა.

ვახტანგი ქართლის ვალი იყო და ოსმალეთის ხელდებულ დასავლეთ საქართველოში დამოუკიდებლად აქტიურ პოლიტიკას ვერ აწარმოებდა. როდესაც მაჰმუდ IV-მ აღნიშნულ ფაქტზე პროტესტი განაცხადა, აბას II ოსმალეთთან “ზავისა და კეთილსათნოების” (49,403) დარღვევას მოერიდა და ვახტანგს არჩილის უკან გაწვევა მოსთხოვა (23,450,837.39,64.49,403.78,105-107). იმერელთა თხოვნით ვახტანგმა იმერეთის ტახტზე ბაგრატი დააბრუნა, რომელსაც თავისი მეორე ძმისწული თათია (თამარის და) გამოატანა საცოლედ (23,837). როგორც ჩანს, მეფე ვახტანგი ასეთი დანათესავებით ცდილობდა შეენარჩუნებინა იმერეთში თავისი გავლენა.

არჩილი შაჰის მოთხოვნით ვახტანგმა ირანში გაგზავნა, რომელსაც გამაჰმადიანების შემდეგ (მას შაჰ ნაზარ-ხანი უწოდეს) შაჰმა კახეთის მეფობა უბოძა და საქართველოში გამოგზავნა (49,403-404). არჩილმა კახეთი 1664 წელს დაიკავა. შაჰმა სცადა იმ დროს თუშეთში მყოფი კახეთის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი ერეკლე თავის მხარეს გადაებირებინა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ამიტომ მან კახეთის მეფედ არჩილი დაამტკიცა (225,347). როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: შაჰმა ამით არჩილი მოიმადლიერა, ერეკლეს კი ძლიერი მოქიშპე გაუჩინა (115,269).

კახეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს ისღა რჩებოდა, რომ მეფობა ან მახვილით მოეპოვებინა, ან ხალათით. 60-იანი წლების დასაწყისში თეიმურაზის შვილიშვილმა პირველი გზა აირჩია (201.37). ერეკლე ბატონიშვილსა და მამა-შვილს შორის რამდენიმე ბრძოლა მოხდა. ვახტანგთან გამკლავება მას ძალზე გაუჭირდა. 1664 წელს თორღვას ციხის ალყის დროს ვახტანგს ჰქონდა შესაძლებლობა ერეკლე ბატონიშვილის დაპატიმრებისა, მაგრამ იგი უვნებლად გაუშვა (23,451,603). ამასთან დაკავშირებით პროფ. გ. ჯამბურია წერს: "ვახტანგმა ასეთი ნაბიჯი პოლიტიკური მოსაზრებით გადადგა და ეს საქციალი (ერეკლეს გაშვება) იმავე მიზანს ისახავდა, როგორც როსტომ მეფისა, რომელმაც 1648 წელს ალყაში მოქცეული თეიმურაზი უვნებლად გააცილა იმერეთში. ის სწორად მსჯელობდა, რომ ქრისტიანი ერეკლეს თავისუფლად ყოფნა და მისი ბრძოლა კახეთისათვის (იგულისხმებოდა, რომ ერეკლე თურქეთის მომხრე იყო) ირანის შაჰს აიძულებდა ეცნო ქართლ-კახეთის გაერთიანება და გარკვეული ანგარიში გაეწია ვახტანგისა და არჩილისათვის, რომლებიც მართალია გარეგნულად, მაგრამ მაინც მაჰმადიანები იყვნენ და ირანის ვასალობას აღიარებდენ. (225.347). ვახტანგის მიერ ერეკლეს უვნებლად გაშვება იმითაც აიხსნება, რომ ქართლის მეფეს ხელს არ აძლევდა მისი დატყვევება და ირანში გაშვება. ერეკლე ყველაზე ნაკლები ზიანის მომტანი ვახტანგისა და არჩილისათვის მაშინ იქნებოდა, თუ ისევ რუსეთის სამეფო კარზე აღმოჩნდებოდა. 1660-1664 წლებში ვახტანგმა კარგად დაინახა, რომ მოსკოვი ერეკლეს სამხედრო ძალებით არ დაეხმარებოდა. ე.ი. სანამ ერეკლე რუსეთში იქნებოდა არჩილს შეეძლო კახეთი მშვიდად ემართა. ერეკლეს ირანში მოხვედრის შემთხვევაში იგი საუკეთესო იარაღად იქცეოდა შაჰის ხელში ქართლ-კახეთის მეფეების წინაამღდეგ

(200,105,201,44). ერეკლე ბატონიშვილმა, რომელმაც ვერ შესძლო თავისი სამკვიდრო კახეთის მოპოვება 1666 წელს დაბრუნდა მოსკოვში” (192,152).

ქართლ-კახეთი ფაქტიურად გაერთიანდა, ქართლში ვახტანგი (658-1676) იჯდა, ხოლო კახეთში კი არჩილი (1663-1675). არჩილი კახეთში დამოუკიდებელ პოლიტიკას არ აწარმოებდა, ქართლ-კახეთს ფაქტიურად ვახტანგი განაგებდა. ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი არჩილს ”მეფის (იგულისხმება ვახტანგი) მოადგილედ” (85,89) მიიჩნევს. აღნიშნულს ადასტურებს ვახტანგის მიერ 1664 წელს გაცემული სიგლის შემდეგი სიტყვები: “მას ჟამსა ოდეს კახეთს ჩვენს საბატონოში ვიყვენით, თუშეთიდამ კახის ბატონის შვილი მოვიდა” (82,305-306) და სხვა. მამა-შვილის შეთანხმებული მოქმედების შედეგად ქართლ-კახეთის ძალები გაერთიანდნენ. ფაქტიურად გაერთიანებული აღმოსავლეთ საქართველო სერიოზულ ძალად იქცა. ქვეყანაში მშვიდობიანობა ჩამოვარდა.

ვახტანგის ავტორიტეტი და გავლენა მეზობელ სამეფო-სამთავროებზეც დღითიდღე იზრდებოდა. 1664 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში პატრი სერაფინო რომის პაპს ატყობინებდა, რომ ამ მეფეს (ე.ი. ვახტანგს) საქართველოს უდიდესი მთავრებიც ემორჩილებიან, მისი დიდი პატივისცემა აქვთ და ეშინიათ კიდევაც მისი, მისი სიმდიდრისა, თუ მისი ძლიერების გამო (141,128). თუ აღმოსავლეთ საქართველოში მშვიდობა ჩამოვარდა, დასავლეთ საქართველოში კვლავ ანარქია მძვინვარებდა.

“ვახტანგ V-ემ მართალია ვერ შეძლო იმერეთის შემოერთება – აღნიშნავს დ. კაჭარავა, მაგრამ მარტო ქართლ-კახეთიც მის ხელში საკმაო ძალას წარმოადგენდა. ვახტანგი იმდენად გაძლიერდა, რომ ირანის შაჰის ბრძანებებს ხშირად აღარ ასრულებდა” (148, 133). მართალია, ქართლ-კახეთში მშვიდობა დამყარდა, მაგრამ თავადური სისტემის დროს მშვიდობიანი ურთიერთობა ძალიან პირობითი მცნებაა. მართალია, კახეთი დამშვიდდა და ერეკლე - კახეთის სამეფოს პრეტენდენტი კვლავ მოსკოვში დაბრუნდა (1666 წელს), მაგრამ კახეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს აქ ბევრი მომხრე ჰყავდა. ისინი არჩილს უზურპატორად თვლიდნენ. არჩილის მეფობა კახეთში იურიდიულად რომ გაემართლებინა – კახეთის “უმეტეს მკვიდრად დაპყრობისათვის” (23,603). ვახტანგმა ახალციხის საფაშოდან ჩამოიყვანა თეიმურაზ

პირველის შვილიშვილი, ერეკლეს და (იმერეთის მეფის ბაგრატ IV-ის ცოლყოფილი) ქეთევანი და ცოლად შერთო არჩილს 1667 წელს. (23.603.39,64.93,117).

გაძლერებული ქართლ-კახეთი სერიოზული ძალა გახდა, "რომლის მახვილი ირანის წინააღმდეგ იყო მიმართული" (148,128). ასეთ პირობებში ქართლ-კახეთის მეფეთა ირანისადმი მორჩილება საეჭვო იყო. საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებების მიღება, რომ გაძლიერებული ყმები აშკარა ურჩობის გზაზე არ დამდგარიყვნენ. "ამ მიზნით შაჰმა წყალობის თვალით შეხედა შაჰნავაზის მოწინააღმდეგე დიდებულებს. უხვი საჩუქრებითა და ქართლში სამოხელო თანამდებობების დამტკიცებით შაჰი აძლიერებდა ვახტანგის მოქიშპეებს და მათ შორის მტრობა-უნდობლობას ხელოვნურად აღვივებდა" (115,270).

1670-იანი წლებისათვის შაჰ სულეიმანისათვის (1666-1694) აშკარა გახდა, რომ ქართლის მეფის პოლიტიკური ზრახვები ირანის ინტერესებს არ ეთანხმებოდა. ვახტანგი მართლაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოს სამეფო-სამთავროებში და ირანის ბატონობას ძლივსღა ცნობდა. შაჰი კარგად ხვდებოდა, რომ ვახტანგი ხელიდან მიუდიოდა. საქართველოს ცა ისევ შავად იღრუბლებოდა.

შაჰ-სულეიმანმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ასეთი მდგომარეობისათვის. ამისათვის მან ერეკლე ბატონიშვილი გამოიყენა. შაჰმა რუსეთში მყოფი ერეკლე ირანში დაიბარა და მას ქრისტიანობით კახეთის ტახტი აღუთქვა (111,88). ბოლო ხანებში ერთგვარად შეიცვალა ურთიერთობა ქართველ უფლისწულსა და მეფე ალექსი მიხეილის ძეს შორის. ამის შემდეგ ერეკლეს ტახტის დაბრუნება მხოლოდ საკუთარი ძალით ან ირანის შაჰთან მორიგებით უნდა ეცადა. რუსეთის სამეფო კარზე ხანგრძლივი ყოფნით ის დარწმუნდა, რომ აქედან სამხედრო დახმარების იმედი მცირე იყო. საამისოდ რუსეთს არც საშინაო და არც საგარეო ვითარება უწყობდა ხელს. ერეკლეს სამშობლოში გამოშვებას ითხოვდნენ საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური დაჯგუფებები (იქვე). ერეკლეს არ სჯეროდა შაჰის, მაგრამ არც რუსეთიდან დახმარების იმედი ჰქონდა, ამიტომ ის თანდათანობით იმ აზრზე დადგა, რომ შაჰს შეთანხმებოდა. ასე თუ შეძლებდა ერეკლე კუთვნილი კახეთის ტახტის დაბრუნებას. მას შესაძლებელია პრეტენზია ქართლზეც განეცხადებია. როსტომის გარდაცვალებით შეწყდა ქართლის მეფეთა შტო. ვახტანგი კი ქართლის ბაგრატიონთა გათავადებული შტოს –

მუხრანბატონების წარმომადგენელი იყო, რომელთაგანაც ქართლში აქამდე არავის უმეფია.

ერეკლემ გადაწყვიტა გამგზავრებულიყო ირანში, რადგან შაჰთან მოლაპარაკების გასამართავად უკეთესი შემთხვევის პოვნა ძნელი იყო. ვახტანგის გაძლიერებით შეშფოთებულ შაჰს ერთგვარ დათმობაზე შეეძლო წასულიყო კახეთის უფლისწულთან მოლაპარაკების დროს.

1674 წელს მოსკოვიდან წამოსული ერეკლე ბატონიშვილი ჯერ თუშეთში მივიდა, შემდეგ კახეთში (23,604.39,65.54,169). როგორც ვახუშტი აღნიშნავს შაჰმა ერეკლე ვახტანგის და არჩილის "მეტოქედ" მოიყვანა, "რათა დაამდაბლოს გაძლიერებული ვახტანგი" (23,604). არჩილმა ერეკლე პატივით მიიღო, რომელიც რამდენიმე ხნის შემდეგ ირანში წავიდა (23,604.54,169). არჩილის კახეთში მეფობას დიდი სიძნელეები ხვდებოდა. ადგილობრივი ფეოდალები მას არ ემორჩილებოდნენ და ერეკლეს ჩამოსვლას უცდიდნენ. რა თქმა უნდა არჩილსაც ეყოლებოდა მომხრეები გარკვეულწილად კახელ დიდებულთა შორის. კახნი რომ მტკიცედ იდგნენ ერეკლეს "ერთგულების ზედა", ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ირანში მიმავალ ბატონიშვილს კახელებიც თან გაჰყვნენ: "წარიტანა კახნი და წარვიდა ისპაჰანს" – გვაუწყებს ვახუშტი (23,604). სწორედ ერეკლეს მიმართ კახელთა ერთგულებამ განაპირობა სიძის გულთბილი მასპინძლობა ცოლიძმისადმი. გარდა ამისა ეს გულთბილი მასპინძლობა გამოწვეული იყო იმ გარემოებითაც, რომ 60-იან წწ.-დან განსხვავებით, როდესაც მამა-შვილმა სისხლისმღვრელი ბრძოლები გაუმართეს კახელ ბატონიშვილს, ახლა ერეკლეს მეორედ წამოსვლისას მოსკოვიდან ვითარება მკვეთრად იყო შეცვლილი. მისთვის ახლა ბრძოლების გამართვა შაჰის წინააღმდეგ აშკარა გამოსვლად ჩაითვლებოდა. უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ არჩილსაც და ვახტანგსაც სპეციალური ბრძანება ჰქონოდათ ირანიდან მიღებული ერეკლეს გულთბილად დახვედრის თაობაზე. აწყობდა თუ არა ეს ქართლის გამგებელს, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

თუ კი შაჰ სულეიმანი აქტიურად მოქმედებდა, "რათა დაამდაბლოს გაძლიერებული ვახტანგ" და მამა-შვილს "მეტოქედ" კახელი უფლისწული ერეკლე მოუვლინა, არც ვახტანგი იყო გულ-ხელდაკრეფილი. "ვახტანგ V-ემ, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ირანის წინააღმდეგ მოკავშირედ თურქეთი მიიჩნია. ის

თურქეთის მხარდაჭერით აპირებდა აჯანყებას და ქართლ-კახეთის განთავისუფლებას ირანის ბატონობისგან" (148,141).

ვახტანგ V-ის აჯანყების შესახებ ქართულ წყაროებს არ შემოუნახავთ პირდაპირი ცნობა, მაგრამ აღნიშნული აჯანყების მიახლოებითი სურათის აღდგენა მაინც ხერხდება წყაროთა შეჯერების და ანალიზის გზით. ვახუშტი შემდეგ ცნობას გვაწვდის: "არამედ შიხალი-ხან არ დასცხრა მტრობად მეფისა და იდუმალ ეზრახოდა ახალციხის ფაშას ქრთამის მინიჭებითა, რათა წარიყვანოს ერთი რომელიმე ძე მეფისა, ხოლო ფაშამ ჭირიანობის გამო, რომელი მწირობა ქართლს გარდააქცია ლუარსაბ, ძე მეფისა დამპყრობად იმერეთისად წარავლინა ახალციხეს, რამეთუ ლუარსაბის ცოლი დისწული იყო რაჭის ერისთავის შოშიტასი. სცან რა ესე მეფემან, შეუძნდა ფრიად არამედ ვერარაი არგო და ვერც რაი შეუძლო ლუარსაბ ყოფად. შემდგომად წარუდგა კუალსა მისსა არჩილ მეფე, ძე შანაოზისა და იგიცა მისვლად ახალციხესა და დაპყრობად იმერეთისად. ამისა მცნობი მეფე შანაოზ ფრიად წყინებული წარმოუდგა ძესა თვისსა და ვერა ეწია მას. არამედ მისწია კათალიკოზი, რათა მოიქცეს და აცადოს დღე სიკვდილისა მეფესა და შემდგომად რაი იგი ენებოს, ჰყოს. გარნა არჩილ არღარა ისმინა, არცა შეიგონა ვედრება მამისა თვისისა. მცნობელი მეფე მოვიდა ტფილისსავე ფრიად გულკლებული მისგან. მერმე აცნობა ყოველივე ესე შანათზ მეფემან ყეენსა უგულებელყოფა ძეთა თვისთაგან, ერთგულობა და უცოდველობა თვისი" (23,455-456).

არსებითად ასეთსავე ცნობას გვაწვდის ფ. გორგიჯანიძეც: "რევაზის ქალი მეფემ თავის შვილს ლუარსაბს უთხოვა რითაც რევაზ ერისთავი რაჭის ერისთავის სიძე იყო. იმის გამოღმით იმერეთის ბატონობა ლუარსაბ მოინდომა და ახალციხის ფაშასთან მივიდა და მრავალი ქრთამი მისცა, რომ ხონთქრისაგან იმერეთის მეფობა მას ეშოვნოს. ვითაც დიდი ხანი იყო არჩილ იმერეთის შოვნას ცდილობდა, ამისთვის ლუარსაბის წასვლა კახმან ბატონმან თავის მამას დააბრალა, გაუავგულდა და ცოლ-შვილი უკან აადევნა. ... თვითონ ახალციხის ფაშასთან მივიდა და მრავალი ფეშქაში მიართვა და სხვასაც მრავალს დაჰპირდა, რომ ხონთქრისაგან იმერეთის მეფობა ეშოვნოს" (39,66). განსხვავება ვახუშტისა და ფარსადანის ცნობებს შორის მხოლოდ იმაშია, რომ ვახუშტი ლუარსაბის ახალციხის ფაშასთან წასვლის ინიციატივას შიხალი ხანისა და ფაშას

მიაწერეს, ფარსადანი კი თვითონ ლუარსაბს. შაჰმა არჩილის წასვლა ვახტანგს დააბრალა იმავე ავტორთა ცნობით და ეს უკანასკნელი ირანში დაიბარა (23,456.39,66).

ამ უკანასკნელთა სიტყვით არჩილი ვახტანგის ნების წინააღმდეგ წავიდა ფაშასთან (იქვე), მაგრამ ფარსადანს მოეპოვება ამის საწინააღმდეგო ცნობაც, როდესაც არჩილი ფაშასთან წავიდა "მამაც ბევრს უგზავნიდა იმერეთის შოვნის გულისათვის" (39,67), როგორც ვხედავთ არჩილს ვახტანგი აფინანსებდა. თუ არჩილი მამის ნებართვის გარეშე წავიდა ფაშასთან, მაშინ რატომ უწევდა მას ვახტანგი ფინანსურ დახმარებას "იმერეთის შოვნის გულისთვის?". საქმის ნამდვილი ვითარება ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ, ვახტანგ V-ემ გადაწყვიტა აღმოსავლეთ საქართველოს განთავისუფლება ირანის გავლენისაგან. ამ მიზნის მისაღწევად მას გარეშე დამხმარე ძალა ჭირდებოდა. საერთაშორისო ვითარება ისეთი იყო, რომ ირანის წინააღმდეგ მოკავშირედ მაშინ მხოლოდ თურქეთის გამოყენება შეიძლებოდა. ვახტანგსაც დაუწყია მოლაპარაკება თურქეთთან. როგორც ჩანს, მოლაპარაკება წარმატებით დამთავრებულა. ამგვარად, არჩილის წასვლა მომხდარა არა ვახტანგის ნება-სურვილის წინააღმდეგ, როგორც ვახუშტი და ფარსადანი წერენ, არამედ მისსივე თანხმობით. ვახტანგის გეგმაში შედიოდა არჩილის გამეფება იმერეთში. ქართლ-კახეთი კი თვითონ მას უნდა ჭეროდა. ამით მოხდებოდა საქართველოს ფაქტიური გაერთიანება (148,145). ამგვარად, შაჰ-სულეიმანის მიერ ერეკლეს მიწვევამ რაც ვახტანგის გაძლიერების გამო მოხდა ხელი შეწყო ვახტანგის მიერ ირანის წინააღმდეგ გამოსვლას. არჩილის ახალციხეში გადასვლის დროს "მორჩილებდნენ კახნი შანაოზ მეფესა" (23,604). ე.ი. აღმოსავლეთ საქართველოს ორივე ტახტს ვახტანგი ფლობდა, ხოლო არჩილს "ბევრს უგზავნიდა იმერეთის შოვნის გულისათვის" (39,67).

მოვლენები ისე განვითარდა, რომ ვახტანგის გეგმის განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა. "თურქეთმა ვერ შეძლო საქართველოსთვის დახმარების გაწევა, რადგან XVII ს-ის შუა წლებისათვის მისი საერთაშორისო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ამიტომ მას არ შეეძლო აღმოსავლეთ საქართველოს საქმეებში ჩარევა და ირანთან ურთიერთობის გამწვავება. ცხადი იყო, რომ ირანი აღმოსავლეთ საქართველოს დაკარგვას ადვილად არ შეურიგდებოდა" (148,145-147). თურქეთის მიერ ირანის "კუთვნილი" ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა 1639 წლის ზოჰამის ზავის

დარღვევას ნიშნავდა, რაც ისედაც გამწვავებული საერთაშორისო ვითარების პირობებში თურქეთისათვის არახელსაყრელი იყო.

ვახტანგმა, პოლიტიკური მარცხი განიცადა. იგი განრისხებული შაჰის პირისპირ მარტო დარჩა. "შაჰს მართლაც რომ ჰქონდა განრისხების მიზეზი. მისი ვასალი ირანის მოსისხლე მტერს მიუდიოდა" (148.147). ვახტანგმა დიპლომატიური ხერხი იხმარა, "აცნობა ყოველივე ეს შანაოზ მეფემან ყეენსა, უგულვებელყო ძეთა თვისთაგან, ერთგულება და უცოდველობა თვისი" (23,456), რომ "არამც მტერმან ჩემი თავი ტყულიად შემოგაბეზღონო" (39, 67). ე.ი. არჩილი ჩემი ნების წინააღმდეგ გაიქცა და მე არაფერ შუაში ვარო. როგორც დ. კაჭარავა შენიშნავს, "ასეთი გაქცევა" უცხო არ იყო ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, არც ვახტანგამდე და არც მის შემდეგ. გავიხსენოთ ალექსანდრე კახთა მეფის ძის ერეკლეს "გაქცევა" თურქეთში და სულხან-საბას "გაქცევა" ევროპაში (148-148). არჩილის ფაშასთან "გაქცევის ვერსია ოფიციალურად გამოცხადდა ვახტანგის კარზე შაჰის თვალის ასახვევად. შაჰმა სულეიმანმა კარგად იცოდა ვახტანგის ერთგულების ამბავი. ვახტანგიც გრძნობდა, რომ შაჰის მოტყუება არც ისე ადვილი იყო, ამიტომ გადაწყვიტა თვითონ ხლებოდა ყაენს და თავი ემართლებინა. "შაჰ ნავაზ მეფემ ყაენს არზა მისწერა... ერთი კაცი გვიბოძეთო" – გვაუწყებს ფარსადანი (39,67), "ხოლო შაჰ-სულეიმან მისწერა მისვლად მის წინაშე" (23,456). ესეც დიპლომატიური ხერხი იყო, რადგან "წარსვლის მეტი ღონე აღარ იყო" (39,67), ვახტანგი შაჰთან წავიდა და ქვეყანა თავის ვაჟს გიორგის ჩააბარა (23,456.91,4). ვახტანგმა ისფაჰანამდე ვერ მიაღწია, გზაში ხოშკარს გარდაიცვალა 1676 წელს. ის წაასვენეს და ყუმში დაკრძალეს (1,80-83.16,343.165,384-386).

სომეხი ისტორიკოსი ზაქარია აბულეცი ვახტანგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით აღნიშნავს "ზოგნი ამბობენ თვითონ მოკვდაო, ზოგნი - მოწამლესო" (1,83.16,343). პატრი იოსები 1677 წელს რომში გაგზავნილ წერილში იუწყება სპარსელებისგან მოწამლული მეფის (ვახტანგის) სიკვდილზე (141,251). ისმება კითხვა, რატომ უნდა მოეწამლათ ვახტანგი ისფაჰანში ჩასვლამდე? ვახუშტის ცნობით, შაჰთან მიმავალმა ვახტანგმა ქართლის გამგებლად დატოვებულ გიორგის "აუწყა, რათა განაგრძოს ერისთავი ქსნისა იესე, რომელ იყო უკუმდგარი" (23,456). როგორც ჩანს, იესე

ქსნის ერისთავი არ მიემხრო ირანის წინააღმდეგ ვახტანგის აჯანყებას და განუდგა მეფეს.

გიორგი და მისი ძმა ლევანი ქსნის საერისთაოს შეესივნენ, მაგრამ იესე ხელში ვერ ჩაიგდეს. ის გაიქცა და შაჰთან ჩავიდა. ეს ამბავი ვახტანგმა ყაზვინს გაიგო (იქვე). თუ კი ვახტანგს კიდევ ჰქონდა რაიმე იმედი შაჰის წინაშე თავის მართლებისა, შაჰთან, მის მოწინააღმდეგე ფეოდალის იესეს ჩასვლამ მას ეს იმედიც დაუკარგა. აქედან გამომდინარე დ. კაჭარავას და ლ. დავლიანიძეს მიაჩნიათ, რომ ვახტანგმა შაჰის კარზე წამებას თავის მოწამვლა არჩია და საწამლავი მიიღო (1,13.148,148). სავარაუდოა, რომ ვახტანგის მოწამვლაში შაჰის ხელი ერია. კარგა ხანია ვახტანგი შაჰს აღარ ემორჩილებოდა და მის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი. ამიტომ აუცილებელი გახდა ურჩი ვასალის თავიდან მოშორება. საქართველოში გამოსაგზავნად შაჰს უკვე გამზადებული ჰყავდა 1674 წლიდან მის კარზე მყოფი თეიმურაზ I-ის შვილიშვილი ერეკლე.

ვახტანგ V, XVII ს-ის 60-70-იანი წლების საქართველოში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას წარმოადგენდა. მთელი თავისი 18 წლიანი მეფობის პერიოდი მან საქართველოს ცალკეული კუთხეების გაერთიანებისათვის ბრძოლას მოახმარა. "ორსავე ტახტის ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელ-მპყრობელობის" მოპოვების მიზანს ემსახურებოდა მისი ბრძოლა ურჩ თავადების წინააღმდეგ, ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში და თავისი შვილის არჩილის ჯერ იმერეთში, შემდეგ კახეთში გამეფება.

ვახტანგის დაწყებული საქმე - ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა მისმა მემკვიდრეებმა გიორგიმ და არჩილმაც განაგრძეს, მაგრამ იმ დროს გამაერთიანებელი მოძრაობისათვის შექმნილ მეტად არახელსაყრელი პირობების გამო მათი მცდელობაც უშედეგო აღმოჩნდა.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. XVI ს-ის დამდეგიდან საქართველოში შექმნილ ვითარებას - ქვეყნის დაშლას ცალკეულ სამეფო-სამთავროებად ქართველი მეფეები არ შერიგებიან. ამავე საუკუნის

დასაწყისიდანვე იმერეთის მეფე ალექსანდრე II-მ სცადა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღდგენა. მან ქართლის გარკვეული ნაწილიც კი დაიკავა, მაგრამ შიდა პოლიტიკური ფაქტორებზე მეტად მის ქმედებას გარე ფაქტორებმა, კერძოდ კი ოსმალთა მარბიელი ლაშქრის იმერეთში მოულოდნელმა გამოჩენამ შეუშალა ხელი.

ალექსანდრეს შემდეგ ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა მალე განახლდა ამჟამად კახეთიდან, გიორგი ალექსანდრეს ძის ხელმძღვანელობით, რომელიც შეეწირა კიდეც ამ ბრძოლას. გიორგის დაღუპვის შემდეგ "ორსავე ტახტისათვის ბრძოლას ქართლის მეფე დავით X-მ უთავა. მან გარკვეული დროით (1513-1520წწ) შესძლო ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანება, მაგრამ საგარეო ფაქტორებთან (ჯერ ოსმალების და შემდეგ ირანელების მარბიელმა ლაშქრობებმა ქართლში) ერთად ამ სამეფოთა ერთიანობის საფუძველს ნიადაგი გამოუცალა ქვეყნის შიგნით შექმნილმა არახელსაყრელმა გარემოებამაც. ქვეყნის გაერთიანება და ცენტრალური ხელისუფლება განმტკიცება, მიუღებელი იყო როგორც ქართლის ისე კახეთის თავადების ერთი ნაწილისათვის, რომელთა საერთო ქართული საქმისადმი ღალატის გამო ქართლ-კახეთის ერთიანობამ მხოლოდ 7 წელი გასტანა.

2. ერთიანი ქათული ფეოდალური მონარქიის აღსადგენად XVI ს-ის 30-50 იან წლებში თავგამოდებით იბრძოდნენ ქართლის მეფე ლუარსაბ I და იმერეთის მეფე ბაგრატ III. ბაგრატმა ერთ ხანს იმერეთის სამეფოსთან სამცხე-საათაბაგოს შეერთებაც კი მოახერხა, მაგრამ ქვეყნის გაერთიანების მოწინააღმდეგე მესხი თავადდების ერთი ჯგუფისა და გარეშე მტრების (ოსმალების) ერთობლივი მოქმედების შედეგად იმერეთ-სამცხის ერთიანობამ სულ რაღაც 10 წელი (1535-1545) გასტანა.

ქვეყნის გამოხსნა-აღდგომას მთელი თავისი მეფობის მანძილზე ცდილობდა ლუარსაბ I. ის არასოდეს გამოდიოდა მხოლოდ საკუთარი სამეფოს (ქართლის) ვიწრო ინტერესებიდან მისი ბრძოლა მთელი ქვეყნის გაძლიერება-განმტკიცებისაკენ იყო მიმართული.

3. ქართული ფეოდალური მონარქიის დაშლის პროცესი დასავლეთ საქართველოში XVI ს-ის შუა ხანებამდე გაგრძელდა. ბაგრატ III-ის დიდი მცდელობისდა მიუხედავად აღნიშნული საუკუნის 50-იან წლებში გურიისა და

სამეგრელოს მთავრებმა, რომლებიც ნომინალურად სცნობდნენ იმერეთის მეფის უზენაესობას, მისგან დამოუკიდებლობა მოიპოვეს, რაშიც ცენტრალური ხელისუფლება იმერეთში უფრო დაასუსტა.

4. XVI ს-ის 60-70-იან წლებში დასავლეთ საქართველოში დაკარგული ჰეგემონიის აღსადგენად და მთავრების დასამორჩილებლად ბრძოლა განაგრძო ბაგრატის მემკვიდრე გიორგი II-მ, მთავრები უკვე მოპოვებულის დაკარგვას არ აპირებდნენ. გიორგი II-ის ბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მეფე-მთავრებს შორის დროებით მშვიდობა დამყარდა, რომელმაც მისი მეფობის ბოლო წლებამდე ძლივს გასტანა.

გარეშე მტრებთან ბრძოლასთან ერთად XVI ს-ის 80- იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში "ორსავე ტახტის მფლობელ-მპყრობელობისათვის" აქტიურად იღწვოდა ქართლის მეფე სიმონ I. ის თავგამოდებით ცდილობდა იმერეთის სამეფოს შეერთებას ქართლთან, მაგრამ ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა. იმერელმა თავადებმა გადამწყვეტ მომენტში მაინც საკუთარი მეფის "ერთგულებასა ზედა" ყოფნა არჩიეს და სიმონის არ მისცეს საშუალება "ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერის მფლობელ-მპყრობელობისათვის" წარმოებული ბრძოლა წარმატებით დაეგვირგვინებინა.

5. ქვეყნის გაერთიანების პრობლემა ქართველ მეფეთათვის მომდევნო პერიოდშიც აქტიურად იდგა. XVII ს-ის პირველ მესამედში ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობდა კახეთის მეფე თეიმურაზი. მან მოახერხა ქართველ მეფე-მთავართა დროებით კავშირის შეკვრა. აღნიშნულ ალიანსს მყარი ნიადაგი არ გააჩნდა. მას ჯერ ქართლის მეფე ლუარსაბ II გამოეთიშა, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შორის იჩინა თავი უთანხმოებამ.

ამავე პერიოდში ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის აღდგენისათვის თავგამოდებით იბრძოდა ქართლის მოურავი გიორგი სააკაძე რომლის პროგრესული იდეები მიუღებელი აღმოჩნდა დიდი თავადებისათვის. ამ იდეების განხორციელებისათვის ბრძოლას შეეწირა კიდეც თავისი დროის ეს უდიდესი ქართველი მოღვაწე.

კახეთის მეფე თეიმურაზმა XVII ს-ის 20-იანი წლების დასასრულს რამდენიმე წლით მოახერხა ქართლისა და კახეთის სამეფოთა გაერთიანება. ამ ორი ტახტის მტკიცედ პყრობისათვის გზიდან ქართლის ტახტის კანონიერი პრეტენდენტი სიმონ-

ხანიც კი ჩამოიცილა, მაგრამ ამ სამეფოთა ერთიანობა მაინც ხანმოკლე აღმოჩნდა. ამის მიზეზი იმ დროის ირანის სამეფო კარზე მყოფი ქართლის ბაგრატიონთა შტოს წარმომადგენლის ხოსრო-მირზას, იგივე როსტომის გააქტიურება იყო, რომლის საქართველოში ჩამოსვლა დააჩქარა თეიმურაზის მონაწილეობამ ყარაბაღის მმართველ დაუდ-ხან უნდილაძის მიერ ირანის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში, რის შედეგადაც თეიმურაზმა არა მარტო ქართლი, არამედ კახეთიც დაკარგა.

6. თეიმურაზმა ისევ განაგრძო ბრძოლა დაკარგული ტახტის მოსაპოვებლაად. მან მხოლოდ კახეთის დაბრუნება შესძლო, მაგრამ როსტომთან გამუდმებული ბრძოლების შედეგად ისიც დაკარგა ამის შემდეგ ქართლიც და კახეთის როსტომის მფლობელობაში გადავიდა მიუხედავად იმისა, რომ ის ქართლის ტახტზე შაჰის მიერ ხელდასმული გამაჰმადიანებული ქართველი მმართველი იყო, როგორც ბაგრატიონს, მასაც არანაკლები პრეტენზიები ჰქონდა "ორსავე ტახტის" მფლობელობაზე. ის ყოველთვის ქართულ საქმეს აკეთებდა, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ირანის სამეფო კარზე. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ შაჰმა როსტომს კახეთი ჩამოართვა. ქართლისა და კახეთის ერთიანობა ისევ დაირღვა.

XVII ს-ის 60-იანი წლებიდან სამეფო-სამთავრობოებად დაშლილი საქართველოს მთლიანობის აღსადგენად ბრძოლას სათავეში ჩაუდგა როსტომის მემკვიდრე ვახტანგ V. მან ერთხანს შესძლო სრულიად საქართველოზე თავისი გავლენის გავრცელება, მაგრამ ქვეყანაში არსებული არასტაბილური მდგომარეობის გამო მოპოვებული წარმატება დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

წყაროები და ლიტერატურა

ა) წყაროები

1. აგულეცი ზ. "დღიური", ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბილისი 1979.
2. ავიტაბილე პიეტრო. ცნობები საქართველოზე (XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბ. გიორგაძისა. თბილისი. 1977.

3. ალასანია გ. აბდულ აზიზ ყარა ჩელები-ზადეს ცნობები საქართველოს შესახებ, “საისტორიო კრებული”. ტ. VI. თბილისი 1976.
4. ალექსი იევლევის 1650-1652 წწ. იმერეთში ელჩობის საანგარიშო აღწერილობა (“მუხლობრივი აღწერილობა”), რუსული ტექსტი ხელნაწერების მიმოხილვითა და ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი 1969.
5. ანთელავა ი. ლევან II დადიანის წერილი რომის პაპ ურბან VIII-ეს. ჟურ. “ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში”. №1 1967.
6. არჩილი. თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. ალ. ბარამიძის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტ. II. თბილისი. 1937.
7. ასათიანი ნ. მასალები XVII საუკუნის საქართველოს ისტორიისათვის. თბილისი. 1973.
8. ახალი ქართლის ცხოვრება. მესამე ტექსტი. ტექსტი დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. “ქართლის ცხოვრება”. ტ. II. თბილისი. 1959.
9. გელაშვილი ნ. მაჰმუდ ნათანზის ცნობები საქართველოს შესახებ. “მაცნე”. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების იტორიის. სერია. №1. 1983.
10. გელაშვილი ნ. სპარსული წყარო საქართველოს შესახებ. “ცისკარი”. №8. 1975.
11. გელაშვილი ნ. ცნობები საქართველოს შესახებ სპარსულ ისტორიულ თხზულებებში. “ალამ არაი-ე შაჰ ისმაილ”. “მაცნე”. ისტორიის სერია №3. 1984.
12. გვაზავა გ. საქართველო-საფრანგეთი (ისტორიული მიმოხილვა). კლოდ გალენგრი. ქ. შირაზში ქეთევან დედოფლის მოწამეობრივი სიკვდილის შესაზებ. “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”. ტ. III. თბილისი. 1996.
13. გიორგაძე ბ. XVII ს-ის დასაწყისის პორტუგალიელი ელჩის ანტონიო დე გოვეას რელაციონი საქართველოზე. “საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები”. ტ. I. თბილისი. 1970.
14. გიორგაძე ბ. ულუგ ბეგ ბაიათი და მისი რელაციონი საქართველოზე. “ევროპის ქვეყნების ისტორიის პრობლემები”. წ. I. თბილისი. 1975.

15. გრიგოლია კ. “ლორის წმინდა გიორგის ხატის წარწერა”. “აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის მოამბე” (ენიშკის მოამბე). ტ. XIII. თბილისი. 1942.
16. დავლიანიძე ლ. ზაქარია აქულისელის ცნობები საქართველოს შესახებ, “ქართული წყაროთმცოდნეობა”. ტ. III. თბილისი. 1971.
17. დავრიჟეცი არაქელ, ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი, შესავალი და კომენტარები კ. კუციასი. თბილისი. 1975.
18. დელა ვალე პიეტროს მოხსენება საქართველოზედ პაპ ურბან მერვისადმი. 1627 წ. ჟურნ. “ივერია”, №3. 1879.
19. დუნდუა ნ. სიმონ I-ის ერთი ორენოვანი (ქართულ-სპარსული) საბუთი, “სპარსულ-ქართული ცდანი”. თბილისი. 1987.
20. დუნდუა ნ. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები, “სპარსულ-ქართული ცდანი”. თბილისი. 1983.
21. ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება. პირველი ტექსტი, “ქართლის ცხოვრება”, ტ. II. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი. 1959.
22. ევლია ჩელების მოგზაურობის წიგნი. თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ. თბილისი. 1971.
23. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსი. “ქართლის ცხოვრება”. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. IV. თბილისი. 1973.
24. თავრიზელი არაქელ. თარგმნა კ. კუციამ. ჟურნ. “ივერია”. ¹6. 1885.
25. თარხ-ე ჯაჰან არა-ს ცნობები საქარველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ნ. გელაშვილმა. “სამი სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ”. თბილისი. 1990.
26. თაყაიშვილი ე. საისტორიო მასალანი. წ. I. ტფილისი. 1913.
27. თაყაიშვილი ე. საისტორიო მასალანი. წ. II. ტფილისი. 1913.
28. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები (1577-1581). იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და კომენტარები დაურთო ე. მამისთვალაშვილმა. თბილისი. 1987.

29. თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის. თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევებითა და შენიშვნებით გამოსცა ც. აბულაძემ. თბილისი. 1983.
30. იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. ტექსტი თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ს. ჯიქიამ. თბილისი. 1964.
31. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-სამეგრელოს სამთავროებისა (1466-1770). ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ. წ. I. თბილისი. 1978.
32. ისქანდერ მუნში. "აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება". ტექსტი სპარსულიდან თარგმნა, გამოკვლევა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბილისი. 1981.
33. ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შენიშვნებითურთ გამოსცა ვ. ფუთურიძემ. თბილისი. 1969.
34. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ტ. II. ტფილისი. 1921.
35. კაკაბაძე ს. ისტორიული საბუთები. წ. II. ტფილისი. 1913.
36. კაკაბაძე ს. ისტორიული საბუთები. წ. III. ტფილისი. 1913.
37. კაკაბაძე ს. ისტორიული საბუთები. წ. VI. ტფილისი. 1913.
38. კაკაბაძე ს. სამართალი კათოლიკეზისა და მისი შედგენის დრო. ტფილისი. 1913.
39. კაკაბაძე ს. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. თბილისი. 1926.
40. კაკაბაძე ს. ქრონიკა იკორთის. [1]6. ჟანგულანი. ტფილისი. 1911.
41. კასტელი კრისტეფორო. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ. ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ბ. გიორგაძემ. თბილისი. 1977.
42. კაციტაძე დ. საქართველოს ისტორიის სპარსული დოკუმენტური წყაროები. "კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული". ტ. II. თბილისი. 1962.
43. კაციტაძე დ. ფუმენის ცნობები საქართველოს შესახებ. "აღმოსავლური ფილოლოგია". ტ. III. თბილისი. 1973.
44. კუცია კ. გრიგოლ დარანალცის ცნობები სიმონ I-ის სტამბულში ტყვეობის შესახებ. "საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები". წ. I. თბილისი. 1976.

45. ლამბერტი არქანჯელო. “სამეგრელოს აღწერა”. თარგმანი იტალიურიდან ა. ჭყონიასი. თბილისი. 1938.
46. ლუის ხილი ფერნანდერის და ხოსე მანუელ ფლოროსტარი. ქართველი მეფეების წერილები, სიმონ I-ის ქართლიდან ფილიპე II-ეს და თეიმურაზ I-ის კახეთიდან ფილიპე IV-ეს. “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”. ტ. II. თბილისი. 1995.
47. მაჭარაძე ვ. ჩანაწერები თეიმურაზ I-ის მოლაპარაკებისა რუსეთში 1658წ. “თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები” (თსუ შრომები). ტ. 113. 1965.
48. მეჰმედ რადიშის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა. თბილისი. 1976.
49. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტის თარგმანი და შენიშვნები ვ. ფუთურიძისა. “მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის” (მსკი). ნ. 30. თბილისი. 1954.
50. მუსტაფა ნაიმას ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევებითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბილისი. 1979.
51. მცირე ქრონიკები (კინკლოსები. ისტორიული მინაწერები), ტექსტი გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბილისი. 1968.
52. ნაყავათ ალ-ასარის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. “სამი სპარსული წყარო XVI ს-ის საქართველოს შესახებ”. თბილისი. 1990.
53. პაიჭაძე გ. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1652-1658). “საისტორიო მოამბე”. ტ. 19-20. თბილისი. 1965.
54. პაიჭაძე გ. მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1660-1685). “საისტორიო მოამბე”. ტ. 23-24. თბილისი. 1970.
55. პაიჭაძე გ. რამდენიმე საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის II ნახევარში. “საისტორიო მოამბე”. ტ. 27-28. თბილისი. 1973.
56. პარიზის ქრონიკა. ზ. ჭიჭინაძის რედაქციით. ტფილისი 1903.

57. ჟორდანია თ. ისტორიული საბუთები შიო მღვიმის მონასტრისა. ტფილისი. 1896.
58. საითიძე გ. ახალი წყაროები იმერეთ-რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წწ.) "ქართული დიპლომატია (წელიწდეული)". ტ. II. თბილისი. 1995.
59. საითიძე გ. მასალები რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 50-იანი წწ.) "ქართული დიპლომატია (წელიწდეული)". ტ. V. თბილისი. 1998.
60. სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაძისა. თბილისი. 1961.
61. საქართველოს ისტორიის ქრონიკები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და საძიებელბი დაურთო ა. იოსელიანმა. თბილისი. 1961.
62. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ad.
63. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Hd.
64. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტ. II. ტფილისი 1909.
65. საქართველოს სიძველენი. ე. თაყაიშვილის რედაქციით. ტ. III. ტფილისი 1909.
66. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. თარგმნა ვ. ფუთურიძემ წ. I. ნ. I. თბილისი. 1961.
67. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. თარგმნა ვ. ფუთურიძემ. წ. I. ნ. II. თბილისი. 1962.
68. ტაბატაძე კ. შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ. "კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული". ტ. II. თბილისი. 1962.
69. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (XIII-XVI სს.) თბილისი. 1984.
70. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (1600-1628). ტ. II. თბილისი. 1986.
71. ტაბაღუა ი. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში (1628-1633). ტ. III. თბილისი. 1987.
72. ტავერნიეს მოგზაურობიდან. თარგმანი ა. ჭყონიასი. "მოამბე". №6. 1898.

73. ტივაძე თ. მარტყოფისა და მარაბდის ბრძოლების 350 წლისთავის გამო. “მაცნე”. ისტორიის სერია. №3. 1975.
74. ტივაძე თ. მასალები საქართველოს საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან. “საისტორიო მოამბე”. ტ. 45-46. ტფილისი. 1982.
75. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა (1650-1652). რუსული ტექსტი ქართული თარგმანითა და ხელნაწერების მიმოხილვით გამოსაცემად მოამზადა ი. ცინცაძემ. თბილისი. 1970.
76. ტფილელი ი. “დიდმოურავიანი”. გ. ლეონიძის რედაქციით. თბილისი. 1939.
77. უკეთესთაგან უკეთესი (ისტორია) ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარისა. გამოსცა ვ. ფუთურიძემ “მსკი”. ნ. II. თბილისი. 1942.
78. ფეშანგი “შაჰნავაზიანი”. გ. ლეონიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბილისი. 1935.
79. ფუთურიძე ვ. მუსტაფა სელანიჯი საქართველოს შესახებ. “თსუ შრომები”. ტ. 91. 1960.
80. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმანი, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბილისი. 1978.
81. ქართულ-სპარსული (ორენოვანი) ისტორიული საბუთები (XVI-XVIII სს.) ტექსტი შეადგინა, კომენტარები და საძიებლები დაურთო ნ. დუნდუამ. თბილისი. 1989.
82. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები. ტექსტი დაადგინა, ლექსიკონი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ. თბილისი. 1955.
83. ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფილისი. 1897.
84. შარაშიძე ქრ. საქართველოს ისტორიის მასალები (XIV-XVIII სს.) “მსკი”. ნ. 30. 1954.
85. შარდენი ჟან. მოგზაურობა სპარსეთში და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. ფრანგულიდან თარგმნა მ. მგალობლიშვილმა. თბილისი. 1975.

86. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, საძიებლები, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბილისი. 1976.
87. შაჰ-ისმაილ I-ის ანონიმის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. "სამის სპარსული წყარო XVI საუკუნის საქართველოს შესახებ". თბილისი. 1990.
88. შენგელია ნ. თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაიმას ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ. "მსკი" ნ. 33. თბილისი. 1960.
89. შენგელია ნ. ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიაში ლაშქრობის შესახებ. "ქართული წყაროთმცოდნეობა". ტ. II. თბილისი. 1968.
90. შენგელია ნ. სოლაქ ზადე საქართველოს შესახებ. "ქართული წყაროთმცოდნეობა". ტ. IV. თბილისი 1973.
91. ჩხეიძე ს. საქართველოს ცხოვრება. თბილისი. 1913.
92. ცინცაძე ი. ვასილ გავარასა და არსენი სუხანოვის ცნობები საქართველოს შესახებ. ტბილისი. 1965.
93. ცხოვრება საქართველოსი (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბილისი. 1980.
94. ძველი საქართველო, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებული. ტ. III. ტფილისი. 1913.
95. ხახანაშვილი ა. გუჯრები. ქუთაისი. 1891.
96. ხუბუა მ. საქართველოს ისტორიის სპარსული ფიმანები და ჰოქმები. თბილისი. 1949.
97. ჯავახია ბ. ქართველები ირანის სამხედრო და პოლიტიკურ ასპარეზზე (ადამ ოლეარიუსის ცნობების მიხედვით). "თსუ შრომები". ტ. 227. 1982.
98. ჯიქია ს. ეპიზოდი XVI ს-ის საქართველოს ისტორიიდან (ნაიმას ერთი ცნობის მიხედვით). "მსკი". ნ. 31. 1954.
99. ჯიქია ს. ცნობები დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. "ენიმკის მოამბე". XIII. 1942.

100. ჯიქია ს. ხონთქრის მიერ დიდი მოურავისადმი გაცემული სიგელი. “ენიმკის მოამბე”. ტ. XIII. 1942.

101. ჯუდიჩე ჯუზეპე. წერილები საქართველოზე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. გიორგაძემ. თბილისი. 1969.

102. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით გამოსცა ვ. ფუთურიძემ. შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბილისი 1966.

103. Тбилисская колекция персидских фирманов, подготовка к печати, перевод, комментарии и словарь М. Тодуа. Т. I. Кутаиси 1995.

104. Тбилисская колекция персидских фирманов, подготовка к печати, перевод, комментарии и словарь М. Тодуа. Т. II. Тбилиси. 1999.

ბ) ლიტერატურა

105. აკოფაშვილი გ. ქართველი დიპლომატი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი – ნიკიფორე ირბახი. თბილისი. 1977.

106. ანთელავა ი. გიორგი სააკაძის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. “მნათობი”. №10. 1977.

107. ანთელავა ი. ლევან II დადიანი. თბილისი. 1990.

108. ანთელავა ი. ლევან II დადიანის ბიოგრაფიის ერთი საკითხი. ჟურნ. “დროშა”. №12. 1966.

109. ანთელავა ი. ოსმალეთისა და ოდიშის სამთავროს ურთიერთობის ისტორიისათვის XVII ს-ის I ნახევარში. “საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე”. ტ. 73. №2. 1974.

110. ასათანი ნ. ბახტრიონის გმირული ბრძოლის 300 წლისთავის გამო. “მნათობი”. №8. 1959.

111. ასათაინი ნ. გზა გამოხსნა-აღდგომისაკენ. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა უძველესი დროიდან ტრაქტატამდე. თბილისი. 1983.

112. ბერძენიშვილი ნ. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. “საქართველოს ისტორიის საკითხები”. ტ. III. 1965.

113. ბერძენიშვილი ნ. მოკიდებულთათვის. “საქართველოს ისტორიის საკითხები”. ტ. III. თბილისი. 1966.

114. ბერძენიშვილი ნ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. მიჯნაზე. “საქართველოს ისტორიის საკითხები”. ტ. IV. თბილისი. 1967.

115. ბერძენიშვილი ნ. საქართველო XI-XVIII საუკუნეებში. “საქართველოს ისტორიის საკითხები”. ტ. VI. თბილისი. 1973.

116. ბერძენიშვილი ნ. ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. “მსკი”. ნ. 1. თბილისი 1937.

117. ბერძენიშვილი ნ. დუნდუა ვ. დუმბაძე მ. მელიქიშვილი ვ. მესხია შ. რატიანი ჰ. საქართველოს ისტორია. წ. II. თბილისი. 1958.

118. ბერძენიშვილი ნ. ჯავახიშვილი ი. ჯანაშია ს. საქართველოს ისტორია. ტ. II. თბილისი. 1948.

119. ბოცვაძე თ. საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს). თბილისი. 1968.

120. ბოცვაძე თ. საქართველო-ყაბარდოს ურთიერთობის ისტორიიდან (XV-XVIII სს). თბილისი. 1963.

121. ბოცვაძე თ. ჩრდილო კავკასია საქართველოს საგარეო პოლიტიკაში (XV-XVIII სს.) თბილისი. 1990.

122. ბროსე მ. საქართველოს ისტორია. წ. II. ტფილისი. 1900.

123. ბურჭულაძე რ. ირანის აგრესიული პოლიტიკის წინამძღვრები კახეთის სამეფოს წინააღმდეგ XVI-XVII სს. “მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები”. ტ. II. თბილისი. 1972.

124. გაბაშვილი ვ. ოსმალეთი. “ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან”. თბილისი. 1957.

125. გაბაშვილი ვ. სახელმწიფო წყობილების საკითხისათვის გვიანფეოდალურ საქართველოში. “მიმოხილვა”. ტ. II. 1951.

126. გაბაშვილი ვ. სეფიანთა ირანი. “ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან”. თბილისი. 1957.

127. გაბაშვილი ვ. უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI-XVII სს. ირანში. “მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები”. ტ. II. 1972.

128. გაბაშვილი ვ. ქართული დიპლომატიის ისტორიიდან. “მსკი”. ნ. 31. 1964.

129. გაბაშვილი ვ. ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში. თბილისი. 1958.

130. გელაშვილი ნ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XVI ს.). თბილისი. 1995.

131. გელაშვილი ნ. საქართველო და ირანი XVII ს-ის 30-იან წლებში. “ქართული დიპლომატია” (წელიწდეული). ტ. III. 1996.

132. გელაშვილი ნ. ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობა ირანთან XVI ს-ის 70-იან წლებში. “ქართული დიპლომატია”. ტ. II. 1995.

133. გვრიტიშვილი დ. “ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან”. ტ. II. თბილისი. 1965.

134. გვრიტიშვილი დ. ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი. 1955.

135. გუჩუა ვ. ბრძოლა ქვეყნის მთლიანობის აღდგენისათვის და აგრესორთა წინააღმდეგ XVI ს-ის I-ელ ნახევარში. “საქართველოს ისტორიის ნარკვევები (სინ)”. ტ. IV. თბილისი. 1973.

136. გუჩუა ვ. საქართველო XVI ს-ის 50-70-იან წლებში. “სინ”. ტ. IV. თბილისი. 1973.

137. გუჩუა ვ. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XV-XVI სს. მიჯნაზე. “სინ”. ტ. IV. თბილისი. 1973.

138. დათუაშვილი ზ. მეფე-მთავართა ტრაქტატი – ორასწლოვანი სევდა. ქუთაისი. 1993.

139. დუმბაძე მ. აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან. თბილისი. 1953.

140. ედილი ზ. საინგილო. თბილისი. 1947.

141. თამარაშვილი მ. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი. 1902.

142. კაკაბაძე ს. გიორგი სააკაძის აღსასრული. “მნათობი” №5. 1942.

143. კაკაბაძე ს. გიორგი სააკაძის ვინაობის შესახებ. “საისტორიო კრებული”. წ. II. ტფილისი. 1929.

144. კაკაბაძე ს. მასალები იმერეთის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის შესახებ მე-17 საუკუნეში. “საისტორიო მოამბე”. წ. I. ტფილისი. 1925.

145. კაკაბაძე ს. საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა. ტფილისი. 1922.

146. კაციტაძე დ. გიორგი სააკაძის დიპლომატიური მოღვაწეობიდან. “ქართული დიპლომატია (წელიწდეული)”. ტ. III. თბილისი. 1996.

147. კაციტაძე დ. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. “თსუ შრომები”. ტ. 108. 1964.

148. კაჭარავა დ. ვახნაგ V-ის საგარეო პოლიტიკის საკითხისათვის. “ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან”. ნაწ. I. 1970.

149. კაჭარავა დ. საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხები (XVII-XVIII სს..). თბილისი. 1997.

150. კუცია კ. ისპაჰანის ქართველი ტარუღები (1618-1722). “მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები”. წ. II. 1972.

151. კუცია კ. კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე. “მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები”. თბილისი. 1963.

152. ლომინაძე ბ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. ტ. I. თბილისი. 1966.

153. მაისურაძე გ. ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII საუკუნეებში. თბილისი. 1982.

154. მაკალათია ს. სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია. თბილისი. 1941.

155. მამისთვალაშვილი ე. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობანი XV ს-ის II ნახევარსა და XVI ს-ში. თბილისი. 1988.

156. მესხია შ. საისტორიო ძიებანი. ტ. II. თბილისი. 1983.

157. ნაკაშიძე ნ. საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება. “ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან”. ტ. I. 1970.

158. ნაკაშიძე ნ. საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის I-ელ ნახევარში. “ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან”. ტ. II. 1973.

159. ნაკაშიძე ნ. წიწამურიდან ბახტრიონამდე. თბილისი. 1977.

160. ნატროშვილი თ. თეიმურაზ პირველის აჯანყება და იმამ ყული-ხან უნდილაძე. “ახლო აღმოსავლური კრებული”. თბილისი. 1983.

161. ნატროშვილი თ. მაშრიყით მაღრიბამდე. თბილისი. 1991.

162. ნინიძე დ. მუხრანბატონები. თბილისი. 1997.

163. ობერლინგი ბ. ქართველები და ჩერქეზები ირანში. “სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული კრებული”. ნ. 2-3. 1964.

164. ოდიშელი ჯ. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.) “XIV-XVII სს. რამდენიმე ქართული დოკუმენტი”. თბილისი. 1964.

165. პაიჭაძე გ. XVII საუკუნის ბოლო მეოთხედის ქრონოლოგიის ზოგიერთი საკითხი. “მაცნე”. ისტორიის სერია, №2. 1977.

166. პაპაშვილი მ. ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია. “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”. ტ. I. 1994.

167. პაპაშვილი მ. საქართველო-რომის ურთიერთობა. თბილისი. 1995.

168. ჟორდანია გ. თეიმურაზ მეფე და ძმანი უნდილაძენი. “მნათობი”. №5. 1984.

169. ჟორდანია გ. ქართული აბრეშუმის განადგურების ერთი ცდის შესახებ. “მნათობი”. №5. 1963.

170. ჟორჟოლიანი გ. საქართველო XVII ს-ის 30-50-იან წლებში. თბილისი. 1987.

171. ჟუჟუნაშვილი გ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVII ს-ის 40-იანი წლების შუახანებში. “ქართული დიპლომატია”. ტ. II. 1995.

172. რეხვიაშვილი მ. დასავლეთ საქართველო XVII საუკუნეში. თბილისი. 1978.

173. რეხვიაშვილი მ. იმერეთის სამეფო XVI საუკუნეში. თბილისი. 1976.

174. როდონაია. ს. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVII ს-ის I-ელ ნახევარში. თბილისი. 1961.

175. საითიძე გ. საქართველოსა და რუსეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან. “ქართული დიპლომატია”. ტ. VI. 1999.

176. საითიძე გ. ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. “ქართული დიპლომატია”. ტ. III. 1996.

177. სამსონაძე მ. საქართველოს გაერთიანების პრობლემა და საგარეო ორიენტაცია XVIII საუკუნეში. თბილისი. 1988.

178. სვანიძე მ. კიდევ ერთხელ დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. “მნათობი”, №2. 1979.

179. სვანიძე მ. ლალა მუსტაფა ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში. “თსუ-ს შრომები”. ტ. 116. 1965.

180. სვანიძე მ. ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული მმართველობა და პროვინციული მართვა-გამგებლობა XVI ს-ში. “მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები”. თბილისი. 1963.

181. სვანიძე მ. სამცხე-საათაბაგო XVII ს-ის I-ელ მესამედში. “სინ”. ტ. IV. თბილისი. 1973.

182. სვანიძე მ. საქართველო XVI ს-ის უკანასკნელ მეოთხედში. სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ოსმალთა მიერ. “სინ”. ტ. IV. 1973.

183. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან. XVI-XVII სს. თბილისი. 1971.

184. სვანიძე მ. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ნარკვევები. თბილისი. 1990.

185. სოსელია ო. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. ტ. I. თბილისი. 1973.

186. სოსელია ო. სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის საკითხისათვის. “მიმომხილველი”. ტ. II. თბილისი. 1951.

187. სოსელია ო. ფეოდალური ხანის დასავლეთ საქარველოს ისტორიიდან. თბილისი. 1966.

188. სოსელია ო. ფეოდალური ხანის პოლიტიკური დაშლის ისტორიიდან. “მსკი”. ნ. 30. თბილისი. 1954.

189. ტაბატაძე კ. ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო შაჰ-თამაზ I-ის თეზქერეს მიხედვით. “ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან”. თბილისი. 1957.

190. ტაბაღუა ი. საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა. თბილისი. 1972.

191. ტარდი ლ. უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში. თბილისი. 1988.

192. ტატიშვილი ვ. ქართველები მოსკოვში. თბილისი. 1944.

193. ტივაძე გ. სამცხე-საათაბაგო გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის მიხედვით. “მნათობი” №8. 1946.

194. ტივაძე გ. სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ვითარება XVI ს-ში. “მნათობი” ¹10. 1947.

195. ტივაძე თ. XVI ს-ის 80-იანი წლების კახეთ-რუსეთის ურთიერთობის საკითხისათვის. “მაცნე”. ისტორიის სერია. №3. 1983.

196. ტივაძე თ. XVII ს-ის საქართველოს პოლიტიკური ისტორიიდან. “მაცნე”. ისტორიის სერია. №4. 1971.

197. ტივაძე თ. ერთი ეპიზოდი XVII ს-ის 60-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. “ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან”. ტ. I. 1970.

198. ტივაძე თ. თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკა. თბილისი. 1990.

199. ტივაძე თ. თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის (XVII ს-ის 50-600იანი წწ.) “ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის”. თბილისი. 1976.

200. ტივაძე თ. საქართველო-რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის II ნახევარში. თბილისი. 1977.

201. ტივაძე თ. საქართველოს საკითხი რუსეთ-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობაში XVII ს-ის 60-იან წწ. “ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან” ტ. II. 1973.

202. ტივაძე თ. ქართლის მეფის როსტომის მიერ 1652 წელს რუსეთში გაგზავნილი ელჩობის საკითხისათვის. “მაცნე”. ისტორიის სერია. №3. 1973.

203. ტუხაშვილი ლ. ეროვნული ხსნის გზასაყართან. “ცისკარი”. №9. 1983.

204. ფუთურიძე გ. ირანის სპასალარი როსტომ ხან სააკაძე. “კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები”. თბილისი. 1966.

205. ფურცელაძე ა. ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს გასაერთიანებლად. გიორგი სააკაძე და მისი დრო. თბილისი. 1911.

206. ჩოჩიევი ვ. იმერეთის სამეფოსა და ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს-ის ბოლო მეოთხედში. “მაცნე”. ისტორიის სერია №4. 1976.

207. ჩოჩიევი ვ. ირან-ოსმალეთის 1954 წლის დროებითი ზავი, “აღმოსავლური ფილოლოგია” ტ. III. 1973.

208. ჩოჩიევი ვ. ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო. “ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიდან”. 1957.

209. ჩოჩიევი ვ. კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან XVI ს-ის 60-იან წლებში. “თსუ შრომები”. ტ. 118. 1967.

210. ჩოჩიევი ვ. მარტყოფის 1625 წლის აჯანყების გამოძახილი ოსმალეთში. “ქართული წყაროთმცოდნეობა”. წ. III. 1971.

211. ცინცაძე ი. მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (XV-XVII სს.). თბილისი. 1966.

212. ცინცაძე ი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის წარსულიდან. “ისტორიის ინსტიტუტის შრომები”. ტ. I. თბილისი. 1955.

213. ცინცაძე ი. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის არქივიდან. “მიმომხილველი”. ტ. II. 1951.

214. ცინცაძე ი. საქართველოს მთიანეთის (თუშ-ფშავ-ხევსურეთის) რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან. “მნათობი”. №2. 1956.

215. ცინცაძე ი. უკრაინა-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი. 1954.

216. ცინცაძე ი. ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X_XV). თბილისი. 1964.

217. ჭიჭინაძე ზ. დიდი მოურავი. ტფილისი. 1913.

218. ხოსიტაშვილი ს. XV-XVI საუკუნეების სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური ისტორიიდან. “საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები”. ტ. II. თბილისი. 1972.

219. ხუბუა მ. საქართველო-ირანის ურთიერთობის ისტორიიდან. “ენიმკის მოამბე”. ტ. V. 1940.

220. ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია. ტ. IV. თბილისი. 1967.

221. ჯამბურია გ. გიორგი სააკაძე. თბილისი. 1964.

222. ჯამბურია გ. გიორგი სააკაძის დაბადების თარიღისათვის. “კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები”. თბილისი. 1966.

223. ჯამბურია გ. დასავლეთ საქართველო XVII ს-ის I-ელ ნახევარში. “სინ”. ტ. IV. 1973.

224. ჯამბურია გ. ირან-ოსმალეთის ახალი ომი, ქართლ-კახეთის სამეფოები. “სინ” ტ. IV. 1973.

225. ჯამბურია გ. საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს-ის 80-90-იან წლებში. “სინ”. ტ. IV. 1973.

226. ჯამბურია გ. ტაშისკარის ბრძოლა. გიორგი სააკაძე. “სინ”. ტ. IV. 1973.

227. ჯამბურია გ. ქართლ-კახეთის აჯანყება და მარაბდის ბრძოლა. ბაზალეთის ტრაგედია. “სინ”. ტ. IV. 1973.

228. ჯამბურია გ. ქართლ-კახეთის დროებითი გაერთიანება. “სინ”. ტ. IV. 1973.

229. ჯამბურია გ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი. 1955.

230. ჯამბურია გ. შაჰ-აბასის შემოსევები საქართველოში. “სინ”. ტ. IV. 1973.

231. ჯანაშვილი მ. გიორგი სააკაძე და მისი დრო. ტფილისი. 1914.

232. ჯიქია ს. ეპიზოდი ოდიშის პოლიტიკური ისტორიიდან. “კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები”. 1966.

233. ჯიქია ს. ცნობები დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში. “ენიმკის მოამბე”. ტ. XIII. 1942.

234. ჯღარკავა შ. სალიპარტიანო. “თსუ შრომები”. ტ. 113. 1965.

235. ბერძენიშვილი ნ. Очерк из истории развития феодальных отношении в грузии (XIII-XVI вв.) საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. II. თბილისი. 1965.

236. Накашидзе Н. Русско-грузинское политические отношение в первой половине XVII века. Тбилиси. 1970.

237. ფალსაფი ნასროლა. შაჰ-აბას I-ის ცხოვრება. ტ. I-II. თეირანი. 1358. (სპარსულ ენაზე).

238. ფალსაფი ნასროლა. შაჰ-აბას I-ის ცხოვრბა. ტ. III. თეირანი. 1358 (სპარსულ ენაზე).